

თენგიზ ლილუაშვილი  
**Tengis Liluaschwili**

**75**



საიუბილეო კრებული

**Festschrift**



კრებულის შემდგენელი და რედაქტორი

ვალერი ხრუსტალი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი  
მოადგილე

**Herausgegeben von:**

**Waleri Chrustali**

**Der erste stellvertretende Vorsitzende des Obersten Gerichts  
von Georgien**



**Herausgegeben mit finanzieller Unterstützung der Deutschen  
Gesellschaft für Technische Zusammenarbeit**

გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის  
სა'სოგადოების მხარდაჭერით

წინასიტყვაობა.....	7
<u>ქონისი მქვარშეთა შესახებ ქართულ სამოსამართლო სამართალში, ლადო ქანტურია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, პროფესორი.....</u>	11
<u>საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალი: სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა (აღიარება) და აღსრულება ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობაში, როლეი კინაერი, დოქტორი, პროფესორი.....</u>	31
<b>Internationales Zivilverfahrensrecht: Die Anerkennung und Vollstreckung von Urteilen nach EU-Recht, Prof. Dr. Dr. h.c. (mult) Rolf Knieper.....</b>	48
<u>ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლები, ჯონი ხეკურიანი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი .....</u>	60
<u>უძრავი ქონებით საკუთრების უზრუნველყოფა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მაგალითზე, პინ ბოლისვი, ბრემენის მიწის სასამართლოს სამოქალაქო სააპელაციო პალატის თავმჯდომარე, დოქტორი .....</u>	70
<b>Das Sicherungseigentum an Immobilien nach dem georgischen ZGB, Dr. Hein Bölling, Vorsitzender Richter des Landesgerichts Bremen .....</b>	100
<u>სააუტორო და მომხანავე უფლებების მოქმედების ვადები, რომან შესველია, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.....</u>	127
<u>რამდენიმე შტრები დამოუკიდებელი მოსამართლისა, ბესარიან შოთა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.....</u>	135
<u>აუტონომიური საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თაკობ ყუეკარაძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი.....</u>	141
<u>ქსაიციის მიშნები და საქსაიციო სანიერის განსახილველად მადების (დასამყებობის) წინაპირობებში, ჯალერი ხრუსტალი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე .....</u>	183
<u>ღირსეულ იბიღარს, ჯაეა ხახუგაიშვილი, აჭარის არ უმბალესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.....</u>	205

<u>ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო და სიგეჟის თავისუფლება, მიხეილ გოგიშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე</u> .....	211
<u>ევროპო სანიჟარი და მისი გადაწყვეტის მოგადი პრინციპები, მურმან წიქაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე</u> ----	223
<u>მესამე პირები სამოქალაქო სამართლის პროცესში, ქვიციანი ვახუშაია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე</u> ----	256
<u>საქმის განსილვის გადადების და წარმოებით შექერების სამართ- ლებრივი რეგულირება, მარიამ ცისკაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე</u> -----	273
<u>სარჩელის აღძურა და მისამზადებელი სტადია აშშ-ს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით, ვია ლილუაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საერთო სამართლისა და დემოკრატიის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი</u> .....	288
<u>საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რეზამ ვოგშელიძე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი</u> -----	309
<u>უდავო წარმოების განსხვავება სასარჩელო წარმოებისაგან, მურაბ ძლიერიშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი</u> -----	314
<u>მედგენილი და გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის უფლებები, სანდრო ჯორბენაძე, ივ.ჯაგავიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების“ რედაქტორი</u> -----	327
<u>მტკიცებულებათა თვორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, ნინო ხოფერია, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი</u> .....	340

მეცნიერული წერილების კრებული ეძღვნება იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომლის თენგიზ ლილუაშვილის 75 წლის იუბილეს. იგი დაიბადა 1928 წლის 10 მაისს ვანის რაიონის სოფ. შუაგორაში. საშუალო სკოლისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტურაში, სადაც ამავე ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე დაიწყო საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც და აქტიურად მონაწილეობს ახალგაზრდა იურისტთა ღირსეული კადრების აღზრდაში. მისი სახელმძღვანელოები სამოქალაქო საპროცესო სამართალსა და საერთაშორისო კერძო სამართალში დიდ დახმარებას უწევენ სტუდენტობას სამართლის მეცნიერების ამ უმნიშვნელოვანესი დარგების დაუფლებაში. თ. ლილუაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა მეცნიერ იურისტთა აღზრდას. მისი ხელმძღვანელობით მრავალმა ახალგაზრდამ აიმაღლა კვალიფიკაცია, წარმატებით დაიწყო სამეცნიერო ხარისხები და ამჟამად ისინი აქტიურად მონაწილეობენ როგორც იურიდიული მეცნიერების განვითარების, ასევე საქართველოს თანამედროვე კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკის სრულყოფაში. მას მტკიცედ სწამს, რომ ახალგაზრდა იურისტთა ღირსეული კადრების აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ სწავლების თანამედროვე, მოწინავე ფორმებისა და მეთოდების დანერგვით. რაც, თავის მხრივ, საქართველოში მტკიცე მართლწესრიგისა და კანონიერების დამკვიდრების აუცილებელი პირობაა.

თ. ლილუაშვილის მეცნიერული ინტერესი არ შემოიფარგლება სამართლის მეცნიერების მხოლოდ ერთი რომელიმე დარგით. მისი ნაშრომები კანონიერებისა და მართლწესრიგის, ეკონომიკისა და სამართლის თანაფარდობის, სამართლის როლისა და დანიშნულების შესახებ ფართოდაა ცნობილი და მაღალი შეფასება დაიმსახურეს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იგი სამოქალაქო საპროცესო სამართლის აქტუალური პრობლემების დამუშავებას. მისმა ფუნდა-

მენტურმა გამოკვლევებმა, რომლებიც ეძღვნება უფლების დაყენის საპროცესო ფორმების სოციალურ არსსა და დანიშნულებას, მკაცრ ბულებათა თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს, სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის, კანონიერებისა და ჭეშმარიტების თანაფარდობას, უდავოდ შეასრულეს გარკვეული როლი მეცნიერების ამ დარგის განვითარებაში.

სავანგებო აღნიშვნის ღირსია მისი მონაწილეობა თანამედროვე ქართული სამართლის ფორმირებაში. მან, როგორც სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის თანათავმჯდომარემ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შემუშავებული კომისიის თავმჯდომარემ, სასამართლო რეფორმის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შესაბამისი კანონპროექტების შემუშავებაში.

თ. ლილუაშვილს ღრმად სწამს, რომ თუნდაც კარგი კანონების შემუშავება და მიღება ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს, თუ ისინი სწორად და განუხრელად არ გატარდებიან ცხოვრებაში. ამითაა განპირობებული კანონმდებლობის დანერგვისათვის მისი დაუცხრომელი ზრუნვა. თ. ლილუაშვილის უშუალო მონაწილეობით შეიქმნა საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, რომელსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა და სადაც საქართველოს ახალი კანონმდებლობის საფუძვლებს ეუფლებოდნენ ქართველი იურისტები. მისი პრაქტიკული სახელმძღვანელოები სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში წარმოების შესახებ, აგრეთვე სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე მის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები დიდ დახმარებას უწევს სასამართლოსა და ადვოკატურის მუშაკებს და, ფაქტობრივად, მათთვის სამავილო წიგნებად იქცნენ. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით შემუშავდა და ახლო მომავალში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი.

ბაგონ თენგიშს კვლავ ბევრი საინტერესო ჩანაფიქრი და გეგმა აქვს. ჩვენ, მისი კოლეგები, ვუსურვებთ ამ მაღალმზნობრივ, სპეციალ და უკომპრომისო მორალის ადამიანს ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ყველა მისი მეცნიერული თუ პრაქტიკული ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელებას.

## VORWORT

*Diese Festschrift ist der 75. Geburtsfeier des Doktors der Rechtswissenschaften, Professors, leitenden wissenschaftlichen Mitarbeiters des Instituts für Staat und Recht der Akademie der Wissenschaften Tengiz Liluashvili gewidmet. Er wurde am 10. Mai 1928 in Shuagora bei Vani geboren. Nach der Absolvierung der Schule und dem Abschluss des Studiums an der rechtswissenschaftlichen Fakultät der Staatlichen Universität Tbilissi, setzte er sein Studium an der Aspirantur der rechtswissenschaftlichen Fakultät der Staatlichen Universität Moskau weiter, wo er nach der erfolgreichen Disputationen zunächst zum Kandidat der Rechtswissenschaften und anschließend zum Doktor der Rechtswissenschaften promoviert wurde. Neben der wissenschaftlichen Arbeit ist er auch mit Lehrtätigkeit beschäftigt und ist aktiv an der Ausbildung der hochqualifizierten Juristen beteiligt. Seine Lehrbücher im Zivilprozessrecht und internationalen Privatrecht sind eine große Hilfe für Studenten um diese wichtigen Gebiete der Rechtswissenschaft zu erlernen. Unter seiner besonderen Aufmerksamkeit steht die Ausbildung der jungen Rechtswissenschaftler. Viele junge Juristen wurden unter seiner Betreuung fortgebildet und promoviert. Sie sind heute sowohl an der Entwicklung der Rechtswissenschaft als auch in der Vervollkommnung der georgischen Gesetzgebung aktiv beteiligt. Tengiz Liluashvili ist fest davon überzeugt, dass die Ausbildung der hochqualifizierten Juristen nur mit Hilfe der modernen und führenden Lehrmethodologie möglich ist, was ihrerseits eine Voraussetzung für die Schaffung der Rechtsordnung in Georgien ist.*

*Das wissenschaftliche Interesse von Tengiz Liluashvili beschränkt sich nicht nur auf ein Rechtsgebiet. Seine Arbeiten über Gesetzmäßigkeit und Rechtsordnung, Korrelation zwischen Wirtschaft und Recht, die Rolle und Aufgabe des Rechts sind allgemein bekannt und wurden hoch bewertet. Er beschäftigt sich besonders mit der Bearbeitung der aktuellen Probleme des Zivilprozessrechts. Seine Fundamentalarbeiten, die sich mit der Frage des sozialen Wesens*



*und der Bestimmung der Verfahrensformen von Rechtsausübung, der Theorie und Praxis der Beweissammlung, Schlüssigkeit der Gerichtsentscheidungen, Korrelation zwischen der Gesetzlichkeit und der Wahrheit haben ohne Zweifel eine große Rolle in der Entwicklung dieses Rechtsgebietes gespielt.*

*Besonders bemerkenswert ist seine Mitwirkung an der Bildung des modernen georgischen Rechts. Er, als Vorsitzende der staatlichen Kommission für Rechtsreformen, der staatlichen Kommission für Erarbeitung des Zivilprozessgesetzbuches und der staatlichen Kommission für Justizreform hat den bedeutsamen Beitrag zur Erarbeitung entsprechender Gesetzesentwürfe geleistet.*

*Tengiz Liluashvili ist fest davon überzeugt, dass uns nur die Erarbeitung und Verabschiedung guter Gesetze nicht das erhoffte Ergebnis bringt, wenn sie nicht richtig im Leben durchgesetzt werden. Aus diesem Grund sorgt er auch für die praktische Durchsetzung der Gesetzgebung. Unter der unmittelbaren Teilnahme von Tengiz Liluashvili wurde das Lehrzentrum der Justiz gegründet, das jahrelang von ihm geleitet wurde und wo die Grundzüge des georgischen Rechts von jungen Juristen erlernt werden. Seine Handbücher über das Gerichtsverfahren in Zivilsachen, seine an Hand der Analyse der Rechtsprechung erarbeiteten Empfehlungen sind sehr große Hilfe für Richter und Rechtsanwälte. Unter seiner unmittelbaren Führung und Mitwirkung wurden die Kommentare zum Zivilprozessgesetzbuch erarbeitet, die bald erschienen werden.*

*Herr Liluashvili hat aber noch mehr Ideen und Pläne. Wir, seine Kollege wünschen ihm, einem hochmoralischen, ehrenwerten und verdienstvollen Mensch, langes Leben, Gesundheit und erfolgreiche Verwirklichung aller seinen wissenschaftlichen und praktischen Vorhaben.*

## კანონი მეწარმეთა შესახებ ქართულ სამოსამართლო სამართალში

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მიღებიდან თითქმის ათი წელი გავიდა. ამ კანონმა არა მხოლოდ საკორპორაციო სამართლის წარმოშობას ჩაუყარა საძირკველი, არამედ ახალი ქართული, კერძო საკუთრებასა და კერძო სამეწარმეო საქმიანობაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნის სამართლებრივი ფუნდამენტი გახდა. კანონის საფუძველზე ჩამოყალიბდა მეტად საინტერესო სასამართლო პრაქტიკა, რომელიც მნიშვნელოვანი წინაპირობაა სამართლის ამ ახალგაზრდა დარგის განვითარებისათვის. სასამართლომ ბევრ ისეთ კითხვას უპასუხა, რომლებზეც პასუხი კანონში პირდაპირ არ იყო, არადა სამეწარმეო საქმიანობა მათზე პასუხებს მოითხოვდა. მაგალითად, სამოსამართლო სამართლით დაზუსტდა, რომ პარტნიორის ვინაობა, მისი წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში უნდა განისაზღვროს საზოგადოების წესდებით და პარტნიორად ყოფნა არ შეიძლება მოწმეთა ჩვენებებით დადასტურდეს. პირი პარტნიორად უნდა იყოს აღნიშნული წესდებაში და რეგისტრირებული – სასამართლოში.<sup>1</sup>

წინამდებარე სტატიაში, რომელიც თანამედროვე ქართული სამოქალაქო სამართლის პროცესისა და სამართლის მეცნიერების ერთ-ერთ ფუძემდებელს, პროფესორ თენგიზ ლილუაშვილს ეძღვნება, მე შევეცადე ქართველი მკითხველისათვის მეჩვენებინა მეწარმეთა შესახებ კანონის სასამართლოსეული ინტერპრეტაციის ძირითადი მიმართულებები.

1. შესატანის შეტანა საწესდებო კაპიტალში და შეტანაზე უფლებამოსილი პირი

ერთ-ერთი საკითხი, რომელმაც კანონის ამოქმედებისთანავე ბევრი

<sup>1</sup> სუს გადაწყვეტილება გუმბერიძის საქმეზე, 2001 წლის 25 მაისი (საქმე №3/375-01).

გაუგებრობა გამოიწვია, იყო საწესდებო კაპიტალში შეტანილი ქონების სამართლებრივი ბედის საკითხი. კანონი კითხვაზე, თუ ვინ რჩება შეტანილი ქონების მესაკუთრედ ან ვინ არის უფლებამოსილი განახორციელოს შესატანი, პასუხს არ იძლეოდა. ყველა ამ კითხვას პასუხი გასცა სასამართლო პრაქტიკამ.

იმისათვის, რომ არაფულადი შესატანი შეტანილ იქნეს საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, აუცილებელია, რომ ამ არაფულადი შესატანის შემტანი იყოს მისი მესაკუთრე. *დაუშვებელია იჯარით აღებული ქონების ჩადება საწესდებო კაპიტალში.* ამიტომ ქუთაისის საოლქო სასამართლომ სწორად გააუქმა ბაღდათის რაიონის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შპს „რუდულას წყლის“ რეგისტრაციის შესახებ, რომელშიც დამფუძნებელმა პარტნიორმა საწესდებო კაპიტალში ჩადო იჯარით აღებული ქონება და ხარვეზის გამოსასწორებლად მისცა სამი თვე<sup>2</sup>.

წესდებაში უნდა ჩაიწეროს არა მხოლოდ შესატანის ღირებულება, არამედ წილის ოდენობაც, მაშინაც კი, როცა შესატანი შეიტანება ნაწილი ფულის, ხოლო ნაწილი – არაფულადი შესატანის ფორმით, უნდა აღინიშნოს შესატანის ოდენობა და რეალურად განხორციელებული ღირებულებაც. *კანონი წილის დროებით განსაზღვრავს არ აწესებს.* ამიტომ სასამართლომ სწორად არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმის შესახებ, რომ საწარმოს დაფუძნებისას პარტნიორების წილი დროებით იყო განსაზღვრული,<sup>3</sup>

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა დამფუძნებელ პარტნიორებს საზოგადოების საწესდებო კაპიტალში პირდაპირ შეაქვთ სახელმწიფოსაგან პრივატიზაციის გზით შეძენილი ქონება. ამ გზით ერთ-ერთი შპს-ის დაფუძნებისას არ იყო წარდგენილი არაფულადი შესატანის შესახებ აუდიტის დასკვნა, მაგრამ სასამართლომ აღნიშნული გარემოება არ მიიჩნია რეგისტრაციის გაუქმების საფუძველად, რადგან საწესდებო კაპიტალი შეფასებული იყო სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს მიერ. სასამართლომ არაფულადი შესატანის შეფასების დამადასტურებელ საბუთად ჩათვალა სახელმწიფოს მიერ გაცემული

<sup>2</sup> ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება შპს „რუდულას წყლის“ რეგისტრაციის საქმეზე.

<sup>3</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2000, გვ. 488-490

საპრივატიზაციო დოკუმენტები. უზენაესმა სასამართლომ მართებულად მიიჩნია სასამართლოს გადაწყვეტილება და განმარტა, რომ „აუდიტორის დასკვნა იმ შემთხვევაშია სავალდებულო, თუ სხვა რაიმე საბუთი არ არის წარდგენილი, რითაც შესაძლებელი იქნება დადგინდეს არაფულადი შესატანის შეფასება“.<sup>4</sup>

საზოგადოების დაფუძნებისას განხორციელებული შესატანის განკარგვის უფლება შესატანის განხორციელების შემდეგ აქვს საზოგადოებას: საზოგადოება ხდება ამ ქონების მესაკუთრე.<sup>5</sup> სამოსამართლო სამართლით განსაზღვრული ეს დებულება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა საზოგადოებათა წესდებების მიხედვით, საზოგადოების კაპიტალი „ეკუთვნის მის მონაწილეებს წილობრივი საკუთრების უფლებით“ (მაგალითად, შპს „პეგასის“ წესდების მე-2 თავის 2.4 პუნქტი).<sup>6</sup> ეს ჩანაწერი ბათილია და იგი არის საზოგადოების რეგისტრაციაზე უარის საფუძველი, ხოლო თუ რეგისტრაცია მოხდა, – მისი გაუქმების საფუძველი.

შესატანის განუხორციელებლობის გამო საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვასთან დაკავშირებით წამოიჭრება ერთი პრაქტიკული საკითხი: თუ ხმათა უმრავლესობის მქონე პარტნიორს (ან პარტნიორებს) არ შეაქვს შესატანი სრულად, შეუძლია თუ არა უმცირესობაში მყოფ პარტნიორს (პარტნიორებს) გარიცხონ უმრავლესობის მქონე პარტნიორი. კანონის 3.5 მუხლის მე-2 აბზაცი იძლევა პარტნიორის გარიცხვის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. ამ ნორმის შინაარსი არ განამტკიცებს, რომ გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას უმრავლესობის მიერ. თუ შესატანის შეუტანლობის ფაქტი არსებობს, ეს უკვე საფუძველია იმისათვის, რომ ბრალეული პარტნიორი გაირიცხოს საზოგადოებიდან. არა

<sup>4</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2000, გვ.488-490.

<sup>5</sup> საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში შეცდომით მიუთითა, რომ „პარტნიორებია შპს-ის ქონების მესაკუთრეები“ (სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №7, გვ. 715. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ სასამართლო პარტნიორებს გულისხმობდა ციონომიკური გაგებით მესაკუთრეებად და არ სამართლებრივი გაგებით).

<sup>6</sup> თბ. საოლქო სასამართლოს 1999 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილება შპს „პეგასის“ საქმეზე.

აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას – უმცირესობა თუ უმრავლესობა. შესატანის შეუტანლობის საბაბით პარტნიორის გარიცხვის საკითხი წყდება საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ და ამ დროს საზოგადოების კრების მოწვევა სავალდებულო არ არის. ასევე არ არის აუცილებელი სასამართლოში სარჩელით მიმართვა პარტნიორის გარიცხვის მიზნით.<sup>7</sup>

3.5 მუხლის შესაბამისად შესატანის შეტანის ვადის გადაცილების გამო პარტნიორის გარიცხვა არის პარტნიორთა უფლებამოსილება და არა სასამართლოსი. სასამართლოს მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ საზოგადოების მიერ აღნიშნული მუხლის მოთხოვნათა დაუცველობა.<sup>8</sup>

ყველა სხვა შემთხვევაში საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის წინაპირობა არის საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ. გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ხმათა უმრავლესობით. გასარიცხ პარტნიორს ამ დროს ხმის უფლება არა აქვს. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის შესახებ პირდაპირ არ იწვევს საზოგადოებიდან მის გარიცხვას. ეს შეიძლება იყოს საფუძველი, რათა საზოგადოებამ სარჩელით მიმართოს სასამართლოს პარტნიორის გარიცხვის თაობაზე. გადაწყვეტილებას პარტნიორის გარიცხვის თაობაზე იღებს სასამართლო.<sup>9</sup>

3.5 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან უდავო წარმოების წესით არ დაიშვება. პარტნიორის გარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ სასარჩელო წარმოების გზით.<sup>10</sup>

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა საზოგადოების პარტნიორობას წინ უძღვის შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან. ეს შემთხვევები გვაქვს მაშინ, როცა ხდება სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება. შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა არ არის საფუძველი პარტნიორობიდან გასვლისა, პარტნიორობის შეწყვეტისა.<sup>11</sup>

<sup>7</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №3, გვ. 244-250

<sup>8</sup> თბ. საოლქო სასამართლოს 1999 წლის 14 დეკემბრის განჩინება №02<sup>ა</sup> – 605/99

<sup>9</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №1, გვ. 44-50.

<sup>10</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №3, გვ. 244-250; სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №1, გვ. 44-50.

<sup>11</sup> სუს გადაწყვეტილება გუმბარიძის საქმეზე, 2001 წლის 25 მაისი (საქმე №3/375-01).

## 2. დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შეცვლა

დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შეცვლა ასევე მოითხოვს რეგისტრაციას სამეწარმეო რეესტრში და შესაბამისად, უკვე არსებული ჩანაწერების შეცვლას. დირექტორის შეცვლის შესახებ საზოგადოების მიერ გადაწყვეტილების მიღება არ არის საკმარისი. აუცილებელია ახალი დირექტორის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში.<sup>12</sup>

## 3. საწარმოთა ხელახალი რეგისტრაცია

პრაქტიკაში ამ საკითხმა ყველაზე დიდი დისკუსია გამოიწვია. სასამართლოები საწარმოთა ხელახალ რეგისტრაციას არცთუ იშვიათად უთანაბრებდნენ ახლადშექმნილი საწარმოების რეგისტრაციას. პირველ რიგში, ეს ეხება ყველა პარტნიორის ხელმოწერის ვალდებულებას საზოგადოების დამფუძნებელ დოკუმენტებზე.

ხელახალი რეგისტრაცია არ უნდა ჩაითვალოს საწარმოს დაფუძნებად. თუ საწარმო არ აკმაყოფილებს მეწარმეთა შესახებ კანონის მოთხოვნებს და მისი ხელახალი რეგისტრაციისათვის აუცილებელია ცვლილებების შეტანა საზოგადოების წესდებაში, მაშინ ხელახალი რეგისტრაციის პროცედურა უნდა გაუთანაბრდეს საზოგადოების ცვლილებების მიღებისა და მათი რეგისტრაციის წესს. ხელახალი რეგისტრაციის დროს, როგორც წესი, პარტნიორთა კრებაზე მიიღება წესდების ახალი რედაქცია, რაც უტოლდება წესდების ცვლილებებს და არა საზოგადოების დაფუძნებას. საზოგადოების ცვლილებები კი ფორმდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების სახით ისე, რომ მასზე ყველა პარტნიორის ხელმოწერა სავალდებულო არაა. ყოველივე ეს არ გამორიცხავს პარტნიორების უფლებას მოაწერონ ხელი საზოგადოების წესდებას და განცხადებას ხელახალი რეგისტრაციის შესახებ.

ხელახალი რეგისტრაცია არ იწვევს ადრე არსებული იურიდიული პირის ლიკვიდაციას, მის გაუქმებას. ხელახალი რეგისტრაცია არც ახალი იურიდიული პირის წარმოშობის საფუძველია. ხელახალი

<sup>12</sup> თბ. საოლქო სასამართლოს 1999 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილება შპს „კეასის“ საქმეზე

რეგისტრაციის შედეგად რეგისტრირებული იურიდიული პირი აღრე რეგისტრირებული იურიდიული პირის უფლებამონაცვლეა.<sup>13</sup>

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც საწარმოთა ხელახალ რეგისტრაციას უკავშირდება, მდგომარეობს შემდეგში: აქვს თუ არა საწარმოს ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება, თუკი მან გაუშვა ხელახალი რეგისტრაციისათვის კანონით დადგენილი ვადა? მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, ე.ი. 1995 წლის 1 მარტამდე – კერძო (სამოქალაქო) სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები ექვემდებარებოდნენ ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 31 დეკემბრამდე.<sup>14</sup> ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენება მეწარმეთა შესახებ კანონის 5.8 მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ე.ი. რეგისტრაცია უქმდება. ამიტომ იმ საწარმოებს, რომლებმაც ეს ვადა გაუშვეს, არა აქვთ საწარმოთა ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება.<sup>15</sup> თუმცა ეს არ ართმევს მათ საწარმოს დაფუძნებისა და მათი რეგისტრაციაში გატარების უფლებას.

#### 4. რეგისტრაციის გაუქმება

5.8 მუხლი განსაზღვრავს რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევებს. რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლად მიიჩნევა მე-5 მუხლში გათვალისწინებული რეგისტრაციის პირობების არარსებობა. აქ კანონი ორ შემთხვევას განასხვავებს ერთმანეთისაგან: პირველი, როცა საწარმო რეგისტრირებულია ისე, რომ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის მოთხოვნებს (მაგალითად, შპს-ის წესდებაში არ იყო მითითებული მართვის ორგანოები); მეორე, როცა აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს, მაგრამ მოგვიანებით მოისპო ეს პირობები (მაგალითად, შპს-ის პარტნიორობმა გახარჯეს საზოგადოების კაპიტალი ისე, რომ მის შევსებაზე არც უფიქრიათ). თუ ეს ხარვეზი სამი თვის განმავლობაში არ იქნება გამოსწორებული, მაშინ რეგისტრაცია უქმდება.

რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის უფლება აქვს ნებისმიერ

<sup>13</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001წ. №8, გვ. 860.

<sup>14</sup> საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 28 ივნისის დადგენილება.

<sup>15</sup> სუს გადაწყვეტილება საქმეზე ფიზიკულტურულ-სპორტულ კლუბი „დინამო“ შპს „ბერძენა-92“ წინააღმდეგ. 2002 წლის 5 ივლისი (საქმე №3 661-02)

პარტნიორს ან მესამე პირს. გარდა ამისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 348-ე მუხლის თანახმად, თუ სამეწარმეო რეესტრში მოხდება რეგისტრაცია, რომელიც მნიშვნელოვანი მიზეზის გამო არ უნდა მომხდარიყო, სასამართლოს, რომელმაც ასეთი რეგისტრაცია მოახდინა, შეუძლია გამოიტანოს განჩინება და თავისი ინიციატივით ამოშალოს იგი. მართალია, სასამართლოს აქვს უფლება თავისი ინიციატივით გააუქმოს რეგისტრაცია, მაგრამ მან უნდა შეატყობინოს სათანადო პირს (ვინც რეგისტრაცია მოახდინა) რეგისტრაციის ამოშლის განზრახვის შესახებ და მისცეს ვადა შესაბამისი მოქმედების შესასრულებლად. ვადის მიუცემლად სასამართლოს მიერ განხორციელებული გაუქმება რეგისტრაციისა უნდა გაუქმდეს.<sup>16</sup>

სამეწარმეო საზოგადოების არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში ექვემდებარება ამოშლას, როგორც არასწორი ჩანაწერი. ერთ-ერთ კონკრეტულ შემთხვევაში სააქციო საზოგადოების დირექტორი თანამდებობიდან გაათავისუფლა საერთო კრებამ მაშინ, როცა ეს უნდა გაეკეთებინა სამეთვალყურეო საბჭოს. თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ ეს ჩათვალა მნიშვნელოვან მიზეზად, რომლის გამოც სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია არ უნდა მომხდარიყო. ამასთან, ამ დარღვევის აღმოჩენისას სასამართლო ვალდებულია მისცეს სამ თვემდე ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.<sup>17</sup>

სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალში შესატანის სახით იჯარით აღებული ქონების ჩადება არის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი. სასამართლომ ამ შემთხვევაშიც უნდა მისცეს სამ თვემდე ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.<sup>18</sup>

საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დროს შრომითი კოლექტივის წევრებისათვის სახელმწიფო ქონების გამოსყიდვის

<sup>16</sup> თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინება საქმეზე „გურტელი“ „ჯეოსელის“ წინააღმდეგ 1999 წლის 2 ივლისი (№02-189)

<sup>17</sup> თბ. საოლქო სასამართლოს განჩინება საქმეზე თემიძხანი „ჯეოსელის“ წინააღმდეგ 1999 წლის 2 ივლისი (№02ბ-158-99)

<sup>18</sup> ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება შს „რუდულას წყლის“ რეგისტრაციის საქმეზე.



უფლების ჩამორთმევა ან შეზღუდვა. ეს ხდება მაშინ, როცა საზოგადოების დაფუნება ხდება იმ ქონებით, რომელიც გამოსყიდვის უფლებით შეიძინეს შრომითი კოლექტივის წევრებმა და ეს უფლება სასამართლომ მათ გაუუქმა. სასამართლომ საწარმოს ხარვეზის გამოსასწორებლად ამ დროსაც უნდა მისცეს სამ თვემდე ვადა.<sup>19</sup> იგივე შედეგები უნდა დადგეს მაშინაც, როცა პრივატიზაცია უქმდება და ის ქონება, რომელიც პარტნიორებმა ჩაღეს საწესდებო კაპიტალში, უბრუნდება სახელმწიფოს. ამ შემთხვევაშიც სასამართლომ უნდა მისცეს საზოგადოებას ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად: იქნებ შეძლონ პარტნიორებმა სადავო ქონების შეცვლა სხვა ქონებით.

## 5. რეგისტრაციის გაუქმების შედეგები

სასამართლოში საწარმოთა რეგისტრაციის გაუქმების საკითხს არ ექცეოდა ისეთი ყურადღება, როგორსაც იგი სინამდვილეში მოითხოვს. რეგისტრაციის მონაცემებში ხარვეზის აღმოჩენისას სასამართლოები დაუყოვნებლივ აუქმებდნენ რეგისტრაციას და ხარვეზის გამოსწორებისათვის არ უნიშნავდნენ, სამ თვემდე ვადას, რომლის დანიშნავსაც კანონის 5.8 მუხლი მოითხოვს. მაშასადამე, რეგისტრაციის მასალებში ხარვეზის აღმოჩენისას სასამართლო ვალდებულია, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, საწარმოს მისცეს ხარვეზის გამოსასწორებლად სამ თვემდე ვადა.<sup>20</sup> რა კონკრეტული გარემოებები შეიძლება იქნეს ამ დროს მხედველობაში მიღებული? პირველ რიგში, ესაა ხარვეზის ხასიათი. რამდენად გამოსწორებადია იგი მოცემულ შემთხვევაში?

თუ ხარვეზის გამოსწორება შეუძლებელია და იგი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ რეგისტრაციის გაუქმებას იწვევს, სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. ამ საკითხზე პირველი ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკის

<sup>19</sup> თბ. საოლქო სასამართლოს 1999 წლის 14 დეკემბრის განჩინება №02<sup>ა</sup> - 605/99.

<sup>20</sup> თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინება საქმეზე „გურტელი“ „ჯეოსელის“ წინააღმდეგ 1999 წლის 2 ივლისი (№02<sup>ა</sup>-189); თბ. საოლქო სასამართლოს განჩინება საქმეზე თემიზანი „ჯეოსელის“ წინააღმდეგ 1999 წლის 2 ივლისი (№02<sup>ბ</sup>-158-99); თბილისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის 14 დეკემბრის განჩინება №02<sup>ა</sup> - 605/99 და ა.შ.

ყველაზე დიდი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ანგარიშს ვერ უწევს იმ გარემოებას, რომ საწარმოო რთული მექანიზმია. მას ურთიერთობა აკავშირებს სხვა საწარმოებთან, თანამშრომლებთან და ა.შ. რეგისტრაციის გაუქმება იურიდიულად ყველა ამ ურთიერთობის გაწყვეტას იწვევს, რაც რეალურად შეუძლებელია. ეს რომ არ მოხდეს, სასამართლომ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დანიშნოს სალიკვიდაციო კომისია და გახსნას სალიკვიდაციო პროცესი. ამას, სამწუხაროდ, სასამართლოები არ აკეთებენ და რეგისტრაციის გაუქმებით პარალიზებას უწევენ საწარმოს მთელ საქმიანობას. მაშასადამე, რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა დანიშნოს ლიკვიდატორები და დაიწყოს სალიკვიდაციო პროცესი. თუ ეს ასე არ გაკეთდა, მაშინ ის ზიანი, რომელიც რეგისტრაციის გაუქმებას შეიძლება მოჰყვეს, უნდა აანაზღაუროს სახელმწიფომ.<sup>21</sup>

## 6. უფლებამონაცვლეობის დადგენა სასამართლო პრაქტიკაში

სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებულია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ საწარმოს უფლებამონაცვლეობის საკითხი უდავო წარმოების წესით იხილება.<sup>22</sup> უფლებამონაცვლეობის საკითხის უდავო წარმოების წესით დადგენა არასწორია. უფლებამონაცვლეობას მნიშვნელობა აქვს იმ კონტრაქტებისათვის, რომელთანაც საწარმოს უხდება ურთიერთობა. ამიტომ ეს საკითხი წყდება ან კანონის

<sup>21</sup> მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოების მიერ ძირითადად სწორად ხდება 5.8 მუხლის გამოყენება და სწორად უქმდება ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები ამ საკითხზე; თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინება საქმეზე „გურტელი“ „ჯეოსელის“ წინააღმდეგ 1999 წლის 2 ივლისი (№02<sup>ა</sup> 189); თბ. საოლქო სასამართლოს განჩინება საქმეზე თემიზანი „ჯეოსელის“ წინააღმდეგ 1999 წლის 2 ივლისი (№02ბ-158-99); ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება შპს „რუდულას წყლის“ რეგისტრაციის საქმეზე და ა.შ.

<sup>22</sup> ასე არის, მაგალითად. შპს „ეტრატი“ ინდუქციის №27 ატელიეს შრომითი კოლექტივის უფლებამონაცვლედ დადგენილი თბილისის ისანი-სამგორის სასამართლოს 2001 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე №2/498); იმავე სასამართლოს 2001 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/1663) შპს „შუმერი“ არის აღიარებული ინდივიდუალური საწარმო „შუმერის“ უფლებამონაცვლედ.

ძალით (როგორც ეს გათვალისწინებულია მე-8 და 14.4-14.6 მუხლებში) ანდა სასარჩელო წარმოების წესით, თუკი კონტრაქტით საწარმოს არ მიიჩნევა იმ საწარმოს უფლებამონაცვლედ, რომელთანაც მას ადრე ჰქონდა ურთიერთობა.

როგორც წესი, დაინტერესებულ პირს უფლებამონაცვლედ ცნობა სურს რაიმე უფლების მისაღებად ან მისთვის სასურველ ურთიერთობაში შესასვლელად. ამან კი შესაძლოა სხვა პირთა უფლებების შელახვა გამოიწვიოს. მაგალითად, თუ უფლებამონაცვლეობის პრეტენდენტი ნაკლებად საიმედოა, ვიდრე ადრე არსებული საწარმო, ეს არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებს კონტრაქტს. ამიტომ დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს კონტრაქტს და აცნობოს, რომ იგი არის უფლებამონაცვლე და ჩაერთვება მასთან საქმიან ურთიერთობებში. თუ კონტრაქტით არ აღიარებს მას უფლებამონაცვლედ და უარს იტყვის მასთან ურთიერთობაზე (ეს, როგორც წესი, გამოიხატება კონკრეტულ მოთხოვნაზე უარის თქმაში), მაშინ სასარჩელო წარმოების წესით საქმეს განიხილავს სასამართლო. კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევების გარდა, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონის მე-8 და მე-14 მუხლებში, უფლებამონაცვლეობის საკითხი უნდა გადაწყდეს კონკრეტულ ურთიერთობასთან დაკავშირებით. ამიტომ უფლებამონაცვლეობის საკითხის გადაწყვეტა უდავო წარმოების წესით დაუშვებელია.

გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის თანახმად, უდავო წარმოების წესით სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებს აღგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში.

ლიკვიდაციასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა ერთი საკითხი: ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ, აქვს თუ არა საზოგადოების პარტნიორს უფლება საზოგადოების მოვალეებისაგან მოითხოვოს შესრულება, ე.ი. იყოს საწარმოს უფლებამონაცვლე. უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების თანახმად, საზოგადოების დამფუძნებელი „ამ საწარმოს ლიკვიდაციის შემდეგ უფლებამოსილი იყო ეწარმოებინა სამოქალაქო დავები საწარმოს მოვალეებთან მიუღებელი ქონების დაბრუნების და დამფუძნებელთა

შორის განაწილების მიზნით. აღნიშნული უფლებისათვის მას რაიმე სპეციალური რწმუნების მინიჭება არ ესაჭიროება“.<sup>23</sup>

უზენაესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება დაასაბუთა 14.3 მუხლის განმარტების შედეგად. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება ვალების დაფარვის შემდეგ ნაწილდება პარტნიორებს შორის. სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის შესაბამისად ქონება არამატერიალური ქონებრივი სიკეთეცაა, რომელსაც განეკუთვნება მოთხოვნები. ამიტომ, ლიკვიდაციის შედეგად გასანაწილებელი ქონების შემადგენლობაში ლოგიკურად შევა ის მოთხოვნები, რომლებიც საზოგადოებას ჰქონდა მოვალეების მიმართ.

## 7. წილის გასხვისება

წილის გასხვისება ნიშნავს წილის ყოველგვარ გადაცემას სხვა პირის საკუთრებაში ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, დათმობის და ა.შ. გზით. წილის გასხვისების უფლება აქვს მხოლოდ ამ წილის მესაკუთრეს (პარტნიორს) ან მისგან უფლებამოსილ პირს. საზოგადოებას არ შეუძლია პარტნიორის წილი გაასხვისოს.<sup>24</sup> პარტნიორის წილის გასხვისების უფლება არა აქვს სხვა პარტნიორს, მიუხედავად მის საკუთრებაში არსებულ წილთა ოდენობისა.<sup>25</sup>

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს წილის გასხვისების სხვა შეზღუდვებსაც. წესდებით შეიძლება განმტკიცებული იყოს გასხვისებული წილის კვლავ გამოსყიდვის უფლება ამა თუ იმ პირობის არსებობისას.

წესდებები ხშირად განამტკიცებენ ისეთ შემთხვევებს, როცა წილის უპირატესი მესყიდვის უფლება აქვთ დანარჩენ პარტნიორებს ან ერთ-ერთ მათგანს.

წილის გასხვისების შეზღუდვის ერთ-ერთი შემთხვევა საოჯახო სამართლით არის გათვალისწინებული. კერძოდ, თუ შპს-ის წილი

<sup>23</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №3, გვ. 286.

<sup>24</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №1, გვ.4-5

<sup>25</sup> ერთ-ერთ შპს-ში წილთა 80% გაასხვისა პარტნიორმა. რომელიც თვითონ იყო მხოლოდ წილთა 30%-ის მფლობელი. ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო უზენაესმა სასამართლომ და ეს გარიგება ბათილად მიიჩნია. „აი დი ემ ფორინ ჯაუერ“ შპს „ზაქესის“ წინააღმდეგ. სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №1, გვ. 1-5.

მეუღლეთა ერთად ცხოვრების განმავლობაშია შექმნილი, იგი წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას. ამიტომ, სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის თანახმად, ამ წილის გასხვისებისათვის აუცილებელია მეორე მეუღლის თანხმობა.<sup>26</sup> თანხმობისათვის რაიმე სპეციალურ ფორმას კანონი არ ითვალისწინებს. ამიტომ შესაბამისად გამოყენებული უნდა იქნას სამოქალაქო კოდექსის 99-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა. იგი შეიძლება ნებისმიერი ფორმით გამოიხატოს: ზეპირად, წერილობით, კონკლუდენტური მოქმედებით და ა.შ. თუ თანხმობა გაცემულია ისეთი გარიგების დადებაზე, რომელმაც შესაძლოა წილის გასხვისებაც გამოიწვიოს (მაგალითად, წილის დაგირავება), მაშინ თანხმობა წილის გასხვისებაზე გაცემულად ჩაითვლება.<sup>27</sup>

წილის გასხვისების ყველაზე გავრცელებული ფორმაა წილის ნასყიდობა. წილის ნასყიდობა არის უფლების ნასყიდობა. წილის გასხვისებით ხდება უფლების გასხვისება. წილის შექმნით შემქმნი იკავებს პარტნიორის ადგილს შპს-ში. შემქმნზე გადადის ყველა ის უფლება-მოვალეობა, რომელიც ძველ პარტნიორს ჰქონდა. „საზოგადოებაში წილის შექმნა იმავდროულად ნიშნავს საზოგადოების პარტნიორად გახდომას, ყოველი ახალი პარტნიორის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში აუცილებელია“.<sup>28</sup>

## 8. წილის გასხვისებასთან გათანაბრებული გარიგებანი

წილის გასხვისებას უთანაბრდება წილის დაგირავება, უზუფროუქტით მისი დატვირთვა, ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად წილის გამოყენება ან მინდობილ საკუთრებად მისი გადაცემა<sup>29</sup>. ამ დროს გამოიყენება იგივე წესი, რაც გათვალისწინებულია წილის გასხვისებისათვის. იმ შემთხვევებში, როცა პარტნიორის მიერ ხდება

<sup>26</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002 წ. №2, გვ. 225.

<sup>27</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002 წ. №2, გვ. 225-226.

<sup>28</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 21 მაისის განჩინება შპს „ასილთემინტერის“ საქმეზე №3 /530-02

<sup>29</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №12, გვ. 1398.

წილის გადაცემა სამართავად სხვა პირისთვის დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, საჭირო არაა იგივე წესების გამოყენება, რაც მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად წილის გასხვისებისთვისაა საჭირო. ასეთი განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე.<sup>10</sup>

## 9. პარტნიორის გარიცხვა შპს-დან

შპს-თან პარტნიორის ურთიერთობის გაწყვეტის ერთ-ერთი ფორმა პარტნიორის გარიცხვაა. მართალია, კანონი კონკრეტულად მხოლოდ ერთ შემთხვევაში განამტკიცებს პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობას (3.5 მუხლის მე-2 აბზაცი), მაგრამ დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში უდავოდ არის აღიარებული საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობა.<sup>11</sup> ეს ეხება იმ შემთხვევებს, როცა გარიცხვის შესახებ წესებს საზოგადოების წესდება არ შეიცავს, თორემ, როცა საზოგადოების წესდება განამტკიცებს საზოგადოებიდან გარიცხვის უფლებას, მაშინ ეს საკითხი ნათელია. ამიტომ აქ განვიხილავთ მხოლოდ იმ შემთხვევებს, როცა გარიცხვის უფლება წესდებით არაა განმტკიცებული.

*საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა დაიშვება მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას. ამ უკანასკნელის განსაზღვრა შეფასება სასამართლო პრაქტიკის საქმეა, მაგრამ დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით აქაც შეიძლება საორიენტაციო მაგალითების მოხმობა, ყველაზე უზოგადესი განსაზღვრების თანახმად, მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს მაშინ, როცა გასარიცხი პარტნიორის პიროვნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი დარჩენა საზოგადოებაში (დანარჩენი პარტნიორები უნდობლობას უცხადებენ მას, ვინაიდან მან დაარღვია თავისი მოვალეობები და საზოგადოების ტექნოლოგიური საიდუმლოებანი გადასცა კონკურენტ საწარმოს; მისი ბრალით საზოგადოებას დიდი ზიანი მიაღება და ა.შ.).<sup>12</sup>*

<sup>10</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე. 2001 წ. №12. გვ. 1402.

<sup>11</sup> Lutter, Marcus: GmbH-Gesetz: Kommentar / von Marcus Lutter; Peter Hommelhoff. 15. Aufl. §34. Rn 24-35 და სხვა.

საზოგადოებიდან გარიცხვა უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიება და სასამართლომ მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენოს იგი, როცა დარწმუნდება, რომ ამ პარტნიორთან ერთად შეუძლებელია საზოგადოებაში საქმიანობის შემდგომი გაგრძელება. მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ ჩათვალა გარიცხვისათვის მნიშვნელოვან და საკმარის საფუძველად ის ფაქტი, რომ გასარიცხმა პარტნიორმა სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე დავალების ხელშეკრულებით გადასცა თავისი წილი სხვა პირს.<sup>33</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ არ ჩათვალა გარიცხვისათვის მნიშვნელოვან საფუძველად ის ფაქტი, რომ პარტნიორი სისტემატურად მიმართავდა შინაგან საქმეთა ორგანოებს განცხადებით, სადაც ამხელდა შპს-ის პარტნიორთა და თანამშრომელთა დანაშაულებრივ ქმედებებს. ამ პარტნიორის განცხადების საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ერთ-ერთ თანამშრომელს მსჯავრი დაედო საზოგადოების ქონების დატაცებისათვის.<sup>34</sup> ამ ფაქტს განსხვავებული შეფასება მისცა სააპელაციო სასამართლომ, რომლის აზრითაც „ეს მოქმედებები პარტნიორთა მიმართ ჩასაფრებული პარტნიორის საქციელს ჰგავს, ვიდრე კანონიერების სადარაჯოზე მდგარი კაცისა.“ აღნიშნულის გამო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა მორალური და საქმიანი პრინციპები იმგვარად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ მომავალში მათი პარტნიორობა და ერთობლივი საქმიანობა შესაძლოა ვერ გაგრძელდესო და ამ საფუძველით დააკმაყოფილა საზოგადოების სარჩელი პარტნიორის გარიცხვის თაობაზე.<sup>35</sup>

შპს „არგოს“ ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით აღსანიშ-

<sup>32</sup> Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts. – München: Beck. Bd. 3. GmbH / hrsg. von Hans-Joachim Priester; Dieter Mayer. §29. Rn. 33-53. (შემდგომში: MünchKdb.GesR III/ავტორი §... რიგითი ნომერი).

<sup>33</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №12. გვ. 1402-1403

<sup>34</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება შპს „არგოს“ საქმეზე №3 /647-01

<sup>35</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება შპს „არგოს“ საქმეზე №3 /647-01

ნავია ერთი გარემოება: საზოგადოების წესდება განსაზღვრავდა პარტნიორის გარიცხვის საფუძვლებს – ნებისმიერი სახის მოსაკრებლების, საზოგადოების ქონების მითვისების, გაფლანგვა-განიავეების მცდელობა, სამუშაო საათებში ალკოჰოლიანი სასმელების მიღება, სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენა-დატოვება, ხელმძღვანელობის კანონიერი დავალებების შეუსრულებლობა და სხვა. უზენაესი სასამართლოს შეფასებით არც ერთი ეს წინაპირობა საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვისათვის ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა.<sup>36</sup>

სასამართლო პრაქტიკაში, სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა სასამართლო არ აძლევს სათანადო შეფასებას იმ ფაქტებს, რომლებზე დაყრდნობითაც პარტნიორები მოითხოვენ სხვა პარტნიორის გარიცხვას საზოგადოებიდან, და შემოიფარგლებიან მხოლოდ იმით, რომ კანონი პარტნიორის გარიცხვის მხოლოდ ერთ საფუძველს იცნობს – შესატანის შეუტანლობას საწესდებო კაპიტალში.<sup>37</sup> ამ დროს აუცილებელია სასამართლომ შეფასება მისცეს იმ ფაქტებს, რომლებზეც უთითებს საზოგადოება, გაარკვიოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს საფუძველი საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვისათვის.

პარტნიორის გარიცხვის წინაპირობა არის საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ. გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ხმათა უბრალო უმრავლესობით<sup>38</sup>. გასარიცხ პარტნიორს ამ დროს ხმის უფლება არა აქვს<sup>39</sup>. თუ შპს ორი პარტნიორისაგან შედგება, მაშინ გასარიცხი პარტნიორი კენჭისყრაში არ მონაწილეობს, ე.ი. ამ დროს გადაწყვეტლებას იღებს ერთი პარტნიორი. საზოგადოებიდან შეიძლება გაირიცხოს რამდენიმე პარტ-

<sup>36</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება შპს „არგოს“ საქმეზე №3, /647-01

<sup>37</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 2 ნოემბრის განჩინება შპს „კარდაის“ საქმეზე №3, /861-01

<sup>38</sup> დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად, გერმანიის სასამართლო პრაქტიკის თანახმად. გარიცხვისათვის აუცილებელია კენჭისყრაში მონაწილეობა სამი მეთოთხედის მხარდაჭერა. (MünchHdb.GesR III/Kort §29. Rn. 43).

<sup>39</sup> Lutter/Hommelhoff, GmbH-Gesetz: Kommentar. 15. Aufl. §34. Rn. 28.



ნიორი. ყოველი პარტნიორის გარიცხვაზე გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს ცალ-ცალკე<sup>40</sup>. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის შესახებ პირდაპირ არ იწვევს მის გარიცხვას საზოგადოებიდან. უფრო ზუსტად, ეს არის საფუძველი, რათა საზოგადოებამ სარჩელით მიმართოს სასამართლოს პარტნიორის გარიცხვის თაობაზე. საბოლოო გადაწყვეტილებას საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ იღებს სასამართლო.<sup>41</sup> ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა საზოგადოების წესდება პირდაპირ ითვალისწინებს პარტნიორის გარიცხვის უფლებას.<sup>42</sup>

პარტნიორის გარიცხვის შესახებ საზოგადოების კრების გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს კანონის 47.3 მუხლის „ლ“ პუნქტი.

საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის გამო წარმოშობილ დავაში მოსარჩელე არის საზოგადოება (და არა ცალკეული პარტნიორები), ხოლო მოპასუხე – გასარიცხი პარტნიორი. გარიცხვის გამო გამართულ სასამართლო პროცესში საზოგადოებას წარმოადგენენ დირექტორები<sup>43</sup>, რომელთა უფლებამოსილება კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით შეიძლება 47.4 მუხლის შესაბამისად განისაზღვროს.

პარტნიორის გარიცხვის საკითხის უდავო წარმოების წესით გადაწყვეტა დაუშვებელია. პარტნიორის გარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ სასარჩელო წარმოების გზით<sup>44</sup>, გარდა 3.5 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული შემთხვევებისა.<sup>45</sup>

თუ გარიცხვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე გასარიცხი პარტნიორი თავის წილს გაასხვისებს, მაშინ დავა უნდა შეწყდეს, ვინაიდან დავის საგანი უკვე აღარ არსებობს – წილის გასხვისებით პარტნიორი საზოგადოებიდან გასულად ითვლება.<sup>46</sup>

<sup>40</sup> MünchHdb.GesR III/Kort §29. Rn. 43.

<sup>41</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. გვ. 44-50; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 21 მაისის განჩინება შპს „ასილოემინტერის“ საქმეზე №3 /530-02

<sup>42</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №3, გვ. 248.

<sup>43</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №1, გვ. 49.

<sup>44</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №1, გვ. 49, №3, გვ. 247-248.

<sup>45</sup> დაწვრილებით იხილეთ 3.5 მუხლის კომენტარი.

<sup>46</sup> უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 21 მაისის განჩინება შპს „ასილოემინტერის“ საქმეზე №3 /530-02

საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა არ ნიშნავს მისთვის წილის კომპენსაციის უფლების ჩამორთმევას. მას აქვს უფლება მიიღოს წილის კომპენსაცია მისი წილის სრული ღირებულების ოდენობით. ეს ღირებულება განისაზღვრება ბალანსების მიხედვით.

გარიცხული პარტნიორის წილის კომპენსაციის ფორმისა და მოცულობის მიმართ გამოიყენება იგივე წესები, რაც საზოგადოებიდან გასული პარტნიორის წილის კომპენსაციის მიმართ. იმპერატიული ნორმები საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შენარჩუნების თაობაზე ამ შემთხვევაშიც ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე უნდა იყოს დაცული.

#### 10. პარტნიორთა კრების მოწვევის პროცედურა და კრების გადაწყვეტილება უნარიანობა

ღირექტორებს შეუძლიათ მოიწვიონ საზოგადოების კრება ყველა პარტნიორისათვის ერთი კვირით ადრე გაგზავნილი დაზღვეული წერილით. წერილში მოცემული უნდა იყოს კრების დღის წესრიგის პროექტი. წერილის მიღებიდან სამი დღის ვადაში პარტნიორს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს დღის წესრიგში.

პარტნიორთა კრება გადაწყვეტილება უნარიანია (ე.ი. უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები), თუ მას ესწრებიან ხმათა უმრავლესობის მქონე პარტნიორები. თუ კრება არ არის გადაწყვეტილება უნარიანი, ვინაიდან, მასზე არ გამოცხადდა ხმათა უმრავლესობა, კრების მომწვევს შეუძლია იმავე დღის წესრიგით კვლავ მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილება უნარიანია მაშინაც, თუ არ გამოცხადდა პარტნიორთა უმრავლესობა. სხვა დღის წესრიგით კრების ხელმეორედ მოწვევა არ უნდა შეფასდეს კრების განმეორებით მოწვევად; არც სხვა პარტნიორების მიერ იმავე დღის წესრიგით კრების მოწვევა ჩაითვლება კრების განმეორებით მოწვევად მას შემდეგ, რაც კრება ქვორუმის არარსებობის გამო ერთხელ უკვე გადაიდო.<sup>47</sup>

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს კრების მოწვევის სხვაგვარ პროცედურას, კერძოდ, ტელეფონით, ფაქსით, ტელეგრა-

<sup>47</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. №1, გვ. 44-50

ფით და ა.შ.

კანონის მოთხოვნათა იგნორირებით კრების ჩატარება ჩვენს ცხოვრებაში ძალიან ხშირია, რაც იწვევს პარტნიორებს შორის მუდმივ უსიამოვნებებს, და სასამართლო პრაქტიკაც მრავლად იცნობს ამგვარ დავებს.<sup>48</sup> როგორც პრაქტიკა ადასტურებს, სადავო ხდება კრების მოწვევის პროცედურის დაცვა (პარტნიორების შეტყობინება დადგენილი წესითა და ფორმით, დღის წესრიგის გაგზავნა საკითხების ზუსტად მითითებით, კრების ადგილის აღნიშვნა და ა.შ.); კრების ოქმის შედგენა.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი პირდაპირ არ მიუთითებს, თუ როგორი სახით უნდა შედგეს შპს-ის პარტნიორთა კრების ოქმი. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განსაზღვრა, თუ რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს კრების ოქმი, კერძოდ: იგი „უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ სად და როდის შედგა კრება. მითითებული უნდა იყოს, თუ ვინ ესწრება კრებას და დამსწრე პარტნიორთა რაოდენობა, წესდების შესაბამისად არის თუ არა კრება გადაწყვეტილებაუნარიანი; ოქმში ასევე აღნიშნული უნდა იყოს იმ პარტნიორების ვინაობაც, რომლებიც არ ესწრებიან კრებას და უნდა აღინიშნოს დაუსწრებლობის მიზეზებიც. ოქმში მითითებული უნდა იყოს განსახილველი საკითხი და განსახილველ საკითხთან დაკავშირებით პარტნიორთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები; ოქმი მკაფიოდ უნდა ასახავდეს კენჭისყრის შედეგებს და ხელს უნდა აწერდეს თავმჯდომარე, სასურველია კრების მდივნის ხელმოწერაც“.<sup>49</sup>

თუ ეს მოთხოვნები არ არის დაცული, კრების გადაწყვეტილება შეიძლება ჩაითვალოს ბათილად.

## II. უძრავი ქონების შექცევა, გასსკისება და დატვირთვა

პარტნიორთა კრების აუცილებელი თანხმობაა საჭირო დირექ-

<sup>48</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე. 2001 წ. №1, გვ. 44-50; 2001 წ. №12, გვ. 1376-1381 და სხვა.

<sup>49</sup> უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო. სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 21 მაისის განჩინება შპს „ასილომენტერის“ საქმეზე №3<sub>1</sub>/530-02.

ტორების მიერ იმ გარიგებათა დადებისათვის, რომლებითაც ხდება უძრავი ქონების შექმნა, გასხვისება ან დატვირთვა.

პარტნიორთა კრების მოწვევა არაა სავალდებულო იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოების დირექტორი იმავდროულად წილთა უმრავლესობის მესაკუთრეა და დებს საზოგადოების უძრავი ქონების შექმნის, გასხვისების ან დატვირთვის გარიგებებს.<sup>50</sup> ეს აიხსნება იმით, რომ კანონის 47.3 მუხლის „ე“ პუნქტის მიზანია საზოგადოების პარტნიორების დაცვა დირექტორების მხრიდან საზოგადოების ქონების შესაძლო ფარული გასხვისების საფრთხისაგან. თუკი საზოგადოების დირექტორი წილთა უმრავლესობის მფლობელია და იგი დებს ამ ქონების გასხვისების გარიგებას, მაშინ ქონების ფარულად გასხვისების საფრთხეც აღარ არსებობს. ამიტომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სწორად განმარტა, რომ კანონის 47.3 მუხლის „ე“ პუნქტით გათვალისწინებული წესი უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევებზე, როცა დირექტორი ხმათა უმრავლესობის მქონე პარტნიორი არ არის<sup>51</sup> ან იგი საერთოდ არ წარმოადგენს საზოგადოების პარტნიორს.

## 12. დირექტორების გამოწვევა

პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას წარმოადგენს ასევე დირექტორების გამოწვევა. „დირექტორისათვის საწარმოს მართვისა და ქონების განკარგვის უფლების მინიჭების რისკის საკომპენსაციოდ პარტნიორებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლება ნებისმიერ დროს გაანთავისუფლონ დირექტორი“.<sup>52</sup> „საწარმოს ხელმძღვანელობისას დირექტორის მიერ განხორციელებული საქმიანობის დამოუკიდებლობიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობა ადგენს მისი დანიშვნისა და გამოწვევის განსაკუთრებულ

---

<sup>50</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება შპს „გიულის“ საქმეზე №3 /845-01

<sup>51</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება შპს „გიულის“ საქმეზე №3 /845-01

<sup>52</sup> სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ. № 7, გვ. 715

წესს და ამ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება არა შრომის კანონთა კოდექსი, არამედ მეწარმეთა შესახებ კანონის სპეციალური ნორმები“.<sup>53</sup> შპს-ის დირექტორის გამოწვევის საფუძვლები ისეთივეა, როგორც სააქციო საზოგადოების დირექტორების გამოწვევის საფუძვლები.<sup>54</sup>

ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებები სასამართლო პრაქტიკიდან მცირედია იმ მრავალრიცხოვანი გადაწყვეტილებებიდან, რომლებიც არსებობს დღევანდელ მართლმსაჯულებაში. მაგრამ ესეც ადასტურებს, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს სამოსამართლო სამრთაღს კანონის სწორი გამოყენებისა და განხორციელებისათვის.

---

<sup>53</sup> თბ. საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 4 ოქტომბრის განჩინება შპს „ტიტანი-ქართუს“ საქმეზე (№02<sup>ა</sup>-893-2000)

<sup>54</sup> დაწერილებით იხილეთ 56-ე მუხლის კომენტარი.

*როლე კნიპერი  
პროფესორი, დოქტორი  
ბრემენი, 2002 წლის ნოემბერი*

**საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო  
სამართალი: სასამართლო გადაწყვეტილებათა  
ცნობა (აღიარება) და აღსრულება  
ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობაში**

**I. ზოგადი ნაწილი: განსჯადობისა და სასამართლო  
გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ ევროკავშირის  
კონცეფციის წარმოშობა.**

ევროკავშირის კონვენციის არსებობის აუცილებლობა  
სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობის (აღიარების) და  
აღსრულების შესახებ.

ეკონომიკურ სისტემათა (სახალხო მეურნეობათა) საერთაშორისო  
დონის ურთიერთკავშირები, საერთაშორისო ეკონომიკურ ოპერაციათა  
(ტრანსაქციათა) რაოდენობის ზრდა და კომპლექსურობა, აგრეთვე  
საარსებო პირობების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება ქმნიან  
მზარდ მოთხოვნილებას, შეიქმნას სამართლის უნიფიცირებული სის-  
ტემა; სამართლებრივ და სავაჭრო ურთიერთობების გლობალიზაცია  
განაპირობებს სამართლის ჩარჩო-პირობების გლობალიზირების საჭი-  
როებას.

ევროპაში აღნიშნულ გლობალურ განვითარებას საფუძვლად დაედო  
ერთიანი საერთო ბაზრის ჩამოყალიბება. საბაჟო საზღვრების ეტა-  
პობრივი გაუქმების ხარჯზე, ერთიანი სამართლებრივი სივრცის  
შექმნის საკითხმა ევროპაში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა  
გლობალურ მსოფლიო ბაზართან შედარებით.

საერთო ბაზრის ჩამოყალიბებისათვის სასიცოცხლო არტერიას  
წარმოადგენს ევროპის „ერთიანი სამართლებრივი სივრცე“: საქონლისა  
და მომსახურების თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა, ამასთან, თავისუ-  
ფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება

რეალური გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებული იქნება სამართლებრივი უზრუნველყოფა მთელ შიდა ბაზარზე, ანუ დასაშვები იქნება გასაჩივრებისა და მოთხოვნათა (დაკმაყოფილების) აღსრულების შესაძლებლობა ტრანსნაციონალური მასშტაბებით. უპირველეს ყოვლისა სასამართლო გადაწყვეტილებები არ მოქმედებენ ამ გადაწყვეტილებების გამომტან სახელმწიფოთა საზღვრებს მიღმა, როგორც უზენაესი ხელისუფლების აქტები. ამიტომ, ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში იურიდიულ ძალას ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში იძენენ, როდესაც ეს სახელმწიფო მათ აღიარებს. სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობის (აღიარების) შესახებ სახელმწიფოთაშორისო შეთანხმების მიზანს წარმოადგენს ის, რომ შესაძლებელი გახდეს ხელშეკრულების პარტნიორ-სახელმწიფოთა სასამართლო გადაწყვეტილებების (აღიარება) ცნობა და აღსრულება დიდ დანახარჯებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა აღიარებითი ან გადამოწმებითი პროცესების გარეშე. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოც უნდა შეეცადოს ჩაერთოს ამ სახელმწიფოთა რიგში.

**ევროპის კონვენცია, განსჯადობისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, სავაჭრო გარიგებებიდან გამომდინარე სამოქალაქო საქმეებზე და სხვა სასამართლო დავებზე.**

ევროპაში არსებულ სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებს შორის საზღვრების ეტაპობრივად წაშლა, ლოგიკურად უკვე დიდი ხანია ევროპული თანამეგობრობის კოდიფიკაციური საქმიანობის ყურადღების ცენტრში იდგა, ამასთან სამოქალაქო სამართალი და სამოქალაქო საპროცესო სამართალი უკვე 60-იანი წლებიდან წამოიწია წინა პლანზე. ამასთან ეროვნულ, ძირითადი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამოქალაქო სამართლებრივ საკითხებზე გამოტანილ უცხოეთის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებას. ეს საკითხი უკვე მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში მრავალრიცხოვან ევროპულ წევრ-სახელმწიფოთა შორის ორმხრივი (ბილატერალური) ხელშეკრულებებით რეგულირდებოდა.

მიზანი, შეიქმნას ერთიანი ევროპული თანამეგობრობისათვის სასა-

მართლო გადაწყვეტილებათა თავისუფალი კონვერტირების შესაძლებლობა, ითვალისწინებს ყველა წევრ-სახელმწიფოთა შორის ერთიანი და არც თუ რთული რეგულირების წესს. 1968 წელს ევროპული თანამეგობრობის ყველა წევრ-სახელმწიფო მხარემ მოაწერა ხელი შეთანხმებას „სამოქალაქო და სავაჭრო საკითხებზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებათა (სასამართლო) განსჯადობისა და აღსრულების შესახებ“ (EuGVÜ).

ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის კომისიის განცხადებაში, რომლითაც დაიწყო პირველი მოლაპარაკებები ზემოხსენებული შეთანხმებების შესახებ, ნათქვამია შემდეგი:

„ნამდვილი შიდა ბაზარი (...) რეალური იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც უზრუნველყოფილი იქნება საკმარისი სამართლებრივი დაცვა. (...) ვინაიდან, სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე სასამართლო ძალაუფლება წევრ-სახელმწიფოთა პრეროგატივაა, ხოლო რომელიმე სასამართლო აქტის იურიდიული ძალა შეზღუდულია განსაზღვრული სახელმწიფოს ტერიტორიით, მაშინ სამართლებრივი დაცვა და მშასადამე, მართლწესრიგის უზრუნველყოფა ერთიან ბაზარზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია წევრ-სახელმწიფოთა მიერ, სასამართლო გადაწყვეტილებათა (აღიარების) ცნობისა და აღსრულების შესახებ რეგულირების დამაკმაყოფილებელი წესის მიღებაზე“<sup>1</sup>.

„სამოქალაქო და სამეურნეო საკითხებზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებათა (სასამართლო) განსჯადობისა და აღსრულების შესახებ“ (EuGVÜ) შეთანხმებამ თავდაპირველად არ გაითვალისწინა ისეთი სამოქალაქო-სამართლებრივი სფეროები, როგორცაა შრომისა და საოჯახო სამართალი.

ზემოხსენებული შეთანხმება (EuGVÜ) რამდენიმე სიახლის საფუძველზე შინაარსობრივად საბოლოოდ გადამუშავდა 2001 წელს, რომელიც შემდგომ მიღებულ იქნა ახალი სამართლებრივი ფორმით – უკვე, არა როგორც ევროშეთანხმება, არამედ როგორც ევროდადგენილება – სახელწოდებით „ევროდადგენილება სასამართლო განსჯადობისა და გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ“<sup>2</sup> დანიის

<sup>1</sup> ფელერ. საკანონმდ. მაცნე (BGBl). 1972 II. 773. 1973 II. 60

<sup>2</sup> 2000 წლის 22 დეკ. №44/2001 ევროსაბჭოს დადგენილება „სასამართლო განსჯადობისა და სამოქალაქო და სამეურნეო (სავაჭრო) საქმეებზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ (EuGVÜ), ძალაშია 2002 წლის 1 მარტიდან



გარდა, ახალი დადგენილება მოქმედებს ყველა წევრ-სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში და ენაცვლება შეთანხმებას (EuGVÜ).

მითითებული მარეგულირებელი მექანიზმი, მიღებული, დადგენილების სამართლებრივი ფორმით უფრო მოსახერხებელია. რაც შეეხება თვით კონვენციას, მასთან მიმართებაში მოქმედებდნენ საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებების შესახებ წესები, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველი გადასინჯვა მოითხოვდა ხელმძღვრ-სახელმწიფოთა მხრიდან რატიფიცირებას და ევროკავშირის გაფართოებისას შესაბამისად დადებულ უნდა ყოფილიყო წევრად შესვლის შესახებ შეთანხმებებიც, რომლებიც ასევე საჭიროებდნენ რატიფიცირებას ხელშემკვრელი სახელმწიფოების მხრიდან. დადგენილება კი მნიშვნელოვნად უფრო ადვილად ექვემდებარება გადასინჯვას. ამას გარდა ცვლილებები ძალაში შედის ყველა წევრ-სახელმწიფოში ერთდროულად. ევროდადგენილება სასამართლო განსჯადობისა და გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ, როგორც თანამეგობრობის მეორადი სამართალი, მოქმედებს უშუალოდ და აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ეროვნულ სამართალთან შედარებით. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ეხება არა მთლიანად ეროვნულ საპროცესო ნორმებს, არამედ მხოლოდ იმ წესებს, რომლებიც ექსკლუზიურად რეგულირდება აღნიშნული დადგენილებით, ე.ი. საზღვარგარეთის სასამართლო გადაწყვეტილებათა (აღიარების) ცნობისა და აღსრულების შესახებ ნაციონალურ ნორმებს და აგრეთვე ნორმებს სამოქალაქო სასამართლოთა საერთაშორისო განსჯადობის შესახებ.

ევროდადგენილება „სასამართლო განსჯადობისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ“ შეივსება შემდგომში სხვადასხვა დადგენილებებითა და შეთანხმებით სამართლებრივი დახმარების გაწევის შესახებ, როგორცაა, მაგალითად, უწყებებისა და სხვა სასამართლო დოკუმენტაციის მიტანისა და ჩაბარების წესები<sup>3</sup> და დადგენილება განსჯადობისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა

---

<sup>3</sup> 2000 წლის 29 მაისის №1348/2000 ევროსაბჭოს დადგენილება მონაწილე სახელმწიფოებში სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე სასამართლო და არასასამართლო წერილობითი მასალის მიწოდების შესახებ (ZustVO). გამოიყენება 2004 წლის 1 იანვრიდან.

აღსრულება ცნობა საოჯახო კერძო სამართლის სფეროში<sup>4</sup> (რომელიც ავსებს ევრო დადგენილებას – EuGVO – განსჯადობისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ საოჯახო კერძო სამართლის ნაწილში), მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესებით<sup>5</sup>, აგრეთვე ევროშეთანხმება ინფორმაციის გაცვლის შესახებ<sup>6</sup> და ევროპული შეთანხმება უწყებებისა და სასამართლოს სხვა დოკუმენტების ადგილზე მიტანისა და ჩაბარების შესახებ<sup>7</sup>“

## დადგენილების განმარტება (კომენტირება) ევროპული სასამართლო პალატის მიერ.

უთანხმოებათა წარმოშობის შემთხვევაში დადგენილების (EuGUO) განმარტება წარმოადგენს ევროპული სასამართლოს პალატის პრე-როგატივას. ეს გამომდინარეობს იმ იურიდიულ ნორმათა ერთობლიობის სამართლებრივი ხასიათიდან, რომლებიც იქმნება ევროპული ეკონომიკური საბჭოსა და მისი კომისიების მიერ. თუ ნაციონალურ სასამართლოს უნდა ექვი, თუ როგორ უნდა იქნეს განმარტებული დადგენილება, მაშინ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 234-ე მუხლის თანახმად, მას შეუძლია განმარტების საკითხი გადაუგზავნოს ევროპულ სასამართლოს (EuGH) წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად. თუ გადაწყვეტილება გამოაქვს ნაციონალური სასამართლოს ბოლო ინსტანციას, მაშინ სასამართლო ვალდებულიცაა ასეთი შეკითხვა გადაუგზავნოს (მუხლი 234-ე, III ევროგაერთიანების ხელშეკრულება). ევროპული სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას

<sup>4</sup> 2000 წლის 29 მაისის №1347/2000 ევროსაბჭოს დადგენილება მეუღლეთა ერთობლივი შვილების წინაშე შშობლების პასუხისმგებლობისა და საოჯახო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებების განსჯადობის, აღიარებისა და აღსრულების შესახებ.

<sup>5</sup> 2001 წლის 28 მაისის №1206/2001 ევროსაბჭოს დადგენილება სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებში მტკიცებულების მოპოვების სფეროში მონაწილე სახელმწიფოების სასამართლოების თანამშრომლობის შესახებ (BeweisVO), ძალაში შედის 2001 წლის 31 მაისიდან.

<sup>6</sup> 1968 წლის 7 ივნისის ევროპული შეთანხმება საზღვარგარეთული სამართლის შესახებ ინფორმირების თაობაზე (BGBl. 1974 II, 937).

<sup>7</sup> 1997 წლის 25 მაისის ევროსაბჭოს შეთანხმება წევრსახელმწიფოებში სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე სასამართლო და არასასამართლო წერილობითი მასალის მიწოდების შესახებ.

მხოლოდ შემოსულ შეკითხვასთან დაკავშირებით და არა თვით პრეცედენტის თაობაზე. მაგრამ მისი გადაწყვეტილება სავალდებულოა შეკითხვის შემტანი სასამართლოსათვის EuGVO – დადგენილების განმარტებასთან დაკავშირებით.

მაგრამ ევროპული სასამართლოს უფლებამოსილება განმარტებაზე არსებობდა უკვე EuGVÜ – კონვენციასთან (შეთანხმებასთან) მიმართებაშიც. იგი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე მკაფიოდ ჩამოყალიბებულია „ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის განმარტების შესახებ ოქმი“ სასამართლო დასკვნის ერთგვაროვნად გამოყენების მიზნით (ინტერესებში). ამ ოქმის საფუძველზე ევროპული სასამართლოს მიერ EuGVÜ კონვენციასთან დაკავშირებით დღემდე უკვე ასზე მეტი გადაწყვეტილებაა გამოტანილი.

ამჟამად ევროკომისია გეგმავს EuGVO – დადგენილების განმარტების გაიოლებასა და უნიფიცირებას ნაციონალური სასამართლოების მხრიდანაც ინტერნეტში მონაცემთა ბაზის შექმნით, სადაც უფასოდ იქნება განთავსებული გადაწყვეტილებების სრული ტექსტები, იმ ხელმოწერ სახელმწიფოთა სასამართლოების მიერ, რომლებიც EuGVÜ – კონვენციისა ან EuGVO – დადგენილების საფუძველზე მუშაობენ.

## მესამე სახელმწიფოებთან კონვენციის (შეთანხმების) ნიმუში.

სამოქალაქო და სავაჭრო საკითხებზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებათა განსჯადობისა და აღსრულების შესახებ ევროპის კონვენცია, წარმოადგენს ისეთ შეთანხმებას, რომელიც შინაარსობრივადაც ზუსტად განსაზღვრავს რეგულირების სფეროს (რეგლამენტირებული შინაარსის მქონეა) და პრაქტიკული თვალსაზრისითაც გამართლებულია. ამრიგად იგი შინაარსობრივი თვალსაზრისით შეიძლება იქცეს სხვა საერთაშორისო შეთანხმებების ნიმუშად იმ სახელმწიფოებთან მიმართებაში, რომლებიც არ შედიან ევროკავშირში.

ცხადია, შესაბამის კონვენციათა სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმება აყენებს მონაწილე სახელმწიფოთა სამართლებრივი სისტემების ერთმანეთთან შეთანადების (შეჯერების) საკითხს. ვინაიდან სასამართლო

გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ კონვენციაზე ხელმოწერით, ხელმომწერი სახელმწიფო, საჭიროების შემთხვევაში, ნებას იძლევა თავის მოქალაქეთა სამართლებრივ დაცვაში ფართოდ ჩარევის: იგი ნებას იძლევა, რომ მისი მოქალაქეების მიმართ გარკვეულ გარემოებებში სხვა სახელმწიფოთა სასამართლოებში შეტანილ იქნეს სარჩელი და თავის თავზე იღებს ვალდებულებას, მოახდინოს უცხოეთის სასამართლოთა მიერ მის მოქალაქეთა საწინააღმდეგოდ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულება საკუთარი უწყებების მეშვეობით. ამასთან მას ნება ერთმევა, ან ძალზე შეზღუდულ ფარგლებში ეძლევა ნება, გადაამოწმოს, არის თუ არა სამართლიანი აღსასრულებელი გადაწყვეტილება თავისი საკუთარი სამართლებრივი სისტემის თანახმად სამართლიანი. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი დათმობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ყველა ხელმომწერი სახელმწიფოს ხელშეკრულების ყველა პარტნიორის მართლმსაჯულებისადმი ნდობა გააჩნია, როცა მათი სამოქალაქო პროცესი ყველა საერთაშორისო სტანდარტს აკმაყოფილებს და – მიუხედავად ცალკეულ შემთხვევებში განსხვავებული სამართლებრივი შეფასებისა – ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპის კონვენციის მე-6 მუხლთან შესაბამისობაში კორექტული და სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი სასამართლო პროცესის ძირითად პრინციპებს იცავს. აღნიშნული საკითხი ადრეც იყო და ახლაც დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან ევროკავშირის ტერიტორიაზეც. ასე მაგალითად, გერმანიის სასამართლოები კვლავაც განიხილავენ საკითხს, უნდა ხდებოდეს თუ არა გერმანიის ტერიტორიაზე იტალიის სასამართლო გადაწყვეტილებების (აღიარება) ცნობა მიუხედავად EuGVÜ კონვენციისა და EuGVO – დადგენილებისა. ვინაიდან იტალიაში სამართალწარმოება გერმანული მასშტაბებით ისეთი ხანგრძლივია, რომ იგი არღვევს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას.

### ლუგანოს კონვენცია.

EuGVÜ – კონვენციის ევროგაერთიანების ფარგლებს გარეთ მოქმედების გაფართოების მიზნით 1988 წელს გადაიდგა პირველი ნაბიჯი, მიღებულ იქნა რა ძირითადში მისი იდენტური ტექსტის

მქონე პარალელური კონვენცია, რომელსაც ლუგანოს კონვენცია ეწოდება.<sup>8</sup> ლუგანოს კონვენციას, გარდა ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოებისა, ხელი მოაწერეს აგრეთვე ევროპულ თავისუფალ სავაჭრო ზონაში (EFTA) შემავალმა სახელმწიფოებმა.

ლუგანოს კონვენციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი EuGVÜ – კონვენციის მიღწევებს კიდევ უფრო მეტ სახელმწიფოებზე ავრცელებს. მას შესაძლებელია მიუერთდნენ მესამე სახელმწიფოებიც: კონვენციის 62-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფოები, რომელთაც კონვენციასთან მიერთება სურთ, მიიწვევიან ხელშეკრულების ერთ-ერთ წევრ-სახელმწიფოს მიერ. გარდა ამისა, კონვენციაზე მიერთების აუცილებელი წინაპირობაა ხელშეკრულების ყველა წევრ-სახელმწიფოს, ევრო-კავშირისა და ევროპული თავისუფალი სავაჭრო ზონის (EFTA) სახელმწიფოთა თანხმობა. ეს ნიშნავს, რომ კონვენციაზე მიერთება, შესაძლებელია ყველას თანხმობით და დღემდე მისი ერთ-ერთი წევრ-სახელმწიფოს განსაკუთრებული შუამდგომლობით.

მაგრამ გასათავალისწინებელია, რომ ეს კონვენცია თავდაპირველად შემუშავებული იყო ევროპის თავისუფალი სავაჭრო ზონისათვის, ე.ი. იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც შედიან ერთიან ეკონომიკურ სივრცეში, რომელიც ძირითადად განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადებისა და საიმპორტო შეზღუდვებისაგან. მაშასადამე, კონვენციის გავრცელება შესაძლებელი რომც იყოს ამ ეკონომიკური სივრცის გარეთ მყოფ სახელმწიფოებზე, კონვენცია თავისი კონცეპტუალური შინაარსით მაინც მისასადაგებელია სწორედ ევროპულ სივრცესთან. ეს მოცემულიცაა 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ნორმაში, რომლის მიხედვით პრინციპში ევროგაერთიანებისა და ევროპის თავისუფალი სავაჭრო ზონის (EFTA) ყველა სახელმწიფომ, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ხელშეკრულების მონაწილენი, უნდა გამოთქვან თანხმობა რომელიმე მესამე სახელმწიფოს გაწევრიანებაზე. მაგრამ დამოუკიდებლად ფორმალური თანხ-

---

<sup>8</sup> 1988 წლის 16. 9-ის ლუგანოს კონვენცია სასამართლო განსჯადობისა და სამოქალაქო და სამეურნეო დავებზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ

მობის აუცილებლობისა, მესამე სახელმწიფოს მიერ მიერთების თაობაზე განაცხადის შეტანა მაინც დააყენებს ზემოხსენებულ კითხვას, გააჩნია თუ არა პრეტენდენტ სახელმწიფოს ისეთი სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც მსგავსი იქნება ევროპული ხელშეკრულების პარტნიორ სახელმწიფოთა სამართალწარმოებითი სისტემებისა.

გაწვევრიანების პირობას წარმოადგენს არა მარტო სამართლებრივი სახელმწიფოსათვის ჩვეული მატერიალური და პროცესუალური სამართალწარმოება, არამედ აგრეთვე მოსამართლეთა კორპუსის სათანადო პროფესიონალიზმი, აგრეთვე სამართლებრივი ინფრასტრუქტურა, რომელიც მართლაც უზრუნველყოფს კორექტული და სამართლებრივი სახელმწიფოსათვის ჩვეული სასამართლო პროცესების განხორციელებას და მოქალაქეთათვის ევროპული დონის სამართლებრივ დაცვას. ამგვარად, დამოუკიდებელი იუსტიცია, ოპერატიული და გამჭვირვალე სამართალწარმოება, ადვოკატების სახით სამართლებრივი წარმომადგენლობის ეფექტური სისტემის შესაძლებლობანი, ეკონომიურად სუსტი მხარის სასამართლო ხარჯებიდან გათავისუფლება და შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, კორუფციისაგან თავისუფლება და სააპელაციო სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა წარმოადგენენ მხოლოდ მცირე ჩამონათვალს იმ წინაპირობებისა, რომლებიც უნდა შეასრულოს კონვენციაში გაერთიანების მოსურნე კანდიდატმა, ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოებიდან, მხოლოდ პოლონეთი შეუერთდა კონვენციას. აღმოსავლეთ-ევროპის სხვა სახელმწიფოთა გაწვევრიანება გათვალისწინებულია, მაგრამ ჯერ არ განხორციელებულა. მართებული იქნებოდა საქართველოს ეფიქრა კონვენციასთან მიერთების პროცედურაზე.

სხვათაშორის, ევროპული სასამართლოს კომპეტენცია განმარტების სფეროში არ ვრცელდება ლუგანოს კონვენციის განმარტებასთან დაკავშირებით, ვინაიდან მესამე სახელმწიფოებს არ შეუძლიათ მიმართონ ევროპულ სასამართლოს, რომელიც ევროგაერთიანების სასამართლო ინსტანციას წარმოადგენს. ამგვარად, აღნიშნული კონვენცია განიმარტება მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სასამართლობის მიერ.

შეიძლება თუ არა EuGVO – დადგენილება და ლუგანოს კონვენცია იქცეს ნაციონალური სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნიმუშად.

EuGVO – დადგენილებისა და ლუგანოს კონვენციის დებულებანი შეიძლება გამოყენებულ იქნენ ნიმუშად რომელიმე მესამე სახელმწიფოს საკუთარი ნაციონალური კოდიფიკაციისათვის, ლუგანოს კონვენციისადმი მიერთების საკითხისაგან დამოუკიდებლად.

სასამართლოთა საერთაშორისო განსჯადობასთან დაკავშირებული ნორმები, დებულებები, ფორმულირებები EuGVO – დადგენილებასა და ლუგანოს კონვენციაში, შეიძლება არსებული რედაქციითაც კი იქნეს გადატანილი ეროვნულ სამართალში. მრავალრიცხოვანი გაურკვევლობები და წინააღმდეგობები, არსებული საერთაშორისო სამართალურთიერთობებში, გამოწვეულია განსხვავებული, ერთ-ერთი უცხოური მხარისათვის გაუთვალისწინებელი განსჯადობის მარეგულირებელი ნორმებით, ნაციონალური სამართლებრივი სისტემები ზოგჯერ აფიქსირებენ შედარებით არატიპიურ განსჯადობებს, რომლებიც სპეციალისტებს შესაძლებლობას აძლევენ, ხელშეკრულების პარტნიორთა გასაკვირვად, განსჯადობა მათი საცხოვრებელი ადგილსამყოფელის მიხედვით განისაზღვროს (ე.წ. forum shopping). გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, ამის მაგალითებად შეიძლება დასახელდეს განსჯადობა ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით და განსჯადობა სარჩელის შეტანის ადგილის მიხედვით, რაც მიღებულია ზოგიერთ სამართლებრივ სისტემებში.

EuGVO – დადგენილებასა და ლუგანოს კონვენციაში დაფიქსირებულია ნორმათა კატალოგი, რომელიც ითვალისწინებს ევროპულ სამართლებრივ სისტემებში მიღებულ აპრობირებულ განსჯადობას და მრავალრიცხოვან სპეციალურ ნორმებს, ისეთი ეკონომიურად სუსტი მხარისათვის, როგორებიც არიან მომხმარებლები, სამუშაოს აძლებები და დაზღვეული პირები. ამრიგად, ორივე დოკუმენტი აფუძნებს თანამედროვე და საერთაშორისოდ აღიარებულ რეგლამენტს საერთაშორისო განსჯადობისა, რომელიც შეიძლება რეკომენდირებული იყოს ნიმუშად ნაციონალური კოდიფიციებისათვის.

მაგრამ ნორმათა დიდი რაოდენობით გადმოღებას, უპირველს

ყოველსა, ის უპირატესობა ექნებოდა, რომ უცხოელი სავაჭრო პარტნიორები შეძლებდნენ მათთვის ნაცნობი ერთი სისტემით ოპერირებას. ამასთან გამოირიცხებოდა გაუგებრობები და ბოროტად გამოყენების ფაქტები. ასეთი სამართლებრივი დაახლოება ევროპულ სამართლებრივ სისტემასთან შეიძლება სასარგებლო იყოს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობდა და გაადვილებდა ლუგანოს კონვენციასთან შემდგომში მიერთებას.

## II. EuGVO — დადგენილების მიმოხილვა: სტრუქტურა და ძირითადი დებულებები

პირველ თავში — შესავალი დებულებების შემდეგ, მეორე თავი არეგულირებს საერთაშორისო განსჯადობის საკითხებს. ამ დებულებებს გააჩნია განსაკუთრებით დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან ისინი, როგორც უკვე კომენტირებული იყო, წინ უსწრებენ ამა თუ იმ ნაციონალურ დებულებებს საერთაშორისო განსჯადობის შესახებ და ხშირად გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენენ ტრანს-ნაციონალური რომელიმე სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის. მიუხედავად ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო საპროცესო კანონების ფართოდ მოაზრებული ჰარმონიზაციისა, ნაციონალური სამოქალაქო სამართალწარმოებითი სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. განსაკუთრებით პროცესუალური ვადები და ხარჯები, რომლებიც წარმოიშობა სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის ჰონორართან დაკავშირებით, ხშირად სასამართლო ფორუმის შერჩევას აქცევენ პროცესის შედეგის განმსაზღვრელ გადამწყვეტ საკითხად. მე-2-ე მუხლის ძირითადი ნორმა განსაზღვრავს, რომ პირების მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ ერთ-ერთი წევრ-სახელმწიფოს ტერიტორიაზე, შეიძლება შეტანილ იქნეს სარჩელები ამ წევრ-სახელმწიფოს სასამართლო ინსტანციებში ამ პირთა მოქალაქეობის გათვალისწინების გარეშე. ეს ნორმა აფიქსირებს კონტინენტურ-ევროპული სამართლის სისტემაში საზოგადოდ გავრცელებულ პრინციპს იმის შესახებ, რომ მოპასუხე უნდა სარგებლობდეს საკუთარი ქვეყნის განსჯადობის უპირატესულობით, იმ დროს როცა მოსარჩელე როგორც სასამართლო ჰაქქრობის ინიციატორი უკვე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს



პროცესის დროსა და საგანს.

მეორე კარში ფორმულირებულია განსჯადობის განსაკუთრებული შემთხვევები, რომლებიც აღნიშნული პრინციპისაგან განსხვავდება. გამოყოფილ უნდა იქნას განსჯადობა შესრულების ადგილის მიხედვით, რაც EuGVO – დადგენილების მე-5 მუხლშია განსაზღვრული. განსჯადობა შესრულების ადგილის მიხედვით ნიშნავს, რომ რომელიმე პირს შეიძლება წაეყენოს სასამართლო სარჩელი სხვა წევრ-სახელმწიფოში, თუ დავის საგანი ხელშეკრულებაა ან იმ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ისეთი მოთხოვნებია, რომლებიც ამ წევრ-სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნდა შესრულდეს.

**ექსკურსი: პრობლემები ნაციონალურ სამოქალაქო სამართალზე მიმართებასთან დაკავშირებით.**

ამ პრაქტიკულად მეტად მნიშვნელოვანი რეკლამენტის მაგალითზე შესაძლებელია თვალნათლივ იქნეს აღწერილი საერთაშორისო საპროცესო სამართლის შესაძლო კოდიფიკაციის რისკი და ფარგლები. მიუხედავად იმისა, რომ შესატყვისი დებულება EuGVb ძველ კონვენციაში მიუთითებდა შესრულების შესაბამის ადგილზე, იგი არ განსაზღვრავდა ცალკე აღებულ შემთხვევებში სად იმყოფებოდა კონკრეტული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი. დოგმატურად, ეს სწორი გახლდათ, ვინაიდან აღსრულების ადგილი არა პროცესუალურ-სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი ინსტიტუტია, ანუ პროცესუალურ-სამართლებრივი შეთანხმების რეკლამენტირებულ სფეროს არ განეკუთვნება. ამგვარად, შესრულების ადგილი განისაზღვრებოდა ამა თუ იმ ეროვნული სამოქალაქო სამართლის შესაბამისად, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო სადავო ხელშეკრულების მიმართ, მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ მატერიალური სამოქალაქო სამართალი წევრ-სახელმწიფოებს შორის არ არის უნიფიცირებული, სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებს იოლად შეუძლიათ მიუთითონ აღსრულების სხვადასხვა ადგილებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ იმისდა მიხედვით, თუ აღნიშნულ ხელშეკრულებასთან რომელი სამართალი უნდა ყოფილიყო გამოყენებული (მხედველობაში გვაქვს შესრულების ადგილი,

და შესაბამისად, განსჯადობა), მიუხედავად ევროპული კონვენციის გამოყენებისა, შეიძლებოდა სხვაგვარად განხორციელებულიყო ამა თუ იმ ქვეყანაში (სახელმწიფოში), ასე რომ, ერთიანი საერთაშორისო პროგნოზირებადი რეგლამენტის შექმნის მიზანი ვერ სრულდებოდა: ერთის მხრივ, არა თუ მხოლოდ განსჯადობის აღსრულების ადგილი იყო განუსაზღვრელი და ამა თუ იმ ნაციონალურ სამართალზე დამოკიდებული, არამედ, მეორეს მხრივ თვით ევროპული კონვენცია აძლევდა საშუალებას კარგად გაცნობიერებულ (ხელშეკრულების) მხარეს მოეპოვებინა თავისთვის მომგებიანი განსჯადობა, რაც ცნობილია სასამართლო ფორუმის არჩევის მანევრების სახელწოდებით (forum shopping): დათქმა სამართლის არჩევის შესახებ ნასყიდობის საერთაშორისო ხელშეკრულებაში შეიძლებოდა გამოყენებულიყო ირიბ საშუალებად იმისათვის, რომ EuGVÜ კონვენციის მე-5 I მუხლის მეშვეობით განსჯადობა გადატანილიყო სხვა ქვეყანაში და, ამრიგად, აღმოჩენილიყო განსჯადობაზე ფარულ დათქმად, რომელსაც ნაკლებად საქმეში ჩახედული მოწინააღმდეგე მხარე ხელშეკრულების დადებისას ვერ მიუხედავებოდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავაჭრო სამართლის გამოყენებამ გამოიწვია სარჩელის განსჯადობის საკითხის გადაწვეტა გამყიდველის ადგილსამყოფელის მიხედვით, ვინაიდან (კონვენცია საქონლის საერთაშორისო ვაჭრობისა და კონტრაქტების თაობაზე) CISG-ის 57-ე I მუხლი ნასყიდობის საფასურის გადახდას საზღვრავს როგორც ვალს, რომელიც გადახდევინებულ უნდა იქნეს კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით და ამ პრინციპით ვალდებულების შესრულების ადგილად მოიაზრება ყოველთვის გამყიდველის ადგილსამყოფელი. ეს კი შედეგობრივად, საპირისპიროა მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადობისა და მომხმარებელთა დაცვის იდეისა, რასაც EuGVÜ – კონვენცია თანაბარმნიშვნელოვნად მიიჩნევდა.

ამ აშკარა წინააღმდეგობრიობის შესაძლო გადაწყვეტა იმაში მდგომარეობდა, რომ შესრულების აღსრულების ადგილი განსაზღვრულიყო ავტონომიურად, და ცხადია, ერთიანად ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფოსათვის. აღნიშნული გადაწყვეტილება წლების განმავლობაში ბლოკირებული იყო ევროპის სასამართლოს

(პალატის) მიერ იმ არგუმენტით, რომ ევროპულ კონვენციას (EuGVÜ) არა აქვს უფლება მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების ფორმულირებისა. მაგრამ პრაგმატიკოსთა სულ უფრო მზარდმა ფრონტმა თავისი გაიტანა და EuGVO – დადგენილების ახალი რედაქციის მე-5 I<sup>1</sup> მუხლში შეტანილია ცვლილება ხანგრძლივი პერსპექტივით, – სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში სანარდო და მომსახურების ხელშეკრულებებისათვის შესრულების ავტონომიური ადგილის გათვალისწინებით, რაც უთუოდ, განსჯადობის საკითხზე საერთაშორისო თანხმობის უზრუნველყოფის ინტერესს წარმოადგენდა.

ამ მაგალითზე შეიძლება აღწერილ იქნეს საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის დილემა: საპროცესო სამართლის მიზანს და ამოცანას, ერთიანი და პროგნოზირებადი საერთაშორისო ნორმების ფორმულირება წარმოადგენს და ამ საშუალებით შესაძლებელია სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა იმ განსხვავებული თვალსაზრისების შემთხვევაში, რომელთათვისაც გამოიყენება სხვადასხვაგვარი სამართლებრივი სისტემები. რეგულირების მატერიალურ და პროცესუალურ-სამართლებრივ ნორმათა გარდაუვალი შეკავშირება იქნებოდა იმის წინაპირობა, რომ მომავალში პროცესუალური ნორმები ჩართული ყოფილიყო სამოქალაქო სამართლის ერთიან სისტემაში. მაგრამ სანამდე ეს არ არის უზრუნველყოფილი, შეუძლებელია აცილებულ იქნას თავიდან, ცალკეულ შემთხვევებში უსისტემო, შეუსაბამო და არაერთგვაროვანი შედეგები. რაც უფრო მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან მონაწილე სახელმწიფოთა სამოქალაქო სამართლის სისტემები, მით უფრო მეტია ასეთი შეუთანხმებლობების წარმოშობის საშიშროება. ზემოთ აღწერილი მაგალითის შემთხვევაში განსჯადობის შესრულების ადგილთან დაკავშირებით პრობლემები იმით იყო გადაწყვეტილი, რომ სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივი შეთანხმება (კონვენცია) იძლევა მატერიალურ-სამართლებრივი ცნების დეფინიციას და ამით ერევა ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მატერიალურ სამართალში, ეს დოგმატური თვალსაზრისით, არადაამაკმაყოფილებელი, მაგრამ შედეგით სრულად რაციონალურ და გონივრულ გადაწყვეტას წარმოადგენს.

მე-3-5 კარით დარეგულირებულია ცალკეულ სპეციალური სფეროების საერთაშორისო განსჯადობის საკითხები, რომლებშიც

კანონმდებელს სურს განსაკუთრებით დაიცვას ერთ-ერთი, მხარე სოციალურ-პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე. ასე მაგალითად, მესამე კარში მზღვეველი სადაზღვევო კომპანიასთან დაკავშირებული შემთხვევაში სარგებლობს უპირატესობით, თუმცა შეზღუდულ ფარგლებში მაინც გააჩნია არჩევანის საშუალება სამამულო განსჯადობასა და სააგენტოს რეგისტრაციის ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადობას შორის. თითქმის ასეთსავე დაცვას უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის კარი ოთხი. EuGVÜ ძველი კონვენციისაგან განსხვავებით EuGVO – დადგენილება მეხუთე კარში ითვალისწინებს განსჯადობისათვის რეგულირების განსაკუთრებულ წესს შრომით-სამართლებრივ დავებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაშიც ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, პრივილეგიები მიენიჭოს უფრო სუსტ მხარეს – სამუშაოს ამღებს, მიეცეს მას სასამართლო ფორუმის ფართოდ არჩევის საშუალება და განსჯადობაზე შეთანხმებების დასაშვებობა შეზღუდოს.

და ბოლოს, მექვე კარი განსაზღვრავს განსაკუთრებულ განსჯადობებს, რომლებიც წინ უსწრებენ განსჯადობის ნებისმიერ სხვა ნორმას. ეს ძალაშია იმ შემთხვევებში, როდესაც განსაზღვრულია საქმესთან სიახლოვე იმ ქვეყნის სასამართლო ინსტანციებისა, რომელშიც იმყოფება ან რეგისტრირებულია დავის საგანი, ასე მაგალითად, უძრავ ქონებასთან, საწარმოს ქონებრივ მდგომარეობასთან, რეგისტრაციის და საპატენტო საკითხებთან დაკავშირებულ დავებში.

EuGVO – დადგენილების მესამე თავი არეგულირებს უცხოეთის სასამართლოთა გადაწყვეტილებების ცნობისა (აღიარების) და აღსრულების საკითხებს. იმის შესაძლებლობა, რომ უცხოეთში ცნობილ (აღიარებული) და აღსრულებულ იქნეს სასამართლო გადაწყვეტილებები, წარმოადგენს აბსოლუტურ მინიმალურ წინაპირობას, ტრანსნაციონალური ეკონომიკური ოპერაციების სამართლებრივი უზრუნველყოფის თვალსაზრისით, თუ სასამართლო გადაწყვეტილებათა „თავისუფალი მიმოქცევა“ არ არის უზრუნველყოფილი, მოპასუხეს შეუძლია საცხოვრებელი ადგილის შეცვლით თავი აარიდოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. ვინაიდან ევროპული ნორმები წინ უსწრებს ამ ორმხრივ შეთანხმებებს, ისინი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა არ გამოიყენება EuGVO – დადგენილება,

კერძოდ, გაკოტრების საქმეთა წარმოებისას და სამემკვიდრეო დავებში. მუხლი 32-ე, როგორც ძირითადი ნორმა უცხოეთის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ განსაზღვრავს, რომ კონვენციას შეეერთებულ ერთ-ერთ სახელმწიფოში გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები ცნობილ იქნება სხვა წევრ-სახელმწიფოებში სპეციალური პროცედურის გარეშე. ძირითად გამონაკლისს (დადგენილების შესაბამისი შესწორებებით) წარმოადგენენ ე.წ. „*Order public*“ – საჯარო სამართალი, ე.ი. იმ სახელმწიფოს საჯარო წესრიგის დარღვევა, სადაც არის (გადაწყვეტილების ცნობაზე ვალდებული) მალიარებელი სასამართლო ინსტანცია, აგრეთვე თუ არსებობს წინააღმდეგობრიობა ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში ან დამარცხებული მხარის შეუძლებლობა, დაეცვა თავი წინა პროცესში სარჩელისაგან. ამით გამოირიცხება სხვა შემთხვევაში ყველა სასამართლო სისტემისათვის დამახასიათებელი (ჩვეული) აღიარების პროცესთან დაკავშირებული სამართალწარმოება, რომლის ფარგლებშიც სასამართლო კიდევ ერთხელ ამოწმებს გადაწყვეტილებას შინაარსობრივად. მუხლი 36-ე მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ უცხოეთის სასამართლო გადაწყვეტილება არსებით გადასინჯვას არ ექვემდებარება.

უცხოეთის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება დარეგულირებულია მესამე კარით. 38-ე მუხლის თანახმად აღსრულებას ექვემდებარება სხვა წევრ-სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებები. ოღონდ გადაწყვეტილების აღმსრულებელი სახელმწიფოს სასამართლომ უნდა ცნოს (აღიაროს) ისინი და აღსრულოს. აღსრულების ცნობა შეიძლება გასაჩივრდეს (მუხლი 43-ე). თუ ცნობა აღსრულებაზე არ იქნება გასაჩივრებული, უცხოეთის სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს გადაწყვეტილების აღმსრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოთა მიერ ზუსტად ისე და იმავე დასახელებით (ანუ იგივე პროცედურით), როგორც აღსრულდება ნაციონალური სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

დასასრულს, IV თავი შეიცავს ოფიციალური დოკუმენტებისა და საპროცესო მორიგებების შესახებ აღსრულების დამატებით ნორმებს.

### III. ბავშვის უფლებებისა და საოჯახო სამართლის მარეგულირებელი ნორმები.

2000 წლიდან მოყოლებული, შესავალ ნაწილში უკვე ნახსენები დადგენილება – ქორწინების შესახებ, ავსებს EuGUVO – დადგენილებას საქორწინო და ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ დავებზე. დადგენილება მოიცავს ყველა სამოქალაქო-სამართლებრივ პროცედურებს, რომელთა სანქციაა – განქორწინება, მშობელთა განცალკევებით ცხოვრება ან ქორწინების უკანონოდ ცნობა, აგრეთვე მშობელთა პასუხისმგებლობა საერთო შვილებზე. მითითებული დადგენილებაც მიღებულია ევროგაერთიანების დადგენილების ფორმით და შეიცავს, რამდენადაც ამის შესაძლებლობას რეგულირების საგანი იძლევა, EuGVO – დადგენილების მსგავს მარეგულირებელ (მომწესრიგებელ) ნორმებს. ამ მიზეზის გამო საქორწინო საკითხთა მარეგულირებელი დადგენილების მიმართ (EuGVO) მოქმედებს იგივე განმარტებები და დეფინიციები, რომლებიც ევროპის სასამართლომ (პალატამ) მიიღო EuGVO – დადგენილების პარალელური სამართლებრივი ცნებებისათვის, რომელსაც შეიცავს, სამოქალაქო და სავაჭრო დავებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ – დადგენილება.

ეს ევროპული ნორმა საქორწინო და ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ დავებში საერთაშორისო განსჯადობისა და აღსრულების შესახებ გატარებულ იქნა ცხოვრებაში 30 წლით გვიან, ვიდრე EuGVÜ – კონვენცია. ამის საფუძველი გახლავთ ის, რომ საოჯახო სამართლის სფეროში EuGVÜ – კონვენციის შესაბამისი ნორმების შემუშავებისას არსებობდა ისეთი ძლიერი განსხვავებანი სამართლებრივ სისტემებს შორის, რომ ამ სფეროში გადაწყვეტილებათა ცნობის შესაძლებლობა თავდაპირველად თითქმის გამორიცხული იყო. და მხოლოდ ევროკავშირის ფარგლებში წარმატებით მიმდინარე სამართლის ჰარმონიზაციის პირობებში მოხდა ამ სფეროს იმდენად უნიფიცირება, რომ შეიქმნა პირობები უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა (აღიარების) და აღსრულების შესახებ დადგენილების შემუშავებისათვის.

## INTERNATIONALES ZIVILVERFAHRENSRECHT: DIE ANERKENNUNG UND VOLLSTRECKUNG VON URTEILEN NACH EU-RECHT

### I. Allgemeines: Die Entstehung der EuGVO

Notwendigkeit von Anerkennungs- und Vollstreckungsübereinkommen

Die internationale Verflechtung der Volkswirtschaften, die anwachsende Zahl und Komplexität der internationalen Wirtschaftstransaktionen und die zunehmende Internationalisierung der Lebensverhältnisse schafft einen wachsenden Bedarf an vereinheitlichtem Recht; die Globalisierung der Rechts- und Handelbeziehungen weckt den Bedarf an einer Globalisierung der rechtlichen Rahmenbedingungen.

Diese globale Entwicklung ist innerhalb Europas durch die Schaffung des gemeinsamen Marktes vorweggenommen worden. Durch die schrittweise Aufhebung der Zollgrenzen ist die Frage eines einheitlichen Rechtsraumes in Europa schneller und in stärkerem Maße aktuell geworden, als auf dem globalen Markt.

Für die Verwirklichung des gemeinsamen Marktes ist der „einheitliche Rechtsraum Europa“ der Lebensnerv: ein freier Austausch von Waren und Dienstleistungen und die Freizügigkeit werden nur dann in die Tat umgesetzt, wenn Rechtssicherheit im gesamten Binnenmarkt, also die Einklagbarkeit und Vollstreckbarkeit von Forderungen jenseits der Grenzen gewährleistet ist. Grundsätzlich wirken Gerichtsentscheidungen als Akte hoheitlicher Gewalt zunächst nicht über die Grenzen des Urteilsstaates hinaus. Sie entfalten in einem anderen Staat daher erst Wirkung, wenn dieser sie anerkennt. Das Ziel von staatsvertraglichen Anerkennungsübereinkommen ist, dass die Urteile des jeweils anderen Vertragsstaates ohne eine aufwendiges Anerkennungs- und Prüfungsverfahren anerkannt und ggf. vollstreckt werden können. Auch Georgien wird sich bemühen müssen, in

den Kreis solcher Signatar-Staaten vorzudringen.

## EuGVÜ und EuGVO

Die schrittweise Aufhebung der Grenzen zwischen den Rechtssystemen Europas stand folgerichtig schon früh im Fokus der Kodifikationsaktivitäten der Europäischen Gemeinschaft, wobei spätestens seit den 60er Jahren das Zivilrecht und das Zivilverfahrensrecht in den Mittelpunkt rückten. Die Anerkennung und Vollstreckung ausländischer Zivilrechtsurteile ist dabei von zentraler Bedeutung. Sie war unter zahlreichen europäischen Mitgliedstaaten bereits vor dem zweiten Weltkrieg durch bilaterale Verträge geregelt worden.

Das Ziel, für die gesamte europäische Gemeinschaft eine freie Konvertierbarkeit von Urteilen zu schaffen, setzt eine unter allen Mitgliedstaaten einheitliche und unkomplizierte Regelung voraus. 1968 wurde für alle Mitgliedstaaten der EG das *Übereinkommen über die gerichtliche Zuständigkeit und die Vollstreckung gerichtlicher Entscheidungen in Zivil- und Handelssachen* (EuGVÜ) unterzeichnet.

In der Note der Kommission der Europäischen Wirtschaftsgemeinschaft, mit der diese die ersten Verhandlungen über das EuGVÜ eröffnete, heißt es:

„Ein echter Binnenmarkt (...) wird erst dann verwirklicht, wenn ein ausreichender Rechtsschutz gewährleistet ist. (...) Da die Gerichtshoheit in Zivil- und Handelssachen bei den Mitgliedstaaten liegt und die Wirkungen eines gerichtlichen Aktes jeweils auf ein bestimmtes Staatsgebiet beschränkt bleiben, hängt der Rechtsschutz und damit die Rechtsicherheit im Gemeinsamen Markt wesentlich von der Annahme einer befriedigenden Regelung der Anerkennung und Vollstreckung gerichtlicher Entscheidungen durch die Mitgliedstaaten ab.“<sup>3</sup>

Das EuGVÜ klammerte zunächst zivilrechtliche Spezialmaterien wie Arbeitsrecht und Familienrecht aus.

Nach mehreren Novellierungen wurde das EuGVÜ zuletzt 2001 inhaltlich überarbeitet. Es wurde dann in einer neuen Rechtsform - nicht

---

<sup>3</sup> BGBl. 1972 II. 773. 1973 II. 60.



mehr als Europäisches Übereinkommen, sondern als EG-Verordnung - unter dem Namen EuGVO (Europäische Gerichtsstands- und Vollstreckungsverordnung) verabschiedet.<sup>4</sup> Mit Ausnahme von Dänemark gilt die neue Verordnung im Verhältnis aller Mitgliedstaaten zueinander und ersetzt das EuGVÜ.

In der Rechtsform der Verordnung ist das Regelwerk leichter zu handhaben: Für das EuGVÜ galten die Regeln über völkerrechtliche Verträge, das heißt, jede Revision war von den Unterzeichnerstaaten zu ratifizieren und bei einer Erweiterung der EU mussten jeweils Beitrittsübereinkommen geschlossen werden, die ebenfalls von allen Vertragsstaaten zu ratifizieren waren. Die EuGVO kann weitaus leichter revidiert werden. Außerdem treten die Novellierungen in allen Mitgliedstaaten gleichzeitig in Kraft. Als Sekundärrecht der Gemeinschaft gilt die EuGVO unmittelbar und hat Vorrang gegenüber dem nationalen Zivilverfahrensrecht. Davon sind selbstverständlich nicht die gesamten nationalen Verfahrensvorschriften betroffen, sondern die Regelungen, die durch die EuGVO exklusiv geregelt werden, also die nationalen Vorschriften über die Anerkennung und Vollstreckung ausländischer Urteile und die Regeln über die internationale Zuständigkeit von Zivilgerichten.

Die EuGVO wird durch verschiedene weitere Verordnungen und Rechtshilfeübereinkommen ergänzt, so durch die Zustellungsverordnung<sup>5</sup> und die EheGVO<sup>6</sup> (die das EuGVO für den Bereich des Eherechts ergänzt), die Beweisverordnung<sup>7</sup> sowie das Europäische Auskunftsübereinkommen<sup>8</sup>

---

<sup>4</sup> Verordnung (EG) Nr. 44/2001 des Rates vom 22. Dezember 2000 über die gerichtliche Zuständigkeit und die Anerkennung und Vollstreckung von Entscheidungen in Zivil- und Handelssachen (EuGVO), in Kraft seit 1.3.2002.

<sup>5</sup> Verordnung (EG) Nr. 1348/2000 des Rates 29. Mai 2000 über die Zustellung gerichtlicher und außergerichtlicher Schriftstücke in Zivil- und Handelssachen in den Mitgliedstaaten (ZustVO), anzuwenden ab 1.1.2004.

<sup>6</sup> Verordnung (EG) Nr. 1347/2000 des Rates 29. Mai 2000 über die Zuständigkeit und die Anerkennung und Vollstreckung von Entscheidungen in Ehesachen und in Verfahren betreffend die elterliche Verantwortung für die gemeinsamen Kinder der Ehegatten.

<sup>7</sup> Verordnung (EG) Nr. 1206/2001 des Rates 28. Mai 2001 über die Zusammenarbeit zwischen den Gerichten der Mitgliedstaaten auf dem Gebiet der Beweisaufnahme in Zivil- und Handelssachen (BeweisVO), in Kraft seit 31.5.2001.

<sup>8</sup> Europäisches Übereinkommen betreffend die Auskünfte über ausländisches Recht vom 7.6.1968 (BGBl. 1974 II. 937).

und das Europäische Zustellungsübereinkommen<sup>9</sup>.

### **Auslegung durch den EuGH**

Die Auslegung der EuGVO im Streitfalle obliegt dem Europäischen Gerichtshof (EuGH). Dies folgt aus ihrem Rechtscharakter als sekundäres Gemeinschaftsrecht. Hat ein nationales Gericht Zweifel, wie die Verordnung auszulegen ist, so kann es die Auslegungsfrage dem EuGH nach Art. 234 des EG-Vertrages zur Vorabentscheidung vorlegen. Entscheidet das nationale Gericht in letzter Instanz, dann ist es zu einer solchen Vorlage sogar verpflichtet (Art. 234 III EGV). Der EuGH entscheidet nur über die gestellte Frage, nicht über den Fall selbst. Seine Entscheidung bindet jedoch das vorlegende Gericht bei der Auslegung der EuGVO.

Eine Auslegungsbefugnis des EuGH bestand aber auch schon für das EuGVÜ, sie ist im Interesse einer konformen Anwendung des Gutachtens ausdrücklich im „Protokoll betreffend die Auslegung des Übereinkommens durch den Gerichtshof“ staatsvertraglich vereinbart worden. Auf der Grundlage dieses Protokolls hat der EuGH bisher schon mehr hundert Urteile zum EuGVÜ erlassen.

Die Europäische Kommission plant derzeit, die Auslegung der EuGVO auch durch die nationalen Gerichte zu erleichtern und zu vereinheitlichen, indem sie eine Internet-Datenbank aufbaut, in der alle Urteile von Gerichten der Unterzeichnerstaaten, die sich mit EuGVÜ oder EuGVO befassen, im Volltext gratis zur Verfügung gestellt werden.

### **Vorbild für Übereinkommen mit Drittstaaten**

Das EuGVÜ gilt sowohl in seiner inhaltlichen Regelung als auch in seiner Bewährung in der Praxis als sehr erfolgreich. Das Übereinkommen bzw. die auf ihm aufbauende EuGVO kann daher durchaus als inhaltliches Vorbild für weitere internationale Übereinkommen mit Nicht-EU-Staaten dienen.

Die Vereinbarung entsprechender Abkommen mit anderen Staaten wirft

---

<sup>9</sup> Übereinkommen über die Zustellung gerichtlicher und außergerichtlicher Schriftstücke in Zivil- und Handelssachen in den Mitgliedstaaten der Europäischen Union vom 26.5.1997, EG-Abl. Nr. C 261/2 vom 27.8.1997.

allerdings die Frage nach einer Vergleichbarkeit der Rechtsordnungen der beteiligten Staaten auf. Denn durch die Unterzeichnung eines ein Anerkennungs- und Vollstreckungsübereinkommens gestattet der Unterzeichnerstaat notwendigerweise einen weiten Eingriff in den Rechtsschutz seiner Bürger. Er gestattet, dass seine Bürger unter bestimmten Umständen vor den Gerichten anderer Staaten verklagt werden können und verpflichtet sich, die Urteile des ausländischen Gerichts durch seine eigenen Behörden gegen seinen Bürger zu vollstrecken. Dabei darf er nicht oder nur in einem sehr eng gestreckten Rahmen überprüfen, ob das zu vollstreckende Urteil nach seiner eigenen Rechtsordnung rechtmäßig gewesen wäre. Es liegt auf der Hand, dass ein solches Zugeständnis nur möglich ist, wenn alle Unterzeichnerstaaten das Vertrauen in die Rechtsprechung aller Vertragspartner haben, dass deren Zivilverfahren die internationalen Standards erfüllt und - ungeachtet abweichender rechtlicher Wertungen im Einzelfall – im Einklang mit Art. 6 der Europäischen Menschenrechtskonvention die Grundsätze eines fairen und rechtsstaatlichen Verfahrens befolgt. Diese Frage war und ist auch innerhalb der EU nicht unproblematisch. So haben sich deutsche Gerichte wiederholt mit der Frage befasst, ob ein italienisches Urteil in Deutschland trotz EuGVÜ/EuGVO nicht anerkennungswürdig ist, weil das italienische Gerichtsverfahren nach deutschen Maßstäben so lange dauert, dass es das Recht auf rechtliches Gehör verletzt.

### **Lugano-Übereinkommen**

Ein erster Schritt der Ausweitung des EuGVÜ über die EG hinaus erfolgte 1988 durch ein im wesentlichen gleichlautendes Parallelübereinkommen, das Lugano-Übereinkommen.<sup>10</sup> Das Lugano-Übereinkommen ist außer von den EU-Staaten auch von den Staaten der Europäischen Freihandelszone (EFTA) unterzeichnet worden.

Die Bedeutung des Lugano-Übereinkommens liegt darin, dass es die Errungenschaften des EuGVÜ auf eine größere Zahl von Staaten ausdehnt.

---

<sup>10</sup> Lugano-Übereinkommen über die gerichtliche Zuständigkeit und die Vollstreckung gerichtlicher Entscheidungen in Zivil- und Handelssachen vom 16.9.1988.

Ihm können ausdrücklich auch Drittstaaten beitreten: Art. 62 des Abkommens bestimmt, dass Staaten, die dem Abkommen beitreten wollen, von einem der Vertragsstaaten zum Beitritt eingeladen worden sind. Der Beitritt setzt ferner die Zustimmung aller Vertragsstaaten sowie aller EU- und EFTA-Mitgliedstaaten voraus. Das heißt, dass ein Beitritt nur mit der Zustimmung aller und der ausdrücklichen Fürsprache eines der bislang beteiligten Staaten möglich ist.

Allerdings ist zu beachten, dass das Abkommen zunächst für die EFTA konzipiert war, also für Staaten, die zu einem gemeinsamen Wirtschaftsraum gehören, der weitgehend von Zöllen und Einfuhrbeschränkungen befreit ist. Wenn also die Ausweitung auf Staaten außerhalb dieses Wirtschaftsraumes zwar theoretisch möglich ist, so ist das Abkommen von seinem Konzept her doch auf den europäischen Raum zugeschnitten. Dies findet auch seinen Ausdruck in der Bestimmung des Art. 62 I b, nach dem auch grundsätzlich alle EU- und EFTA-Staaten, unabhängig davon, ob sie selbst Vertragsstaaten sind, dem Beitritt eines Drittstaates zustimmen müssen.

Unabhängig von dem formalen Zustimmungsbedarf wird das Beitrittsgesuch eines Drittstaates aber die oben genannte Frage aufwerfen, ob der Beitrittsstaat über eine Zivilrechtssprechung verfügt, die mit denen der bisherigen europäischen Vertragsstaaten vergleichbar ist. Eine Aufnahme setzt nicht nur ein rechtsstaatliches materielles und prozessuales Verfahrensrecht voraus, sondern auch eine entsprechende Professionalität der Richterschaft, sowie eine juristische Infrastruktur, die auch tatsächlich ein faires und rechtsstaatliches Verfahren ermöglicht und den Parteien einen mit dem europäischen Niveau vergleichbaren Rechtsschutz ermöglicht. So sind eine unabhängige Justiz, ein zügiges und transparentes Verfahren, die Möglichkeiten eines effektiven Systems der rechtlichen Vertretung durch Anwaltschaft, Armenrecht und Zugang zu entsprechenden Informationen, die weitgehende Freiheit von Korruption und die Appellationsmöglichkeit nur einige der Voraussetzungen, die ein Beitrittskandidat erfüllen muss. Bislang ist von den ehemals sozialistischen Staaten nur Polen dem Abkommen beigetreten. Der Beitritt weiterer osteuropäischer Staaten ist ins Auge gefasst, aber noch nicht verwirklicht worden. Georgien sollte überlegen, ein Beitrittsverfahren zu initiieren.

Die Auslegungskompetenz des EuGH gilt übrigens nicht für die Auslegung des Lugano-Übereinkommens, da der EuGH als Gerichtshof der EU nicht von Drittstaaten angerufen werden kann. Das Abkommen wird daher nur durch die nationalstaatlichen Gerichte ausgelegt.

### *EuGVO und Lugano-Übereinkommen als Vorbild für das nationale Zivilverfahrensrecht?*

Die Bestimmungen von EuGVO und Lugano-Übereinkommen können für einen Drittstaat unabhängig von der Frage seines Beitritts zum Lugano-Übereinkommen zumindest teilweise als Vorbild für die eigene, nationale Kodifikation dienen.

Die Bestimmungen zur internationalen Zuständigkeit der Gerichte, wie sie in EuGVO und Lugano-Übereinkommen formuliert werden, können in dieser Form durchaus in nationales Recht inkorporiert werden. Zahlreiche Unsicherheiten und Hemmnisse im internationalen Rechtsverkehr beruhen auf den unterschiedlichen, für eine ausländische Partei nicht vorhersehbaren Zuständigkeitsregelungen. Zum Teil formulieren die nationalen Rechtsordnungen relativ exotische Gerichtsstände, die den Kennern der Materie die Möglichkeit eröffnen, zur Überraschung ihrer Vertragspartner den Gerichtsstand an ihren Wohnsitz zu ziehen (sogenanntes *forum shopping*). Als Beispiele sind der Vermögensgerichtsstand des § 23 der deutschen Zivilprozessordnung und der in einigen *common law*-Rechtsordnungen vorhandene Gerichtsstand des Ortes, an dem die Klage gestellt in wird, zu nennen.

EuGVO und Lugano-Übereinkommen formulieren einen Regelkatalog, der die in den europäischen Rechtsordnungen üblichen und für sinnvoll erachteten Gerichtsstände berücksichtigt und umfangreiche Sonderregelungen für wirtschaftlich schwächere Parteien wie Verbraucher, Arbeitnehmer und Versicherungsnehmer vorsieht. Sie konstituieren damit eine moderne und international anerkannte Regelung des internationalen Gerichtsstands, der als Vorbild für eine nationale Kodifizierung empfohlen werden kann.

Eine weitgehende Übernahme der Bestimmungen hätte aber vor allem den Vorteil, dass ausländische Handelspartner mit einem ihnen bekannten System konfrontiert wären und dass somit eine Quelle möglicher

Missverständnisse und Missbräuche ausgeschlossen werden könnte. Eine rechtliche Annäherung an das europäische Rechtssystem könnte auch langfristig von Nutzen sein, da es einen späteren Beitritt zum Lugano-Übereinkommen vorbereitet und erleichtert.

## **II. Überblick EuGVO: Aufbau und zentrale Bestimmungen**

Nach den einführenden Bestimmungen in **Kapitel 1** regelt das **zweite Kapitel** die internationale Zuständigkeit. Diese Bestimmungen haben besonders große praktische Bedeutung, da sie, wie bereits ausgeführt, den jeweiligen nationalen Bestimmungen zum internationalen Gerichtsstand vorgehen und für den Verlauf eines grenzüberschreitenden Zivilverfahrens oft von entscheidender Bedeutung sind. Trotz weitgehender Angleichung der Zivilrechts- und Zivilverfahrensrechtsordnungen der EU-Mitgliedstaaten unterscheiden sich die nationalen Zivilverfahren erheblich. Insbesondere die Verfahrensdauer und die Kosten, die durch Gerichtsgebühren und Anwaltshonorare entstehen, lassen die Wahl des Forums häufig zu einer verfahrensentscheidenden Frage werden. Die Grundregel des Artikel 2 I bestimmt, dass Personen, die ihren Wohnsitz im Hoheitsgebiet eines Mitgliedstaats haben, ohne Rücksicht auf ihre Staatsangehörigkeit vor den Gerichten dieses Mitgliedstaates zu verklagen sind. Sie formuliert den im kontinentaleuropäischen Recht allgemeinen verbreiteten Grundsatz, dass der Beklagte den Vorteil des Heimatgerichtsstandes genießen soll, nachdem der Kläger als Initiator des gerichtlichen Verfahrens schon weitgehend den Zeitpunkt und den Gegenstand des Verfahrens bestimmt.

Als Abweichungen von diesem Grundsatz formuliert **Abschnitt 2** besondere Zuständigkeiten. Hervorzuheben ist der Gerichtsstand des Erfüllungsortes in Art. 5 EuGVO. Der Erfüllungsortsgerichtsstand besagt, dass eine Person in einem anderen Mitgliedstaat verklagt werden kann, wenn Gegenstand der Klage ein Vertrag oder Ansprüche aus einem Vertrag sind, die in diesem Mitgliedstaat zu erfüllen wären.

### **Exkurs: Probleme durch Verweis auf nationales Zivilrecht**

An dieser praktisch sehr relevanten Regelung lassen sich die Risiken und die Grenzen einer internationalen Verfahrensrechtskodifizierung

anschaulich beschreiben: Die entsprechende Bestimmung im alten EuGVÜ verwies zwar auf den jeweiligen Erfüllungsort, definierte aber nicht, wo im Einzelfall der Erfüllungsort für eine bestimmte vertragliche Leistung liegt. Dies war dogmatisch korrekt, da der Erfüllungsort kein verfahrensrechtliches, sondern ein materiellrechtliches Institut ist, also nicht in den Regelungsbereich eines verfahrensrechtlichen Übereinkommens fällt. Der Erfüllungsort bestimmte sich folgerichtig nach dem jeweiligen nationalen Zivilrecht, das auf den streitbefangenen Vertrag anzuwenden war.<sup>11</sup> Da aber das materielle Zivilrecht unter den Unterzeichnerstaaten nicht vereinheitlicht ist, können die verschiedenen Rechtsordnungen in gleichgelagerten Fällen durchaus auf verschiedene Erfüllungsorte verweisen. Das heißt, je nachdem, welches Recht auf den Vertrag anzuwenden war, konnte der Erfüllungsort und damit der Gerichtsstand trotz Anwendung des EuGVÜ in dem einen oder in dem anderen Land liegen. Das Ziel, eine international einheitliche und vorhersehbare Regelung zu schaffen, wurde dadurch konterkariert: Der Erfüllungsortgerichtsstand war nicht nur uneinheitlich und vom jeweiligen nationalen Recht abhängig, sondern das EuGVÜ eröffnete die Möglichkeit, dass sich eine gut informierte Streitpartei einen Gerichtsstand erschleicht, auch bekannt als *forum shopping*: Eine Rechtswahlklausel in einem internationalen Kaufvertrag konnte indirekt dafür genutzt werden, den Gerichtsstand über den Art. 5 I EuGVÜ in ein anderes Land zu ziehen und damit zu einer verdeckten Gerichtsstandsklausel werden, die von der weniger informierten Gegenpartei bei Vertragsschluss nicht erkannt wird.

Die Anwendung des UN-Kaufrechts führte sogar zu einem regelmäßigen Klägergerichtsstand des Verkäufers, da Art 57 I CISG die Kaufpreiszahlung als Bringschuld ausgestaltet und damit der Erfüllungsort nach diesem Grundsatz immer am Sitz des Verkäufers liegt - ein Ergebnis, das dem Gedanken des Beklagtengerichtsstandes und des Verbraucherschutzes, für die das EuGVÜ gleichermaßen stand, entgegenstand.

Eine mögliche Lösung dieses offensichtlichen Widerspruchs lag darin.

---

<sup>11</sup> EuGH. 6.10.1976. Rs. 12/76 - Tessili ./. Dufflop.

einen Erfüllungsort autonom und damit einheitlich für alle Vertragsstaaten zu bestimmen. Diese Lösung wurde vom Europäischen Gerichtshof jahrelang mit dem Argument blockiert, das EuGVÜ dürfe keine materiellrechtlichen Rechtssätze formulieren. Dennoch setzte sich die breiter werdende Front der Pragmatiker langfristig durch, und die neugefasste EuGVO definiert im Interesse eines internationalen Zuständigkeitseinklangs in Art. 5 I b einen gemeinschaftsautonomen Erfüllungsort für Werk- und Dienstleistungsverträge.

An diesem Beispiel lässt sich ein Dilemma des internationalen Zivilverfahrensrechts beschreiben: Ziel und Aufgabe des Verfahrensrechts ist es, international einheitliche und vorhersehbare Regelungen zu formulieren und damit Rechtssicherheit für Streitigkeiten zu schaffen, bei denen verschiedene Rechtsordnungen Anwendung finden. Wegen des unvermeidlichen Ineinandergreifens materiellrechtlicher und verfahrensrechtlicher Regelungen würde dies aber eigentlich voraussetzen, dass die Verfahrensregelungen in ein einheitliches Zivilrechtssystem eingebettet sind. Solange dies nicht gegeben ist, sind vereinzelte systemwidrige und uneinheitliche Ergebnisse nicht zu vermeiden. Je weiter die Zivilrechtssysteme der beteiligten Staaten differieren, desto größer ist die Gefahr solcher Uneinheitlichkeiten. Im hier beschriebenen Beispiel des Erfüllungsortsgerichtsstandes wurde das Problem dadurch gelöst, dass ein zivilverfahrensrechtliches Abkommen einen materiellrechtlichen Begriff definiert und damit in das materielle Recht der Vertragsstaaten eingreift, eine dogmatisch nicht völlig befriedigende, aber vom Ergebnis her sinnvolle Lösung.

Die **Abschnitte 3 bis 5** regeln die internationale Zuständigkeit für einzelne Spezialmaterien, in denen der Verordnungsgeber eine Partei aus sozialpolitischen Gründen besonders schützen will. So wird in Abschnitt 3 der Versicherungsnehmer bei Streitigkeiten mit der Versicherung bevorzugt, indem er - in begrenztem Maße - eine Wahl zwischen seinem Heimatgerichtsstand und einem Gerichtsstand am Sitz der Versicherung hat. Weitgehend gleichen Schutz gewährt Abschnitt 4 dem Verbraucher. Gegenüber dem alten EuGVÜ sieht die EuGVO im Abschnitt 5 eine besondere Zuständigkeitsregelung für arbeitsrechtliche Streitigkeiten vor.



Ziel ist es auch hier, die schwächere Partei - den Arbeitnehmer - zu privilegieren, ihm weitgehend die Wahl des Forums zu überlassen und die Zulässigkeit von Gerichtsstandsvereinbarungen einzuschränken.

**Abschnitt 6** definiert schließlich noch ausschließliche Zuständigkeiten, die jede andere Zuständigkeitsregelung verdrängen. Dies gilt für Fälle, wo die Sachnähe der Gerichte des Landes ausschlaggebend ist, in dem sich der Streitgegenstand befindet oder registriert ist, so z.B. für Streitigkeiten um Immobilien, um den Bestand einer Gesellschaft und um Register- und Patentfragen.

**Kapitel 3** der EuGVO regelt die Anerkennung und Vollstreckung ausländischer Gerichtsurteile. Die Möglichkeit, ein Gerichtsurteil im Ausland anerkennen und vollstrecken zu lassen, ist die absolute Mindestvoraussetzung, um Rechtssicherheit für grenzüberschreitende Transaktionen zu schaffen. Wenn der „freie Verkehr der Urteile“ nicht gegeben ist, kann sich der Beklagte durch Wohnsitzwechsel jeder Vollstreckung entziehen. Da die europäischen Regelungen diesen bilateralen Abkommen vorgehen, sind sie nur noch in Fällen anwendbar, in denen die EuGVO nicht anwendbar ist, also z.B. für Konkursverfahren und Erbrechtsangelegenheiten. Als zentrale Vorschrift für die Anerkennung ausländischer Entscheidungen bestimmt Art. 32, dass die in einem Mitgliedstaat des Abkommens ergangenen Entscheidungen in den anderen Mitgliedstaaten anerkannt werden, ohne dass es hierfür eines besonderen Verfahrens bedarf. Ausnahmen sind im wesentlichen der sogenannte „ordre public-Vorbehalt“, also der Verstoß gegen die öffentliche Ordnung des Staates des anerkennenden Gerichts sowie der Widerspruch gegen eine früher ergangene Entscheidung oder die fehlende Möglichkeit der unterlegenen Partei, sich im vorangegangenen Verfahren gegen die Klage zu verteidigen. Damit entfällt das ansonsten in allen Rechtsordnungen übliche Anerkennungsverfahren, in dem das Gericht die Entscheidung inhaltlich noch einmal überprüft. Art. 36 bestimmt ausdrücklich, dass die ausländische Entscheidung keinesfalls in der Sache selbst nachgeprüft werden darf.

Die Vollstreckung ausländischer Urteile ist im **3. Abschnitt** geregelt. Gemäß Art.38 sind die Entscheidungen eines Gerichts aus einem anderen Mitgliedstaat zu vollstrecken. Sie müssen lediglich von einem

Gericht des vollstreckenden Staates für vollstreckbar erklärt werden. Gegen die Vollstreckbarerklärung ist ein Rechtsbehelf möglich (Art. 43). Nach erfolgreicher Vollstreckbarerklärung kann das ausländische Urteil also genau wie ein inländischer Titel durch die Behörden des Vollstreckungsstaates vollstreckt werden.

**Kapitel IV** enthält schließlich ergänzende Vorschriften über die Vollstreckung von öffentlichen Urkunden und Prozessvergleichen.

### **III. Regelungen im Kindschafts- und Familienrecht**

Die einleitend bereits erwähnte EheGVO ergänzt seit 2000 die EuGVO in bezug auf Ehe- und Kindschaftssachen. Die Verordnung erfasst alle zivilgerichtlichen Verfahren, die die Ehescheidung, die Ehetrennung oder Ungültigerklärung der Ehe sowie die elterliche Verantwortung für gemeinsame Kinder zum Gegenstand haben. Sie ist ebenfalls in Form einer EG-Verordnung ergangen und trifft, soweit der Regelungsgegenstand dies erlaubt, die gleichen Regelungen wie die EuGVO. Aus diesem Grunde gelten für die EheGVO auch die Auslegungen und Definitionen, die der EuGH für die parallelen Rechtsbegriffe der EuGVO vorgenommen hat.

Diese erste Regelung der internationalen Zuständigkeit und Vollstreckung von Ehe- und Kindschaftssachen wurde mehr als 30 Jahre später verwirklicht als das EuGVÜ. Der Grund hierfür ist, dass es bei der Schaffung des EuGVÜ im Bereich des Familienrecht so starke Unterschiede zwischen den nationalen Rechtsordnungen gab, dass man eine allgemeine Anerkennungsfähigkeit von Urteilen in diesem Bereich zunächst generell ausschloss. Erst mit der fortschreitenden Rechtsharmonisierung in der EU ist dieser Bereich inzwischen soweit angeglichen worden, dass die Voraussetzungen für die Anerkennungs- und Vollstreckungsordnung vorlagen.

*ჯონი სეცურიანი  
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.*

## ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლები

გასულ წელს საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას, რომლებიც მიზნად ისახავდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობების, სახელდობრ, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის განსაზღვრას, თან ახლდა მძაფრი პოლემიკა. დისკუსიებში მონაწილეობდნენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები, სასულიერო თუ საერო პირები, მეცნიერები, სპეციალისტები და სხვა. გამოითქვა მრავალი მოსაზრება როგორც კონსტიტუციური ცვლილებების მხარდასაჭერად, ისე მის საწინააღმდეგოდ. საბოლოოდ, 2001 წლის 30 მარტს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივას და მიიღო კონსტიტუციური კანონი, რომელიც ახლებურად განსაზღვრავს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობებს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ პოლემიკა ამ საკითხებზე ამით არ დასრულებულა და ამჟამადაც გრძელდება. მართალია, არა ისეთი ინტენსივობით, როგორც ეს კონსტიტუციური კანონპროექტის განხილვისას იყო, მაგრამ არანაკლები სიმძაფრით, რომელიც ძირითადად განპირობებულია რელიგიურ ცხოვრებაში მომხდარი ცალკეული ფაქტებით.

როგორია კონსტიტუციური ცვლილებების არსი, მათი დანიშნულება და შემდგომი საკანონმდებლო ნოვაციების პერსპექტივები?

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად დასრულებული სახე მიიღეს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების მომწესრიგებელმა კონსტიტუციურმა ნორმებმა. ქვეყნის ძირითადი კანონის დონეზე გარკვეულია ის სამართ-

ლებრივი საფუძვლები, რომელთა შესაბამისადაც უნდა განვითარდეს სამართალშემოქმედება ამ სფეროში. კონსტიტუცია უკვე იძლევა იმ სამართლებრივ ფორმებსა და მექანიზმებს, რომელთა მეოხებითაც უნდა მოხდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის განსაზღვრა და ურთიერთობების მოწესრიგება სახელმწიფოსთან.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების განსაზღვრისათვის გასაღებს გვაძლევს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის ახალი რედაქცია. მასში ხუთი უმნიშვნელოვანესი დებულებაა გადმოცემული:

პირველი. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას;

მეორე. სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში;

მესამე. ეკლესია დამოუკიდებელია სახელმწიფოსაგან;

მეოთხე. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით;

მეხუთე. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

როგორც ვხედავთ, კონსტიტუციამ უარყო სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებლობის გამოცხადების იდეა, როდესაც მკაფიოდ დაადგინა სახელმწიფოსაგან ეკლესიის დამოუკიდებლობა. ეს უაღრესად საყურადღებოა, რადგანაც პრესაში გამოითქვა მოსაზრება, რომ კონსტიტუციური შეთანხმების ინსტიტუტის შემოღებით, ფაქტობრივად, ხდება მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება. ამ მოსაზრებას არა მგონია რაიმე სერიოზული საფუძველი ჰქონდეს, რადგანაც ამა თუ იმ რელიგიის სახელმწიფო რელიგიად აღიარების დროს სახელმწიფოსაგან ეკლესიის დამოუკიდებლობაზე კი არ არის საუბარი, არამედ პირიქით, ქვეყნის ძირითადი კანონით - კონსტიტუციით - ამ რელიგიას ენიჭება ოფიციალური რელიგიის სტატუსი და შესაბამისი რელიგიური ორგანიზაცია სახელმწიფოს

მექანიზმის შემადგენელი ნაწილი ხდება. პრაქტიკულად კი, ეს იმას ნიშნავს, რომ ოფიციალურად აღიარებული რელიგიური ორგანიზაცია უშუალოდ მონაწილეობს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში, მისი დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან შედარებით სარგებლობს პრივილეგიებით. სახელმწიფო რელიგია ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია კონსტიტუციით აღიარებული. სხვათა შორის მათ რიცხვს მიეკუთვნება ჩვენთვის კარგად ცნობილი ევროპული სახელმწიფოებიც: დიდი ბრიტანეთი, დანია, საბერძნეთი და სხვა, სადაც უკვე კარგა ხანია სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა დასრულებულია და ადამიანის უფლებებიც სათანადოდ არის დაცული. როგორც ჩანს, ამა თუ იმ რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროსაც შესაძლებელი ყოფილა რწმენის, აღმსარებლობის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

მიუხედავად ამისა, ჩვენმა კანონმდებლობამ სხვა გზა აირჩია და როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოსაგან ეკლესიის დამოუკიდებლობის პრინციპი აღიარა. ახლა დადგა საკითხი, თუ როგორ მოწესრიგებულიყო ურთიერთობები ორ დამოუკიდებელ სუბიექტს - სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ დამოუკიდებელ სუბიექტებს შორის ურთიერთობების განსაზღვრის ოპტიმალური ფორმა ხელშეკრულებაა, რომლის დროსაც მხარეები თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ ნებას და თანხმდებიან მოსაწესრიგებელი ურთიერთობების ბედზე. საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების განსაზღვრის სახელშეკრულებო ფორმა უცხო არ გახლავთ. იგი გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამ ფორმის უპირატესობა, ჩვეულებრივ, საკანონმდებლო რეგულირებასთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდულია შეთანხმებით და არ ეძლევა საშუალება, საკანონმდებლო ნოვაციებით ცალმხრივად შეცვალოს ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობა. ამის მწარე გამოცდილება არცთუ შორეული წარსულიდან კარგად ახსოვს ჩვენს ხალხს. კომუნისტური რეჟიმის პირობებში აუნაზღაურებელი ვნება და ზიანი მიადგა ეკლესიას სწორედ სახელმწიფოსაგან და ყოველივე ეს ხდებოდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. ამიტომ

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების განსაზღვრისას აუცილებელი იყო ისეთი სამართლებრივი ფორმის შემოღება, რომელიც მყარ სამართლებრივ გარანტიებს შეუქმნიდა ეკლესიის სტატუსს.

კონსტიტუციური კანონი ასეთ ფორმად მიიჩნევა კონსტიტუციურ შეთანხმებას, რომელმაც უნდა განსაზღვროს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა.

კონსტიტუციური შეთანხმება სრულიად ახალი ინსტიტუტია ქართულ სამართალში. ამ შეთანხმებას კონსტიტუციური ეწოდება იმიტომ, რომ მისი დადების შესაძლებლობა, პროცედურები და სუბიექტთა წრე მხოლოდ სახელმწიფოს ძირითადი კანონით არის განსაზღვრული.

ცნობილია, რაც უფრო მნიშვნელოვანია სამართლით მოსაწყვრი-გებელი საზოგადოებრივი ურთიერთობები, მით უფრო დიდი უნდა იყოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის იურიდიული ძალა. ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია უდიდეს როლს ასრულებდა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენისათვის ბრძოლის ისტორიულ პროცესში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქართული ცივილიზაციის მთავარი საფუძველი სწორედ რომ მართლმადიდებლობა იყო. დღესაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს მართლმადიდებელ ეკლესიას ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში, ერის გამთლიანებასა და საზოგადოების ზნეობრივი საფუძვლების განმტკიცებაში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის გამო სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას, კონსტიტუციური კანონის თანახმად, ქვეყნის ძირითადი კანონის შემდეგ უპირატესი იურიდიული ძალა აქვს სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-ნ მუხლში შეტანილი ცვლილებების შემდეგ კონსტიტუციურ შეთანხმებას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს, ვიდრე კანონს, ორგანულ კანონსა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას. ამის შესაბამისად მნიშვნელოვანი კორექტივი შევიდა სამართლებრივი აქტების იერარქიაში. კერძოდ, თუ აქამდე საერთაშორისო ხელშეკრულება კონსტიტუციის შემდეგ ყველაზე მაღალი

იურიდიული ძალის მქონე აქტი იყო და კონსტიტუციასთან შესაბამისობა ამ აქტის ლეგიტიმურობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, ცვლილებების შემდეგ ამ პირობას დაემატა აგრეთვე კონსტიტუციურ შეთანხმებასთან საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისობის აუცილებლობაც.

კონსტიტუციური შეთანხმების იურიდიული ძალა განპირობებულია მისი მიღების უადრესად რთული პროცედურით, რაც საერთოდ ახასიათებს მაღალი იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივ აქტებს. საქართველოს კონსტიტუციის 66-ე და 73-ე მუხლებში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს საქართველოს პრეზიდენტი და ამტკიცებს პარლამენტი სრული შემადგენლობის სულ ცოტა სამი მეხუთედით.

გამოითქვა მოსაზრება, რომ კონსტიტუციური შეთანხმებისათვის ესოდენ მაღალი იურიდიული ძალის მინიჭება მიზანშეუწონელია, რადგანაც საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმართ მისი უპირატესობის დადგენა გამოიწვევს რწმენისა და აღმსარებლობის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების თანასწორუფლებიანობის დარღვევას.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საზღვარგარეთის მრავალ დემოკრატიულ ქვეყანაში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია არა ჩვეულებრივი საკანონმდებლო აქტით, არამედ თავად კონსტიტუციით. შესაბამისად, ამ ქვეყნებში ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობაც დადგენილია კონსტიტუციური ნორმებით, რომლებსაც, რასაკვირველია, უნდა შეესაბამებოდეს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებებიც. ჩვენ შემთხვევაში კი, კონსტიტუციური შეთანხმება კონსტიტუციის ქვემდებარე სამართლებრივი აქტია, ამდენად, იგი სრულად უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ძირითადი კანონის მოთხოვნებს, მათ შორის რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ კონსტიტუციურ ნორმებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტი-

ტუციური კანონის შესაბამისად, შესაძლებელია კონსტიტუციური შეთანხმება საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი სამართლებრივი აქტი გახდეს. კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, ქვეყნის ძირითადი კანონის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტში გაჩნდა დებულება, რომლის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისობის საკითხზე. მაშასადამე, თუ კონსტიტუციურ შეთანხმებაში დადგენილი იქნება ისეთი ნორმა, რომელიც დაარღვევს საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ყოველ პირს შესაძლებლობა ექნება, საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივროს კონსტიტუციური შეთანხმების კონსტიტუციურობა.

როგორც ვხედავთ, განსახილველ სფეროში ადამიანის უფლებების დაცვა გარანტირებულია არა მხოლოდ იმით, რომ ქვეყნის ძირითადი კანონით დეკლარირებულია რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება, არამედ სასამართლო დაცვის შესაძლებლობითაც.

კონსტიტუციური შეთანხმების პრაქტიკა ქართულ სამართალში არ მოგვეპოვება. ჩვენი აზრით, კონსტიტუციური შეთანხმება ზოგად-ნორმატიული სამართლებრივი აქტი უნდა იყოს. იგი უნდა შეიცავდეს პრინციპებსა და ზოგად ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ, ერთი მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივ სტატუსს, მისი ორგანიზაციული მოწყობის წესს, უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოსთან მისი თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებს, ეკლესიასთან ურთიერთობაში სახელმწიფოს ვალდებულებებს.

რაც შეეხება ერთობლივი ინტერესების ცალკეულ საკითხებს, სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილი უნდა იყვნენ, დადონ კონკრეტული შეთანხმებები.

როგორც ცნობილია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, რელიგიური ორგანიზაციები საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან. საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“ განსაზღვრავს ამ კატეგორიას მიკუთვნებული იურიდიული პირების სახეობებს, მათი უფლებამოსილებების



ფარგლებს, შექმნისა და ორგანიზაციული მოწყობის წესებს. რაც შეეხება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, მაგრამ მას ამ კანონით შექმნა არ ესაჭიროება. იგი აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით და იმ ფაქტით, რომ მასთან, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან, სახელმწიფო დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე ზემოაღნიშნული კანონის არც სხვა ნორმები გავრცელდება. შეთანხმებაში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ორგანიზაციული მოწყობა და ამოცანები უნდა განისაზღვროს კანონიკური სამართლით, ხოლო ფუნქციების განხორციელება უნდა ხდებოდეს კანონიკური სამართლის, კონსტიტუციური შეთანხმებისა და კანონმდებლობის სპეციალური ნორმების შესაბამისად. კონსტიტუციურმა შეთანხმებამ უნდა დაადგინოს სასულიერო პირების სამართლებრივი მდგომარეობა, მისი უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიები, საჯარო სამართლის სფეროში მოქმედი მოქალაქის ვალდებულებებისადმი მათი დამოკიდებულება და სხვა.

კონსტიტუციურმა შეთანხმებამ უნდა განსაზღვროს საჯაროსო ფორმირებებში, სასჯელალსრულების ორგანოებში, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში, კულტურისა და სოციალურ სფეროებში სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობის ფორმები. ამასთან დაკავშირებით სასარგებლო იქნება საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება, სადაც ზემოაღნიშნულ სფეროებში ეკლესიის საქმიანობის ფორმები კარგა ხანია დამკვიდრებულია და საზოგადოების მხრიდან სათანადო მხარდაჭერითაც სარგებლობენ.

კონსტიტუციური შეთანხმება გვერდს ვერ აუვლის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრების საკითხებს, ეკონომიკური და საფინანსო საქმიანობის, ფისკალურ სფეროში მისთვის შეღავათების დადგენის პრინციპებს. აქედან, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ეკლესიის საკუთრებით ურთიერთობებთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს. ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს კონსტიტუციურ შეთანხმებაში ისეთი ნორმის არსებობა, რომლის თანახმად, სახელმწიფომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად უნდა ცნოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე

არსებული მართლმადიდებლური ტაძრები, მონასტრები (როგორც მოქმედი, ისე უმოქმედო), აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ისინია განლაგებული. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1990 წლის 12 აპრილს (ე.ი. კომუნისტური რეჟიმის დროს) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „რელიგიის საქმეთა საკითხების შესახებ“, რომლის მე-3 პუნქტის მიხედვით რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა საკულტო ნაგებობა და მათი უძრავ-მობრავი ქონება გამოცხადდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად. ამავე დადგენილების მე-4 პუნქტით კი, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებს დაევალოთ, უსასყიდლოდ გადაეცათ აღნიშნული საკულტო ნაგებობანი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსათვის. ამასთანავე დაწესდა, რომ საქართველოში არსებული მართლმადიდებელი ეკლესიების, მათი ქონებისა და სახსრების აღრიცხვას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო განახორციელებს დამოუკიდებლად, დამკვიდრებული საეკლესიო ტრადიციების შესაბამისად. საყურადღებოა, რომ მინისტრთა საბჭოს ეს დადგენილება შემდგომში არ გაუქმებულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკმაო სამართლებრივი საფუძვლები არსებობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მისი კუთვნილი უძრავი ქონების დასაბრუნებლად. ეს ისტორიული სამართლიანობის აღდგენაც იქნება. ასევე, სახელმწიფომ უნდა ცნოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად ამჟამად სახელმწიფო დაცვის ქვეშ მყოფი საეკლესიო საგანძური, რომელიც კომუნისტური რეჟიმის დროს ჩამოართვეს ეკლესიას. თუმცა ამ საეკლესიო საგანძურის, როგორც საერთო ეროვნული საგანძურის ნაწილის, უკეთ დაცვისა და მოვლა-პატრონობის მიზნით იგი შეიძლება დარჩეს სახელმწიფო დაწესებულებების მფლობელობაში. ამასთან, მფლობელობის სამართლებრივი საფუძველი უნდა განისაზღვროს მხარეთა სპეციალური შეთანხმებით. საეკლესიო საგანძურის რელიგიური და კულტურული მიზნებით საცავებიდან გამოტანა და გამოყენება დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ სახელმწიფოსა და ეკლესიის შეთანხმების საფუძველზე. სახელმწიფო და ეკლესია

ერთობლივად უნდა ზრუნავდნენ ისტორიულ-არქეოლოგიური, კულტურული და არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვასა და მოვლა-პატრონობაზე, უფრო მეტიც, სახელმწიფომ უნდა აიღოს ვალდებულება, აწარმოოს მოლაპარაკება სხვა სახელმწიფოებთან, მათ ტერიტორიაზე არსებული ქართული მართლმადიდებლური ტაძრების, მონასტრების, მათი ნანგრევების, სხვა საეკლესიო ნაგებობებისა და მათში დაცული საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე.

კონსტიტუციური შეთანხმება მტკიცე სამართლებრივი საფუძველი გახდება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთშეთანხმებით. ამასთანავე, სახელმწიფო ორგანოების მიერ კონსტიტუციური შეთანხმების ნორმებისა და პრინციპების საწინააღმდეგოდ გამოცემულ სამართლებრივ აქტებს იურიდიული ძალა არ ექნებათ.

ახლა რაც შეეხება საქართველოში მოქმედ სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან სახელმწიფოს დამოკიდებულებასა და მათ სამართლებრივ მდგომარეობას. კერძოდ, ისმის კითხვა - ხომ არ იქნება აუცილებელი მათთანაც ანალოგიური შეთანხმების დადება? აქ, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ორი ფაქტორი: ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ისტორიული.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალურია. იგი საქართველოში მოქმედი სხვა რელიგიური ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ეკლესიის ნაწილი კი არ არის, არამედ ორგანიზაციულად დასრულებული სახით სწორედ საქართველოშია წარმოდგენილი. სხვა კონფესიები კი საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული რელიგიური ორგანიზაციების მხოლოდ სტრუქტურული ერთეულებია და შესაბამისად ექვემდებარებიან თავიანთ ცენტრებს. მათ არ გააჩნიათ დამოუკიდებელი მოქმედების უფლებამოსილება. ამასთანავე, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან შედარებით სრულიად განსხვავებულია მათი როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამდენად არ არსებობს მათთან კონსტიტუციური შეთანხმების დადების არც იურიდიული

და არც ისტორიული საფუძველი. მათი სამართლებრივი მდგომარეობა უნდა განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობით სამოქალაქო კოდექსის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის და რელიგიური გაერთიანებების შესახებ სპეციალური კანონების შესაბამისად ისე, რომ არ შეიზღუდოს დემოკრატიულ საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და პრინციპები.

დასასრულ, უპრიანი იქნება, გავიხსენოთ წმინდა ილია მართალი, რომელიც თითქმის საუკუნე-ნახევრის წინათ შთააგონებდა ერს: “სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ მათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?” ამ სიტყვებს დღესაც, მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზეც არ დაუკარგავს თავისი ძალა ქართველი ერისათვის. მართალია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღვადგინეთ, მაგრამ მამული ჯერ კიდევ ვერ გავამთლიანეთ. ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოვაცხადეთ, მაგრამ ყველგან ვერ განვაგრცეთ “ენა ქართული” და ვერ მივალწიეთ იმას, რაც ფარნავაზმა შეძლო, როცა “არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა”. ქართველობა უძველესი ქრისტიანი მართლმადიდებელი ერია, მაგრამ სარწმუნოების დაცვა კვლავაც საშურ საქმედ რჩება.

ილია ჭავჭავაძის ნაანდერძევი “მამული, ენა, სარწმუნოება” ჩვენი ეროვნული მრწამსის ყველაზე სრულყოფილი გამოხატულებაა. ის არა მხოლოდ ქართველთა მსოფლგაგების არსს გადმოსცემს, არამედ, იმავდროულად, მოწოდებაცაა, რომელსაც უნდა მისდევდეს ქართველი ერის უკლებლივ ყველა თაობა. “მამული, ენა, სარწმუნოება” ის მარადიული ფასეულობებია, რომელთაც თვალისჩინივით უნდა ვუფროთხილდებოდეთ და ვპატრონობდეთ, თუ გვსურს გადარჩენა და თუ გვწადია ათასწლეულებს გამოვლილი ჩვენი თვითმყოფადობის შენარჩუნება.

**უძრავი ძონებით საკუთრების  
უზრუნველყოფა საქართველოს  
სამოქალაქო კოდექსის მატალითზე\***

1. ზოგადი დებულებანი: ქართულ საკრედიტო სინამდვილეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიწის ნაკვეთების საშუალებით სესხის უზრუნველყოფა. შეთანხმებას, რომლის მხარეებს შორის დადების სხვადასხვა შესაძლო ვარიანტი არსებობს, გერმანული ტერმინოლოგიის თანახმად “უძრავ ქონებაზე უზრუნველყოფითი საკუთრება” ეწოდება.<sup>1</sup> ეს იმითაა განპირობებული, რომ მოვალე, ნაცვლად იპოთეკური ხელშეკრულების დადებისა, კრედიტორს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად უძრავ ქონებაზე საკუთრებას გადასცემს. ქვემოთ განვიხილავთ ამ ქართული სამართლებრივი ინსტიტუტის მოქმედების ცალკეულ საკითხებსა და მიზეზებს, ასევე მის წინაპირობებს, დასაშვებობასა და ფარგლებს.<sup>2</sup> ამ ეტაპზე აუცილებლად მიგვაჩნია შესავლის სახით ზოგადად რამდენიმე სიტყვა მოვახსენოთ უზრუნველყოფის გადაცემის არსის შესახებ.

საკუთრების უფლების უზრუნველყოფის ნებისმიერი სახით გადაცემისათვის დამახასიათებელია, რომ ვალდებულებითი მოვალე ვალდებულებით-სამართლებრივი შეთანხმების საფუძველზე (მეტწილად

---

\* (ამაღროულად ნაშრომი წარმოადგენს ქართულ-გერმანულ შედარებით-სამართლებრივ გამოკვლევას საკუთრების უზრუნველყოფის ინსტიტუტის რამდენიმე ასპექტის თაობაზე ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით).

1. შემდგომი ზოგადი აღწერილობა საკუთრების უზრუნველყოფასთან მიმართებაში, გამოძინარე თემატიკის მოცულობიდან, შემოიფარგლება მხოლოდ შესავლით. გერმანული სამართლის სტანდარტული ნაშრომი ამ თემის შესახებ მოიცავს 6 ტომსა და ათასობით გვერდს: სერიკი, პირობადებული საკუთრება და უზრუნველყოფის გადაცემა. ტომი 1-6.

იხ. ქვემოთ, 2 და 3

აქ საქმე ეხება სესხს) კრედიტორს სანივთო-სამართლებრივად გადასცემს მთლიან საკუთრებას უძრავ თუ მოძრავ ნივთებზე. ეს უკანასკნელი კი უფლებამოსილია, მხოლოდ გარკვეული წინაპირობების საფუძველზე მოახდინოს მათი გამოყენება. იგივე ვრცელდება ასევე მოთხოვნათა დათმობაზეც და სხვა უფლებათა უზრუნველყოფილ გადაცემაზე (სსკ 198-ე მუხლის თანახმად). აქაც კრედიტორი სრულ მესაკუთრებას იძენს გადაცემულ უფლებაზე, ოღონდ შესაბამისი ვალდებულებით-სამართლებრივი შეზღუდვებით.

ხელშეკრულებას უზრუნველყოფილი ქონების სარგებლობისა და რეალიზაციის შესახებ უზრუნველყოფის შეთანხმება ეწოდება. საქმე პირადი ინტერესების სამართლებრივი ურთიერთობის თვალსაზრისით<sup>3</sup> ეხება ფიდუციარულ (ნდობით) გარიგებას. კრედიტორის სანივთო-სამართლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად სცილდება მის ვალდებულებით-სამართლებრივ უფლებამოსილებას: სანივთო სამართლის თვალსაზრისით ის, როგორც მესაკუთრე, გახლავთ სამართლებრივი მფლობელი ნივთისა ან უფლებისა. ვალდებულებით-სამართლებრივად კი ის ფიდუციარულადაა ვალდებული მოვალის წინაშე, მათ შორის, დადებული უზრუნველყოფითი შეთანხმების საფუძველზე.

კრედიტორს ნივთისა და მოთხოვნის რეალიზაციის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოვალე არ შეასრულებს მასზე ნაკისრ ვალდებულებებს. ამ მომენტამდე მოვალე ინარჩუნებს ნივთით სარგებლობისა და ფლობის უფლებას. გარეგნულად კი რთულად ამოსაცნობია უფლებრივი ცვლილება მოძრავი ნივთებისა და უფლებების გადაცემისას. გადაცემული საკუთრება ემსახურება მხოლოდ მხარეთა შიდა ურთიერთობაში კრედიტორის მხრიდან გადახდის მოთხოვნის უზრუნველყოფას. მას, როგორც წესი, არანაირი ინტერესი არ გააჩნია ნივთის სარგებლობისა თუ ფლობის მიმართ. ხშირ შემთხვევაში ორივე ფაქტორი მხოლოდდამხოლოდ დამამძიმებელი იქნებოდა მისთვის.

უზრუნველყოფის შეთანხმება უზრუნველყოფით ქონებაზე ორივე მხარის უფლება-მოვალეობების შესახებ (ამ სამართლებრივი მდგომ-

---

<sup>3</sup> უზრუნველყოფითი საკუთრების სამართლებრივი ბუნების შესახებ იხ. მხოლოდ პალანდტი ბასენგე, § 9.30, 13. § 903, 35.

მარეობის გადაცემის ჩათვლით) გარიგებასთან ერთად წარმოადგენს დამოუკიდებელ ხელშეკრულებას, საიდანაც გამომდინარეობს უზრუნველსაყოფი მოთხოვნა. ის დამოუკიდებლად მოქმედებს სესხის ხელშეკრულებასთან ერთად. ორივე გარიგება მკაცრად უნდა იქნას გამიჯნული ერთმანეთისაგან, მაშინაც კი, როდესაც ზშირად ღება საერთო დოკუმენტი. გარიგება (რომელსაც თან სდევს საკუთრების გადაცემა, ანუ შეძენის საფუძველი, სსკ 183-ე მ. მე-2 აბზ. ან პრეტენზია 186-ე მ. 1-ლი აბზ. თანახმად) წარმოადგენს უზრუნველყოფის შეთანხმებას და არა უზრუნველსაყოფ მოთხოვნას. ეს განსხვავება ცხადლივი უნდა იყოს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე ეხება ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებების ბათილობის შესაძლო საფუძველების ზემოქმედებას სანიეტო-სამართლებრივ მდგომარეობაზე. ამას დაწვრილებით შევხებით ქვემოთ.

უზრუნველყოფის შეთანხმების დამოუკიდებლობა უზრუნველსაყოფი მოთხოვნისაგან თვალნათლივი ხდება მსგავსი შეთანხმებების დროში განხილვისასაც: ორივე ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ერთდროულად, მაგრამ ეს არ წარმოადგენს აუცილებლობას. უზრუნველყოფითი შეთანხმება შეიძლება მოხდეს ერთ-ერთ უკვე არსებულ მოთხოვნასთან მიმართებაში. თუმცა დასაშვებია და პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათი უკუთანმიმდევრობაც.

გარანტიები შეიძლება წარმოადგენილ იქნეს არა მხოლოდ მოვალის, არამედ მესამე პირის მიერაც. კანონი ცალსახად ითვალისწინებს ამას სსკ 291-ე მუხლით იპოთეკისათვის და 259-ე მუხლის თანახმად გირავნობის უფლებისათვის. საკუთრების უფლების უზრუნველყოფის გადაცემაზე სხვა არც არაფერი ვრცელდება. მსგავს შემთხვევებში ამას ემატება მხარეთა შორის არსებული მესამე სამართლებრივი ურთიერთობაც: მოვალესა და მესამე პირს (ეს უკანასკნელი ასრულებს გარანტიას კრედიტორის მიმართ) შორის, როგორც წესი, არსებობს ვალდებულებითი ურთიერთობა (სსკ 709-ე მუხლის თანახმად); რომლის მიხედვითაც მესამე პირი ვალდებულია მოვალის წინაშე, კრედიტორს წარმოუდგინოს გარანტია. მოვალე კი, თავის მხრივ, ივალდებულებს თავს, გადაუხადოს მესამე პირს შესაბამისი გასამრჯელო (სსკ 710-ე მუხლი) და აუნაზღაუროს მას მისი ხარჯები (სსკ 717-ე მუხლი).

მსგავს შემთხვევებში უნდა განვასხვავოთ შემდეგი სამართლებრივი ურთიერთობები: უზრუნველსაყოფი მოთხოვნა (მაგალითად, სესხი) ეხება მოვალესა და კრედიტორს. მოვალესა და მესამე პირს შორის იდება შეთანხმება გარანტიის წარმოდგენის შესახებ. მესამე პირსა და კრედიტორს კი ეხება თავად უზრუნველყოფითი შეთანხმება გარანტიის წარმოდგენის შესახებ, ასევე მისი რეალიზაცია ან უკან დაბრუნება.

ქვემოთ განვიხილავთ მხოლოდ ორ პირს შორის ურთიერთობას. აქ არსებობს მხოლოდ ორი სამართლებრივი ურთიერთობა: უზრუნველსაყოფი მოთხოვნა და უზრუნველყოფის შეთანხმება. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ჩვენი გამოკვლევის ძირითად მიზანს.

მსგავსი ვალდებულებით-სამართლებრივი უზრუნველყოფითი შეთანხმებები ძირითადად დასაშვებია სსკ 319-ე მუხლის, ანუ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის თანახმად. სულ სხვა საკითხს წარმოადგენს საკუთრების უფლების უზრუნველყოფის გადაცემის სამართლებრივი ინსტიტუტის სანიეთო-სამართლებრივი დასაშვებობა. ეს მართლაც პრობლემატური საკითხია. საკვანძო სიტყვებად ამ ეკვლის საწინააღმდეგოდ შეიძლება გამოდგეს მითითება სანიეთო უფლებების რაოდენობრივ შეზღუდვებზე (numerus clausus). ის, სანიეთო სამართლის ტიპური იძულების მსგავსად, კრძალავს კანონით გაუთვალისწინებელი სანიეთო-სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარებასა თუ “აღმოჩენას”. ასევე იკრძალება მართლწესრიგით გათვალისწინებული სანიეთო სამართლის წინაპირობებისა თუ შინაარსის შეცვლა.<sup>4</sup>

აქვე: ამ საკითხის ირგვლივ წარმოებული ბრძოლები ყოველთვის მთავრდებოდა უზრუნველყოფითი საკუთრების მოწინააღმდეგეთა მარცხით. ამიტომ ამ თემას აღარ შევეხებით.

სამართლიანად საუბრობს ბაური “ქარის წისქვილების წინააღმდეგ ბრძოლაზე”<sup>5</sup>. უზრუნველყოფითი საკუთრების ინსტიტუტის ქომაგებს

<sup>4</sup> იხ. ბაური/შტურნერი, მე-17 გამოცემა, §56. I. 1.

<sup>5</sup> იხ. ბაური, მე-12 გამოცემა, §56. I.2. შექცვლამ მითითებებთან ერთად, ასევე შთაბეჭდავად უწოდეს მისმა მოწინააღმდეგეებმა უზრუნველყოფით საკუთრებას “სამოქალაქო კოდექსის მამულის უკანონო შეილი” ან “ნაპოენი ბავშვის შეილება”. იხ. მხოლოდ გაული, ცვილისტური პრაქტიკის არქივი, 168 (1968). გვ. 351, 357 შექცვლამ მითითებებთან ერთად.



უთუოდ შეუძლიათ არგუმენტად მოიშველიონ ის გარემოება, რომ ინსტიტუტი შეიქმნა მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შენარჩუნების შემოღებით (გერმ. სამ. კოდ. 455-ე მუხლის<sup>6</sup> თანახმად). ეს უკანასკნელი სანივთო უზრუნველყოფის უფლებას მხარეთა შორის არსებული მინდობითი სამართლებრივი ურთიერთობის შეთანხმებასა და უფლების სრულ გადასვლას მოვალეზე მხოლოდ უზრუნველყოფილი მოთხოვნის შესრულების შემდეგ ითვალისწინებს.<sup>7</sup> ამით კანონი განსაზღვრავს უზრუნველყოფის საკუთრების მონათესავე სამართლებრივ ინსტიტუტს.

გერმანიაში მართლმსაჯულება დაემორჩილა საკრედიტო ეკონომიკის მოთხოვნებსა და ძირითადად სცნო უზრუნველყოფის საკუთრება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს გერმანულ სანივთო სამართალში ისევე ნაკლებ თვალსაჩინოდაა გათვალისწინებული, როგორც სსკ. საეჭვოა ის გარემოებაც, ეხება თუ არა საქმე (გერმანიის სამართლებრივი წრეებისათვის) “მოსამართლეთა სამართლებრივ მოღვაწეობას” ან ჩვეულებით სამართალს.<sup>8</sup> სრულებითაც არ არის საჭირო, იყო წინასწარმეტყველი საიმიხოდ, რათა იწინასწარმეტყველო ამ ინსტიტუტის ტრიუმფალური სვლა ქართულ სამართალში. რამდენადაც ეს პროცესი შეუქცევადია გერმანიაში, ისევე შეუძლებელია მისი შეჩერება საქართველოში. ძალზე მაღალია ეკონომიკის მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილებაც არასაკმარისად ხდება კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფითი უფლებებით, განსაკუთრებით კი მოძრავ ნივთებზე, მოთხოვნებსა და უფლებებზე გირავნობის სამართლით, ხოლო იპოთეკით - უძრავ ქონებაზე. ძალზე დამამძიმებელია კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ინსტიტუტის ნაკლოვანებები. ამას მიეკუთვნება, უწინარეს ყოვლისა, შეზღუდვები და გარკვეული სირთულე უზრუნველყოფის ქონების რეალიზაციისას

<sup>6</sup> ამას შეესაბამება 188-ე მუხლი. საქ. სამ. კოდ. ეს ინსტიტუტი სამართლიანადაა სანივთო სამართლით მოწესრიგებული. და არა. მსგავსად გერმანიის სკ-ისა. ვალდებულებითი სამართლით.

<sup>7</sup> შორივი არგუმენტი წარმოადგენს მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის შესაძლებლობას უშუალო მფლობელობის გადაცემის გარეშე. როგორც ეს დასაშვებია სსკ 186-ე მუხლის მე-2 აბზ. თანახმად. ამით კანონი წარმოგიდგენს უზრუნველყოფითი საკუთრების ტექნიკურ წინაპრობებს. ცალკეული შედარებები იხ. სქოლიო 9 (ბილისი).

<sup>8</sup> იხ. მითითებული ბაურთან და შტურმერთან. ჯან. სქოლიო 2. 3.

უზრუნველყოფის შემთხვევაში, ასევე უზრუნველყოფის შემთხვევის დადგომამდე არათანაბრად მოწესრიგებული მფლობელობითი ურთიერთობები და არასასურველი საჯაროობა.”

“ წინამდებარე გამოკვლევის წინა პლანზე დგას უძრავი ქონების გზით უზრუნველყოფის საკითხი და კანონით გათვალისწინებული იპოთეკის ინსტიტუტი. მათი, როგორც უზრუნველყოფითი საშუალების, მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე კრედიტორისა თუ მოვალის კუთხით იხ.3.ა.ა. ამასვე განეკუთვნება უზრუნველყოფის ხშირად არასასურველი საჯაროობა.

მოდრავ ნივთებსა და მოთხოვნებზე გირავნობის უფლებასთან მიმართებაში მოქმედებს შესაბამისი რამ: იპოთეკის მსგავსად (სსკ 289-ე მუხლი), საგირავნო სამართალიც რეგისტრირებულ შეიძლება იქნას საჯარო რეესტრში (სსკ 255-ე მუხლის მე-2 აბზ.), თუკი მხარეები არ გამოიყენებენ უფლებას, მოძრავი ნივთებით ფლობის უფლება გადასცენ გირავნობის კრედიტორს ან გააკეთებენ განაცხადს მოთხოვნის გირავნობის შესახებ მესამე პირის თაობაზე (255-ე მუხლის 1-ლი აბზ.).

მოდრავ ნივთებზე გირავნობის უფლების რეგისტრაციის ამ ალტერნატივას (კრძოდ კი, კრედიტორზე მფლობელობის უფლების გადაცემას), როგორც წესი, საკრედიტო ვარიანტების მონაწილე მხარეებისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს: მოვალეს ესაჭიროება ნივთები სამუშაოდ და მოგების მისაღწევად, ხოლო კრედიტორისათვის ცოტაოდენ დამამძიმებელია შენახვის კანონიერი ვალდებულება (სსკ 261-ე მუხლი). მოთხოვნის გირავნობის შესახებ განაცხადის გაკეთება მესამე მოვალის მიმართ გარკვეული მოსაზრებით ასევე არ წარმოადგენს კარგ გამოსავალს.

გარკვეულ ეჭვს იწვევს საკითხი, შესაძლებელია თუ არა საქართველოში, განსხვავებით გერმანიისაგან (გერმ. სამ. კოდ. §1205-ის 1-ლი აბზ.), მოძრავ ნივთებზე მფლობელობის კონსტიტუტის მინიჭებით გირავნობის უფლების დასაბუთება ფლობის უფლების გადაცემის გარეშე (სსკ 255-ე მუხლის 1-ლი აბზ., 186-ე მუხლის მე-2 აბზ., 155-ე მუხლის მე-1 აბზ.). აღნიშნული დებულებების შესაბამისად ეს შესაძლებელია, მაგრამ პრობლემატურია კანონით გათვალისწინებული საჯაროობის პირობებში (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იხ. ბ-ნ ლალო ჭანტურას სსკ კომენტარის მე-2 ტომი, მუხლი 255, გვ. 200).

ზედმეტ მტკიცებას არ საჭიროებს უზრუნველყოფითი საკუთრება, მიღწეული ი.წ. ფაქტიური მფლობელობითი ურთიერთობის შეთანხმების გზით (სსკ 186-ე მუხლის მე-2 აბზ.), რომლის დროსაც მოვალე ინარჩუნებს ნივთებზე უშუალო ფლობის უფლებას (სსკ 155-ე მუხლის მე-3 აბზ.). ხოლო კრედიტორი კი ამ ნივთების ფაქტიური მფლობელი ხდება. მფლობელობის სახელმძკრეულები მოწესრიგება. ზემოთაღნიშნული ფაქტიური მფლობელობითი ურთიერთობა (რაც კანონის მოთხოვნას წარმოადგენს სსკ 155-ე მუხლის მე-3 აბზ. მიხედვით), არის ზემოთ ნახსენები უზრუნველყოფითი შეთანხმება მოვალესა და კრედიტორს შორის ორივე მხარის უფლება-მოვალეობების დაფიქსირებით, მათ შორის მფლობელობასთან მიმართებაშიც.

უზრუნველყოფითი საკუთრების ინსტიტუტის მომხრეთა მთავარ არგუმენტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საკუთრების გადაცემა ხდება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნის საფუძველზე, ფაქტობრივი მფლობელობითი ურთიერთობის გზითა და უშუალო მფლობელობის უფლების გადაცემის გარეშე (სსკ 186-ე მუხლის მე-2 აბზ., 155-ე მუხლის მე-3 აბზ. მიხედვით). ეს სამართლებრივი ინსტიტუტი მისი ძირითადი არსით კანონითაა გათვალისწინებული და არ ეწინააღმდეგება საწინააღმდეგობითი უფლებების რაოდენობითი შეზღუდვის პრინციპს.

გარკვეული უპირატესობა გააჩნია მოთხოვნებისა და უფლებების უზრუნველყოფით დათმობასაც: თუკი გირავნობისათვის (სსკ 255-ე მუხლის 1-ლი აბზ. მიხედვით) გათვალისწინებულია განრჩევი მესამე მოვალის მიმართ, ან ჩანაწერი რეესტრში, მაშინ უზრუნველყოფითი დათმობა ხდება (სსკ 199-ე მუხლის მე-2 აბზ.) მსალოდღამსოლოდ შეთანხმების საფუძველზე დათმობასა და შემტენს შორის. მესამე მოვალის მონაწილეობა საცვლადებულო არ არის.

საქართველოში ამ საკითხთან არსებულ არც თუ ისე მრავალ პუბლიკაციაში ეს სამართლებრივი ინსტიტუტი შესაბამისადაა აღიარებული.<sup>10</sup>

ზემოთ გამოვლენილი ერთობლიობებით მთავრდება ამ სფეროში გერმანულ და ქართულ სამართალს შორის არსებული პარალელებიც: გერმანიაში უზრუნველყოფის საკუთრება საკრედიტო პრაქტიკაში მთელი მისი გამოხატვით წარმოუდგენელია სამართლებრივი ინსტიტუტის არსებობის გარეშე.<sup>11</sup> ყოველივე ეს პრაქტიკაში შემოიფარგლება მხოლოდ მოძრავი ნივთებით. შეთანხმება უძრავი ქონების საკუთრების უფლების უზრუნველყოფითი გადაცემის შესახებ მართალია არ არის გამორიცხული ან აკრძალული,<sup>12</sup> მაგრამ თითქმის არ გვხვდება გერმანიაში.<sup>13</sup>

## 2. კონკრეტული პრობლემის დასმა: საქართველოში ეს საკითხი

---

<sup>10</sup> ლადო ჭანტურია ზ.ა. სსკ კომენტარის მე-2 ტომში, მუხლი 302, გვ. 300 მსგავს უზრუნველყოფით შეთანხმებებს სამართლებრივ ინსტიტუტად მიიჩნევს, რომელიც ცალსახად უნდა განასხვავდეს იპოთეკისაგან და რომლის დასაშვებობაც გამოძინარეობს სახელმწიკრულებო თავისუფლების პრინციპიდან. იხ. ასევე *Georgian Law Review*, 1999, Fourth Quarter, gv. 97, 118.

<sup>11</sup> ბაური/შტურნერი, §5ნ ამის მიზეზად მიიჩნევენ “გერმანული ეკონომიკის ქვეკაიტილიზაციას”. თუკი ეს სწორია, მაშინ სამართლებრივ ინსტიტუტის გამარჯვების შანსები საქართველოში ძალზე მაღალია.

<sup>12</sup> იხ. და შეადარე პალანდტი/ბასენგე, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, §930, შენიშვნა 22.

<sup>13</sup> პალანდტი/ბასენგე. ეს განპირობებულია იმით, რომ გერმანიაში არ არსებობს ამის მოთხოვნა: იპოთეკისთან ერთად (გერმ. სამ. კოდ. §1113, რომელიც, მსგავსად ქართული სამართლისა, დამოკიდებულია მოთხოვნის წარმოშობაზე და რომლის გადაცემაც შესაძლებელია მხოლოდ მასთან ერთად, იხ. სსკ 288-ე, 295-ე მუხლები) არსებობს საადგილმამულო ვალდებულებითობა გერმ. სამ. კოდ. §1191-ის მიხედვით. მის შინაშეწოდებას მახასიათებელს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ის დამოუკიდებელია მოთხოვნის არსისაგან. ის არ არის დამატებითი. არამედ აბსტრაქტულია და როგორც სესხის მოთხოვნის გარანტია, შეზღუდული სანივთო სამართლის სახით გამოყენებულ შეიძლება იქნას სანივთო სამართლის შესაბამისი უზრუნველყოფითი შეთანხმების გზით. ჩვენ მხოლოდ გაკვირებით თუ შევეხებით იპოთეკისა და გირაუნობის დამოუკიდებელი უფლების ცალკეულ მომენტებსა და მათ შორის არსებულ განსხვავებას. იხ. პალანდტი-ბასენგე, გერმ. სამ. კოდ. §1191, შენიშვნა I, 13.

აღსანიშნავია, რომ კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფითი საშუალების ინსტიტუტის, კერძოდ კი, საადგილმამულო ვალდებულებითობის, ფუნქციონირების გამო გერმანიაში არ არსებობს უძრავ ქონებაზე უზრუნველყოფითი საკუთრების მოთხოვნა.

სხვაგვარადაა მოწესრიგებული. ამის მიზეზებს, დასაშვებობის ფარგლებსა და სამართლებრივი ინსტიტუტის განსაკუთრებულობებს შევეხებით უფრო დაწვრილებით. უზრუნველყოფის საკუთრების დასაშვებ სამართლებრივ ინსტიტუტად პრინციპული აღიარება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პრაქტიკაში გავრცელებული შეთანხმებები ნამდვილია.

ძირითადში საქმე ეხება საკმაოდ გავრცელებულ შემთხვევას: კრედიტის მიძღვებასა და კრედიტის გამცემს (მაგალითად, ბანკს) შორის, როგორც წესი, იდება სესხის ხელშეკრულება (სსკ 623-ე მუხლის თანახმად). მსესხებელი გახლავთ უძრავი ქონების მესაკუთრე, მაგალითად, საცხოვრებელი ბინისა, სადაც ცხოვრობს ან თავად, ან მისი ოჯახი. ამ ბინით უნდა იქნას უზრუნველყოფილი გამსესხებლისათვის სესხის დაბრუნების მოთხოვნა. კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს იპოთეკა (სსკ 286-ე მუხლის თანახმად). გარკვეული მიზეზების გამო (რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ) მხარეები უარს აცხადებენ მოვალის მიერ უძრავ ქონებაზე გირავნობის უფლების დაწესებაზე კრედიტორის სასარგებლოდ.

ამის მაგივრად იდება შეთანხმება, რომლის თანახმადაც კრედიტორი უძრავი ქონების მესაკუთრე უნდა გახდეს. მისი შესაბამისი რეგისტრაცია სსკ 183-ე მუხლის თანახმად ხდება საჯარო რეესტრში. საკუთრების გადასვლასთან დაკავშირებული შეთანხმების ცალკეული დეტალები დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე. შეძენის საფუძველად (სსკ 183-ე მუხლის მე-2 აბზ. თანახმად) ნოტარიულ აქტში<sup>14</sup> ხშირად ხდება „ნასყიდობის ხელშეკრულების“ მითითება. სესხის ხელშეკრულებას, როგორც წესი, არც კი იხსენიებენ. იმ გრაფაში, სადაც აღნიშნული უნდა იყოს ყიდვის საფასური, ხდება მითითება სესხის ვალუტისა. ნოტარიულ აქტში, როგორც წესი, არ ხდება იმის დაფიქსირება, თუ როდის და რა წინაპირობების საფუძველზე უნდა დაუბრუნდეს მოვალეს მისი საკუთრება.

ფაქტობრივი სამართლებრივი ურთიერთობების დაფარვის მიზნით, არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც „მყიდველად“ და მესაკუთრედ მოგვევლინება არა თავად კრედიტორი ბანკი, არამედ მისი

<sup>14</sup> ფორმების აუცილებლობის შესახებ. იხ. სსკ მუხლი 183, 323. ასევე ქვემოთ 3. ბ. გვ.

ნდობით აღჭურვილი პირი, კერძოდ კი ბანკის პასუხისმგებელი თანამშრომელი.

ამ სიტუაციაში შესაძლებელია სხვადასხვა ვარიანტის მოფიქრება. ერთი რამ ცხადია, რომ სინამდვილეში ბანკის, მისი ნდობით აღჭურვილი პირისა თუ ცრუმაგიერი პირის ინტერესებში შედის არა ყიდვა ან საკუთრების ხანგრძლივი დროით შექმნა, არამედ ის, რომ გარიგება, უწინარეს ყოვლისა, უნდა ემსახუროდეს სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფას. ბანკი და კრედიტის მიმღები ცალსახად თანხმდებიან იმაზე, რომ ეს უკანასკნელი დაუყოვნებლივ უკან მიიღებს მის კუთვნილ ქონებას, როგორც კი სრულად და დროულად უკან გადაიხდის გატანილ კრედიტს (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ცალკეული ასპექტები მრავალმხრივი და ცვალებადია). მაგალითად, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საკუთრების გადაცემა ბანკზე უნდა ხდებოდეს არა დაუყოვნებლივ, არამედ ოდნავ მოგვიანებით. თუმცაღა წინაპირობების, განსაკუთრებით კი მოვალის მიერ სესხის გადახდის გაცხადების გათვალისწინება, შეიძლება მოხდეს ნოტარიული წესით ხელშეკრულებაში. შეიძლება ამ წესის შეგვირება ბანკის სასარგებლოდ, მაგალითად, ნოტარიული წესით დამოწმებული მინდობილობით, რომელიც საშუალებას მისცემდა ბანკს (სსკ 114-ე მუხლში არსებული შეზღუდვებისაგან გათავისუფლებით) მოვალის მონაწილეობის გარეშე მარტოს, მისთვის სასურველ დროს განეხორციელებინა საკუთრების გადატანა.

დასაშვები და სასურველია (სამწუხაროდ, იშვიათი) ისეთი სახის გარიგებები, როდესაც მხარეები უარს აცხადებენ „ნასყიდობის ხელშეკრულებაზე“ და ხდება დაფიქსირება იმისა, თუ სინამდვილეში რა სურთ მხარეებს: მოვალისაგან უძრავ ქონებაზე საკუთრების ნდობითი გადაცემა კრედიტორზე სესხის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად და ორმხრივ უფლება-მოვალეობათა ცალსახა დაფიქსირებით. აქ საქმე ზემოთ აღწერილი შემთხვევების მსგავსად ეხება უზრუნველყოფით შეთანხმებას.<sup>15</sup>

3. უძრავი ქონების უზრუნველყოფის საკუთრების შეფასება და სამართლებრივი მოქმედება: რატომ გამოიყენება საკრედიტო ეკონო-

---

<sup>15</sup> იხ. და შეადარე ზემოთ 1.

მიკაში ეს მანევრები და რა აზრი უნდა გაგვაჩნდეს მსგავსი შეთანხმებების მოქმედებაზე?

ა) პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან მარტივია.

კანონით გათვალისწინებულ იპოთეკის უზრუნველყოფით საშუალებას მრავალი ნაკლოვანება მოაქვს კრედიტორისათვის.

იპოთეკა ძალზე რთულია რეალიზაციის კუთხით და მოვალეს კრედიტორისათვის არასასურველ მრავალ დამცავ საშუალებას ანიჭებს.

აა) იპოთეკის რეალიზაცია ხდება სსკ მე-300 მუხლის თანახმად, კერძოდ კი, საჯარო აუქციონის საშუალებით (სსკ 301-ე მუხლი). ამასთან, გარკვეული დამცავი დებულებების შესრულება უნდა მოხდეს მოვალის სასარგებლოდ. უწინარეს ყოვლისა, უნდა მოხდეს ობიექტის ღირებულების შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ (სსკ 301-ე მუხლის 1-ლი აბზ. და 306-ე მუხლის თანახმად). თუ პირველ აუქციონზე არ იქნება შემოთავაზებული ისეთი წინადადება, რომელიც აღწევს შეფასებული ნივთის ღირებულების 70%-ს, მაშინ აუქციონი ტარდება ხელმეორედ (სსკ 306-ე მუხლის შესაბამისად). ეს შემდგომშიც დასაშვებია, მხოლოდ შეზღუდვებით.

ბბ) გარდა ამისა, მოვალეს უფლება აქვს (სსკ 304-ე მუხლის მე-2 აბზ.) გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში მოითხოვოს აუქციონის შეჩერება, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმის პერსპექტივა, რომ ის უახლოესი 6 თვის განმავლობაში შესძლებს აღნიშნული ვალის სხვა სახით დაფარვას. იგივე გამოიყენება მაშინაც (სსკ 304-ე მუხლის მე-2 აბზ. მე-2 ფრაზის თანახმად), როცა მესაკუთრის პირადი და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, გამართლებულია იძულებითი აუქციონის დროებითი შეჩერება.

გგ) ამასთან, მოვალე უფლებამოსილია (სსკ 303-ე მუხლის მე-2 აბზ. თანახმად) აუქციონის შემდეგაც მდგმურის უფლებით გააგრძელოს იმ ბინით სარგებლობა, რომელიც მანამდე მის ან მისი ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა. ის განსაკუთრებით დაცულია (სსკ 559-ე მუხლის თანახმად) ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის საშიშროებისაგან. მსგავსი დამცავი ნორმების არსებობა ბევრად უფრო ართულებს მოვალის სარგებლობაში მყოფი უძრავი ქონების აუქციონზე გაყიდვას. დაინტერესებულ პირთა რაოდენობა გასაგები

მიზეზების გამო ბევრად უფრო შეზღუდულია გაქირავებული ბინის მიმართ. ვიდრე იმ უძრავ ქონებასთან მიმართებაში, რომლის გამოყენებაც შემძენს მაშინვე შეუძლია თავისი მიზნებისათვის.<sup>16</sup>

ამგვარად, აუქციონის დროს დაბალი იქნება შემოთავაზებებიც. ყველა ეს პრობლემა კიდევ უფრო მძაფრდება იმ შემთხვევაში, თუკი მოვალესთან ერთად ბინაში რჩება მდგმური. ამ უკანასკნელის ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც წესი, არც თუ ისე სახარბიელოა, როგორც ამას ზემოთ ცხადყოფს ნიეთის იძულებითი რეალიზაციის აუცილებლობა. საქართველოში არსებული მაღალი (გერმანიასთან შედარებით) საპროცენტო გადასახადებიც კიდევ უფრო ამწვავებენ ამ პრობლემას.

დ) ამასთან, უძრავი ქონების საჯარო აუქციონი ხარჯებთანაა დაკავშირებული. რომელთა დაფარვაც ხდება მიღებული შემოსავლიდან (სსკ 308-ე მუხლი), ესეც თავისებურად უმცირებს კრედიტორს მოსალოდნელ თანხას და მხოლოდ ნაწილობრივ თუ აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს (სსკ 308-ე მუხლის მე-2 აბზ.).

ე) შეთანხმება, რომლის თანახმადაც იპოთეკის კრედიტორმა მოვალის მიერ გადახდის დაგვიანებისას უძრავ ქონებაზე საკუთრება უნდა შეიძინოს, ერთმნიშვნელოვნად უმოქმედოა იპოთეკურ სამართალში. ამით ნაწილობრივ მაინც იქნებოდა შესაძლებელი კრედიტორის მოთხოვნათა შეზღუდვის თავიდან აცილება (სსკ 302-ე მუხლის თანახმად).

შედეგი: ამ შეზღუდვების შედეგად სავსებით წარმოსადგენი და დასაშვებია ის გარემოება, რომ საკრედიტო ეკონომიკაში ბოლო დრომდე იპოთეკის მიმართ მხოლოდ ზომიერი ინტერესი არსებობდა. აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად საჭიროა გამოსავლის მოძებნა.

ბ) უძრავი ქონების უზრუნველყოფის საკუთრება წარმოადგენს არჩევანის იდეალურ საშუალებას:

ბანკი საკუთრების სრულყოფილი შექმნით მისი რეალიზაციისას შემოიფარგლება მხოლოდამხოლოდ მოვალესთან არსებული შესაბამისი შეთანხმებებით. ეს შეზღუდვები მოქმედებს მხოლოდ ვალდე-

---

<sup>16</sup> იხ. ლადო ჭანტურია, *Georgian Law Review* (სქოლიო 10), გვ. 119.

ბულებით-სამართლებრივად მოვალის მიმართ შიდა ურთიერთობაში, ე.ი. შედარებით და, არა როგორც სანიეთო სამართალში, შეუზღუდავად. ამ პირობების გამოყენება ბანკის ხელშია, მასვე შეუძლია კრედიტის გაცემა იმაზე დამოკიდებული გახადოს, გაითვალისწინებს თუ არა მოვალე მის მოთხოვნებს.

არც ისე სახარბიელოა კრედიტორის მდგომარეობა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ამას ხვდებიან ბანკებიც, ამიტომაც ცდილობენ ისინი, გაასაიდუმლონ უზრუნველყოფის გადაცემის ჭეშმარიტი მიზეზი და საკუთრების შეძენის საფუძვლად მიუთითონ ნასყიდობის ხელშეკრულება. ეს “სინდისის ქენჯნა” გამართლებულია, ხოლო კამუფლაჟი კი დამშვიდების ერთგვარი მცდარი გზაა. მსგავსი შინაარსის უზრუნველყოფის მოჩვენებითი შეთანხმებები შეიძლება სხვადასხვა მოსაზრებით ბათილი ან უმოქმედო იყოს. ხშირ შემთხვევაში ისინი გარკვეული მიზეზებისდა გამო პრაქტიკულად მართლაც არ მოქმედებენ.

გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, სადაც ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების ბათილობა აბსტრაქტულობის პრინციპის<sup>17</sup> საფუძველზე უცვლელად ტოვებს სანიეთო უფლებას, საქართველოში ვალდებულებით-სამართლებრივი შეთანხმების ბათილობა უშუალოდ იწვევს სანიეთო უფლების ბათილობასაც. სხვაგვარად: ძალადაკარგულობის ერთ-ერთი მიზეზის არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს მხარეთა შორის უზრუნველყოფით შეთანხმებასთან მიმართებაში არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების ბათილობაც. სსკ 62-ე მუხლში აღწერილი უზრუნველყოფის შეთანხმების ბათილობის მიზეზები შეიძლება შეეხონ ერთდროულად გაფორმებულ სესხის ხელშეკრულებასაც (სსკ 623-ე მუხლის თანახმად).<sup>18</sup> პირველ რიგში, ბანკი არასაკმარისად მოქმედი შეთანხმების

<sup>17</sup> მკაცრად უნდა განვასხვავოთ ვალდებულებით-სამართლებრივი და სანიეთო გარიგებები. მაგ. პალანტი/ბასენგე. შესავალი გერმ. სამ. კოდ. §854-ამდე, მინდვრის შენიშნა 16.

<sup>18</sup> ამ ორი ხელშეკრულების განსასხვავებლად იხ. ზემოთ, I. - სხვადასხვა ხელშეკრულებათა არსებობის შეიძლებაშიც ერთ-ერთი ხელშეკრულების ძალადაკარგულობამ შეიძლება გამოიწვიოს მეორე ხელშეკრულების ბათილობა, იმ შემთხვევაში, თუკი ორივე ხელშეკრულებას შორის არსებობს უშუალო შინაგანი ურთიერთკავშირი. ფართო გამოყენებისა სსკ 62-ე მუხლი, რომლის წინაპირობაცაა ერთობლივი ხელშეკრულების არსებობა (სსკ მე-5 მუხლი).



გამო (სსკ 183-ე მუხლის მიხედვით) ვერ იძენს სასურველ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. ამგვარად, რეესტრის ჩანაწერი, რომელიც ცხადყოფს კრედიტორის მესაკუთრეობას, ასეთ შემთხვევაში მცდარია და შესაძლებელია შეიცვალოს მოვალის სასარგებლოდ მისივე განცხადების საფუძველზე (სსკ 313-ე მუხლი).

ფაქტიურად, კრედიტორი ცარიელზე რჩება<sup>19</sup> და ბევრად უფრო არასახარბიელო მდგომარეობაში ვარდება. ამიტომ უმჯობესია გამოეყენებინა იპოთეკის უზრუნველყოფის კანონიერი საშუალება. ეს მართლაც დამაფიქრებელია ბანკებისთვისაც, რომელნიც სამომავლოდ ნამდვილად სერიოზულად უნდა მიუდგენენ ამ პრობლემას და ისეთი გარანტიები მოითხოვონ, რომელთაც სასამართლოში მეტი მტკიცებულებითი ძალა ექნებათ.

ა) ძირითადად უნდა მოხდეს უძრავ ქონებაზე უზრუნველყოფის საკუთრების სამართლებრივ ინსტიტუტად აღიარება. აქვე მსურს მიუთითოთ ზემოთხსენებულ განმარტებებსა<sup>20</sup> და ციტირებულ პოზიციებზე ჭანტურიას წიგნიდან.<sup>21</sup>

ბ) უზრუნველყოფითი საკუთრების ღია შეთანხმება (სსკ 56-ე მუხლის 1-ლი აბზ.) იმიტომ კი არ არის ბათილი, რომ მხარეებს სერიოზულად არ სურთ ეს შეთანხმება, არამედ იმიტომ, რომ მათ სინამდვილეში სულ სხვა, თვალთმაქცური გარიგება აქვთ განზრახული (სსკ 56-ე მუხლის მე-2 აბზ.), განსაკუთრებით კი – იპოთეკა. აქაც შეიძლება მიუთითოთ ბ-ნი ლადო ჭანტურიას ნაშრომზე, რომელიც

<sup>19</sup> რა თქმა უნდა, ბანკისათვის ყველაფერი როდია დაკარგული. ამიტომ მან საბოლოოდ უარი არ უნდა განაცხადოს მოვალისაგან გატანილი სესხის უკან გადახდის მოთხოვნაზე. მას დაუსაბუთებელი გამდიდრების გამო პრეტენზია აქვს მოვალის მიმართ (სსკ 976-ე მუხლის 1-ლი აბზ. ა.) სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შესრულებული ქმედების, კერძოდ კი, სესხის ხელშეკრულების ბათილობის გამო. კანონის ეს მოთხოვნა გარკვეულწილად სახელშეკრულებო მოთხოვნაზე “უფრო სუსტია”. ცალკეულ დეტალებს აქ ვეღარ შევხებით. აქვე მსურს მიუთითოთ კეთილსინდისიერი მოვალის მხრიდან უკან გადახდის შეზღუდულ ვალდებულებაზე (სსკ 979-ე მუხლი) და ვალის გაპროცენტების პრობლემაზე, რომელიც სსკ 981-ე მუხლის მე-2 აბზ. მე-2 ფრაზის მიხედვით ვრცელდება მხოლოდ არაკეთილსინდისიერ მოვალეზე. ყველაზე დამამძიმებელი კი მაინც ის გარემოება გახლავთ, რომ კრედიტორი ამ კანონიერი მოთხოვნისათვის არანაირ სანიუთო გარანტიებს არ იძენს.

<sup>20</sup> იხ. ზემოთ, 1.

<sup>21</sup> იხ. ზემოთ, სქოლიო 10.

თვალნათლივ ამტკიცებს, რომ მხარეებს არა იპოთეკა სურთ, არამედ რაღაც სხვა შეთანხმება, კერძოდ კი უზრუნველყოფის საკუთრება.<sup>22</sup> ამდენად, მსგავსი შეთანხმების წინააღმდეგ არ არსებობს მოქმედების შემაფერხებელი გარემოებები.

გგ) ეს პუნქტი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები გახსნილად თანხმდებიან უზრუნველყოფის შეთანხმებაზე. ხოლო თუკი მხარეები გარკვეული მოსაზრებით განიზრახავენ სხვა გარიგების, განსაკუთრებით კი ნასყიდობის ხელშეკრულების “გათამაშებას”, მაშინ ამოქმედდება მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგების შესახებ პრინციპები (სსკ 56-ე მუხლის 1-ლი და მე-2 აბზ. მიხედვით).

მოჩვენებით დადებული „ნასყიდობის ხელშეკრულება“ ბათილია (სსკ 56-ე მუხლის 1-ლი აბზ.), ვინაიდან არ არსებობს სერიოზული განზრახვა. ამასთან, ყოველივე არ არის დამოკიდებული იმაზე, სურთ თუ არა მხარეებს საკუთრების გადატანა ბანკზე. ამგვარად, ადგილი არა აქვს სერიოზულ განზრახვას ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ (სსკ 477-ე მუხლი). მიიღწევა უფრო მეტად უზრუნველყოფილი შეთანხმება მოვალისათვის სესხის უკან გადახდამდე სარგებლობის უფლების შენარჩუნებით, ხოლო სესხის გადახდის შემდეგ – საკუთრების უკან შექმნის უფლებით. თუკი ეს ყოველივე არ არის აღნიშნული ხელშეკრულებაში, მაშინ დოკუმენტი არასრულყოფილია და ბათილიც (სსკ 56-ე მუხლის 1-ლი აბზ, სსკ 323-ე და 59-ე მუხლის 1-ლი აბზ.).

შეფასება იმ უზრუნველყოფის შეთანხმებისა, რომელიც სინამდვილეში სურთ მხარეებს, შესაძლებელია სსკ 56-ე მუხლის მე-2 აბზ. მიხედვით. ვინაიდან ეს შეთანხმება ვრცელდება მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემაზე, ამ მართლაც ჭეშმარიტ გარიგებაზე (სსკ 56-ე მუხლის მე-2 აბზ.) ვრცელდება შესაბამისი ნორმები (სსკ 323-ე მუხლი). შემდეგ ხდება ხელშეკრულების ნოტარიული წესით გაფორმება. მართალია, არსებობს ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულება (იგულისხმება სსკ 323-ე მუხლი), მაგრამ, რაღა თქმა უნდა, აუცილებელია სინამდვილეში სასურველი ხელშეკრულების და არა რაღაც შეთანხმების (და არა მოჩვენებითი „ნასყიდობის

<sup>22</sup> იხ. სქოლიო 10.

ხელშეკრულების”) სრულყოფილი გაფორმება. ეს უკანასკნელი, როგორც უკვე ითქვა, ბათილია (სსკ 56-ე მუხლის 1-ლი აბზ.), ხოლო სინამდვილეში სასურველი უზრუნველყოფითი ხელშეკრულება ძალადაკარგულია ნაკლულად ნოტარიულად გაფორმებისდა გამო (სსკ 56-ე მუხლის მე-2 აბზ, 323-ე, 59-ე მუხლის 1-ლი აბზ, 69-ე მუხლის მე-3 აბზ.). ამ შეთანხმების ბათილობა იწვევს კრედიტორზე მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების გადაცემის ბათილობასაც.<sup>23</sup> რეესტრში ჩანაწერიც ამგვარად უზუსტია.

დღ) საკუთრების უფლების გადაცემის ამგვარი ბათილობა საქართველოში – განსხვავებით გერმანული სამართლისაგან – საბოლოოა და უცვლელი. გერმანიაში აბსტრაქციულობის პრინციპის<sup>24</sup> არსებობის საფუძველზე ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების შესაძლო ნაკლულობის გამო მაინც უცვლელი რჩება საკუთრების უფლების სანიეთო-სამართლებრივი გადაცემის მოქმედება. პირიქით კი, სანიეთო უფლების შესახებ რეესტრის ჩანაწერის (გერმ. სამ. კოდ. §311 ბ 1-ლი აბზ.) საშუალებით შესაძლებელია ძირითადი ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების ფორმის ნაკლის გამოსწორება. უფლების გადაცემის რეგისტრაციით ხდება იმ ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების ამოქმედება, რომელიც ფორმის დაუცველობის გამო თავდაპირველად ბათილი იყო.<sup>25</sup>

საქართველოში გვაკლია ასეთი დებულება: ფორმის შესახებ ნორმების დარღვევით დადებული გარიგება ბათილია, ხოლო განურჩევლად სანიეთო სამართლის რეესტრში რეგისტრაციისა, რეესტრში ჩანაწერი არის და რჩება არასწორი.

ეე) ამ კონტექსტში პრობლემატურია მტკიცებულებათა მდგომარეობა: ბანკს, ერთის მხრივ, გააჩნია ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულება, რომელსაც შეუძლია დაეყრდნოს, როგორც “ნასყიდობის ხელშეკრულებას”, ხოლო, მეორეს მხრივ, აქვს ჩანაწერი რეესტრში. ეს უკანასკნელი (სსკ 312-ე მუხლის I აბზ.) წარმოადგენს უტყუარობის პრეზუმფციასა და გარანტიას კრედიტორისთვის სანიეთო

<sup>23</sup> იხ. ზემოთ. 3. ბ). აა).

<sup>24</sup> იხ. ზემოთ. სქოლიო: 17.

<sup>25</sup> გარიგების ნამდვილობა რეგისტრაციის შედეგად მოიცავს მხოლოდ გარიგების ფორმის ნაკლოვანებებს. გარიგების სხვა ხარვეზოა აღმოფხვრა და ამოქმედება ვერ ხდება.

სამართლის არსებობისა. ამდენად, მოვალემ უნდა დაამტკიცოს, რომ მხარეთა შორის სინამდვილეში გაფორმებულია არა ნასყიდობის ხელშეკრულება, არამედ უზრუნველყოფითი შეთანხმების ხასიათის მქონე სესხის ხელშეკრულება (და ამით, ფაქტიურად, საქმე გვაქვს მოჩვენებით გარიგებასთან).<sup>26</sup> ამის მტკიცებისას მას შესაძლოა დაეხმაროს ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, როგორებიცაა, პირველ რიგში, სიმრავლე სასამართლოში განსახილველი მსგავსი შემთხვევებისა, ასევე შემდგომი სამხილების არსებობა. ამას ემატება მოვალის მიერ შესაძლო საპროცენტო გადასახადების დაფარვა, რომლებიც დამახასიათებელია უფრო მეტად სესხის ხელშეკრულებისათვის და არა ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის. ეს განსაკუთრებით საფრთხილოა იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი ცდილობს, სესხის გაცემა შენიღბოს “ყიდვის საფასურის გადახდად”. სინამდვილეში დადებულ უზრუნველყოფით გარიგებასთან მიმართებაში გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, როდესაც მოვალე ბანკის მიერ უძრავი ქონების “ყიდვის” შემდეგ გაურკვეველი დროით რჩება ბინაში (ხშირ შემთხვევებში კი ქირის გადახდის გარეშე), ხოლო ბანკი მისგან ბინის გამოთავისუფლებას ითხოვს მას შემდეგ, რაც იგი გადააცილებს სესხის ვალდებულებით გადახდას. მესამე პირის, განსაკუთრებით კი ბანკის ცრუმავიერი პირის, ჩართვა კი არ ართულებს ამის დამტკიცებას, არამედ გაუმჭვირვალე სამართლებრივი ურთიერთობები ხშირად ქმნიან ვარაუდის არსებობის საფუძველს, რომ დადებულია მოჩვენებითი გარიგება.

ვვ) შუალედური შედეგი: მხარეები, განსაკუთრებით კი კრედიტორის როლში მოვლენილი ბანკები, მსგავსი სახის მარტივად გასამიფრთხილო მოჩვენებითი გარიგებებით საფრთხის ქვეშ აყენებენ სასურველ გარანტიებსა და უზრუნველყოფილი სესხების უკან გადახდის ფაქტს. ამიტომ კურჩევდით მათ, დადონ ისეთი სახის ხელშეკრულებები, რომელთაც მტკიცებულებითი ძალა გააჩნიათ სასამართლოში და ამით დაიცვან თავისი ბანკის კანონიერი და უზრუნველყოფის ინტერესები.

ზზ) ნამდვილად რეკომენდირებულია, რომ მოხდეს მხარეთა შორის

<sup>26</sup> მტკიცებულებითი ტერიტორიისათვის იხ. და შეადარე სსსკ 102-ე მუხლი.

უზრუნველყოფის შეთანხმების გახსნილად დაფიქსირება (სინამდვილეში სასურველ სესხის ხელშეკრულებასთან მიმართებაში). ასევე ორივე მხარის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი უზრუნველყოფის პრეცედენტის დადგომის შემთხვევაში. აქაც უნდა იქნას გათვალისწინებული გარკვეული პრინციპები, რომელთა დარღვევაც იწვევს უზრუნველყოფითი შეთანხმების არასასურველ ბათილობას.

(1) განსაკუთრებით პრობლემატურია შეთანხმება ვადის გადაცილების შესახებ, რომლის თანახმადაც კრედიტორი (ბანკი) საბოლოოდ იძენს ან ინარჩუნებს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ შეასრულებს მასზე სესხის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ეს განსაკუთრებით პრობლემატურია მაშინ, როდესაც არ არის გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ღირებულების სესხის დარჩენილ მოთხოვნაზე მითვლა და როდესაც მოვალე უსიტყვოდ კარგავს მის საკუთრებას. მსგავსი შეთანხმებების შეფასებისას მნიშვნელობა არა აქვს, გადაეცემა თუ არა საკუთრება ბანკს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე იგვიანებს ვადის გადახდას. შესაძლოა, იყოს პირიქითაც, რომ მხარეთა შეთანხმებით საკუთრება გადაეცეს ბანკს და დაუბრუნდეს მოვალეს მხოლოდ სესხის დაფარვის შემდეგ. ორივე შესაძლებლობა ერთი და იგივე ფუნქციის მატარებელია და მათი სამართლებრივი შეფასება (დასაშვებობის თვალსაზრისით) იდენტურად უნდა მოხდეს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოში ძალზე მიღებულია ისეთი მიდგომა, რომ ბანკი საკუთრებას იძენს წინასწარ და საკუთრების დაბრუნება ხდება მხოლოდ მოვალის მიერ ვალდებულებების სრული შესრულების შემდეგ. ეს მიდგომა უფრო დამამძიმებელია მოვალისათვის, ვიდრე მეორე შესაძლებელი ვარიანტი, რომლის დროსაც ბანკი მხოლოდ გადახდის დაყოვნების შემთხვევაში იძენს მოვალის საკუთრებას. დიდი რაოდენობით ეჭვი შეთანხმების მოქმედების საწინააღმდეგოდ არსებობს პირველი დასახელებული მიდგომისას.

(2) ნაკლებად პრობლემატურია ქართულ სამართალში პირობითი გარიგებების შეთანხმება (სსკ 90-ე მუხლი) უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემისა ან ამ უფლების უკან დაბრუნებასთან

მიმართებაში. შეთანხმების მოქმედებისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, შეთანხმებიან თუ არა მხარეები ვალდებულებით-სამართლებრივი მოვალეობის მხოლოდ საკუთრების უფლების გადაცემაზე, თუ საკუთრების გადაცემას დამოკიდებულს გახდიან გარკვეულ პირობებზე. განსხვავებით გერმანული სამართლისაგან (გერმ. სამ. კოდ. §9 25 აბზ. II), რომელიც კრძალავს მიწის ნაკვეთების პირრბით გადაცემას, სსკ-ში არ არსებობს შესაბამისი ნორმა. აქედან გამომდინარე, არ არსებობს არანაირი ეჭვი იმის წინააღმდეგ, რომ კრედიტორზე საკუთრების უფლების გადაცემა ან მოვალისათვის უკან დაბრუნება დამოკიდებული გავხადოთ პირობაზე, შეასრულებს თუ არა მოვალე თავის ვალდებულებებს.

(3) განსაკუთრებით პრობლემატურია ე.წ. ტექნიკური საკითხი, საერთოდ დასაშვებია თუ არა მოთხოვნათა უზრუნველყოფა, ანუ როდესაც მოვალე საბოლოოდ კარგავს თავის საკუთრებას (და მისი ახალი მესაკუთრე ხდება კრედიტორი), თუკი ის ზუსტად და დროულად ვერ შეასრულებს მასზე ნაკისრ ვალდებულებებს. იპოთეკურ სამართალსა და მოძრავ ნივთებზე გირავნობის უფლებასთან მიმართებაში სსკ-ში გერმანულ სამოქალაქო სამართალთან<sup>27</sup> ურთიერთშეჯერებით მიღებულია ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: სსკ 302-ე მუხლის II აბზ. იპოთეკისათვის და 273-ე მუხლი გირავნობის სამართლისათვის კრძალავს მსგავს შეთანხმებებს და ბათილად მიიჩნევს მათ.

ორი რამ თვალნათლივია: ერთის მხრივ, ეს ნორმები ვრცელდება მხოლოდ წინასწარ დადებულ შეთანხმებებზე, ანუ იპოთეკურად ან გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე. გერმანულ სამართალში ეს აღნიშნული ნორმებითაა მოწესრიგებული, ხოლო ქართულ სამართალში ნორმების, პირველ რიგში კი, მათი აზრისა და მიზნის შესაბამისად სხვა არაფერი მოქმედებს. ლადო ჭანტურია<sup>28</sup> აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფის პრეცედენტის დადგომის შემთხვევაში შეთანხმება მოვალესა

<sup>27</sup> იხ. და შეადარე გერმ. სამ. კოდ. §§1149, 1229.

<sup>28</sup> იხ. და შეადარე სქოლიო 10. ასევე გაულისც (სქოლიო 5.) მიუთითებს (გვ. 374) გერმანული სამართლის საფუძველზე, რომ ვადის დაწესების შესახებ დამატებითი შეთანხმება უპრებლოდ ხდება.

და კრედიტორს შორის უძრავი ქონების საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ (ცხადია, ვალების მითვლით) დასაშვები უნდა იყოს სასამართლო მორიგების ფარგლებში. ეს მეთოდი შესაძლოა ჩაენაცვლოს იძულებითი აუქციონის გზით ნივთის კანონით გათვალისწინებულ რეალიზაციას. მეორეს მხრივ, როდესაც სსკ 302-ე და 273-ე მუხლებში საუბარია კრედიტორსა და მოვალეზე, იგულისხმება იპოთეკისა და გირავნობის კრედიტორი და მოვალე. ეს საკითხი (რომელიც უდავოა გერმანული სასამართლისათვის) ირკვევა განმარტებებისა და ნორმების შესაბამისი სისტემატიზაციის გზით.<sup>29</sup> ეს ნორმები არაპირდაპირ მოქმედებს მსგავსი სახის შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს იპოთეკა და გირავნობის უფლება კრედიტორის სასარგებლოდ, არამედ ადგილი აქვს საკუთრების უფლების უზრუნველყოფის გადაცემას. გაუცემელი დარჩა პასუხი კითხვაზე, უნდა იქნას თუ არა სსკ მე-5 მუხლის ნორმები გამოყენებული ანალოგიით.

ეს პრობლემატიკა გერმანიაში უწინდელივით ძალზე საკამათოა. ეს დავა არსებობდა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომაელ იურისტებს შორის. ლეხ ცომმისსარია ანუ შეთანხმება, რომლის თანახმადაც გირავნობის კრედიტორის საკუთრებაში საბოლოოდ გადადის გირავნობის ობიექტი (იმ შემთხვევაში, როცა მოვალე ვერ იხდის დათქმულ დროს), 320 წელს კონსტანტინეს ედიქტით ბათილად იქნა გამოცხადებული.<sup>30</sup> ამას საფუძვლად დაედო მოვალის ინტერესების დაცვა, რომელიც ხშირ შემთხვევაში გაჭირვებისა და გამოუცდელობის გამო დაუფიქრებლად მოქმედებდა. ამ ედიქტის გამოცემის მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ მოვალის საკუთრება ასე მარტივად არ გადასცემოდა კრედიტორს. გერმანიაში სამოქალაქო კოდექსის მიღებისთანავე ეს საკითხი ისევ ამოტივტივდა და კონსულტაციების შედეგად მიღებულ იქნა ზემოთ აღნიშნული წესები.<sup>31</sup>

გერმანიაში დღემდე ძალზედ საკამათოა საკითხი, უნდა მოხდეს თუ არა ამ ნორმების შესაბამისი გამოყენება უზრუნველყოფის საკუთ-

<sup>29</sup> იხ. და შედარე თიდკე. *Zeitschrift für Wirtschaftsrecht*. 1996. 57 ასევე გაული (სქოლიო 5. გვ. 368).

<sup>30</sup> იხ. და შედარე თიდკეს მტკიცებულებანი (სქოლიო 29)

<sup>31</sup> იხ. და შედარე გაულის დაწერილებითი აღწერა (სქოლიო 5.)

რებასთან მიმართებაში. კანონი სდუმს ამ საკითხთან მიმართებაში, რაც მოასწავებს, რომ ორი მიდგომიდან არც ერთს ანიჭებს უპირატესობას. კანონმდებელმა კი დღემდე ვერ შესძლო (ვერც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიღებისას და ვერც ამის შემდგომ) უზრუნველყოფის საკუთრების საკითხის მოგვარება. ეს ინსტიტუტი დღევანდელი ფორმით განვითარდა შემდგომში სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული ლიტერატურის წყალობით.<sup>32</sup> ვინაიდან ეს საკითხი კანონის თვალსაზრისით დღემდე არ არის სრულყოფილად მოწესრიგებული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კანონი არ ეწინააღმდეგება აღნიშნული სადავო ნორმების შესაბამის გამოყენებას.

გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლო მისი კრიტიკის ქარცეცხლში არაერთგზის გახვეული გადაწყვეტილებით წინააღმდეგი წავიდა ხსენებული ნორმების ანალოგიით გამოყენებისა უზრუნველყოფის საკუთრების შემთხვევებთან მიმართებაში.<sup>33</sup> მან აღნიშნული გადაწყვეტილებით სცნო შეთანხმება, რომლის თანახმადაც კრედიტორი უფლებამოსილია, მიიღოს მოვალის მიწის ნაკვეთი, თუკი მოვალე დათქმულ ვადაში არ/ვერ შეასრულებს მასზე ნაკისრ ვალდებულებებს. მართალია, “შესყიდვის ფასი”, ანუ ვალდებულების შესრულების საფასური, შეთანხმებისას არ იყო დადგენილი, მაგრამ სესხის გარეგების შემდგომი მსვლელობისდა მიხედვით შეიძლებოდა ბევრად დაბალი ყოფილიყო მიწის ნაკვეთის ფაქტობრივ ღირებულებაზე.<sup>34</sup> მოვალე აღარ იღებდა მონაწილეობას საკუთრების გადაცემაში. კრედიტორს შეეძლო, თავადვე გაეკეთებინა აუცილებელი განმარტებები წინასწარ გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე (შეზღუდვებისაგან გათავისუფლების გზით, გერმ. სამ. კოდ. §181)<sup>35</sup> და თავადვე განეხორციელებინა რეესტრში ჩანაწერის ცვლილება. გერმანიის უზე-

<sup>32</sup> იხ. და შეადარე ზემოთ 1. ასევე ამ სამართლებრივი ინსტიტუტისა და განსაკუთრებით მისი წინამორბედების განვითარების შესახებ, ასევე გერმ. სამ. კოდ. ძალაში შესულადელი პერიოდებიდან, იხ. გაული (სქოლიო 5)

<sup>33</sup> 23.06.95-ის განაწინი: Neue Juristische Wochenschrift (NJW 1995, 2635)

<sup>34</sup> შემთხვევა, რომელიც საფუძვლად დაედო გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას. სინამდვილეში ბევრად უფრო რთული იყო. აღნიშნული პრობლემატიკისათვის მნიშვნელოვანი საქმის ვითარება შეიძლება შეპყროდეს ხსენებული გარემოებების მიხედვით თიდეკე (სქოლიო 29).

<sup>35</sup> ეს ნორმა შეესაბამება სსკ 114-ე მუხლს.



ნაესი სასამართლოსაგან განსხვავებით, წინა ორი ინსტანციის სასამართლომ ბათილად მიიჩნია ეს შეთანხმება (გერმ. სამ. კოდ. §§ 1149, 1229, რაც შეესაბამება სსკ 302-ე მუხლის მე-2 აბზ. და 273-ე მუხლს). გერმანიის უზენაესი სასამართლოს მსგავსად გადაწყვიტა ანალოგიური შემთხვევა ბავარიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომაც.<sup>36</sup>

დასაბუთებისას გერმანიის უზენაესი სასამართლო ძირითადად ეყრდნობოდა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს. ასევე აღნიშნავდა, რომ მოცემული ნორმებით განიზრახებოდა კანონით გათვალისწინებული სანივთო გარანტიების უკანონო (კერძოდ კი, იპოთეკისა და გირავნობის უფლების) რეალიზაციის თავიდან აცილება. როდესაც კრედიტორს არ გააჩნია გირავნობის უფლება და მხარეები ირჩევენ მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა ფორმას, მაშინ დაცვის ეს საშუალება არაეფექტურია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის დროს პირგასამტეხლოს დაწესება მოვალის გადასაწყვეტი იქნებოდა (გერმ. სამ. კოდ. §339).<sup>37</sup> აქ საქმე ეხება უფრო ფულად გასამრჯელოს (გერმ. სამ. კოდ. №342)<sup>38</sup>, თუმცა მრავალი სხვა მოქმედებაც იგულისხმება. მოვალის დაცვა კი ასეთ შემთხვევებში სრულდება პირგასამტეხლოს შემცირებით (გერმ. სამ. კოდ. §343)<sup>39</sup> ან სავაზმო გარიგებებისა და გარიგებების, რომლებიც ეწინააღმდეგება ზნეობის პრინციპებს, აკრძალვის გზით (გერმ. სამ. კოდ. § 138).<sup>40</sup>

ეს მოსაზრება მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გაზიარებული გერმანიის იურიდიულ ლიტერატურაში.<sup>41</sup> გაულმა საკმაოდ შთამბეჭდავი არგუ-

<sup>36</sup> 07.11.96-ის განჩინება. Deutsche Notarzeitung (DnotZ) 1997, 727 აქტანის კრიტიკული ხასიათის შენიშვნებით. მიუნხენური კომენტარი გვ. 729 III გამოცემა, გერმ. სამ. კოდ. §1149, მინდერის შენიშვნა 12.

<sup>37</sup> ძირითადად შეესაბამება სსკ 417-ე მუხლს.

<sup>38</sup> ამის საწინააღმდეგოდ სსკ 417-ე მუხლი ცალსახად გულისხმობს მხოლოდ ფულად თანხას. თუმცა საქართველოშიც სახელშეკრულებო თავისუფლებასთან მიმართებაში არ არსებობს ეჭვი იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია მოხდეს პირგასამტეხლოს სხვა მოქმედებების შეთანხმებაც.

<sup>39</sup> საქართველოში შეესაბამება სსკ 420-ე მუხლი.

<sup>40</sup> საქართველოში სსკ 54-ე და 55-ე მუხლების შესაბამისად.

<sup>41</sup> იხ. და შეადარე შტაუდიგერი/ვიგანდი, 13. დამუშავებული გამოცემა. 1997, § 1229, მინდერის შენიშვნა 14, 15.

მენტებით დაუჭირა მხარი აღნიშნული აკრძალვითი ნორმების შესაბამისი კლაუზულის გამოყენებას საკუთრების უფლების უზრუნველყოფის გადაცემასთან მიმართებაში. საქმე, მისი თქმით, ეხება მართლწესრიგის ზოგად პრინციპს, რომელიც დამახასიათებელია უზრუნველყოფის აზრისათვის. ამ სამართლებრივ ინსტიტუტში ძალზე მაღალია ბოროტად გამოყენების თავისებური საშიშროება.<sup>42</sup> თიედკეს აზრით, ამ ნორმების გამოყენება შეიძლება ანალოგიით, რადგანაც მათ არ ახასიათებს ის, რომ კრედიტორს იპოთეკის სახით მიენიჭოს სანივთო-უზრუნველყოფითი უფლება. კანონიერი აკრძალვისათვის უფრო მნიშვნელოვანია აბსტრაქტული საშიშროება, რომ მოვალემ მიწის ნაკვეთზე საკუთრება შეიძლება დაკარგოს შესაბამისი საპასუხო შესრულების მიღების გარეშე. ის, რა თქმა უნდა, აღწევს ვალდებულებებისაგან გათავისუფლებას. მათი ღირებულება ცალკეულ შემთხვევებში მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება უძრავი ქონების ღირებულებას.<sup>43</sup> მიწის ნაკვეთების უზრუნველყოფის მიზნებისათვის ჩალის ფასად გაყიდვა მხოლოდ იმ შემთხვევაში უტოლდება უფლების დაკარგვის შეთანხმებით კლაუზულას, როდესაც მხარეები ირჩევენ იპოთეკისა ან გირავნობის სამართლის კანონიერ ინსტიტუტებს. ეს მოქმედებს ასევე მაშინ, როცა ისინი მიმართავენ საკუთრების უფლების უზრუნველყოფის გადაცემის ზემოთაღწერილ მეთოდს.

ეს სამართლებრივი მსგავსება სინამდვილეში ნიშნავს უზრუნველყოფითი საკუთრების მიმართ აკრძალვითი დებულებების ანალოგიით გამოყენებას (სსკ 273-ე და 302-ე (მე-2 აბზ.) მუხლების თანახმად). ამ ნორმების გამოყენება უფრო მეტად საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკეულ შემთხვევებში ნორმებით პირგასამტეხლოს შემცირებისა (სსკ 420-ე მუხლი) და ხელშეკრულებათა უკანონობის შესახებ (სსკ 54-ე და 55-ე მუხლები) ძალზე არასაკმარისად ხდება მოვალის ინტერესების დაცვა არასახარბიელო მდგომარეობისაგან. თიედკე სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს ნორმები საგრძნობლად ნაკლებად იცავენ მოვალეს, ვიდრე უფლების დაკარგვის ვადის დაწესების აკრძალვა გირავნობისა და იპოთეკის სამართალში. ზოგადი წესები სამართლებრივ დავაში საერთოდ ბედის ანაბარა

<sup>42</sup> იხ. და შედარე სქოლიო 5. გვ. 380.

<sup>43</sup> იხ. და შედარე სქოლიო 29.

ტოვებენ მოვალეს დავის გაურკვეველი დასასრულის მოლოდინში. კანონს აღნიშნული აკრძალვითი დებულებებით შეგნებულად სურს გამორიცხოს ასეთი რისკი და არ სურს ამ წესის უმოქმედობა ცალკეულ შემთხვევებზე დამოკიდებული გახადოს. ამიტომაც მან ზოგადად აკრძალა ვადების კლაუზულების დაწესება გირავნობისა და იპოთეკის კრედიტორის სასარგებლოდ მათი აბსტრაქტული საშიშროებიდან გამომდინარე და არა მხოლოდ იქ, სადაც მას კონკრეტულ შემთხვევაში მიეყვარათ არაგონივრულ შედეგებამდე.

აღბათ, ცოტა დრო კიდევ გაივლის მანამ, სანამ ქართული სასამართლოები თანაბარი ღირებულებებიდან და ინტერესთა განლაგებიდან გამომდინარე აღნიშნულ ნორმებს მსგავსი შემთხვევების მიმართ ანალოგიით გამოიყენებენ და ზოგადად ბათილად სცნობენ ვადის დაწესების შესახებ შეთანხმებას და საკუთრების უფლების უზრუნველყოფის გადაცემასთან ერთად მთლიან კონტექსტში განიხილავენ მას, რომლის დროსაც მოვალემ შესაძლოა მისი საკუთრება საბოლოოდ დაკარგოს.

(4) თუკი საქართველოს სასამართლოებს არ შესწევთ უნარი, ამგვარად უარყონ ვადის დაწესების კლაუზულა (სსკ 273-ე და 302-ე მუხლები), მაშინ ისინი არანაკლებ რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდებიან და მოუწევთ დასაშვებობისა და სახელშეკრულებო შეთანხმებების ფარგლების შესახებ ზოგადი დებულებების საფუძველზე ცალკეული შემთხვევისდა მიხედვით მსგავსი უზრუნველყოფითი შეთანხმებების მოქმედებების გადამოწმება. უწინარეს ყოვლისა (სსკ 54-ე და 55-ე მუხლები), ხელშეკრულების დადებისას უნდა მოხდეს მორალის ზოგადი პრინციპების საწინააღმდეგო გარიგებებისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასთან მიმართებაში გარკვეული პირობების გათვალისწინება.

ამასთან მიმართებაში შეუძლებელია კრიტერიუმების ამომწურავად განსაზღვრა, ვინაიდან უზრუნველყოფითი შეთანხმების მოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია ცალკეულ შემთხვევებზე.<sup>44</sup> შესაბამისი მასშტაბების განვითარება საქართველოში დამოკიდებულია მართლმსაჯულებასა და სამართალმცოდნეობაზე.

<sup>44</sup> გერმანულ სამართალში იხ. და შეადარე პალანდტი/ჰაინრიხსი, გერმ. სამ. კოდ. §138, მინდვრის შენიშვნა 97.

იქნებ, გარკვეულმა მოსაზრებებმა გაამარტივონ ორიენტაცია: ცხადია, რაც უფრო მეტად სცილდება შეთანხმება ბანკის ლეგიტიმურ-უზრუნველყოფით ინტერესებს და რაც უფრო ცხადლივია შეუსაბამობა მომსახურებასა და საპასუხო მომსახურებას შორის, მით უფრო მეტად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადგილი აქვს მოვალის ინტერესებისა და უფლებების საწინააღმდეგო გარიგებას. ამასთან, ამ ვალდებულებითი ურთიერთობის დროს საქმე არ ეხება ბუნებრივ ბრალეულობას ან ფულად „პატივისცემას“, როგორც ყოველთვის სამართალში. აქ საქმე გვაქვს, ერთის მხრივ, ბანკის სამართლიან უზრუნველსაყოფ მოთხოვნასთან, როდესაც იგი ითხოვს მის მიერ გაცემული სესხის პროცენტების ხარჯებთან ერთად დროულად და სრულყოფილად უკან გადახდას. მეორეს მხრივ, მოვალის ინტერესი, შეინარჩუნოს მისი საკუთრება ან, უკიდურეს შემთხვევაში, დაკარგოს იგი ობიექტის ჭეშმარიტი ღირებულების საფასურად. ისე განსხვავებულად, როგორც აქ ხდება ცალკეული შემთხვევებისა თუ რისკის გათვალისწინებით, შესაძლოა სასამართლოთა შეფასებები შესაბამისი შეთანხმებების შესახებ მიღებულ იქნას კონკრეტული შემთხვევების და მიხედვით.

მნიშვნელოვან მოსაზრებას ამ საკითხთან მიმართებაში წარმოადგენს, პირველ რიგში, ის გარემოება, არსებობს თუ არა საშიშროება იმისა, რომ მოვალე მის საკუთრებას დაკარგავს ფაქტიური ღირებულების მხოლოდ გარკვეული წილის საფასურად, თუ ის გახდება მსხვერპლი მისი ვალის მითვლისა ეკვივალენტური შემხვედრი ქმედების ფარგლებში.<sup>45</sup> მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ასევე სუბიექტური კრიტერიუმებიც, განსაკუთრებით კი მოვალის სასარგებლოდ. გათვალისწინებულ უნდა იქნას გარემოება, ხომ არ ითამაშა ხელშეკრულების გაფორმებისას გარკვეული როლი (შეადარე სსკ 55-ე მუხლი) მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ ან გამოუცდლობამ. ამ საკითხთან მჭიდროდაა დაკავშირებული ის, მოვალის სახით საქმე გვაქვს კერძო პირსა თუ კომერსანტთან, რომელიც დაცვის მხოლოდ მცირედი საშუალებებით სარგებლობს.<sup>46</sup> ბანკის უზრუნველ-

<sup>45</sup> იხ. და შეადარე ჭანტურია, სქოლიო 10.

<sup>46</sup> დაცვის განსხვავებული ღირსების სამართლებრივ მოსაზრებასთან დაკავშირებით იხ. და შეადარე სსკ 347-ე და 348-ე მუხლები.

ყოფის ინტერესებში (რომელიც რისკიანი გარიგებისას გახლავთ კრედიტის გამცემი) უნდა იყოს ხელშეკრულების დადების სხვაგვარი წესის გამოყენება, ვიდრე კრედიტის უდავო მხარდაჭერა. ამ შემთხვევაში, ცხადია, შეთანხმების შეფასება ხელშეკრულების დადებისას დამოკიდებულია განხილვაზე და შემდგომ სავარაუდო რისკზე.<sup>47</sup> შეთანხმების შესაფასებლად ნაკლებ მნიშვნელოვანია, თუ რამდენად განხორციელებადია გარკვეული საფრთხე მოვალესთან მიმართებაში. მხარის მდგომარეობის არათანაზომიერი გაუარესების საშიშროებამ შემდგომ გარემოებებთან ერთად შეიძლება გამოიწვიოს სსკ 54-ე და 55-ე მუხლების დარღვევა.

ამას შეიძლება შედეგად მოჰყვეს მთლიანი უზრუნველყოფილი შეთანხმების ბათილობა. მისი შენარჩუნება შეუძლებელია დასაშვები შეთანხმების შინაარსთან ერთად.<sup>48</sup> უზრუნველყოფილი შეთანხმების ბათილობამ შეიძლება გამოიწვიოს ასევე (სსკ 62-ე მუხლი) ცალ-ცალკე გამოსაკვლევი სესხის ხელშეკრულების ბათილობაც.<sup>49</sup> ამ შემთხვევაში იგი შეძენის მოქმედი გარიგების (სსკ 183-ე მუხლი) ნაკლულობის გამო იწვევს შესაბამისი გადაცემის ბათილობასაც (ამ ნორმის შესაბამისად).

თუკი ცალკეულ შემთხვევებში საქმე არა გვაქვს 54-ე და 55-ე მუხლებში მოცემულ წინაპირობებთან, მაშინ გავიხსენოთ 420-ე მუხლი. გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე,<sup>50</sup> ვადის დაწესების კლაუზულის გამოყენებისას მოსალოდნელია პირგასამტეხლო: სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოვალე პირობას იძლევა გარკვეული მოქმედების შესრულებაზე, რომელიც სცილდება სახელშეკრულებო ვალდებულებას. ჩვენ უკვე შევხეთ იმ ფაქტს, რომ მსგავს შემთხვევებში აუცილებელი არ არის, საქმე ეხებოდეს ფულად „პატივისცემას“.<sup>51</sup> პირგასამტეხლოს ოდენობა შეიძლება აღემატებოდეს მოსა-

<sup>47</sup> იხ. და შედარე გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს უერნალი 107, 92 (96). თიდკე, სქოლიო 29.

<sup>48</sup> ჯალანდტი/ჰაინრიხსი, გერმ. სამ. კოდ. §138, მინდერის ნომერი 19.

<sup>49</sup> იხ. ზემოთ, 1.

<sup>50</sup> იხ. და შედარე ზემოთ, სქოლიო 33.

<sup>51</sup> იხ. ზემოთ, სქოლიო 38.

ლოდნელ ზარალსაც (როგორც ეს გამომდინარეობს სსკ 418-ე მუხლის 1-ლი აბზაციდან).

შეთანხმება უზრუნველყოფილი შეთანხმების ფარგლებში ძირითადად შესაძლებელია იმ სახით, როდესაც მას არ მიესადაგება კანონის კონკრეტული ნორმა. თუკი განვიხილავთ მას პირგასამტეხლოდ (სახელშეკრულებო პირობების დარღვევის შემთხვევაში), მაშინ მისი გაფორმება უნდა მოხდეს წერილობით (სსკ 418-ე მუხლის მე-2 აბზ.). პრაქტიკაში ეს მაინცდამაინც დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგანაც მსგავს შემთხვევებში ხდება მისი ნოტარიულად გაფორმება (სსკ 183-ე და 323-ე მუხლები) მიწის ნაკვეთის გადაცემის მიზნით (იმ პირობით, რომ საქმე ეხება გახსნილ უზრუნველყოფილ შეთანხმებას).

უფრო მნიშვნელოვანია სსკ 420-ე მუხლის ნორმა: თუკი სახელ-შეკრულებო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაწესებულ პირგასამტეხლოს ყველა პირობის გათვალისწინებით<sup>52</sup> თან სდევს მოვალის არაშეფარდებითი დატვირთვა, მაშინ სასამართლოს შეუძლია გონივრული ფასი დაადგინოს. ეს ნორმა ბევრად უფრო ელასტიური და დიფერენცირებულია, ვიდრე 54-ე და 55-ე მუხლებში მითითებული „უხეში ზელექტი“, ამასთან, ორმაგი გაგებით: ძალზე მაღალი პირგასამტეხლო არ იწვევს მთლიანი შეთანხმების ბათილობას, არამედ საშუალებას აძლევს სასამართლოს, მიიღოს გონივრული სამართლებრივი გადაწყვეტილება. ამას, როგორც წესი, თან სდევს მოვალის მიერ საკუთრების არა საბოლოო დაკარგვა, არამედ გადაუხდელი ვალის მითვლა და ნაშთის მისთვის დაბრუნება, რაც რჩება მიწის ნაკვეთის რეალიზაციის შემდეგ. იმავედროულად სასამართლო გადაწყვეტილებამ უნდა უზრუნველყოს, რომ კრედიტორის მიერ მიწის ნაკვეთის გაყიდვა მოხდეს არა ჩალის ფასად, არამედ მისმა ღირებულებამ მიაღწიოს გონივრულ საბაზრო ფასს.

მეორე მხრივ, ეს ნორმა საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ მხარეთა სამართლებრივი ურთიერთობების კონკრეტული განვითარებაც: 54-ე და 55-ე მუხლებისაგან განსხვავებით, ეს ყოველივე დამოკიდე-

<sup>52</sup> აქ შესაბამისად გასათვალისწინებელია გერმანულ სამართალში კრედიტორის ყველა ინტერესი და არა მხოლოდ ქონებრივი ინტერესი. გერმ. სამ. კოდ. §343 ამას ცალსახად აწესებს.

ბულია არა შეთანხმების შეფასებაზე უზრუნველყოფითი ხელშეკრულების დადებისას, არამედ პირგასამტეხლოს ამოქმედებისას შექმნილ სიტუაციაზე.<sup>53</sup> ამიტომ შეთანხმების საფუძველზე საშიშროების აბსტრაქტულ სიტუაციასთან მიმართებაში ხელშეკრულების დადებისას მოქმედებს არა პრინციპი „ან ყველაფერი, ან არაფერი“, არამედ სასამართლოს მიერ სიტუაციის კონკრეტული შეფასება პირგასამტეხლოს ამოქმედების შემთხვევაში სამართლიანი მორგების შესაძლებლობით.

ამით მონაწილე მხარეებისათვის არ იზრდება სამართლებრივი უსაფრთხოება. ფაქტობრივი შემადგენლობის დონეზე არსებულ გაურკვეველობებს, რომლებიც წარმოიშობა შესაბამის ნორმებში გაურკვეველი სამართლებრივი ტერმინების საშუალებით,<sup>54</sup> ემატება კიდევ სამართლებრივ შედეგებში არსებული გაურკვეველობა, რომელსაც თან სდევს მორგების სასამართლოსებრი საშუალება და რომელიც დამოკიდებულია შემდგომ ფაქტობრივ განვითარებაზე. შეთანხმების დადებისას შეუძლებელია სწორი პროგნოზის გაკეთება უზრუნველყოფილი შეთანხმების უცვლელობის შესახებ. მხარეთათვის ეს ტოლფასია ნაკლებ სახარბიელო მდგომარეობისა, ხოლო გრძელვადიანი ეკონომიკური დაგეგმვისათვის კი არასახარბიელო ბაზას ქმნის.

აქვე უნდა აღინიშნოს ბოლო მოსაზრებაც: კრედიტორის როლში მოვლენილი ბანკები ხშირ შემთხვევაში იყენებენ უზრუნველყოფილ საკუთრებასა და ცალმხრივად გეგმავენ შესაბამის წესებს, რათა მიაღწიონ ამ სტანდარტული პროცესის თანასწორ განხილვას. მსგავსი სახით წინასწარ ჩამოყალიბებული სახელშეკრულებო პირობებისას საქმე ეხება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს (სსკ 342-ე მუხლის მიხედვით). კონტროლის თვალსაზრისით ისინი ექვემდებარებიან სსკ 343-ე მუხლის პირობებს. გერმანული სამართლისაგან განსხვავებით,<sup>55</sup> სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს დაწესების აკრძალვა ცალსახად არ არის გათვალისწინებული ამ ნორმებზე. მსგავსი შეთანხმებები შეიძლება

<sup>53</sup> ჯალანდტი-ჰაინრიხი, გერმ. სამ. კოდ. §343, მინდვრის ნომერი 8.

<sup>54</sup> სსკ 54-ე მუხლი: „კარგი ტრადიციები“ „ზნობის ნორმები“. მუხლი 55: „შესაბამობა“, „ბოროტად გამოყენება“. მუხლი 420: „შესაბამოდ მალალი“.

<sup>55</sup> იხ. და შედარე გერმ. სამ. კოდ. §309, ნომერი 6.

არაშეფარდებითი მაღალი ზარალის საერთო ანაზღაურების სახით ეწინააღმდეგებოდეს სსკ 348-ე მუხლის მე-5 პუნქტს.<sup>56</sup>

სსკ 347-ე და 348-ე მუხლების ნორმები მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვალე არ არის კომერსანტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოქმედებს აკრძალვის ზოგადი ნორმა (სსკ 346-ე მუხლი). ეს უკანასკნელი კრძალავს კლაუზულებს, რომლებიც ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ აუარესებენ ერთ-ერთი მხარის მდგომარეობას. ეს ნორმა ვრცელდება ასევე გარიგების კომერციულ მიმოსვლაზე. აქვე მოქმედებს შეფასების დროსთან მიმართებაში სსკ 54-ე და 55-ე მუხლებზე თქმული: გადამწყვეტია ხელშეკრულების დადებისას შექმნილი სიტუაცია.<sup>57</sup> ეს დარღვევა იწვევს არა მთლიანი შეთანხმების, არამედ კლაუზულის ბათილობას, რომლის დროსაც მოვალე საბოლოოდ და აუქციონის შემოსავლის მიუთვლელად კარგავს მის საკუთრებას. თუკი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დარღვევის შედეგები არ არის ისეთი ყოვლისმომცველი, როგორც 54-ე და 55-ე მუხლებში (ვინაიდან ისინი ეხებიან არა მთლიანად ხელშეკრულებას, არამედ მხოლოდ გასაჩივრებულ კლაუზულას), მაშინ გადასინჯვის მასშტაბი უფრო მკაცრია: ის, რომ საქმე გვაქვს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევასთან (სსკ 346-ე მუხლი), უფრო მეტად დასაშვებია, ვიდრე ზნეობის ნორმების დარღვევა (54-ე მუხლი) ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება (55-ე მუხლი).<sup>58</sup> ეს გაურკვეველი სამართლებრივი ტერმინი „ნდობა და კეთილსინდისიერება“ საჭიროებს ქართული სასამართლოების მხრიდან ერთგვარ დაკონკრეტებას. სამართლებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით, ამ დაკონკრეტებამდე პერმანენტულად გვექნება საქმე სრულ გაურკვეველობასთან.

ვინაიდან ხელშეკრულება ძირითადად ძალაში რჩება (გაპროტესტებული კლაუზულის გამოკლებით) გარიგების ზოგადი პირობების ნორმებზე დაყრდნობით, უნდა მოხდეს წარმოშობილი ხარვეზის აღმოფხვრა.

<sup>56</sup> პირგასამტეხლოს ზარალის საერთო ანაზღაურებისაგან გასამიჯნეად იხ. და შედარე პალანდტი/ჰაინრიხსი, გერმ. სამ. კოდ. §276-ე, მინდერის ნომერი 55.

<sup>57</sup> იხ. და შედარე პალანდტი/ჰაინრიხსი, გერმ. სამ. კოდ. §307, მინდერის ნომერი 3.

<sup>58</sup> იხ. და შედარე პალანდტი/ჰაინრიხსი, გერმ. სამ. კოდ. §307, მინდერის ნომერი 7.



იმ საკითხის გარკვევა, თუ რომელი წესი ამოქმედდება ბათილი სახელშეკრულებო კლაუზულის ნაცვლად, წარმოადგენს ცალკეული საუბრისა თუ შემთხვევის თემას და სასამართლოს პრეროგატივას (ყოველ შემთხვევაში, ხელშეკრულების განვრცობითი განმარტების გზით).<sup>59</sup> განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იპოთეკური სამართლის შესაბამისი ნორმების გამოყენება მიწის ნაკვეთების რეალიზაციის დროს უნდა მოხდეს ანალოგიით. კრედიტორის ვალდებულებაა, უძრავი ქონების საჯარო აუქციონი ჩატარდეს საბაზრო ფასის შესახებ ექსპერტის დასკვნის მიღების შემდეგ (სსკ 301-ე მუხლი ანალოგიით). მანვე უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მოვალემ აუქციონიდან შემოსული თანხიდან ვალის დაფარვის შემდეგ მიიღოს ნაშთი (სსკ 308-ე მუხლის 1-ლი აბზ. ანალოგიით). ჯერ კიდევ გასარკვევია, მიაკუთვნებენ თუ არა მსგავს შემთხვევებში სასამართლოები მოვალეს სარგებლობის უფლებას სსკ 303-ე მუხლის მე-3 აბზ. ანალოგიით.

იპოთეკური სამართლის მიმართ განსხვავებები ეკონომიკურ შედეგთან მიმართებაში უტოლდება ნულს.

#### 4. შემაჯამებელი აღწერა და შედეგები:

- ქართულ საკრედიტო ეკონომიკაშიც არსებობს უზრუნველყოფილი უფლებების მოთხოვნილება იპოთეკის კანონით გათვალისწინებული ინსტიტუტებისა და გირაუნობის სამართლის შესახებ.
- ძირითადად დასაშვებად უნდა ვცნოთ შეთანხმება უზრუნველყოფის საკუთრების შესახებ მოძრავ და უძრავ ნივთებზე და მოთხოვნებისა და უფლებების დათმობა. აქ საუბარია დამოუკიდებელ სამართლებრივ ინსტიტუტზე, რომელიც განსხვავდება უზრუნველყოფის კანონიერი უფლებებისაგან და არ ეწინააღმდეგება რაოდენობრივ შეზღუდვასა და სანივთო სამართლის ტიპურ იძულებას.
- უზრუნველყოფითი საკუთრება დასაბუთებულ შეიძლება იქნას მხოლოდ ღია უზრუნველყოფითი შეთანხმებით და არა სხვადასხვა სახის მოჩვენებითი გარიგებების საშუალებით.

<sup>59</sup> გერმანიაში ამას საფუძვლად უნდა დაედოს დისპოზიტიურობის უფლება (გერმ. სამ. კოდ. §306), რომლის გამოყენებაც ხდება შესაბამისად.

- კლაუზულა უფლების დაკარგვის შესახებ, რომელთა გამოც მოვალე მისი ვალდებულების არასრულად შესრულების შემთხვევაში საბოლოოდ და ავტომატურად კარგავს მის საკუთრებას (განსაკუთრებით კი აუქციონიდან შემოსული თანხიდან გადაუხდელად მისი ვალდებულებების ფარგლებს გარეთ), ბათილია ანალოგიით გამოსაყენებელი ნორმების დარღვევის გამო (სსკ 302-ე მუხლის მე-2 აბზ, 273-ე მუხლი).

*შედეგი:* მრავალი გარანტიის უქონლობის გამო წინამდებარე ნაშრომი დაეხმარება საქართველოში გამსესხებლებს მართლმსაჯულებისა და მეცნიერების კუთხით განხილული საკითხების შესახებ საბოლოო გარკვევამდე, მათი კრედიტების უზრუნველსაყოფად მიმართონ გირავნობის სამართლისა და იპოთეკის სამართლებრივ ინსტიტუტებს. თუკი მათ არ სურთ უზრუნველყოფით საკუთრებაზე უარის თქმა, მაშინ უნდა მოხდეს საკუთრებასთან მიმართებაში უფლების დაკარგვის შესახებ არსებული მოვალის დამამძიმებელი გარემოებების თავიდან აცილება. ამის ნაცვლად, უნდა იქნას გარანტირებული, რომ უზრუნველყოფის ქონების რეალიზაციისას (წესიერი პროცედურის დროს) მოხდება მისი საბაზრო ფასად გაყიდვა და მოვალეს აუქციონის შემოსავლიდან ვალის დაფარვის შემდეგ დაუბრუნდება ნაშთი. ეს წესები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც უზრუნველყოფილი შეთანხმება ხდება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მეშვეობით.

## DAS SICHERUNGSEIGENTUM AN IMMOBILIEN NACH DEM GEORGISCHEN ZGB

1. *Allgemeines:* In der georgischen Kreditpraxis spielt ein Modell zur Sicherung von Darlehen durch Grundstücke eine wichtige Rolle, das in verschiedenen Varianten zwischen den Parteien vereinbart wird und entsprechend der deutschen Terminologie als „Sicherungseigentum an Immobilien“ bezeichnet werden mag<sup>60</sup>. Es ist dadurch gekennzeichnet, dass ein Schuldner seinem Gläubiger zur Sicherung der Forderung das Eigentum an einer Immobilie überträgt, anstatt ihm insoweit eine Hypothek zu bestellen. Die Gründe hierfür sowie die Einzelheiten dieses speziellen georgischen Rechtsinstituts, seine Voraussetzungen, seine Zulässigkeit und deren Grenzen, sollen im Folgenden untersucht werden<sup>61</sup>. Zunächst sind jedoch einige einleitende Betrachtungen zum Wesen der Sicherungsübertragung allgemein erforderlich.

Kennzeichnend für jede Sicherungsübereignung ist, dass der Schuldner einer Verbindlichkeit, meist handelt es sich um ein Darlehen, dem Gläubiger sachenrechtlich das volle Eigentum an einer beweglichen oder unbeweglichen Sache überträgt, allerdings mit der schuldrechtlichen Vereinbarung, dass dieser hiervon nur unter bestimmten Voraussetzungen und in bestimmter Art und Weise Gebrauch macht. Entsprechendes gilt für die Abtretung von Forderungen und die Übertragung sonstiger Rechte zur Sicherheit gemäß den Artt. 198 ff ZGB. Auch hier erwirbt der Gläubiger die volle Inhaberschaft am übertragenen Recht, allerdings ebenfalls mit den entsprechenden schuldrechtlichen-Einschränkungen.

---

\* Zugleich eine rechtsvergleichende Untersuchung zu einigen Aspekten des Sicherungseigentums im georgischen und deutschen Recht.

<sup>60</sup> Die folgenden allgemeinen Ausführungen zum Sicherungseigentum können angesichts des Umfangs der Thematik nur einführenden Charakter haben. Immerhin umfasst das Standardwerk zu diesem Thema im deutschen Recht 6 Bände mit mehreren tausend Seiten: vgl. Serick, Eigentumsvorbehalt und Sicherungsübertragung, Band I-VI.

<sup>61</sup> Siehe dazu unten, 2. und 3.

Der Vertrag über die Nutzung und Verwertung des Sicherungsgutes wird als Sicherungsabrede bezeichnet. Es handelt sich hierbei um ein fiduziarisches Rechtsgeschäft im Sinne eines eigennützigen Treuhandverhältnisses<sup>62</sup>. Die dingliche Rechtsstellung des Gläubigers geht dabei über seine schuldrechtlichen Befugnisse weit hinaus: Sachenrechtlich ist er als Eigentümer der volle Rechtsinhaber an der Sache oder dem Recht. Schuldrechtlich ist er jedoch dem Schuldner gegenüber auf Grund der zwischen ihnen getroffenen Sicherungsvereinbarung treuhänderisch gebunden.

Insbesondere ist der Gläubiger zur Verwertung der Sache oder der Forderung nur berechtigt, wenn der Schuldner seinen Verpflichtungen nicht nachkommt. Bis zu diesem Zeitpunkt verbleiben der Besitz und das Nutzungsrecht an der Sache regelmäßig beim Schuldner. Nach außen wird jedenfalls bei beweglichen Sachen und bei der Übertragung von Rechten die Rechtsänderung zumeist nicht erkennbar. Das übertragene Eigentum dient lediglich im Innenverhältnis der Beteiligten der Sicherung des Zahlungsanspruchs des Gläubigers. An der Nutzung oder dem Besitz der Sache hat er regelmäßig kein Interesse; oftmals wären ihm beide auch nur lästig.

Die Sicherungsabrede über die beiderseitigen Rechte und Pflichten am Sicherungsgut einschließlich der Übertragung dieser Rechtsstellung stellt einen eigenständigen Vertrag neben dem Rechtsgeschäft dar, aus dem sich die zu sichernde Forderung ergibt. Sie steht selbständig also etwa neben dem Darlehensvertrag. Beide Rechtsgeschäfte sind streng auseinander zu halten, mögen sie auch häufig in einer Urkunde zusammengefasst werden. Das Rechtsgeschäft, das zur Eigentumsübertragung führt, also der Erwerbgrund im Sinne von 183 Abs. 2 ZGB oder der Anspruch im Sinne von 186 Abs. 1 ZGB, ist die Sicherungsvereinbarung, nicht etwa die zu sichernde Forderung. Diese Differenzierung muss man sich deutlich vor Augen halten, vor allem, wenn es um die Auswirkungen etwaiger Nichtigkeitsgründe der schuldrechtlichen Rechtsgeschäfte auf die dingliche Rechtslage geht. Hierauf wird im Folgenden noch näher einzugehen sein.

---

<sup>62</sup> Zur Rechtsnatur des Sicherungseigentums vgl. nur Palandt- Bassenge, § 930. Rnd. 13 sowie § 903. Rnd. 35.

Die Unabhängigkeit der Sicherungsabrede von der zu sichernden Forderung wird auch bei der zeitlichen Betrachtung derartiger Vereinbarungen deutlich: Beide Verträge können gleichzeitig abgeschlossen werden, sie müssen es jedoch keineswegs: die Sicherungsabrede kann bezüglich einer bereits bestehenden Forderung getroffen werden. Aber auch die umgekehrte Reihenfolge ist durchaus denkbar und in der Praxis keineswegs selten.

Die Sicherheit kann schließlich nicht nur durch den Schuldner selbst, sondern auch durch einen Dritten erbracht werden. Das Gesetz sieht dies in Art. 291 ZGB für die Hypothek und in Art. 259 ZGB für das Pfandrecht ausdrücklich vor. Für die Sicherungsübereignung gilt nichts anderes. In diesen Fällen kommt damit noch eine dritte Rechtsbeziehung zwischen den Beteiligten hinzu: zwischen dem Schuldner und dem Dritten, der die Sicherheit gegenüber dem Gläubiger leistet, liegt in der Regel ein Auftragsverhältnis gemäß den Artt. 709 ff ZGB vor, durch den sich der Dritte gegenüber dem Schuldner verpflichtet, dem Gläubiger gegenüber eine Sicherheit zu stellen. Der Schuldner verpflichtet sich gegebenenfalls, dem Dritten eine entsprechende Vergütung zu zahlen (Art. 710 ZGB) und ihm seine Aufwendungen zu erstatten (Art. 717 ZGB).

Folgende Rechtsbeziehungen sind in diesen Fällen also zu unterscheiden: die zu sichernden Forderung, zum Beispiel das Darlehen, betrifft den Schuldner und den Gläubiger. Der Auftrag, eine Sicherheit zu stellen, kommt zwischen dem Schuldner und dem Dritten zustande. Die Sicherungsabrede selbst über die Bestellung der Sicherheit sowie deren Verwertung oder Rückgabe, betrifft wiederum den Dritte und den Gläubiger.

Der Einfachheit wegen soll im Folgenden nur eine zwei- Personen-Beziehung erörtert werden. Hier gibt es nur zwei Rechtsbeziehungen: die zu sichernde Forderung und die Sicherungsabrede, wobei die letztgenannte im Mittelpunkt dieser Untersuchung steht.

Derartige schuldrechtliche Sicherungsabreden sind entsprechend dem Grundsatz der Vertragsfreiheit gemäß Art. 319 ZGB grundsätzlich zulässig.

Eine ganz andere Frage ist die sachenrechtliche Zulässigkeit des Rechtsinstituts der Sicherungsübereignung. Sie wurde von jeher als problematisch empfunden. Als Stichworte für diese Bedenken mag hier

der Hinweis auf den *Numerus clausus* der dinglichen Recht genügen, der es verbietet, gesetzlich nicht vorgesehene sachenrechtliche Institute zu entwickeln oder zu „erfinden“, ebenso der Typenzwang des Sachenrechts: dieser untersagt es, von der Rechtsordnung vorgegebene dingliche Rechts hinsichtlich ihrer Voraussetzungen oder ihres Inhalts abzuändern<sup>63</sup>.

Indessen: Die diesbezüglichen Schlachten sind von den Gegnern des Sicherungseigentums allesamt verloren worden; sie sollen an dieser Stelle nicht wiederholt werden.

Zu Recht sprach Baur insoweit von einem „Kampf gegen Windmühlenflügel“<sup>64</sup>. Immerhin können die Verfechter des Instituts des Sicherungseigentums für sich in Anspruch nehmen, dass das Gesetz selbst mit der Schaffung des Eigentumsvorbehalts bei beweglichen Sachen gemäß § 455 BGB<sup>65</sup> ein Institut geschaffen hat, das ein dingliches Sicherungsrecht vorsieht mit der Vereinbarung eines Treuhandverhältnisses zwischen den Beteiligten und dem vollständigen Rechtübergang auf den Schuldner erst nach Ausgleich der gesicherten Forderung<sup>66</sup>. Damit sieht das Gesetz ein im Kern dem Sicherungseigentum verwandtes Rechtsinstitut vor.

Jedenfalls: Die Rechtsprechung in Deutschland hat den Bedürfnissen der Kreditwirtschaft nachgegeben und das Sicherungseigentum grundsätzlich anerkannt, auch wenn dieses im deutschen Sachenrecht ebenso wenig ausdrücklich vorgesehen ist wie im georgischen ZGB. Ob man –für den deutschen Rechtskreis– von einer „richterlichen Rechtsschöpfung *praeter legem*“ oder inzwischen von einem Gewohnheitsrecht sprechen will<sup>67</sup>, mag dahinstehen. Man muss kein

<sup>63</sup> Vgl. Baur/Stürmer, Sachenrecht, 17. Auflage, § 56, I, 1, Rdn. 1..

<sup>64</sup> Vgl. Baur, 12. Aufl., § 56, I. 2. mit weiteren Nachweisen. - Ebenso anschaulich wurde das Sicherungseigentum von seinen Gegner gerne als „illegitimes Kind der BGB- Vater“ oder als „Adoption eines Findelkindes“ bezeichnet; vgl. nur Gaul, Archiv für zivilistische Praxis (AcP) 168. (1968), Seite 351, 357 mit weiteren Nachweisen.

<sup>65</sup> Dem entspricht Art. 188 ZGB. Zu Recht ist im georgischen ZGB dieses Institut im Sachenrecht geregelt und nicht wie im deutschen BGB im Schuldrecht!

<sup>66</sup> Ein weiteres Argument stellt die Möglichkeit der Übereignung beweglicher Sachen ohne Übertragung des unmittelbaren Besitzes dar, wie sie Art. 186 Abs. 2 ZGB gestattet. Damit stellt das Gesetz jedenfalls die technischen Voraussetzungen für das Sicherungseigentum zur Verfügung. Im Einzelnen vergleiche unten, Fußnote 9, am Ende.

<sup>67</sup> Vgl. die Nachweise bei Baur/Stürmer, § 56, Fn. 2 und 3.

Prophet sein, um einen ähnlichen Siegeszug dieses Instituts für das georgische Recht vorherzusagen. So wenig wie dieser Prozess in Deutschland umkehrbar ist, wird er sich in Georgien aufhalten lassen. Zu massiv sind die Bedürfnisse der Wirtschaft, die mit den gesetzlich vorgesehenen Sicherungsrechten, insbesondere dem Pfandrecht an beweglichen Sachen und an Forderungen und Rechten und mit der Hypothek an Immobilien nur unzureichend befriedigt werden können. Zu gravierend sind die Nachteile der vom Gesetz angebotenen Sicherungsinstitute: Dazu zählen insbesondere die Einschränkungen und die Umständlichkeit der Verwertung des Sicherungsgutes bei Eintritt der Sicherungsfalles, nicht interessengerecht geregelte Besitzverhältnisse vor dem Sicherungsfall sowie eine oftmals unerwünschte Publizität<sup>68</sup>.

---

<sup>68</sup> Im Vordergrund der vorliegenden Untersuchung steht die Sicherung durch Immobilien und damit das gesetzlich vorgesehene Institut der Hypothek. Zu deren wesentlichen Nachteilen als Sicherungsmittel aus der Sicht des Gläubigers, aber auch des Schuldners, siehe sogleich 3., a), aa). Dazu zählt insbesondere die oft unerwünschte Publizität der Sicherung.

*Hinsichtlich des Pfandrechts an beweglichen Sachen und Forderungen gilt Entsprechendes: Ähnlich wie gemäß Art. 289 ZGB bei der Hypothek ist das Pfandrecht gemäß Art. 255 Abs. 2 ZGB in das Register einzutragen, soweit die Parteien nicht von der Übergabe des Besitzes der beweglichen Sache an den Pfandgläubiger oder von der Anzeige der Verpfändung der Forderung gegenüber dem Dritten gemäß Art. 255 Abs. 1 ZGB Gebrauch machen*

*Diese Alternative zur Registrierung des Pfandrechts an den beweglichen Sachen, nämlich die Besitzübertragung auf den Gläubiger, ist in der Regel für die am Kreditgeschäft Beteiligten wenig sinnvoll: der Schuldner benötigt die Sachen, um mit ihnen zu arbeiten und Gewinn zu erzielen, dem Gläubiger ist die gesetzliche Verwahrungspflicht gemäß Art. 261 ZGB durchweg lästig. Die Anzeige der Forderungsverpfändung an den Drittschuldner ist aus naheliegenden Gründen ebenfalls wenig attraktiv.*

*Ob das Pfandrecht an beweglichen Sachen in Georgien anders als in Deutschland (vgl. § 1205 Abs. 1 BGB) - auch durch Einräumung eines Besitzkonstituts gemäß den Artt. 255 Abs. 1, 186 Abs. 2, 155 Abs. 3 ZGB ohne Besitzübergabe begründet werden kann, ist jedenfalls zweifelhaft: Nach dem Wortlaut der genannten Bestimmungen wäre es möglich, angesichts der vom Gesetz durchgehend angestrebten Publizität der gesetzlichen Sicherungsrechte erscheint dies jedoch problematisch. Für diese Möglichkeit wohl Chanturia in Band 2 des Kommentars zum ZGB, Art. 255, Seite 200 ff.*

*Unbestritten lässt sich das Sicherungseigentum hingegen durch Vereinbarung eines sogenannten Besitzmittlungsverhältnisses gemäß Art. 186 Abs. 2 ZGB begründen, bei dem gemäß Art. 155 Abs. 3 ZGB der Schuldner den unmittelbaren Besitz an den Sachen behält und der Gläubiger den mittelbaren Besitz an ihnen erlangt. Die vertragliche Besitzregelung, das erwähnte Besitzmittlungsverhältnis, das das Gesetz in Art. 155 Abs. 3 ZGB fordert, ist die oben genannte Sicherungsvereinbarung zwischen Schuldner und Gläubiger mit der Festlegung der beiderseitigen Rechte und Pflichten, auch hinsichtlich des Besitzes. -*

*Gerade diese gesetzlich vorgesehene Möglichkeit, durch ein Besitzmittlungsverhältnis gemäß*

In den wenigen diesbezüglichen Veröffentlichungen in Georgien wird dieses Rechtsinstitut dementsprechend auch ohne weiteres anerkannt<sup>69</sup>.

Mit den aufgezeigten Gemeinsamkeiten enden allerdings die Parallelen zwischen dem deutschen und dem georgischen Recht in diesem Bereich auch bereits: zwar stellt in Deutschland, wie dargetan, das Sicherungseigentum in all seinen Ausprägungen in der Kreditpraxis ein nicht mehr wegzudenkendes Rechtsinstitut dar<sup>70</sup>. Es beschränkt sich in der Praxis aber ausschließlich auf bewegliche Sachen. Die Vereinbarung einer Sicherungsübereignung betreffend Immobilien ist zwar nicht grundsätzlich ausgeschlossen oder verboten<sup>71</sup>, kommt in Deutschland aber tatsächlich kaum vor<sup>72</sup>.

---

*den Artt. 186 Abs. 2, 155 Abs. 3 ZGB ohne Übertragung des unmittelbaren Besitzes das Eigentum zu übertragen, wird von den Verfechtern des Instituts des Sicherungseigentums als Argument dafür ins Feld geführt, dass dieses Rechtsinstitut in seinem wesentlichen Kern vom Gesetz vorgesehen ist und somit ein Verstoß gegen den Grundsatz des Numerus clausus der dinglichen Rechte eben nicht vorliegt.*

*Entsprechende Vorteile bietet auch die Sicherungsabtretung von Forderung und Rechten: ist für die Verpfändung gemäß Art. 255 Abs. 1 und 2 ZGB regelmäßig die Anzeige an den Drittschuldner oder die Eintragung in das Register vorgesehen, so vollzieht sich die Sicherungsabtretung gemäß Art. 199 Abs. 2 ZGB durch bloße Vereinbarung zwischen dem Zedenten und dem Zessionar; eine Beteiligung des Drittschuldners ist nicht erforderlich.*

<sup>69</sup> Zutreffend schildert Chanturia in Band 2 des Kommentars zum ZGB, Art. 302, Seite 300 derartige Sicherungsvereinbarungen als spezielles Rechtsinstitut, das deutlich von der Hypothek zu unterscheiden ist und dessen Zulässigkeit aus dem Grundsatz der Vertragsfreiheit folgt. Derselbe in *Georgian Law Review*, 1999, Fourth Quarter, Seite 97ff., 118.

<sup>70</sup> Baur/ Stürmer, a.a.O. § 56 verweisen als Grund hierfür auf die „chronische Unterkapitalisierung der deutschen Wirtschaft“. Wenn das zutrifft, woran kaum Zweifel besteht, lassen sich die Siegeschancen dieses Instituts für Georgien leicht ausrechnen.

<sup>71</sup> Vgl. Palandt- Bassenge, BGB, § 930, Rdn 22.

<sup>72</sup> Palandt- Bassenge, a.a.O. Der Grund dafür ist, dass in Deutschland hierfür kein Bedarf besteht: neben der Hypothek gemäß den §§ 1113 ff. BGB, die wie im georgischen Recht von der Entstehung der Forderung abhängig ist und nur gemeinsam mit ihr übertragen werden kann (vgl. Artt. 288, 295 ZGB), gibt es die Grundschuld gemäß den §§ 1191 ff. BGB. Deren wesentliches Kennzeichen ist, dass sie von dem Bestand einer Forderung unabhängig ist. Sie ist nicht akzessorisch, sondern abstrakt, kann aber als beschränkt dingliches Recht durch eine entsprechende schuldrechtliche Sicherungsvereinbarung als Sicherheit für eine (Darlehens-)Forderung eingesetzt werden. Die Einzelheiten, insbesondere die Unterschiede zwischen Hypothek und Grundschuld, können an dieser Stelle nur angedeutet werden. Vgl. im einzelnen Palandt- Bassenge, BGB, § 1191, Rdn. 1, 13.

*Festzuhalten ist jedenfalls, dass wegen des gesetzlich vorgesehenen Instituts eines forderungsunabhängigen Sicherungsmittels, nämlich der Grundschuld, in Deutschland keine Nachfrage für ein Sicherungseigentum an Immobilien besteht.*



2. *Die konkrete Problemstellung:* Anders ist es in Georgien. Die Gründe hierfür, die Grenzen der Zulässigkeit und die Besonderheiten dieses Rechtsinstituts sollen im Folgenden erörtert werden. Die grundsätzliche Anerkennung des Sicherungseigentums als zulässiges Rechtsinstitut bedeutet keineswegs, dass die in der Praxis verbreiteten Abreden ohne weiteres wirksam sind. Zunächst aber: Worum genau geht es?

Im Grundsatz um folgende häufige Fallkonstellation: Ein Kreditnehmer vereinbart mit einem Kreditgeber, zumeist einer Bank, einen Darlehensvertrag gemäß den Art. 623 ff ZGB. Der Darlehensschuldner ist Eigentümer einer Immobilie, beispielsweise einer von ihm und seiner Familie bewohnten Eigentumswohnung. Diese soll zur Sicherung des Rückzahlungsanspruchs des Darlehensgebers eingesetzt werden. Das gesetzlich insoweit vorgesehene Rechtsinstitut ist zwar die Hypothek gemäß den Artt. 286 ff ZGB.

Aus Gründen, auf die sogleich noch einzugehen sein wird, verzichten die Parteien allerdings auf die Bestellung eines Grundpfandrechts an der Immobilie durch den Schuldner zugunsten des Gläubigers.

Stattdessen treffen sie eine Vereinbarung, nach der der Gläubiger Eigentümer der Immobilie werden soll. Entsprechend wird er gemäß Art. 183 ZGB in das Register eingetragen. Die Einzelheiten der Vereinbarung über den Eigentumsübergang variieren dabei im Einzelfall. Als Erwerbgrund im Sinne von Art. 183 Abs. 2 ZGB wird in der notariellen Urkunde<sup>73</sup> oft ein „Kaufvertrag“ angegeben. Der Darlehensvertrag bleibt in der Regel ungenannt. An die Stelle der Zahlung des Kaufpreises tritt dabei praktisch die Auszahlung der Darlehensvaluta seitens des Darlehensgebers an den Darlehensnehmer. Wann und unter welchen Voraussetzungen der Schuldner sein Eigentum zurückerlangen soll, wird in der notariellen Urkunde regelmäßig nicht festgelegt.

Um die tatsächlichen Rechtsbeziehungen weiter zu verschleiern, ist es auch nicht selten, dass nicht die kreditgebende Bank selbst als „Käufer“ und Eigentümer in Erscheinung tritt, sondern eine Person ihres Vertrauens, insbesondere ein verantwortlicher Mitarbeiter der Bank, vorgeschoben wird.

---

<sup>73</sup> Zum Formerfordernis vgl. Artt. 183, 323 ZGB sowie unten 3., b), cc).

In diesem Zusammenhang sind die unterschiedlichsten Varianten denkbar. Gemeinsam ist ihnen allerdings, dass in Wahrheit kein Kauf oder dauernder Eigentumserwerb seitens der Bank oder ihres Treuhänders oder Strohmanns beabsichtigt ist und die Gläubigerin hieran regelmäßig auch kein Interesse hat, sondern dass das Rechtsgeschäft in erster Linie der Sicherung der Darlehensforderung dient. Bank und Kreditnehmer sind sich daher ausdrücklich oder stillschweigend darüber einig, dass der Kreditnehmer sein Eigentum zurückerhält, wenn er den Kredit vereinbarungsgemäß vollständig und pünktlich zurückzahlt, mögen auch hier im einzelnen die Ausgestaltungen vielfältig sein und variieren. So ist zum Beispiel auch denkbar, dass die Eigentumsübertragung auf die Bank nicht sofort erfolgen soll, sondern erst später, wobei die Voraussetzungen, insbesondere der Verzug des Schuldners mit der Darlehensrückzahlung, mehr oder weniger deutlich in den notariellen Vertrag aufgenommen werden können. Kombiniert werden kann diese Regelung mit einer –notariellen– Vollmacht zugunsten der Bank, die es ihr ermöglicht, unter Befreiung von den Beschränkungen des Art. 114 ZGB allein und ohne Mitwirkung des Schuldners zu einem Zeitpunkt ihrer Wahl den Eigentumsübergang herbeizuführen.

Vorstellbar und wünschenswert, eher jedoch selten, sind dagegen Regelungen der Parteien, in denen auf die Vereinbarung eines „Kaufvertrages“ verzichtet wird, sondern das zum Ausdruck gebracht wird, was die Parteien wirklich wollen: eine treuhänderische Übertragung des Eigentums an der Immobilie vom Schuldner auf den Gläubiger zur Sicherung der Darlehensforderung und unter eindeutiger Festlegung der beiderseitigen Rechte und Pflichten. Hierbei würde es sich um eine Sicherungsabrede im oben<sup>74</sup> bezeichneten Sinne handeln.

3. *Bewertung und Rechtswirksamkeit des Immobiliarsicherungs-eigentums*: Warum greift die Kreditwirtschaft auf diese Manöver zurück und was ist von der Wirksamkeit derartiger Vereinbarungen zu halten?

a) Die erste Frage ist leicht zu beantworten.

Das gesetzlich vorgesehene Sicherungsmittel der Hypothek bringt für den Kreditgeber erhebliche Nachteile mit sich.

---

<sup>74</sup> Vgl. oben, I.

Die Hypothek ist vergleichsweise kompliziert in der Verwertung und gewährt dem Schuldner zudem weitreichenden, aus der Sicht des Darlehensgebers unerwünschten Schutz.

aa) Die Verwertung der Hypothek erfolgt gemäß den Artt. 300 ff ZGB, und zwar durch öffentliche Versteigerung gemäß Art. 301 ZGB. Dabei sind bestimmte Schutzbestimmungen zu Gunsten des Schuldners einzuhalten.

Zunächst ist gemäß den Artt. 301 Abs. 1, 306 ZGB der Wert des Objektes durch einen unabhängigen Sachverständigen zu schätzen. Eine Veräußerung unter einem Gebot in Höhe von 70 % des Verkehrswertes ist gemäß Art. 306 ZGB jedenfalls im ersten Versteigerungstermin nicht zulässig und auch in einem späteren Termin nur mit Einschränkungen.

bb) Weiterhin hat der Schuldner gemäß Art. 304 Abs. 2 ZGB das Recht, unter bestimmten Voraussetzungen die Einstellung der Versteigerung zu beantragen, insbesondere, wenn die Aussicht besteht, dass er innerhalb einer Frist von 6 Monaten die Schuld auf andere Weise begleichen kann. Auch soziale Gründe können unter den Billigkeitserwägungen gemäß Art. 304 Abs. 2 Satz 2 ZGB eine vorübergehende Einstellung der Zwangsversteigerung rechtfertigen.

cc) Darüber hinaus ist der Schuldner befugt, gemäß Art. 303 Abs. 2 ZGB eine von ihm und seiner Familie bewohnte Immobilie auch nach der Versteigerung zu den Bedingungen eines Mieters weiter zu nutzen. Er kommt damit insbesondere in den Genuss der Kündigungsschutzbestimmungen der Artt. 559 ff ZGB. Gerade diese Schutzvorschriften machen vielfach die Versteigerung einer vom Schuldner selbst genutzten Immobilie schwierig, da der Interessentenkreis für eine vermietete Wohnung aus naheliegenden Gründen oftmals viel kleiner sein wird als der für eine Immobilie, die der Erwerber sogleich entsprechend den eigenen Vorstellungen verwenden kann<sup>75</sup>.

Dem gemäß geringer werden die Gebote im Rahmen der Versteigerung ausfallen. Alle diese Probleme verschärfen sich noch, wenn mit dem Schuldner ein Mieter in der Wohnung verbleibt, dessen wirtschaftliche Verhältnisse in der Regel wenig erfreulich sind, wie sich eben gerade aus der Notwendigkeit der Zwangsverwertung des Objektes ergeben hat. Die

---

<sup>75</sup> Vgl. hierzu Chanturia, *Georgian Law Review (Fußnote 10)*, Seite 119.

im Verhältnis zu Deutschland extrem hohen Kreditzinsen in Georgien tragen zu diesen Problemen noch ganz erheblich bei.

dd) Zudem ist die öffentliche Versteigerung der Immobilie mit Kosten verbunden, die zunächst aus dem Erlös beglichen werden müssen, wie aus Art. 308 ZGB folgt. Auch das reduziert den vom Gläubiger zu erwartenden Ertrag und führt unter Umständen zu einer nur teilweisen Befriedigung seiner Forderung gemäß Art. 308 Abs. 2 ZGB.

ee) Eine Vereinbarung schließlich, nach der der Hypothekengläubiger das Eigentum an der Immobilie erwerben soll, wenn der Schuldner nicht fristgemäß zahlt und durch die sich die vorgenannten Einschränkungen des Gläubigers zumindest teilweise vermeiden lassen würden, ist gemäß Art. 302 Abs. 2 ZGB jedenfalls im Hypothekenrecht eindeutig unwirksam.

*Fazit:* Die Summe dieser Einschränkungen lassen es aus der Sicht des Gläubigers als naheliegend und nachvollziehbar erscheinen, dass die Kreditwirtschaft bisweilen nur ein mäßiges Interesse an dem gesetzlichen Grundpfandrecht der Hypothek hat und nach Auswegen sucht, die genannten Nachteile zu vermeiden.

b) Das Sicherungseigentum an Immobilien erscheint demgegenüber als das ideale Mittel der Wahl:

Die Bank erwirbt vollwertiges Eigentum und ist in dessen Verwertung nur durch die entsprechenden Vereinbarungen mit dem Schuldner beschränkt. Diese Einschränkungen gelten nur schuldrechtlich im Innenverhältnis zum Schuldner, das heißt relativ und nicht wie beim dinglichen Recht der Hypothek absolut. Die Ausgestaltung dieser Bedingungen hat die Bank weitgehend selbst in der Hand, kann sie doch die Gewährung des Kredites davon abhängig machen, dass der Schuldner ihre Konditionen akzeptiert.

So einfach und wünschenswert, wie die Dinge aus der Sicht der Kreditgeber zu liegen scheinen, sind sie indessen nicht. Dass auch die Banken dieses spüren, wird nicht zuletzt dadurch deutlich, dass sie vielfach, wie geschildert, dazu neigen, die wirklichen Rechtsbeziehungen zu ihren Kreditnehmern zu verschleiern und als Erwerbsgrund für das Eigentum einen Kaufvertrag vorzutäuschen, anstatt die in Wahrheit gemeinte Sicherungsübereignung offen zu legen.

Dieses „schlechte Gewissen“ ist berechtigt, die gewählte Camouflage allerdings der falsche Weg zu seiner Beruhigung.

Derartige – versteckte- Sicherungsabreden können nämlich aus verschiedenen Gründen unwirksam sein. In der Praxis sind sie es tatsächlich auch in einer Vielzahl von Fällen aus einer Vielzahl von Gründen.

Anders als im deutschen Recht, wo die Nichtigkeit des schuldrechtlichen Vertrages die Wirksamkeit des dinglichen Rechtes auf Grund des Abstraktionsprinzips<sup>76</sup> regelmäßig unberührt lässt, führt in Georgien die Nichtigkeit der schuldrechtlichen Vereinbarung dabei unmittelbar auch zur Nichtigkeit des dinglichen Rechts. Mit anderen Worten: wenn einer der sogleich zu schildernden Unwirksamkeitsgründe vorliegt, hat dies zunächst zur Folge, dass die schuldrechtlichen Rechtsbeziehungen der Parteien hinsichtlich der Sicherungsabrede nichtig sind. Über Art. 62 ZGB können dabei die Nichtigkeitsgründe der Sicherungsabrede auch den gleichzeitig gemäß den Artt. 623 ff ZGB geschlossenen Darlehensvertrag erfassen<sup>77</sup>. Vor allem erwirbt die Bank mangels wirksamer Vereinbarung im Sinne von Art. 183 ZGB aber auch das erstrebte Eigentum am Grundstück nicht, trotz Eintragung im Register. Das Register, das die Gläubigerin als Eigentümerin ausweist, ist in diesem Falle also falsch und auf Antrag des Schuldners gemäß Art. 313 Abs. 1 ZGB zu seinen Gunsten berichtigen.

Die Gläubigerin steht insoweit mit leeren Händen da<sup>78</sup> und damit weitaus

<sup>76</sup> *Das schuldrechtliche Rechtsgeschäft und das dingliche Rechtsgeschäft sind streng zu trennen. Vgl. dazu nur Palandt-Bassenge, Einführung vor § 854 BGB, Rdn. 16.*

<sup>77</sup> *Zur Unterscheidung dieser beiden Verträge siehe bereits oben, I.- Auch bei verschiedenen Verträgen kann die Unwirksamkeit des einen Vertrages die Nichtigkeit des anderen nach sich ziehen, wenn beide Verträge in einem unmittelbaren inneren Zusammenhang miteinander stehen. Art. 62 ZGB, der an sich einen einheitlichen Vertrag voraussetzt, findet insoweit entsprechende Anwendung (Art. 5 ZGB).*

<sup>78</sup> *Natürlich ist für die Bank damit noch nicht alles verloren, insbesondere muss sie deshalb nicht endgültig auf die Rückzahlung des an den Schuldner ausgezahlten Darlehens verzichten: Insoweit hat sie einen Anspruch aus ungerechtfertigter Bereicherung gegen den Schuldner aus Art. 976 Abs. 1, a) ZGB wegen der ohne Rechtsgrund - Nichtigkeit des Darlehensvertrages- erfolgten Leistung. Dieser gesetzliche Anspruch ist in mancher Hinsicht jedoch „schwächer“ als die vertragliche Forderung. Alle Einzelheiten können an dieser Stelle nicht erörtert werden.*

*Hinzuweisen ist jedoch auf die eingeschränkte Rückerstattungspflicht des gutgläubigen Schuldners gemäß Art. 979 ZGB und auf die Problematik der Verzinsung der Geldschuld, die Art. 981 Abs. 2 Satz 2 ZGB nur für den bösgläubigen Schuldner vorsieht. Am gravierendsten ist jedoch der Nachteil, dass die Gläubigerin für diesen gesetzlichen Anspruch keinerlei dingliche Sicherheiten erwirbt.*

schlechter, als hätte sie sich des gesetzlichen Sicherungsmittels der Hypothek bedient. Grund genug also auch für die Banken, die folgenden Bedenken im eigenen Interesse ernst zu nehmen und an Stelle eines Übermaßes an Vorteilen bei der Bestellung von Sicherheiten lieber solche anzustreben, die im Ernstfall vor den Gerichten Bestand haben.

aa) Grundsätzlich ist das Sicherungseigentum an Immobilien als Rechtsinstitut anzuerkennen.

Auf die obigen Ausführungen<sup>79</sup> und die zitierten Stellungnahmen von *Chanturia*<sup>80</sup> kann verwiesen werden.

bb) Die –offene- Vereinbarung des Sicherungseigentums ist auch nicht deshalb gemäß Art. 56 Abs. 1 ZGB unwirksam, weil die Parteien diese Abrede nicht ernsthaft wollen, sondern in Wahrheit ein anderes Rechtsgeschäft anstreben (Art. 56 Abs. 2 ZGB), insbesondere eine Hypothek. Erneut kann auf *Chanturia* verwiesen werden, der überzeugend nachweist, dass die Parteien gerade keine Hypothek, sondern etwas anderes vereinbaren wollen, nämlich das Sicherungseigentum<sup>81</sup>. Insoweit bestehen mithin keine Wirksamkeitsbedenken gegen diese Abrede.

cc) Dies gilt allerdings nur, wenn und so weit die Parteien die Sicherungsabrede offen vereinbaren.

Sobald sie, aus welchen Gründen auch immer, dazu übergehen, ein anderes Rechtsgeschäft vorzuschieben, insbesondere einen Kaufvertrag zu fingieren, greifen die Grundsätze über das Schein- und Schwindelgeschäft gemäß Art. 56 Abs. 1 und 2 ZGB durch:

Der zum Schein eingegangene „Kaufvertrag“ ist gemäß Art. 56 Abs. 1 ZGB nichtig, da er nicht ernsthaft gewollt ist. Dabei kommt es nicht darauf an, dass die Parteien den Eigentumsübergang auf die Bank durchaus anstreben. Ernsthaft gewollt ist jedenfalls kein Kaufvertrag im Sinne der Artt. 477 ff ZGB. Verabredet ist vielmehr eben eine Sicherungsabrede mit einem Nutzungsrecht des Schuldners bis zur Fälligkeit des Darlehens und einem regelmäßigen Rückerwerbsrecht des Schuldners nach Begleichung der Darlehensforderung. Wenn all dieses nicht im Vertrag erwähnt wird,

---

<sup>79</sup> Siehe oben, 1.

<sup>80</sup> Siehe oben, Fußnote 10.

<sup>81</sup> Siehe Fußnote 10.

ist die Urkunde jedenfalls unvollständig und schon deshalb neben der Unwirksamkeit gemäß Art. 56 Abs. 1 ZGB formnichtig im Sinne von Artt. 323, 59 Abs. 1 ZGB.

Die in Wahrheit gewollte Sicherheitsabrede ist ihrerseits gemäß Art. 56 Abs. 2 ZGB zu beurteilen. Da sie sich auf die Übereignung eines Grundstücks bezieht, gelten für dieses tatsächlich beabsichtigte Rechtsgeschäft nach der Regelung des Art. 56 Abs. 2 ZGB die diesbezüglichen Vorschriften, mithin vor allem eben Art. 323 ZGB. Danach ist der Vertrag notariell zu beurkunden. Ein notarieller Vertrag liegt zwar vor. Gemeint in Art. 323 ZGB und erforderlich ist jedoch selbstverständlich die vollständige Beurkundung des wirklich gewollten Vertrages, nicht etwa die irgendeiner Vereinbarung, schon gar nicht die des nur zum Schein geschlossenen „Kaufvertrages“: dieser ist damit, wie gesagt, gemäß Art. 56 Abs. 1 ZGB nichtig, der in Wahrheit gewollte Sicherungsvertrag seinerseits ist mangels notarieller Beurkundung gemäß den Artt. 56 Abs. 2, 323, 59 Abs. 1, 69 Abs. 3 ZGB unwirksam.

Die Nichtigkeit dieser Vereinbarung hat damit, wie ebenfalls dargetan, die Nichtigkeit der Übereignung des Grundstücks auf die Gläubigerin zur Folge<sup>82</sup>. Das Register wird unrichtig.

dd) Diese Nichtigkeit der Übereignung ist in Georgien im übrigen- anders als im deutschen Recht- endgültig und unheilbar. Erneut in Folge des Abstraktionsprinzips<sup>83</sup> lassen etwaige Mängel des schuldrechtlichen Rechtsgeschäfts in Deutschland die Wirksamkeit der sachenrechtlichen Übereignung unberührt. Umgekehrt vermag gemäß § 311 b Abs. 1 BGB die Eintragung des dinglichen Rechts im Grundbuch die Formnichtigkeit des Grundgeschäftes zu heilen: mit der Registrierung des Rechtsübergangs wird das zunächst formunwirksame schuldrechtliche Rechtsgeschäft wirksam<sup>84</sup>.

In Georgien fehlt eine derartige Bestimmung: Das unter Verstoß gegen gesetzliche Formvorschriften zustande gekommene Rechtsgeschäft ist und

---

<sup>82</sup> Siehe oben, 3., b) vor aa).

<sup>83</sup> Siehe oben, Fußnote 17.

<sup>84</sup> Die Heilungswirkung der Eintragung erfasst allerdings nur Formmängel. Etwaige sonstige Mängel des Rechtsgeschäftes werden hierdurch nicht geheilt.

bleibt nichtig, unabhängig von der Eintragung des dinglichen Rechts im Register, das Register ist und bleibt falsch.

ee) Problematisch ist in diesem Zusammenhang allenfalls die Beweislage: immerhin hat die Bank einen notariellen Vertrag, auf den sie sich hinsichtlich des „Kaufvertrages“ berufen kann, und eine Eintragung im Register, die gemäß Art. 312 Abs. 1 ZGB eine Vermutung für deren Richtigkeit und damit für das Bestehen des dinglichen Rechts des Gläubigers gewährt. Der Schuldner muss daher beweisen, dass in Wahrheit nicht ein Kaufvertrag, sondern ein Darlehensvertrag mit einer Sicherungsvereinbarung zwischen den Parteien verabredet, mithin ein Scheingeschäft beurkundet worden ist<sup>85</sup>. Bei diesem Nachweis können ihm allerdings tatsächliche Umstände helfen, wie vor allem die gerichtsbekannte Häufung derartiger Fälle, sowie weitere Indizien, insbesondere etwaige Zins- und Tilgungszahlungen durch den Schuldner, die für einen Darlehensvertrag, nicht jedoch für einen Kaufvertrag typisch sind. Dies gilt insbesondere auch, wenn die Bank die Auszahlung des Darlehens als „Kaufpreiszahlung“ getarnt hat. Ein weiterer eindeutiger Hinweis auf ein in Wahrheit vereinbartes Sicherungsgeschäft liegt vor, wenn der Schuldner nach dem „Kauf“ der Immobilie durch die Bank die Wohnung auf unbestimmte Zeit bewohnt, insbesondere, ohne Miete zu bezahlen, und wenn die Bank von ihm die Räumung erst verlangt, nachdem er mit seinen Zahlungen auf die Darlehensverbindlichkeiten in Rückstand geraten ist.

Die Einschaltung Dritter, insbesondere von Stroh Männern der Bank, macht den Nachweis zumeist nicht schwieriger, sondern die undurchsichtigen Rechtsbeziehungen legen die Annahme eines Scheingeschäftes oft gerade nahe.

ff) Zwischenergebnis: Die Parteien, insbesondere die Banken als Gläubigerin, tun sich mit derartigen leicht durchschaubaren Scheingeschäften keinen Gefallen, sondern gefährden nur die erstrebten Sicherheiten und damit letztlich die Rückzahlung der gewährten Darlehen.

Dringend anzuraten sind daher bestandskräftige Verträge, die vor den Gerichten Anerkennung finden und den legitimen Sicherungsinteressen der Banken Rechnung tragen.

---

<sup>85</sup> Zur Beweislast vgl. Art. 102 ZPO.



gg) Die offene Vereinbarung einer Sicherungsabrede in Ergänzung des zwischen den Parteien in Wahrheit gewollten Darlehensvertrages und unter Festlegung der beiderseitigen Rechte und Pflichten, sowohl vor dem Sicherungsfall, insbesondere aber nach dessen Eintritt, ist daher unbedingt zu empfehlen. Auch dabei sind allerdings gewisse Grundsätze zu berücksichtigen, deren Verletzung erneut zur unerwünschten Nichtigkeit der Sicherungsabrede führen kann.

(1) Besonders problematisch ist die Vereinbarung einer Verfallabrede, nach der der Gläubiger, die Bank, das Eigentum an der Immobilie endgültig erwerben oder behalten soll, sofern der Schuldner seinen Verpflichtungen aus dem Darlehensvertrag nicht nachkommt. Das gilt insbesondere, wenn eine Anrechnung des Grundstückswertes auf die restliche Darlehensforderung nicht vorgesehen ist, sondern der Schuldner sein Eigentum ohne weiteres verliert. Für die Beurteilung derartiger Abreden spielt es keine Rolle, ob das Eigentum erst auf die Bank übergehen soll, wenn der Schuldner in Zahlungsverzug gerät, oder ob die Parteien umgekehrt das Eigentum sogleich auf die Bank übertragen und der Schuldner es lediglich bei vertragsgemäßer Darlehenstilgung zurückerhalten soll. Beide Konstellationen haben spiegelbildlich dieselbe Funktion und sind hinsichtlich ihrer Zulässigkeit rechtlich dementsprechend gleich zu bewerten. Allenfalls kann man daran denken, dass die in Georgien häufig gewählte Version, bei der die Bank schon im voraus das Eigentum erhält und es lediglich bei völliger Tilgung der Verbindlichkeiten durch den Schuldner auf diesen zurückübertragen muss, für den Schuldner noch belastender ist als die umgekehrte Variante, bei der die Bank erst beim Verzug des Schuldners Eigentum erlangt. Bedenken gegen die Wirksamkeit der Vereinbarung gelten also bei der erstgenannten Fallkonstellation in besonderem Maße.

(2) Unproblematisch ist im georgischen Recht zunächst allerdings die etwaige Vereinbarung einer Bedingung gemäß den Artt. 90 ff ZGB im Hinblick auf die Übereignung oder Rückübereignung der Immobilie. Ob die Parteien lediglich eine schuldrechtliche Verpflichtung zur Übereignung beziehungsweise zur Rückübertragung des Eigentums verabreden oder ob sie das Eigentum unter entsprechende Bedingungen stellen, spielt für die Wirksamkeit der Abrede keine Rolle. Anders als im deutschen Recht,

das in § 925 Abs. 2 BGB eine bedingte Übereignung von Grundstücken untersagt, fehlt im georgischen ZGB eine entsprechende Bestimmung. Unter diesem Gesichtspunkt bestehen daher keine Bedenken dagegen, die Übereignung auf die Gläubigerin oder zurück auf den Schuldner unter die Bedingung zu stellen, dass der Schuldner seinen Verpflichtungen nachkommt bzw. ihnen nicht nachkommt.

(3) Wesentlich problematischer als diese eher technische Frage ist allerdings, ob es überhaupt zulässig ist, Forderungen dahingehend zu sichern, dass der Schuldner sein Eigentum endgültig an den Gläubiger verliert, wenn er seine Verpflichtungen nicht pünktlich erfüllt.

Für das Hypothekenrecht und für das Pfandrecht an beweglichen Sachen hat das georgische ZGB - insoweit in Übereinstimmung mit dem deutschen Zivilrecht<sup>86</sup> - eine eindeutige Entscheidung getroffen: Art. 302 Abs. 2 ZGB für die Hypothek und Art. 273 ZGB für das Pfandrecht verbieten derartige Vereinbarungen und erklären sie unmissverständlich für nichtig.

Dabei ist zweierlei klar:

Zum einen gelten diese Bestimmungen nur für Vereinbarungen im Voraus, das heißt vor Eintritt der Fälligkeit der hypothekarisch oder durch Pfandrecht gesicherten Forderung. Im deutschen Recht ist dies in den genannten Bestimmungen ausdrücklich so geregelt, für das georgische Recht gilt schon nach dem Wortlaut der Bestimmungen, vor allem aber nach ihrem Sinn und Zweck, nichts anderes. Zutreffend verweist *Chanturia*<sup>87</sup> darauf, dass nach Eintritt des Sicherungsfalles eine Vereinbarung zwischen Schuldner und Gläubiger über die Übereignung von Immobilien unter Anrechnung auf die Schulden insbesondere im Rahmen eines gerichtlichen Vergleichs zulässig sein muss und an die Stelle der gesetzlich vorgesehenen Verwertung des Objektes durch die Zwangsversteigerung treten kann.

Zum anderen steht folgendes fest: Wenn Artt. 302 und 273 ZGB von Gläubiger und Schuldner sprechen, so sind damit Hypotheken- und Pfandgläubiger bzw. –Schuldner gemeint. Dies ergibt sich im Wege der Auslegung und aus dem entsprechenden systematischen Standort der

---

<sup>86</sup> Vgl. §§ 1149, 1229 BGB.

<sup>87</sup> Vgl. Fußnote 10. - Ebenso weist Gaul (Fußnote 5) auf Seite 374 für das deutsche Recht nach, dass eine nachträgliche Verfallabrede unbedenklich ist.

Vorschriften und ist für das deutsche Recht unbestritten<sup>88</sup>. Für Fälle der vorliegenden Art, in denen keine Hypotheken und Pfandrechte zugunsten des Gläubigers bestellt worden sind, sondern eine Sicherungsübereignung erfolgt ist, gelten diese Bestimmungen also jedenfalls nicht direkt. Nicht beantwortet ist damit die Frage, ob diese Vorschriften gemäß Art. 5 ZGB analog anzuwenden sind.

Diese Problematik ist in Deutschland nach wie vor höchst streitig. In Wahrheit geht dieser Streit jedoch viel weiter zurück und beschäftigte bereits im vierten Jahrhundert n. Chr. die römischen Juristen. Die *Lex commissaria*, das heißt eine Vereinbarung, durch die dem Pfandgläubiger das Pfand endgültig verfällt, wenn der Schuldner bei Fälligkeit nicht zahlt, wurde bereits durch ein Edikt Konstantins im Jahre 320 für unwirksam erklärt<sup>89</sup>. Grund war bereits damals, den Schuldner, der aus Leichtsinns, Unerfahrenheit oder Not sein Eigentum voreilig aufs Spiel setzte, davor zu schützen, es unter Wert an den Gläubiger zu verlieren. Bei den Beratungen vor dem Erlass des BGB spielte diese Frage erneut eine Rolle und führte letztlich zu den beschriebenen Regelungen<sup>90</sup>.

Ob diese Bestimmungen für das Sicherungseigentum entsprechende Anwendung finden, war und ist, wie gesagt, in Deutschland nach wie vor umstritten. Dass das Gesetz hierzu schweigt, gibt weder für die eine noch für die andere Auffassung etwas her, da der Gesetzgeber, wie bereits erwähnt, das Sicherungseigentum bei Erlass der BGB und auch später überhaupt nicht geregelt hat und dieses Institut in der heutigen Form erst in der Folgezeit von der Rechtsprechung und der Literatur entwickelt worden ist<sup>91</sup>. Da insoweit gesetzliche Regelungen bis heute vollständig fehlen, spricht das Schweigen des Gesetzes jedenfalls nicht gegen eine entsprechende Anwendung der fraglichen Bestimmungen.

Der Bundesgerichtshof hat sich in einer vielfach kritisierten Entscheidung

---

<sup>88</sup> Vgl. Tiedtke, *Zeitschrift für Wirtschaftsrecht (ZIP)* 1996, 57 sowie Gaul (Fußnote 5), Seite 368.

<sup>89</sup> Vgl. die Nachweise bei Tiedtke (Fußnote 29).

<sup>90</sup> Vgl. vor allem die umfassende Darstellung bei Gaul (Fußnote 5).

<sup>91</sup> Vgl. oben, I.- Auch zur Entwicklung dieses Rechtsinstituts und insbesondere seiner Vorgänger, auch aus der Zeit vor Inkrafttreten des BGB, vgl. Gaul (Fußnote 5).

gegen die analoge Anwendung der genannten Vorschriften auf die Fälle des Sicherungseigentums ausgesprochen<sup>92</sup> und eine Vereinbarung anerkannt, nach der der Gläubiger berechtigt war, das Grundstück des Schuldners zu übernehmen, sofern der Schuldner bei Fälligkeit seine Verbindlichkeiten nicht erfüllen würde. Der „Kaufpreis“, besser: die Höhe der Gegenleistung für die Übernahme, stand zum Zeitpunkt der Vereinbarung noch nicht fest, konnte je nach dem weiteren Verlauf des Darlehensgeschäftes jedoch weit unter dem tatsächlichen Grundstückswert liegen<sup>93</sup>. An der Übertragung des Eigentums war der Schuldner nicht mehr beteiligt, vielmehr konnte der Gläubiger die notwendigen Erklärungen auf Grund einer vorab erteilten Vollmacht unter Befreiung von den Beschränkungen des § 181 BGB<sup>94</sup> selbst abgeben und die Umschreibung im Register allein herbeiführen. Anders als der Bundesgerichtshof hielten übrigens die beiden Vorinstanzen diese Vereinbarung gemäß den §§ 1149, 1229 BGB, die den Artt. § 302 Abs. 2, 273 ZGB entsprechen, für nichtig.

Gefolgt ist dem Bundesgerichtshof hingegen in einem ähnlichen Fall das Bayerische Oberste Landesgericht<sup>95</sup>.

Zur Begründung hat sich der Bundesgerichtshof im Wesentlichen auf den Grundsatz der Vertragsfreiheit gestützt und darauf, dass die genannten Bestimmungen mit dem Verbot der Verfallabrede lediglich eine vom Gesetz abweichende Verwertung der gesetzlich vorgesehenen dinglichen Sicherungen, nämlich der Hypothek und des Pfandrechts, verhindern wollten. Wenn der Gläubiger ein derartiges Pfandrecht gar nicht habe, sondern sich die Parteien für eine andere Form der Sicherung der Forderung entschieden hätten, greife dieser Schutzzweck nicht ein. Denn dem Schuldner stehe es auch sonst frei, für den Fall, dass er seine

---

<sup>92</sup> Urteil vom 23. 6. 1995, *Neue Juristische Wochenschrift (NJW)* 1995, 2635.

<sup>93</sup> Die Fallkonstellation, die der Entscheidung des Bundesgerichtshofes zu Grunde lag, war tatsächlich noch wesentlich komplizierter. Der für die vorliegende Problematik maßgebliche Sachverhalt lässt sich allerdings auf die hier mitgeteilten Umstände reduzieren – so auch Tiedtke, Fußnote 29.

<sup>94</sup> Diese Vorschrift entspricht dem Art. 114 ZGB.

<sup>95</sup> Beschluss vom 7. 11. 1996, *Deutsche Notar Zeitung (DNotZ)* 1997, 727 mit ablehnender Anmerkung von Eickmann, dort Seite 729 sowie im *Münchener Kommentar*, 3. Auflage, § 1149 BGB, Rdn. 12.

Verpflichtungen nicht rechtzeitig erfüllt, eine Vertragsstrafe entsprechend den §§ 339 BGB<sup>96</sup> zu versprechen. Hierbei müsse es sich gemäß § 342 BGB nicht um eine Geldleistung handeln<sup>97</sup>, vielmehr komme auch jede andere Leistung in Betracht. Der Schutz des Schuldners erfolge in diesen Fällen über die Grundsätze über die Herabsetzung der Vertragsstrafe gemäß § 343 BGB<sup>98</sup> oder über das Verbot sittenwidriger oder wucherischer Geschäfte (§ 138 BGB)<sup>99</sup>.

Die Literatur in Deutschland ist dieser Auffassung nur teilweise gefolgt<sup>100</sup>. Insbesondere *Gaul* hat sich mit überzeugenden Gründen für die entsprechende Anwendung der genannten Verbotsbestimmungen auf Verfallklauseln im Zusammenhang mit Sicherungsübereignungen ausgesprochen, da es sich bei diesem Verbot um ein allgemeines Prinzip der Rechtsordnung handle, das dem Sicherungsgedanken immanent sei. Die spezifische Ausbeutungsgefahr sei bei diesem Rechtsinstitut ebenso hoch, wenn nicht noch höher, wie bei den gesetzlich geregelten Sicherungsrechten<sup>101</sup>. Auch *Tiedtke* weist zu Recht darauf hin, dass diese Vorschriften deswegen analog anzuwenden seien, weil für sie nicht die Tatsache charakteristisch sei, dass dem Gläubiger ein dingliches Sicherungsrecht in Form einer Hypothek oder eines Pfandrechts eingeräumt werde. Maßgeblich für das gesetzliche Verbot sei vielmehr die abstrakte Gefahr, dass der Schuldner sein Eigentum am Grundstück verlieren könne, ohne eine entsprechende Gegenleistung zu erhalten. Tatsächlich erlange er zwar regelmäßig die Befreiung von seinen Verbindlichkeiten. Deren Wert könne im Einzelfall allerdings wesentlich geringer sein als der Wert der Immobilie<sup>102</sup>. Das Problem der Verschleuderung von Grundstücken zu

---

<sup>96</sup> Entspricht im wesentlichen den Artt. 417 ff ZGB.

<sup>97</sup> Demgegenüber spricht Art. 417 ZGB zwar ausdrücklich nur von einem Geldbetrag. Es besteht aber im Hinblick auf den Grundsatz der Vertragsfreiheit gemäß Art. 319 ZGB auch in Georgien kein Zweifel, dass auch andere Leistungen als Vertragsstrafe vereinbart werden können.

<sup>98</sup> In Georgien entsprechend Art. 420 ZGB.

<sup>99</sup> In Georgien gemäß den Artt. 54 und 55 ZGB.

<sup>100</sup> Zum Meinungsstand vgl. *Staudinger-Wiegand*, 13. Bearbeitung, 1997, § 1229. Rdn. 14, 15.

<sup>101</sup> Vgl. Fußnote 5, Seite 380.

<sup>102</sup> Vgl. Fußnote 29.

Sicherungszwecken stelle sich daher bei der Vereinbarung von Verfallklauseln gleichermaßen dann, wenn die Parteien die gesetzlichen Institute der Hypothek oder des Pfandrechts wählten, als auch dann, wenn sie auf das hier geschilderte Konstruktion der Sicherungsübereignung zurückgriffen.

Diese Rechtsähnlichkeit der Gefahrenlage legt in der Tat die analoge Anwendung der Verbotsbestimmungen der Artt. 273, 302 Abs. 2 ZGB auf das Sicherungseigentum nahe.

Das gilt umso mehr, als die Bestimmungen über die Herabsetzung der Vertragsstrafe gemäß Art. 420 ZGB und über die Gesetz- und Sittenwidrigkeit von Verträgen gemäß Art. 54 ZGB oder gemäß Art. 55 ZGB, deren Pendant im deutschen Recht der Bundesgerichtshof als ausreichenden Schutz für den Schuldner ansieht, diesen im Einzelfall nur mangelhaft vor Übervorteilung bewahren. *Tiedtke* weist zutreffend darauf hin, dass insbesondere die wertenden Tatbestandsmerkmale der genannten Normen den Schuldner erheblich weniger zuverlässig schützen als das eindeutige Verbot von Verfallklauseln im Pfand- und Hypothekenrecht. Insbesondere setzen die generellen Regelungen den Schuldner einem Rechtsstreit mit ungewissem Ausgang aus. Dieses Risiko hat das Gesetz in den genannten Verbotsbestimmungen bewusst ausschließen und die Unwirksamkeit der Regelung nicht von den Umständen des Einzelfalls abhängig machen wollen. Dementsprechend hat es Verfallklauseln zu Gunsten des Pfand- oder Hypothekengläubigers generell verboten auf Grund ihrer abstrakten Gefährlichkeit und nicht nur dort, wo sie im konkreten Fall zu unangemessenen Ergebnissen führen.

Es wird abzuwarten sein, ob die georgischen Gerichte angesichts der gleichgelagerten Wertungen und Interessenlage die genannten Bestimmungen auf Fälle der vorliegenden Art analog anwenden und die Vereinbarungen von Verfallklauseln im Zusammenhang mit Sicherungsübereignungen, durch die der Schuldner sein Eigentum endgültig an den Gläubiger verlieren kann, generell für unwirksam erklären.

(4) Wenn die Gerichte in Georgien sich nicht zu einer derartigen grundsätzlichen Ablehnung von Verfallklauseln analog den Artt. 273, 302 Abs. 2 ZGB durchringen können, werden sie sich der keineswegs

einfacheren Aufgabe stellen müssen, die Wirksamkeit derartiger Sicherungsvereinbarungen an Hand der allgemeinen Bestimmungen über die Zulässigkeit und Grenzen von vertraglich Vereinbarungen im Einzelfall zu überprüfen.

In erster Linie hat dies, wie dargetan, an Hand der Maßstäbe der Artt. 54, 55 ZGB betreffend die Sittenwidrigkeit von Rechtsgeschäften und den Machtmissbrauch beim Abschluss des Vertrages zu geschehen.

Diese diesbezüglichen Kriterien können an dieser Stelle nicht abschließend dargestellt werden, zumal die Entscheidung über die Wirksamkeit oder Unwirksamkeit einer Sicherungsvereinbarung eben gerade stark von den Umständen des Einzelfalles abhängt<sup>133</sup>. Die Entwicklung entsprechender Maßstäbe obliegt der Rechtsprechung und Rechtswissenschaft in Georgien. Lediglich einige Gesichtspunkte mögen die Orientierung erleichtern: Selbstverständlich liegt die Annahme einer sittenwidrigen Benachteiligung des Schuldners um so näher, je stärker die Vereinbarung über die legitimen Sicherungsinteressen der Bank hinaus geht und je offensichtlicher das Missverhältnis zwischen Leistung und Gegenleistung ist. Dabei handelt es sich bei diesem Leistungsverhältnis nicht um den Austausch zwischen Sach- und Geldleistung wie im Kaufrecht. Vielmehr stehen sich gegenüber der zu sichernde berechnete Anspruch der Bank, das von ihr gewährte Darlehen nebst sämtlichen Nebenleistungen wie Zinsen und Kosten vollständig und fristgerecht zurückzuerlangen, und das ebenfalls schützenswerte Interesse des Schuldners, sein Eigentum zu behalten beziehungsweise es jedenfalls nur unter Anrechnung des vollen Wertes auf seine Verbindlichkeiten zu verlieren. So unterschiedlich, wie hier die Verhältnisse und Risiken im Einzelfall liegen, können die Bewertungen der entsprechenden Vereinbarungen durch die Gerichte ausfallen.

Wichtige Gesichtspunkte sind dabei vor allem, ob die Gefahr besteht, dass der Schuldner sein Eigentum zu einem Bruchteil des tatsächlichen Wertes verliert oder ob er in etwa eine gleichwertige Gegenleistung im Rahmen der Anrechnung auf seine Darlehensschuld erlangt<sup>134</sup>. Wichtig sind auch subjektive Kriterien, insbesondere auf Seiten des Schuldners,

<sup>133</sup> Zum deutschen Recht vgl. insoweit Palandt-Heinrichs, § 138 BGB, Rdn 97.

<sup>134</sup> Vgl. dazu auch Chanturia, Fußnote 10.

insbesondere, ob eine Notlage, Unerfahrenheit oder Leichtsinn seinerseits eine Rolle beim Abschluss des Vertrages gespielt haben (vgl. Art. 55 ZGB). Eng damit zusammen hängt die Frage, ob es sich beim Schuldner um einen Privatmann oder um einen Kaufmann handelt, der im Allgemeinen einen geringeren Schutz genießt<sup>105</sup>. Die höheren Sicherungsinteressen einer Bank, die bei einem risikoreichen Geschäft ein Darlehen gewährt, mögen eine andere Vertragsgestaltung rechtfertigen als ein weitgehend unbedenkliches Kreditengagement. In jedem Falle gilt allerdings, dass es für die Beurteilung der Vereinbarung auf die Betrachtung bei Abschluss des Vertrages ankommt und damit auf die danach möglichen Risiken<sup>106</sup>. Nicht entscheidend für die Bewertung der Vereinbarung ist nach diesen Bestimmungen demgegenüber, ob sich diese Gefahren für den Schuldner später verwirklichen oder nicht.

Allein die Gefahr einer unverhältnismäßigen Benachteiligung kann für sich allein oder in Verbindung mit weiteren Umständen zu einem Verstoß gegen die Artt. 54, 55 ZGB führen.

Die Folge ist die Nichtigkeit der Sicherungsabrede insgesamt. Sie lässt sich nicht mit dem Inhalt einer gerade noch zulässigen Vereinbarung aufrechterhalten<sup>107</sup>. Die Nichtigkeit der Sicherungsvereinbarung kann, wie dargetan, über Art. 62 ZGB auch die des hiervon streng getrennt zu untersuchenden Darlehensvertrages nach sich ziehen<sup>108</sup>. In jedem Fall führt sie mangels eines wirksamen Erwerbsgeschäftes gemäß Art. 183 ZGB zur Unwirksamkeit der Übereignung nach dieser Bestimmung.

Liegen die Voraussetzungen der Artt. 54, 55 ZGB im Einzelfall nicht vor, so ist an die ebenfalls bereits erwähnt Bestimmung des Art. 420 ZGB zu denken. Nach der Rechtsprechung des Bundesgerichtshofes<sup>109</sup>, der insoweit zu folgen ist, kann in einer Verfallklausel der geschilderten Art eine Vertragsstrafe zu sehen sein: für den Fall der nicht vertragsgemäßen Erfüllung verspricht der Schuldner eine bestimmte Leistung über die eigentliche Vertragspflicht hinaus.

<sup>105</sup> Zu diesem Rechtsgedanken der unterschiedlichen Schutzwürdigkeit vgl. z.B. Artt. 347, 348 ZGB.

<sup>106</sup> Vgl. Bundesgerichtshof BGHZ 107, 92 (96); Tiedtke, Fußnote 29..

<sup>107</sup> Palandt – Heinrichs, § 138 BGB, Rdn. 19

<sup>108</sup> Siehe dazu oben, 1.

<sup>109</sup> Vgl. oben, Fußnote 33.



Dass es sich dabei nicht unbedingt um eine Geldleistung handeln muss, wurde bereits dargetan<sup>110</sup>. Die Höhe der Vertragsstrafe darf auch den drohenden Schaden übersteigen, wie sich aus Art. 418 Abs. 1 ZGB ergibt.

Die Vereinbarung einer Verfallklausel im Rahmen einer Sicherungsabrede ist zwar grundsätzlich formlos möglich. Wenn man sie zutreffend als Vertragsstrafe betrachtet, muss sie gemäß Art. 418 Abs. 2 ZGB jedoch zumindest schriftlich geschlossen werden. In der Praxis ist dies allerdings regelmäßig kein Problem, da sie in Fällen der vorliegenden Art schon wegen der Artt. 183, 323 ZGB ohnehin regelmäßig notariell beurkundet wird, um die Grundstückübertragung zu ermöglichen- vorausgesetzt, es handelt sich um eine offene Sicherungsabrede.

Bedeutsamer ist demgegenüber die Vorschrift des Art. 420 ZGB: führt die Vertragsstrafe unter Berücksichtigung aller Umstände<sup>111</sup> zu einer unverhältnismäßigen Belastung des Schuldners, so kann das Gericht sie auf eine angemessene Höhe herabsetzen.

Diese Bestimmung erweist sich damit als wesentlich elastischer und differenzierter als die „grobe Keule“ der Artt. 54, 55 ZGB, und zwar in doppelter Hinsicht: eine übermäßig hohe Vertragsstrafe führt zum einen nicht zur Nichtigkeit der Vereinbarung insgesamt, sondern ermöglicht es dem Gericht, durch rechtsgestaltende Entscheidung eine angemessene Regelung herbeizuführen. Diese wird in der Regel dahin gehen müssen, dass der Schuldner sein Eigentum nicht ersatzlos verliert, sondern nur gegen Anrechnung auf die noch nicht beglichene Darlehensschuld und unter Auskehrung eines überschüssenden Wertes an ihn, wenn sich dieser bei der Verwertung des Grundstücks ergibt. Dabei ist durch die gerichtliche Entscheidung zugleich sicherzustellen, dass die Gläubigerin das Grundstück nicht verschleudert, sondern möglichst einen angemessenen Marktpreis erzielt.

Zum anderen erlaubt es diese Vorschrift, der konkreten Entwicklung der Rechtsbeziehungen der Parteien Rechnung zu tragen: anders als bei

---

<sup>110</sup> Siehe oben, Fußnote 38.

<sup>111</sup> Dabei sind entsprechend dem deutschen Recht alle Interessen des Gläubigers, nicht nur seine Vermögensinteressen, zu berücksichtigen. § 343 BGB schreibt dies ausdrücklich

den Artt. 54, 55 ZGB kommt es nämlich nicht auf die Beurteilung der Vereinbarung bei Abschluss des Sicherungsvertrages an, sondern auf die Situation bei Geltendmachung der Vertragsstrafe<sup>12</sup>. Es gilt daher nicht ein „Alles- oder -nichts- Prinzip auf Grund der Bewertung der Vereinbarung im Hinblick auf eine abstrakte Gefährdungslage bei Vertragsabschluss, sondern maßgeblich ist eine konkrete Beurteilung der Situation seitens des Gerichtes bei Fälligkeit der Vertragsstrafe mit der Möglichkeit einer sachgerechten Anpassung.

Größer wird die Rechtssicherheit für die beteiligten Parteien dadurch allerdings nicht: zu den Unsicherheiten auf der Tatbestandsebene, die durch die unbestimmten Rechtsbegriffe in den entsprechenden Normen entstehen<sup>13</sup>, kommt hier noch die Ungewissheit auf der Rechtsfolgenseite hinzu, die die gerichtliche Anpassungsmöglichkeit mit sich bringt und die zudem von der tatsächlichen weiteren Entwicklung abhängt. Eine zuverlässige Prognose über die Bestandskraft und das Schicksal der Sicherungsabrede ist unter diesen Voraussetzungen in vielen Fällen bei Abschluss der Vereinbarung nicht möglich; für die Parteien eine wenig glückliche Situation und eine ungünstige Basis für längerfristige wirtschaftliche Planungen.

Ein letzter Gesichtspunkt ist zu erwähnen: die Banken werden als Gläubigerin vom Sicherungseigentum in einer Vielzahl von Fällen Gebrauch machen und die entsprechenden Regelungen einseitig und formularmäßig entwerfen, schon um eine gleichmäßige Behandlung dieses Standardvorganges zu erreichen. Bei derartigen vorformulierten Vertragsbedingungen handelt es sich damit um Allgemeine Geschäftsbedingungen im Sinne von Art. 342 ZGB. Sie unterliegen hinsichtlich ihrer Kontrolle daher den Bestimmungen der Artt. 343 ff ZGB. Anders als im deutschen Recht<sup>14</sup> ist ein Verbot von Vertragsstrafen in diesen Bestimmungen nicht ausdrücklich vorgesehen. Derartige Vereinbarungen können jedoch auch als unverhältnismäßig hoher

---

<sup>12</sup> Palandt- Heinrichs, § 343 BGB, Rdn. 8.

<sup>13</sup> Art. 54 ZGB: „gute Sitten“; Art 55 ZGB: „Missverhältnis“, „Missbrauch“; Art. 420 ZGB: „unverhältnismäßig hoch“.

<sup>14</sup> Vgl. § 309 Nr. 6 BGB.

pauschalierter Schadensersatz gegen Art. 348 Nr. 5 ZGB verstoßen<sup>15</sup>.

Die Bestimmungen der Artt. 347, 348 ZGB gelten allerdings nur, soweit der Schuldner kein Kaufmann ist. Ansonsten greift jedoch die generelle Verbotsnorm des Art. 346 ZGB ein, die Klauseln untersagt, die entgegen Treu und Glauben unter Würdigung aller Umstände des Einzelfalles eine Partei unverhältnismäßig benachteiligen. Diese Vorschrift betrifft auch den kaufmännischen Geschäftsverkehr. Dabei gilt hinsichtlich des Zeitpunkts der Beurteilung das zu den Artt. 54, 55 ZGB Gesagte: maßgeblich ist die Situation bei Vertragsschluss<sup>16</sup>. Folge des Verstoßes ist allerdings hier nicht die Nichtigkeit der Vereinbarung insgesamt, sondern lediglich die Unwirksamkeit der Klausel, durch die der Schuldner sein Eigentum endgültig ohne Anrechnung des Erlöses verlieren soll. Sind die Folgen eines Verstoßes gegen die Bestimmungen über Allgemeine Vertragsbedingungen damit auch nicht so weitreichend wie bei den Artt. 54 und 55 ZGB, da sie nicht den Vertrag insgesamt erfassen, sondern nur die beanstandete Klausel, so ist andererseits der Prüfungsmaßstab ist strenger: dass ein Verstoß gegen Treu und Glauben im Sinne von Art. 346 ZGB vorliegt, ist wesentlich eher anzunehmen als ein Verstoß gegen die guten Sitten gemäß Art. 54 ZGB oder der Missbrauchstatbestand des Art. 55 ZGB<sup>17</sup>. Auch dieser unbestimmte Rechtsbegriff „Treu und Glauben“ bedarf jedenfalls zunächst der Konkretisierung durch die georgischen Gerichte. Hinsichtlich der Rechtssicherheit besteht auch hier bis dahin die Ungewissheit für die Parteien, wie sie oben bereits geschildert wurde.

Da der Vertrag bis auf die beanstandete Klausel nach den Bestimmungen über die Allgemeinen Geschäftsbedingungen grundsätzlich wirksam bleibt, ist die entstandene Lücke zu schließen.

Welche Regelungen an die Stelle der für unwirksam erklärten Vertragsklausel treten, ist eine Frage des Einzelfalles und durch die entscheidenden Gerichte zu beantworten, gegebenenfalls im Wege der

---

<sup>15</sup> Zur Abgrenzung der Vertragsstrafe vom pauschalierten Schadensersatz vgl. Palandt-Heinrichs, § 276 BGB, Rdn. 55.

<sup>16</sup> Vgl. Palandt-Heinrichs, § 307 BGB, Rdn. 3.

<sup>17</sup> Vgl. Palandt-Heinrichs, § 307 BGB, Rdn. 7.

ergänzenden Vertragsauslegung<sup>18</sup>. In Betracht kommt insbesondere, dass die entsprechenden Vorschriften aus dem Hypothekenrecht über die Verwertung des Grundstücks analog angewendet werden, insbesondere die Pflicht des Gläubigers zur öffentlichen Versteigerung der Immobilie nach Einholung eines Sachverständigengutachtens über den Verkehrswert (Art. 301 ZGB analog) sowie Auskehrung eines Übererlöses an den Schuldner (Art. 308 Abs. 1 ZGB analog).

Ob dem Schuldner in diesen Fällen auch noch ein Nutzungsrecht analog Art. 303 Abs. 2 ZGB erfassen durch die Gerichte eingeräumt wird, bleibt abzuwarten.

Die Unterschiede gegenüber dem Hypothekenrecht tendieren dann allerdings im wirtschaftlichen Ergebnis gegen Null.

#### 4. Zusammenfassende Darstellung und Ergebnisse:

- Auch in der georgischen Kreditwirtschaft besteht ein Bedürfnis für Sicherungsrechte über die gesetzlich vorgesehenen Institute der Hypothek und des Pfandrechts hinaus.

- Die Vereinbarung des Sicherungseigentums an beweglichen und unbeweglichen Sachen und die Sicherungsabtretung von Forderungen und Rechten ist daher grundsätzlich als zulässig anzuerkennen. Hierbei handelt es sich um ein selbständiges Rechtsinstitut, das sich von den gesetzlichen Sicherungsrechten unterscheidet und nicht gegen den Numerus clausus und den Typenzwang des Sachenrechts verstößt.

- Das Sicherungseigentum kann nur durch eine offene Sicherungsvereinbarung wirksam begründet werden, nicht durch Scheingeschäfte welcher Art auch immer.

- Verfallklauseln, durch die der Schuldner sein Eigentum automatisch und endgültig verliert, wenn er seinen Verpflichtungen nicht vollständig nachkommt, insbesondere ohne Auskehrung eines überschüssenden

---

<sup>18</sup> In Deutschland ist gemäß § 306 BGB das dispositiven Recht, gegebenenfalls in entsprechender Anwendung, zu Grunde zu legen.

Erlöses über seine Verbindlichkeiten hinaus, sind unwirksam wegen der Verstoßes gegen die analog anzuwendenden Bestimmungen der Artt. 302 Abs. 2, 273 ZGB.

Daneben kommen im Einzelfall Verstöße gegen die Artt. 54 und 55 ZGB sowie gegebenenfalls gegen die Artt. 343 ff ZGB in Betracht, außerdem eine Anpassung der Vereinbarung gemäß Art. 420 ZGB.

*Ergebnis:* Wegen der zahlreichen Unsicherheiten dürften die Kreditgeber in Georgien derzeit bis zur Klärung der aufgezeigten Fragen durch Rechtsprechung und Wissenschaft gut beraten sein, sich zur Sicherung ihrer Kredite der gesetzlichen Institute der Pfandrechts und der Hypothek zu bedienen. Soweit sie meinen, auf das Sicherungseigentum nicht verzichten zu können, sind Verfallklauseln hinsichtlich des Eigentums zu Lasten des Schuldners zu vermeiden. Stattdessen ist sicherzustellen, dass bei der Verwertung des Sicherungsgutes in einem geordneten Verfahren möglichst der Marktwert erzielt wird und der Schuldner den Überschuss des Erlöses gegenüber seinen Verbindlichkeiten ausgezahlt erhält. Diese Regelungen sind besonders bedeutsam, wenn die Sicherungsabrede durch Allgemeine Geschäftsbedingungen getroffen wird.

## საავტორო და მომიჯნავე უფლებების მოქმედების ვადები

ინტელექტუალურ საკუთრებითი უფლებების მოქმედება შემოფარგლულია განსაზღვრული დროით. ეს უპირველეს ყოვლისა განპირობებულია კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაბალანსების აუცილებლობით. შემოქმედებითი შრომის პროდუქტი თავისი სოციალური და სამეცნიერო-ტექნიკური ღირებულების გამო სამართლის იმ ობიექტთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის გამოყენება საზოგადოებისათვის შესაძლებელი უნდა გახდეს კანონით დაწესებული გონივრული ვადის გასვლის შემდეგ. მანამდე კი იგი მხოლოდ ავტორისათვის წარმოშობს პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებს. ამ საკითხის მიმართ კანონმდებლობა არაერთგვაროვანი დამოკიდებულებით ხასიათდება. საავტორო უფლებების მოქმედების ვადა საქართველოშიც რამოდენიმეჯერ შეიცვალა. საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობით საქართველოში საავტორო უფლებათა მოქმედების ვადა 1973 წლის 1 ივნისამდე შეადგენდა 15 წელს ავტორის გარდაცვალების დღიდან. ამ თარიღიდან, რადგან საბჭოთა კავშირი საავტორო უფლებათა დაცვის მსოფლიო კონვენციას შეუერთდა, საავტორო უფლებათა დაცვის ვადა 25 წლამდე განისაზღვრა, იგი მოქმედებდა 1995 წლის 1 მაისამდე. ამ თარიღიდან კი საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის მონაწილე გახდა და საავტორო უფლებათა მოქმედების მინიმალური ვადა განისაზღვრა 50 წლით ავტორის გარდაცვალებიდან. ეს ვადა დაფიქსირდა საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსშიც. 1999 წლის ივლისიდან კი ეს ვადა გაიზარდა 70 წლამდე, ეს ფაქტი აისახა საქართველოს 1999 წლის 22 ივნისის კანონში „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, რომელმაც შეცვალა სამოქალაქო კოდექსის მეოთხე წიგნის ის ნაწილი, რომელიც სავტორო სამართალს მოიცავდა.

საქართველოში ასეთ პოზიციას საფუძვლად დაედო ევროპის თანამეგობრობის ფარგლებში მოქმედ ნორმებთან ეროვნული ნორმის პარმონიზაციის აუცილებლობა, საავტორო და ზოგიერთი მომიჯნავე უფლებების მოქმედების ვადის უნიფიკაციის შესახებ ევროპის თანამეგობრობის საბჭოს 1993 წლის 29 ნოემბრის დირექტივით 70 წლიანი ვადა დადგენილი საავტორო უფლებათა დასაცავად. საავტორო უფლებათა დაცვის ვადის ზრდის ტენდენცია ავტორთა და მათი მემკვიდრეების ინტერესებისადმი სახელმწიფოებრივი ზრუნვის გონივრულ პოზიციას გამოხატავს.

## §1. საავტორო უფლების წარმოშობა და მისი მოქმედების ვადა

საავტორო უფლების წარმოშობა ხდება ისეთი ობიექტური ფორმით გამოხატული ნაწარმოების შექმნის მომენტიდან, რომლის აღქმა ან რეპროდუცირება შესაძლებელია. მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება ავტორის დარჩენილი სიცოცხლით და გარდაცვალების შემდეგ 70 წლით. ეს დებულება ვრცელდება როგორც ჩვეულებრივ ისე განსაკუთრებულ საავტორო უფლებებზე. გამონაკლისია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონით გათვალისწინებული ცალკეული შემთხვევები, როცა შესაძლებლადაა მიჩნეული საავტორო უფლებების უფრო ნაკლები ვადით მოქმედება. კანონის 31-ე მუხლის მეორე პუნქტი ეხება ვადების ათვლის წესს. ყველანაირი საავტორო უფლების ათვლა იწყება ნაწარმოების შექმნის მომენტიდან.

ისეთ შემთხვევებშიც კი როცა ავტორი გარდაიცვლება, საავტორო უფლების დაცვის დადგენილი ვადის დენა დაიწყება აღნიშნული იურიდიული ფაქტის დადგომიდან მომდევნო ახალი წლის პირველი იანვრიდან. არა აქვს მნიშვნელობა თუ რამდენი თვე ან დღე რჩება ამ თარიღამდე. მაგალითად, თუ ნაწარმოები შეიქმნა 1990 წელს, ხოლო მისი ავტორი გარდაიცვალა 2000 წლის 15 მარტს, მისი საავტორო უფლება ათვლება 2001 წლის 1 იანვრიდან და იმოქმედებს 2071 წლის 1 იანვრამდე. იგულისხმება, რომ ავტორის გარდაცვალებიდან მომდევნო წლის პირველ იანვრამდე პერიოდის განმავლობაში საავტორო უფლებები კი არ წყდება, არამედ ავტომატურად განაგრძობს მოქმედებას.

კანონის 32-ე მუხლი საავტორო უფლებათა მოქმედების განსხვავებულ ვადებსა და ათელის წესს ადგენს, მათ საფუძვლად უდევს სხვაობა ცალკეული საავტორო უფლების შინაარსში.

1. ფსევდონიმით ან ანონიმურად გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე, რომლის ავტორი არ გაამჟღავნებს თავის ვინაობას ან მისი ვინაობა ეჭვს იწვევს საზოგადოებაში, საავტორო უფლება მოქმედებს მართლზომიერად გამოქვეყნებიდან 70 წლის განმავლობაში. სხვა შემთხვევებში კი – ავტორის სიცოცხლისა და დამატებით 70 წლის განმავლობაში. მაგ. აკა მორჩილაძის სახელით გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ საავტორო უფლება გიორგი ახვლედიანს ექნება მთელი სიცოცხლის მანძილზე და შემდეგ კიდევ 70 წელს, რადგან საზოგადოებისათვის ამ ავტორის ვინაობა ეჭვს არ იწვევს.

2. თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მოქმედების ვადა ძირითადად დამოკიდებულია უკანასკნელი თანაავტორის სიცოცხლეზე, რადგან მის სიცოცხლეში მოქმედებს სხვა თანაავტორების საავტორო უფლებებიც, მიუხედავად იმისა, თუ როდის გარდაიცვალა თითოეული მათგანი.

გარდა ამისა, ყველა თანაავტორის საავტორო უფლებები იმოქმედებს უკანასკნელი თანაავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში. მაგ. თ.წერეთლისა და გ.ტყეშელიაძის თანაავტორობით 1969 წელს გამოიცა მონოგრაფია „მოძღვრება დანაშაულზე“. მიუხედავად იმისა, რომ თ.წერეთელი გარდაიცვალა 1975 წელს ორივე ავტორის უფლების მოქმედების ვადა გრძელდება გ.ტყეშელიაძის სიცოცხლის პერიოდში და მას შემდეგ კიდევ 70 წლის განმავლობაში.

3. ნაწარმოების ცალკეულ დამოუკიდებელ ნაწილებად გამოქვეყნების შემთხვევაში თუ საავტორო უფლებების დაცვის ვადის ათელა ხდება მართლზომიერად გამოქვეყნების თარიღიდან, მაშინ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თითოეული ამ ნაწილის გამოქვეყნების დრო. მაგ. „ქართული პროზის“ პირველი წიგნი გამოიცა 1982 წელს, ხოლო მეორე კი – 1991 წელს. გამომცემლობა საქართველოს საავტორო უფლება პირველ წიგნზე ექნება 2052 წლამდე, ხოლო მეორე წიგნზე – კი 2061 წლამდე.

4. შედგენილი ან გადამუშავებული ნაწარმოების ავტორების ან



თანაავტოროთა საავტორო უფლებები მოქმედებს ასეთი ნაწარმოების მართლზომიერად გამოქვეყნებიდან ან გამოუქვეყნებლობის შემთხვევაში – შექმნის თარიღიდან 70 წლის განმავლობაში. მაგ. ვ. კოტეტიშვილმა 1980 წელს გამოსცა მის მიერ შედგენილი ქართული ხალხური პოეზიის ანთოლოგია. 1995 წელს კი მისი გადამუშავების შედეგად რ.ძნელაძემ შექმნა სასკოლო ქრესტომატია, რომელიც არ გამოცემულა საავტორო უფლება ვ.კოტეტიშვილს უნარჩუნდება 2051 წლამდე, ხოლო რ.ძნელაძეს – 2065 წლამდე.

5. აუდიოვიზუალური ნაწარმოების ყველა თანაავტორის /დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, ..... ავტორი და მუსიკის ავტორი/ საავტორო უფლებები მოქმედებს უკანასკნელი მათგანის სიცოცხლის პერიოდში და მისი გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში მოქმედებს განსახილველი მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული წესი.

6. კანონი ითვალისწინებს იმ პირის ქონებრივი ინტერესების დაცვას, რომელმაც მართლზომიერად გამოაქვეყნა ადრე გამოუქვეყნებელი ნაწარმოები. ამ შემთხვევაში საქმე ეხება სხვისი ნაწარმოების გამოქვეყნებას. მაგალითად გალაქტიონ ტაბიძის ადრე გამოუქვეყნებელი ლექსები 2000 წელს გამოაქვეყნა მისმა ძმისშვილმა – ნოდარ ტაბიძემ. ამ უკანასკნელის ქონებრივი საავტორო უფლება იმოქმედებს გამოქვეყნებიდან 25 წლის განმავლობაში, ე.ი. 2025 წლამდე და არა მეტი ვადით, ეს იმიტომ, რომ იგი სარგებლობს მხოლოდ სავტორო ქონებრივი და არა სხვა უფლებით.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებიდან, რომელთა ჩამოთვლა მოცემულია კანონის მე-17 მუხლში, სპეციალურადაა გამოყოფილი რამოდენიმე უფლება, რომელთა დაცვა ხორციელდება უვადოდ. ასეთ უფლებებს განსახილველი მუხლის პირველი პუნქტით მიეკუთვნება: ნაწარმოების ავტორობის უფლება, სახელის უფლება, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება და ავტორის რეპუტაციის უფლება. ამ უფლებათა შინაარსი ზემოთ არის გადმოცემული. უვადო დაცვა აქ აღნიშნულის გარდა სხვა პირად არაქონებრივ უფლებებზე არ ვრცელდება.

33-ე მუხლის სხვა პუნქტები კრძალავენ სხვა ავტოროთა მიერ ისეთ ქმედებებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ავტოროთა აღრევა

და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. დაუშვებლად არის მიჩნეული, მაგალითად, სხვა ავტორის მიერ ნაწარმოების სახელწოდების გამოყენება იმავე თანრის ნაწარმოებისათვის ან სხვისი ფსევდონიმის გამოყენება. „დათა თუთაშხია“ შეიძლება ვინმემ დაწეროს პოემად და არა რომანად. ეს გამომდინარეობს ჭაბუა ამირეჯიბის სავეტორო უფლების დაცვის აუცილებლობიდან.

კანონით დადგენილი საავტორო უფლებების მოქმედების ვადის გასვლა, იწვევს ნაწარმოების გამოყენების შესაძლებლობის მიკუთვნებას საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე. ამ მომენტიდან შესაძლებელი ხდება ასეთი ნაწარმოების გამოქვეყნება, გადამუშავება და სხვა. ასეთ შემთხვევებში ლაპარაკია ავტორის მემკვიდრეების ან მათი უფლებამონაცვლეების მიერ ქონებრივი ხასიათის უფლებების შეწყვეტაზე. რაც შეეხება პირად არაქონებრივ უფლებებს, განსაკუთრებით კი უვადოდ დაცულ უფლებებს, მათი დაცვის ვალდებულება კვლავაც ძალაში რჩება. იგი უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ.

კანონის 34-ე მუხლის მეორე პუნქტით შესაძლებლად არის მიჩნეული კანონმდებლობით სპეციალური ანარიცხების დადგენა საქართველოს ტერიტორიაზე იმ ნაწარმოებების გამოყენებისათვის, რომელთაც საავტორო ქონებრივი უფლების ვადა გაუვიდა. ასეთი სახსრები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მიზნობრივად პროფესიული ფონდების ან ორგანიზაციების მიერ. კანონით განსაზღვრულია აგრეთვე ანარიცხების ოდენობაც. იგი არ უნდა აღემატებოდეს ნაწარმოების გამოყენებისას მიღებული მოგების 23 პროცენტს. კანონის მიერ დადგენილი ეს შესაძლებლობა ჯერჯერობით არ არის რეალიზებული.

### §3. მომიჯნავე უფლებათა მოქმედების ვადა

კანონი იცავს არა მარტო საავტორო, არამედ მომიჯნავე უფლებებსაც. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მომიჯნავე უფლებების დაცვა აბრკოლებს საავტორო უფლებათა დაცვას. ორივე სახის უფლება დაცვის დამოუკიდებელ ობიექტებს წარმოადგენენ, უფრო მეტიც, რადგან მომიჯნავე უფლებები ხორციელდება საავტორო უფლებათა აღიარებისა და პატივისცემის საფუძველზე, იგი არასდროს

არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საავტორო უფლებათა შელახვად. აქედან გამომდინარე, კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მომიჯნავე უფლებათა სუბიექტების – შემსრულებლების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვას მომიჯნავე უფლებათა მოქმედების ვადებში. ასეთი ვადები დადგენილია კანონის 57-ე მუხლში. იგი რამდენიმე პუნქტისაგან შესდგება და მთლიანად განსაზღვრავს მერვე თავის შინაარსს.

პირველი და მეორე პუნქტები შემსრულებლების უფლებების მოქმედების ვადებს ეხება. კანონი ერთნაირად უდგება მსახიობის, მომღერლის, მუსიკოსის, მოცეკვავის ან სხვა პირის მოღვაწეობას, რომელიც სხვადასხვა ფორმით ასრულებს ინტელექტუალურ საქმიანობას. შემსრულებლის ქონებრივი უფლებები, რომლებიც ჩამოთვლილია კანონის 47-ე მუხლში, მოქმედებს პირველი შესრულებიდან 50 წლის განმავლობაში. ამგვარად, უფლების წარმოშობის საფუძვლად მიჩნეულია „პირველი შესრულება“. თუმცა პირველ შესრულებასთან ერთად მსგავს საფუძვლად მიჩნეულია შესრულების ჩანაწერის „მართლზომიერად გამოცემა“ ან „საჯაროდ გადაცემა“. ასეთ შემთხვევებშიც შეიძლება ვადების ათვლა დაიწყოს თავიდან. ამიტომ ჩანაწერის მართლზომიერად გამოცემა ან საჯაროდ შესრულება საფუძვლად ედება უკვე წარმოშობილი უფლების მოქმედების ვადის გახანგრძლივებას, რადგან ამ მომენტიდან შემსრულებლის უფლება გრძელდება 50 წლის განმავლობაში. მაგალითად, თუ მომღერალმა შეასრულა სიმღერა 1990 წელს, ბუნებრივია მისი ქონებრივი უფლების წარმოშობა დაკავშირებულია ამ თარიღთან და იგი იმოქმედებს 2040 წლამდე. მაგრამ თუ 2000 წელს მოხდა შესრულების ჩაწერა და გამოცემა ან საჯაროდ გადაცემა, მაშინ ამ თარიღიდან ხელახალი ათვლა უნდა მოხდეს 50 წლიანი ვადისა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პირველი შესრულებიდან გამოცემამდე ან საჯაროდ გადაცემამდე პერიოდი – 10 წელი შემსრულებლის უფლება სამართლებრივ დაცვას არ ექვემდებარებოდა. შემსრულებლის უფლება გაცილებით ადრე იქნა წარმოშობილი, ხოლო ისეთმა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტმა როგორცაა შესრულების გამოცემა ან საჯაროდ გადაცემა გაახანგრძლივა შემსრულებლის ქონებრივი უფლების ვადა. იგივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როცა პირველად შესრულების შემდეგ

5 წლისთავზე მეორედ შესრულდება სიმღერა იგივე მომღერლის მიერ. მართალია, ამ თარიღიდან 50 წლის განმავლობაში მომღერლის უფლება დაცულია, მაგრამ ასევე იყო დაცული მისი უფლება წინა ხუთი წლის განმავლობაშიც. მართალია, შესრულების „საჯაროდ გადაცემა“ ზუსტად არ ემთხვევა ევროპის საბჭოს 1993 წლის დირექტივის მესამე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსს „მოსახლეობამდე შესრულების დაყვანის“ შესახებ, რაც შესაძლებელია უფრო ფართო იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა „საჯაროდ გადაცემა“ იგივე მიზანს ისახავს და ამიტომ იგი ევროსაბჭოს მიერ მიღებულ ნორმებთან წინააღმდეგობრივ ვნებად არ შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება შემსრულებლის პირად არაქონებრივ უფლებებს, მათი მოქმედების ვადა განსხვავებულად განისაზღვრება. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი განპირობებულია საავტორო უფლებების არსებობითი მოქმედების ვადებით. ამიტომ ავტორების მსგავსად შემსრულებლების სახელის უფლებაზე და რეპუტაციის პატივისცემის უფლებაზე ვადები არ ვრცელდება, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი უფლებები მემკვიდრეობით არ გადადის და არც მათი გასხვისება შეიძლება. შემსრულებლის პირად უფლებათა დაცვა ავტორების მსგავსად, ხორციელდება მათი წარმოშობიდან სიცოცხლის განმავლობაში და გარდაცვალების შემდეგაც, იმავე წესით რაც საავტორო პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისათვის არის დადგენილი.

ფონოგრამისა ან ვიდეოგრამის დამამზადებელის უფლების მოქმედების ვადაც იმავე წესით განისაზღვრება, როგორც შემსრულებლისა. იგი მოქმედებს 50 წლის განმავლობაში ფონოგრამის ან ვიდეოგრამის პირველი ჩაწერიდან. ასევე, თუ ფონოგრამა ან ვიდეოგრამა მართლზომიერად გამოიცა ან საჯაროდ გადაიცა, აღნიშნული ვადიდან 40 წლის გასვლის შემდეგ, ამ მომენტიდან იგი კიდევ 50 წლით გაგრძელდება.

კანონი სპეციალურ ყურადღებას უთმობს საეთერო /საკაბელო/ მაუწყებლობის ორგანიზაციის მოქმედების 50 - წლიან ვადას, რომლის ათვლა იწყება ორგანიზაციის მიერ ეთერში პროგრამის პირველად გადაცემის შემდეგ. ამ ვადის გაგრძელების რაიმე საშუალება გათვალისწინებული არ არის.

ქონებრივ უფლებათა შემცირებული ვადებია დადგენილი მონაცემთა ბაზის დამამზადებლის მიმართ. უფლებათა დაცვა შესაძლებლად არის მიჩნეული ბაზის დამზადებიდან 15 წლის განმავლობაში. თუ ამ ვადის გავსულამდე მონაცემთა ბაზა გამოქვეყნდა, მაშინ ამ მომენტიდან კიდევ 15 წლით გაგრძელდება აღნიშნულ უფლებათა მოქმედების ვადა. მონაცემთა ბაზის შემცველობის ისეთი ხარისხობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება, რაც შეიძლება არსებითი ხასიათის კაპიტალდაბანდების განხორციელების საფუძველად იყოს აღიარებული, დამოუკიდებელ ხასიათს აძლევს ბაზის დამამზადებლის საქმიანობას და სავსებით შესაძლებლად არის მიჩნეული ასეთი, შეცვლილი მონაცემთა ბაზისათვის დაწესებულ იქნეს უფლებათა დაცვის საკუთარი ვადა. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს მონაცემთა ბაზის დამამზადებლისათვის მოქმედების უფლების საერთო პარამეტრებს.

საავტორო უფლებების მსგავსად, მომიჯნავე უფლებების მოქმედების ვადების ათვლა იწყება ასეთი უფლების წარმომშობი იურიდიული ფაქტის წარმოშობის წელიწადის შემდგომი წლის 1 იანვრიდან, აქაც არა აქვს მნიშვნელობა თუ რა დრო რჩება ამ თარიღამდე.

განსახილველი მუხლის ბოლო პუნქტი ეხება საავტორო უფლებების მომიჯნავე უფლებათა მატარებელი პირების მემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე ამ უფლებათა გადასვლის წესს. გადასვლა ხდება კანონით განსაზღვრული ვადის გავსულამდე დარჩენილი დროით. მაგალითად, შემსრულებლის ქონებრივი უფლების მოქმედების ვადა დაიწყო 1990 წელს. იგი გარდაიცვალა 2002 წელს. მის მემკვიდრეზე უფლება გადავა არა 50 წლით, არამედ 1990 წლიდან 50 წლის გავსულამდე დარჩენილი 38 წლით. ან კიდევ, თუ საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაცია, როგორც იურიდიული პირი, საავტორო მომიჯნავე უფლებას ფლობს 1995 წლიდან, ხოლო 2000 წელს იგი შეუერთდა სხვა, მსგავსი პროფილის იურიდიულ პირს, მაშინ ამ უკანასკნელის, როგორც უფლებამონაცვლის მომიჯნავე უფლების მოქმედების ვადა გაგრძელდება არა 2045 წლამდე, არამედ 2040 წლამდე, მემკვიდრედ ან უფლებამონაცვლედ პირის გახდომის ფაქტი მომიჯნავე უფლების მოქმედების ვადის ხელახალ ათვლას არ ეღობა საფუძველად.

## რამდენიმე შტრიხი დამოუკიდებელი მოსამართლისა

„ერთმან ძველძან ფილასოფოსძან თქუა:  
უკეთუ გენებოს სამართალი,  
ნურავის მიეფერებით და ნუცა  
გარდაამრუდებო, არამედ სიმართლით საჯეთო“.  
სამართალი ბერძნული

სიამოვნებით მინდა მიუძღვნა ეს მცირე მონახაზი ჩემს კოლეგასა და მასწავლებელს - პროფესორ თენგიზ ლილუაშვილს, რომელიც ერთ-ერთ უპირველეს მესაძირკვლედ ითვლება ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლისა. ბატონი თენგიზის ღვაწლს, მხოლოდ დამოუკიდებელმა მოსამართლემ თუ შეიძლება შთაბეროს სული. მე შემაყვება ის, რომ რამდენიმე ათეული წლის თანამეგობრობა და თანამშრომლობა მაკავშირებს ადამიანთან, რომელიც პატიოსნების, პრინციპულობისა და ნიჭიერების მაგალითს წარმოადგენს ქართველ იურისტებში. მისი ცხოვრება იმის ბრწყინვალე მაგალითია, რომ თუ ქვეყანა და შენი საქმე გიყვარს ასაკზე გაიმარჯვებ და სულ ახალგაზრდა იქნები.

I. დამოუკიდებლობა მოსამართლედ გამამწესებელი ორგანოების გავლენისაგან. მოსამართლეებად ადამიანები არ იბადებიან. მოსამართლედ ან ირჩევენ ან კიდევ ნიშნავენ. მას შემდეგ, რაც პირი მოსამართლედ გამწესდება, იგი აბსოლუტურად თავისუფალია მისი ხელდამსმელი ორგანოს გავლენისაგან. მოსამართლის დამოუკიდებლობას ყველაზე მეტად სწორედ ისინი უნდა აცნობიერებდნენ. საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს პრეზიდენტი ნიშნავს, სამს – უზენაესი სასამართლო, სამს კი პარლამენტი ირჩევს. წარმოიდგინეთ, როგორი იქნება კონსტიტუციური კონტროლი ქვეყანაში, მოსამართლე თავისუფალი

რომ არ იყოს ამ ორგანოების გავლენისაგან. დაუშვებელია მოსამართლის დამოუკიდებლობაში მათი არამართო პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი ჩარევები. ვფიქრობ, მოსამართლის საქმიანობაზე ყოველგვარი ზემოქმედება მკაცრი შეფასების საგანი უნდა გახდეს.

II. დამოუკიდებლობა პოლიტიკური პარტიების გავლენისაგან. მოსამართლეს არავინ არ უკრძალავს ჰქონდეს თავისი პოლიტიკური შეხედულებანი, მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი. არც ფორმალურად და არც ფაქტობრივად. სასამართლოს წინაშე ყველა პარტია თანასწორია, სახელისუფლებო იქნება იგი, თუ სხვა. ეს რომ ასეა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებიდანაც ჩანს. საკონსტიტუციო სასამართლომ რამდენიმე საარჩევნო ოლქში პარლამენტის არჩევნები ცნო ბათილად, რითაც დადასტურდა მოქალაქეთა კავშირიდან წარდგენილი კანდიდატების არაკონსტიტუციურად არჩევის ფაქტი. შეიძლება ეს ზოგიერთებისათვის არ იყო მოსაწონი, მაგრამ კონსტიტუციის წინაშე ხომ ყველა თანასწორია. ასე რომ, არათუ ცალკეულ პიროვნებებს, არამედ არცერთ ორგანიზაციულ წარმონაქმნს არა აქვს უფლება ჩაერიოს მოსამართლის საქმიანობაში.

III. დამოუკიდებლობა მხარეთა გავლენისაგან. მიუკერძოებელი სასამართლო გულისხმობს სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობას. მოსარჩელე-მოპასუხისადმი სიმპათიანტიპათია მოსამართლის შინაგან რწმენაზე არ უნდა ახდენდეს გავლენას, მაგრამ რადგანაც მოსამართლეს ადამიანია და არა რობოტი, პატივსადები საფუძვლის შემთხვევაში მას შეუძლია განაცხადოს აცილება. შეუძლებელია მამა შვილს ასამართლებდეს, ან კიდევ შვილი - მამას. მოსამართლე ვერ იქნება საკუთარი თავის მსაჯული. ეს დამოუკიდებლობა უნდა იგრძნობოდეს პროცესის მიმდინარეობის მთელ სტადიაზე. სასამართლო პროცესიდან უნდა გამოჩნდეს, რომ მის წინაშე არ არსებობს პრივილეგირებული მოსარჩელე ან მოპასუხე. საკმარისია სასამართლომ ეს მიდგომა დაარღვიოს, მისი ავტორიტეტი ეჭვის ქვეშ დადგება და საზოგადოებაში მართლმსაჯულებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება დაისადგურებს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრო-

ცესებიდან კარგად გამოჩნდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობა ამ მხრივ. მოქალაქე შალვა ნათელაშვილის სარჩელთან დაკავშირებული პროცესიდან საზოგადოებამ დაინახა, რომ სასამართლოს წინაშე სახელმწიფო მინისტრიც ისეთივე უფლებამოვალეობით სარგებლობს, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ გამოჩნდა სასამართლოსადმი მოკრძალებული დამოკიდებულება. ეს კი მოსამართლის დამოუკიდებლობის სერიოზული გარანტიაა.

IV. დამოუკიდებლობა საზოგადოებრივი აზრის გავლენისაგან. მოსამართლე არ უნდა გახდეს საზოგადოებრივი აზრის მსხვერპლი. მისთვის სახელმძღვანელოა კანონი და არა საზოგადოებრივი აზრი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ აზრის აბსოლუტური იგნორირება ხდება, მაგრამ მხედველობაშია მისაღები მისი ემოციური ხასიათი და ხშირად ფაქტების ზედაპირული შეფასება. შეუძლებელია სასამართლო გადაწყვეტილება ყველას მოსწონდეს. პროცესზე დამარცხებულ მხარეს ვერ ვაიძულებთ, რომ იგი ტაშით შეხვდეს სასამართლოს აქტს. მოსამართლეს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მის გადაწყვეტილებას გამოუჩნდებიან ოპონენტები და ამას უნდა შეეგუოს. მთავარია, თვითონ იყოს დარწმუნებული თავისი გადაწყვეტილების სისწორეში. დღეს შეუძლებელია ოპიზარელთა და მიჯნაძორელთა დავის მსგავსად საქმის გადაწყვეტა, როგორც ამას ძველ საქართველოში ჰქონია ადგილი. მეფემ დამარცხებულ მონასტერს გულისსადაბად თავისი დომენიდან მიწები უწყალობა. ჩვენი ერთადერთი წყალობა დამარცხებული მხარისათვის ეს არის ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება. საზოგადოებრივი აზრი რომ ზოგჯერ ცდება, ამის ნათელი მაგალითია საკონსტიტუციო სასამართლოს გახმაურებული გადაწყვეტილება მოსამართლეებთან დაკავშირებით. სწორედ საზოგადოებრივი აზრის გავლენით სასამართლოს შენობის წინ დაწვეს მოსამართლეთა ფიტულები. გარკვეული დროის შემდეგ, თვით საზოგადოებამ აღიარა, რომ სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება იყო სწორი. მსგავსი შემთხვევები მომავალშიც არაა გამორიცხული. საზოგადოებრივი აზრის უსაფუძვლო თავდასხმები ნებისმიერ სასამართლოზეა შესაძლებელი. მოსამართლეს, ისევე, როგორც ხელისუფლების ბევრ სხვა წარმომადგენელს, გაცილებით



მეტი თმენის ვალდებულება ეკისრება, ვიდრე ჩვეულებრივ მოკვდავ ადამიანს. აქ მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ საზოგადოებრივი აზრი არ უნდა გახდეს ხელისუფლების სხვა შტოთა მხრიდან მოსამართლის დამოუკიდებლობაზე თავდასხმისა და მასთან ანგარიშსწორების იარაღი. არავის არა აქვს უფლება ეს აზრი მოსამართლის წინააღმდეგ ბოროტად გამოიყენოს.

სასამართლომ როგორი გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს, ყველა ვალდებულია დაემორჩილოს მას. არავის არა აქვს უფლება დაიწყოს მისი განქიქება. თუკი სასამართლო უშვებს შეცდომას, საამისოდ არსებობს ზემდგომი სასამართლო, რომელსაც შეუძლია იგი გამოასწოროს. გარდა სასამართლოსი, არავის არა აქვს უფლება მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილების რევიზია. სხვანაირად, არც დამოუკიდებელი სასამართლო გვექნება და არც დამოუკიდებელი მოსამართლე გვეყოლება. მოსამართლისადმი პატივისცემით დამოკიდებულება ისტორიულად ცნობილი ამბავია. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულში შესული სამართალი ბერძული ამბობს: „უკეთუ აგინოს ვინმე მსაჯულსა, ოდეს იყოს სამართალშია, ანუ მასუკან აგინოს, იგი ვირზედ შესვან და გააგდონ“. ეს დებულება ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს ყველა იმათთვის, ვინც ცდილობს მოსამართლის გინებით ავტორიტეტი მოიხვეჭოს და სახელი გაუტეხოს საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმას სხვადასხვა პირადი მოსაზრებებით.

V. დამოუკიდებლობა მეორე მოსამართლის გავლენისაგან. რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, მოსამართლის დამოუკიდებლობა შეიძლება დაკავშირებული იყოს მეორე მოსამართლესთანაც. არაა გამორიცხული, რომ რომელიმე მოსამართლეზე ხდებოდეს გარედან ზემოქმედება და ეს იწვევდეს თვით მოსამართლეთა შორის ურთიერთგავლენებს. არავის, მათ შორის მოსამართლესაც არა აქვს უფლება მეორე მოსამართლეს მოახვიოს თავისი აზრი. მოსამართლეები გადაწყვეტილებამდე დამოუკიდებლად მიდიან და ემყარებიან მხოლოდ თავიანთ შინაგან რწმენას. თუკი რომელიმე მოსამართლეს ექნება განსხვავებული აზრი, მას შეუძლია გამოთქვას იგი და ცალკე გამოაქვეყნოს. რადგანაც ხშირად გადაწყვეტილება კოლეგიალურად გამოდის, ეს თავისთავად გულისხმობს მოსამართლეთა

თანამშრომლობას, აზრთა გაზიარებას და საბოლოოდ გარკვეულ გადაწყვეტილებამდე მისვლას. აზრთა სხვადასხვაობა კი, არ უნდა გახდეს მოსამართლეთა შორის გაუგებრობის საფუძველი. ბუნებრივია, ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება უფრო ავტორიტეტულია, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე მოსამართლის განსხვავებული აზრი უფრო სწორი იყოს. ისტორიულად ცნობილია, რომ პროგრესული იდეები ხშირად უმცირესობაში იბადება. ესეც ბუნებრივად უნდა აღვიქვათ. ამიტომაც, პატივისცემით დამოკიდებულება გემართებს არა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების, არამედ მოსამართლის განსხვავებული აზრის მიმართაც. განსხვავებული აზრი მისი დამოუკიდებლობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. თუ მოსამართლე არ იქნება დამოუკიდებელი, ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს თვით მოსამართლეთა შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

VI. დამოუკიდებლობა და ფიცისადმი ერთგულება. ეს გამოთქმაც შეიძლება უცნაური აღმოჩნდეს, მაგრამ მოსამართლედ ადამიანი ვერ გამოდგება, თუ მას შინაგანად არ შეუძლია დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა. მოსამართლე, უპირველეს ყოვლისა, თავისი ბუნებით უნდა იყოს დამოუკიდებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არ უნდა დაემორჩილოს სხვას არაფერს, გარდა კანონმდებლობისა და კონსტიტუციისა. იმაზე დიდი სირცხვილი არაფერია, მოსამართლე დებდეს ფიცს და შემდგომ არღვევდეს მას. ფიცის დარღვევა ისტორიულად ყოველთვის განიხილებოდა ერთ-ერთ ყველაზე საძრახის ქმედებად. ფიცს საზოგადოება იმდენად უეჭველად ღებულობდა, რომ იგი უტყუარ მტკიცებულებასაც წარმოადგენდა. ფიცის გამტეხი კი ხდებოდა არა მარტო სამართლებრივი, არამედ ზნეობრივი გაკიცხვის მსხვერპლი. რატომღაც ერთ დროს ეგონათ, რომ ფიცი მხოლოდ ჩამორჩენილი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. აღმოჩნდა, რომ მას დღესაც დიდი სამართლებრივი დატვირთვა ჰქონია და მისი გამოყენება თურმე დღესაც ყოფილა შესაძლებელი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იცნობს ფიცის ორ ფორმას: რელიგიურსა და არარელიგიურს. ფიცს დებს პრეზიდენტი, მოსამართლე, ჯარისკაცი და ბევრი სხვა. ვინც მას შეგნებულად ღალატობს, ის მძიმე ცოდვას სწადის. მოსამართლე ამ გარემოებათა გამო, ცუდი შედარება რომ მოვახდინოთ, გარკვეული აზრით „კამიკაძეა, თუმცა,

მოსამართლეს ადამიანია და ზოგმა შეიძლება ჯორდანო ბრუნოს სიმტკიცე გამოავლინოს, ზოგმა კიდეც გალილეო გალილეისი.

არ არის საკმარისი ფიცის შესასრულებლად მხოლოდ შინაგანი განწყობა. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს კანონით განსაზღვრული დაცვის გარანტიები. მოსამართლე, რომელიც დარწმუნებულია იმაში, რომ სახელმწიფო მას აკისრებს არა მხოლოდ პასუხისმგებლობას, არამედ ჯეროვნად იცავს მის უფლებებს, ცხადია იქნება დამოუკიდებელი და ფიცის ერთგული.

*იაკობ ფუტყარაძე  
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს საკონსტიტუციო  
სასამართლოს წევრი*

## **ავტონომიური საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში**

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანიზაცია, მისი მოწყობა და განხორციელება საკმაოდ რთული, მრავალმხრივი პროცესია. ამ საქმის სწორად წარმართვისათვის საჭიროა სხვადასხვაგვარი გარემოებების გაანალიზება და გათვალისწინება. ცხადია, არსებობს ზოგადი კანონზომიერება და ბევრი რამ თანაბრად ან მეტ-ნაკლებად გასაზიარებელია ცალკეულ ქვეყნებში. მაგრამ, ამასთან ერთად, აუცილებლად მხედველობაშია მისაღები ყოველი კონკრეტული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი თავისებურებები. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ წარმატების საწინდარს ზოგადი პრინციპებისა და ადგილობრივი პირობების გონივრული ურთიერთშეხამება წარმოადგენს. სწორედ ამ მეთოდის მომარჯვებით უნდა იქნეს დამუშავებული ავტონომიური საკონსტიტუციო კონტროლის საკითხები საქართველოში.

განსახილველი თემა სრულიად შეუსწავლელია სამეცნიერო ლიტერატურაში. წინამდებარე სტატია არის პრობლემის სპეციალურად გამოკვლევის პირველი მცდელობა და სასურველია, რომ ამ გარემოების გათვალისწინებით შეფასდეს მისი ღირსება-ნაკლოვანებანი.

### **საკონსტიტუციო კონტროლის ტერიტორიულ- ფუნქციური გამიჯვნა და ტერმინოლოგიური გამოხატვა**

საკონსტიტუციო კონტროლის დამოუკიდებელ, თავისთავად ფორმას წარმოადგენს მისი განხორციელება სპეციალური სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ სპეციალური საკონსტიტუციო კონტროლის ორგანიზების საქმეში გადამ-

წყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო წყობილების ფორმას. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით და საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის ტერმინოლოგიასაც გამოვიყენებთ, შეიძლება თამამად დავასკვნათ, რომ მოცემულ სახელწიფოში საკონსტიტუციო კონტროლის ერთი ან მეტი საგანგებო ორგანოს შექმნა ამ ქვეყნის ტერიტორიულ სახელმწიფოებრივ მოწყობაზე არის დამოკიდებული. სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავს საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალური ორგანოების ოდენობას ყოველ ცალკე აღებულ, კონკრეტულ ქვეყანაში.

სახელწიფო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისაგან შედგება და გადაწყვეტს დააფუძნოს სპეციალური საკონსტიტუციო კონტროლი, ამ მიზნით მარტოოდენ ერთ ორგანოს ქმნის. ეს იქნება საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ერთადერთი სახელმწიფო ორგანო მთელ ქვეყანაში. ასეა მაგალითად, სომხეთში. აქ შექმნილია სომხეთის საკონსტიტუციო სასამართლო და მხოლოდ იგი ახორციელებს შესაბამის კონტროლს ამ სახელმწიფოში.

სხვანაირადაა საქმე ფედერაციულ სახელწიფოებში, ანდა ისეთ ქვეყნებში, რომლებიც, მართალია, ასეთებად არ იწოდებიან, მაგრამ თავიანთ შემადგენლობაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებთან ერთად ავტონომიურ წარმონაქმნებსაც მოიცავენ. ორივე შემთხვევაში იგულისხმება ფედერაციის ისეთი სუბიექტი და არა-ფედერაციული სახელმწიფოს ისეთი ავტონომია, რომელსაც თავისი კონსტიტუცია, საკუთარი ძირითადი კანონი გააჩნია. ასეთ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური საერთო-სახელმწიფოებრივი ორგანოს გარდა იქმნება აგრეთვე, შესაბამისად, ფედერაციის სუბიექტებისა და ავტონომიური ერთეულების სათანადო ორგანოები. ფედერაციის შემადგენელი სუბიექტებისა და ავტონომიების ასეთი სახელმწიფო ორგანოები საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებენ თავ-თავიანთი სამოქმედო ტერიტორიების ფარგლებში.

ამგვარად, ფედერაციულ და თუნდაც არაფედერალურ, მაგრამ ავტონომიების მქონე სახელმწიფოებში არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგვარი საგანგებო ორგანო: ერთი მოქმედებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხოლო სხვების სამოქმედო

არეალი შესაბამისი ერთეულების - ფედერაციის სუბიექტების ან უნიტარული სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი ავტონომიების ტერიტორიებით შემოიფარგლება.

ასეთი ფედერაციული სახელმწიფოებია, კერძოდ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და რუსეთი (რუსეთის ფედერაცია). ორივეში შექმნილია შესაბამისი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო. ამასთან ერთად, გერმანიაში არსებობს აგრეთვე მხარეების („მიწების“), ხოლო რუსეთში – მასში გაერთიანებული რესპუბლიკების საკონსტიტუციო სასამართლოები.

რაც შეეხება საქართველოს, მისი სახელმწიფო წყობილების ფორმა არ არის განსაზღვრული ამჟამად მოქმედ (1995 წლის) კონსტიტუციაში. ამ ძირითადი კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“.

მაშასადამე, დღესდღეობით გაურკვეველია – კონსტიტუციის ძალით საქართველო უნიტარული სახელმწიფოა, თუ ფედერაციული. მაგრამ ამას ამჟამად განსახილველი საკითხისათვის არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. აქ მთავარია ის, რომ საქართველოს შემადგენლობაშია თავ-თავიანთი კონსტიტუციების მქონე ორი ავტონომიური რესპუბლიკა. ამასთან, შექმნილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ყალიბდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო. პირველი მათგანის იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (იხ. ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, პირველი მუხლის მე-2 პუნქტი). მეორის იურისდიქცია კი, ცხადია, გავრცელდება მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ამგვარად, საქართველოში, ისევე როგორც სახელმწიფოებრივი ერთეულების მომცველ სხვა სახელმწიფოებში, ტერიტორიული ნიშნის მიხედვით არსებობს ორი დონის საკონსტიტუციო კონტროლი: პირველი, რომელსაც ახორციელებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მეორე დონე შემოიფარგებლა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიით

და მისი განმახორციელებელი სახელწიფო ორგანოა ამ ავტონომიის საკონსტიტუციო სასამართლო.

ამასთან ერთად, ეს ორი დონის საკონსტიტუციო კონტროლი ერთმანეთისაგან არა მარტო ტერიტორიული ნიშნით, არამედ, აგრეთვე თავიანთი დანიშნულებით, ფუნქციურადაც განსხვავდება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მოწოდებულია უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობა, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს დანიშნულებაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დაცვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს ის, რომ საკონსტიტუციო კონტროლი, რომელსაც ახორციელებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო-სახელმწიფოებრივია. იმ კონტროლს კი, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო განახორციელებს, ექნება ადგილობრივი მნიშვნელობა.

აქედან გამომდინარე, მართებული იქნება, რომ საერთო-სახელმწიფოებრივი საკონსტიტუციო კონტროლისაგან განსასხვავებლად, ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო კონტროლის სახელმწიფო ორგანოს მიერ განხორციელებულ კონტროლს ეწოდოს „ავტონომიური საკონსტიტუციო კონტროლი“. ეს სახელწოდება ზედმიწევნით გამოხატავს შესაბამისი ცნების შინაარსს და სასურველია, რომ იგი დამკვიდრდეს როგორც საზოგადო სიტყვასმარებაში, ისე იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

### საკონსტიტუციო კონტროლი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

უკვე კარგა ხანია, რაც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიღებულია გადაწყვეტილება ავტონომიის საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის თაობაზე, მაგრამ იგი ჯერჯერობით ჩამოყალიბების პროცესშია – სრულად არაა დაკომპლექტებული, რის გამოც, ბუნებრივია, ჯერ არ ამუშავებულა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1998 წლის 30 იანვარს მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანული კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. იმავე წლის 24 მარტს კი,

მიღებულ იქნა კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“. ამ ორი საკანონმდებლო აქტით აჭარაში შეიქმნა ავტონომიური საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის სპეციალური ნორმატიული საფუძველი<sup>1</sup>.

რაც მთავარია, აჭარაში შექმნილია ავტონომიის საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბების კონსტიტუციური საფუძველი. აჭარის მოქმედ კონსტიტუციაში<sup>2</sup> განსაზღვრულია საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო წესით განხორციელების ძირითადი საწყისები.

მანამდე კი კონსტიტუციის დაცვის უზრუნველყოფის სხვაგვარი ფორმა იყო დაკანონებული. საბჭოთა სინამდვილეში კონსტიტუციის დაცვის სამართლებრივი მექანიზმი გამოკვეთილი სახით არ არსებობდა. იგი მხოლოდ ფორმალურად იყო შემოღებული და დეკლარირებული. გათვალისწინებული იყო საკონსტიტუციო ზედამხედველობა, რომლის განხორციელება თავიდან საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების (ცაკების) და მათი პრეზიდიუმების, ხოლო შემდეგ (1936-1937 წლების კონსტიტუციებით) საერთოდ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში შედიოდა.

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის 26 მაისს მიღებული კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) თავდაპირველი რედაქციის 6-ე მუხლის პირველი პუნქტის ძალით, აჭარის ასსრ-ის „გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით ექვემდებარება აჭარის ასსრ კონსტიტუციის მიღება და მასში ცვლილებათა შეტანა,

---

<sup>1</sup> იხ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანული კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ, რომლებიც ცალ-ცალკე (ბროშურების სახით) გამოიცა ქ. ბათუმში 1998 წელს.

<sup>2</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტი გამოყენებულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2000 წლის 24 ივნისის საკონსტიტუციო კანონის მიხედვით, რომელიც დანართის სახით დაბეჭდილია გიორგი გიორგაძის, ვახტანგ თორდიასა და ვახტანგ ხმაღაძის ნაშრომში - „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, თბ., 2001წ., გვ. 307 - 366.



მისი შესრულებისადმი კონტროლის განხორციელება“. უშუალოდ კი, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება, კონსტიტუციის მიხედვით, აჭარის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს ფუნქციად არის მინიშნული. 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილია, რომ „აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტი კონტროლს უწევს აჭარის ასსრ კონსტიტუციის დაცვას“.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ბოლო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციამ ბევრი არსებითი ცვლილება განიცადა. ერთ-ერთი ასეთი ცვლილება საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის დაკანონებით გამოიხატა. ეს იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი სპეციალური ორგანო, რომელსაც საკონსტიტუციო კონტროლის (ზედამხედველობის) განხორციელება ევალებოდა.

საკონსტიტუციო ზედამხედველობის ინსტიტუტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის განახლებული რედაქციის 93-ე მუხლის მე-13 პუნქტი, 99-ე და 108-ე მუხლები აწესრიგებდა. ამათგან ძირითადი იყო 108-ე მუხლი, რომელიც მოთავსებული იყო კონსტიტუციის V კარში – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები“. ამ კარის მე-11 თავი ეძღვნებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს და სწორედ აქ იყო მოთავსებული განსახილველი მუხლი.

აქედან ჩანს, რომ საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტი შედიოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სისტემაში. იგი არ მოიაზრებოდა სასამართლო ორგანოებს შორის (ამ ორგანოებს კონსტიტუციის VIII კარი შეეხებოდა).

კონსტიტუციის მიხედვით, საკონსტიტუციო ზედამხედველობის ავტონომიური ორგანოს ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავდა სსრ კავშირის, საქართველოს რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონები საკონსტიტუციო ზედამხედველობის შესაბამისი კომიტეტების შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტი უნდა აერჩია ავტონომიური რესპუბლიკის

უზენაეს საბჭოს ათი წლის ვადით პოლიტიკისა და სამართლის დარგის სპეციალისტებისაგან კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და შვიდი წევრის შემადგენლობით. კომიტეტში არჩეულ პირებს არ შეეძლოთ ერთდროულად ყოფილიყვნენ იმ ორგანოების შემადგენლობაში, რომელთა აქტები ექვემდებარებოდა კომიტეტის ზედამხედველობას. ისინი თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს დამოუკიდებელი იყვნენ და მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას ემორჩილებოდნენ.

ავტონომიურ საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებები გააჩნდა.

საინტერესოა ითქვას, რომ კონსტიტუცია კომიტეტს, პირველ რიგში, წინასწარი კონტროლის უფლებამოსილებას ანიჭებდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტი საკუთარი ინიციატივით, ან ავტონომიის უზენაესი საბჭოს დავალებით, წარუდგენდა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს დასკვნებს, თუ რამდენად შეესაბამებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას უზენაესი საბჭოს მიერ განსახილველი აქტების პროექტები.

კომიტეტს, ასევე, კონსტიტუციასთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, შეეძლო შეემოწმებინა ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები და განკარგულებები, რაიონისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის საკრებულოების გადაწყვეტილებები.

ავტონომიური საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტი უფლებამოსილი იყო კვლავ თავისი ინიციატივით ან ავტონომიის უზენაესი საბჭოს დავალებით, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, პრეზიდიუმისა და მუდმივი კომისიების, აგრეთვე მინისტრთა საბჭოს წინადადებით მიეცა დასკვნები, თუ რამდენად შეესაბამებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს სხვა სახელმწიფო ორგანოებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტები.

კომიტეტს შეეძლო მიეცა დასკვნები რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების დარღვევის შესახებ.

თუ გამოვლინდებოდა, რომ აქტი, ან მისი ცალკეული დებულებები, ეწინააღმდეგებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას ან კანონებს, საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტი აქტის გამოძეგვას ორგანოს გაუგზავნიდა თავის დასკვნას დაშვებული დარღვევების აღმოსაფხვრელად. ასეთი დასკვნის გამოტანა შეაჩერებდა შესაბამისი აქტის შესრულებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტს უფლება ჰქონდა წარდგინებოდა შესულიყო ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ან მინისტრთა საბჭოში მათ წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა თუ თანამდებობის პირების იმ აქტების გაუქმების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას ან კანონს.

საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტს ეკუთვნოდა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში.

ასეთი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის სამართლებრივი სტატუსი. იგი, მართალია, კონსტიტუციაში აისახა, მაგრამ პრაქტიკულად ვეღარ განხორციელდა და საკანონმდებლო დონეზე დარჩენილი გადაიქცა ისტორიის კუთვნილებად.

სამაგიეროდ, მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამაც გადაწყვიტა იქონიოს საკონსტიტუციო კონტროლის საკუთარი სასამართლო ორგანო.

ავტონომიური საკონსტიტუციო კონტროლი ამ შემთხვევაში იურიდიულად მოუდევარი დანაწესია. მისი სამართლებრივი წინამძღვრებია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ამ სახელმწიფოებრივი ერთეულის კონსტიტუციის არსებობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არის სახელმწიფო მოწყობის მქონე პოლიტიკური ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში და შესაბამისი კონსტიტუციის მიღებაც მის განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საკონსტიტუციო კონტროლს განხორციელებს აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო“. ეს დებულება ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ავტონომიური საკონსტიტუციო სასამართლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ერთადერთი სპეციალური ორგანოა. სპეციალურ საკონსტიტუციო კონტროლს მთელი ქვეყნის მასშტაბით და, ცხადია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზეც, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს შესაბამისი საერთო-სახელმწიფოებრივი ფუნქციის მქონე ორგანო – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

ამგვარად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთდროულად ვრცელდება საკონსტიტუციო კონტროლის ორი სასამართლო ორგანოს იურისდიქცია. ესენია – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო. ისინი ინსტანციურად არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და დამოუკიდებლად საქმიანობენ თავთავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში.

ამასთან, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ინსტანციური კავშირის არარსებობა არ უნდა მოასწავებდეს ამ ორი სახელმწიფო ორგანოს ერთმანეთისაგან განკერძოებას და მჭიდრო საქმიან ურთიერთთანამშრომლობაზე უარის თქმას. პირიქით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობა და მისი გამოცდილების გათვალისწინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალბედა საკონსტიტუციო სასამართლოს სამომავლო წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარი იქნება. ამასთანავე, ავტონომიის საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოსთან კონტაქტები თვით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვისაც საჭიროა და საერთო-სახელმწიფოებრივ საქმესაც სასიკეთოდ წაადგება.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების პრობლემისადმი საერთო-სახელმწიფოებრივი მიდგომის მყარ და პრინციპულად სწორ სამართლებრივ საფუძველს ქმნის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 1998 წლის 30 იანვრის ორგანული კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“.

ამ სამართლებრივი აქტის ზოგადი დებულებების განმსაზღვრელი

პირველი თავის პირველივე მუხლით დადგენილია, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას“. ასევე, აღნიშნული ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ძალით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი თავის სამოსამართლო მოვალეობათა შესრულებისას „ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციების შესაბამისად“.

აქ მკაფიოდ არის გამოხატული ის აზრი, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა წარმართება საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციების საფუძველზე. პირველ ციტირებულ სამართლებრივ ნორმაში უმთავრესი და არსებითია ის ფუნდამენტური დებულება, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს, თვით ავტონომიური რესპუბლიკის სათანადო საკანონმდებლო აქტით პირდაპირ და იმპერატიულად ევალება სწორედ საქართველოს კონსტიტუციის, ე.ი. საერთო-სახელმწიფოებრივი ძირითადი კანონის საფუძველზე უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის უზენაესობა და კონსტიტუციური კანონიერება, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ეს არის მართებული გეზის მიმცემი და ძალზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოზიციის გამოხატულება.

ამგვარად, ავტონომიური საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების მაგისტრალური მიმართულება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საკანონმდებლო წესით უკვე განსაზღვრულია და ჯერი მის ხორცშესხმაზეა. ახლა პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს სამართლებრივი დანაწესის პრაქტიკულად რეალიზება, ცხოვრებაში განუხრელად გატარება და ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის განმამტკიცებელ ქმედით ფაქტორად გადაქცევა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამარ-

თლოს მოწყობა, კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და ავტონომიის ორგანული კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 2000 წლის 24 ივნისის რედაქციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტონომიის საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება. საერთოდ კი, კონსტიტუციის 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ავტონომიის ძირითადი კანონის დაცვის გარანტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურია. იგი „უზრუნველყოფს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციების მოთხოვნათა შესრულებას“ (62-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

ავტონომიური საკონსტიტუციო სასამართლო 5 მოსამართლისაგან - საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისაგან შედგება. ამათგან ხუთ-ხუთი წლის ვადით აირჩევა სასამართლოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე, აგრეთვე სასამართლოს მდივანი. თავმჯდომარის კანდიდატურას, საკონსტიტუციო სასამართლოს ასარჩევად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა 10 წელია. კანონმდებლობით დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ხელშეუხებლობის გარანტიები, აგრეთვე თანამდებობრივი შეუთავსებლობისა და უფლებამოსილების ვადად შეწყვეტის პირობები.

საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური სახელმწიფო ორგანოს დაკომპლექტებისა და მის წევრთა თანამდებობაზე გამწესების პირობები განსხვავებულია ცალკეულ ქვეყნებში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტებაში, პარიტეტულ საწყისებზე, თანაბრად მონაწილეობს სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტო - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. ეს სასამართლო 9 წევრისგან შედგება და ამათგან სამს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამს ირჩევს საქართველოს პარლამენტი სითით შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით, ხოლო სამს ნიშნავს საქართველოს უზე-

ნაესი სასამართლო.

რამდენადმე განსხვავებული წესი იქნა შემოღებული აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. თავდაპირველად დაკანონდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ორ წევრს აირჩევდა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ერთ წევრს დანიშნავდა ავტონომიის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე – ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური, ერთს – მინისტრთა საბჭო და ერთსაც – უმაღლესი სასამართლო. შემდეგ ამ სუბიექტებიდან გამოირიცხა მინისტრთა საბჭო და ამის გამო ამჟამად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს არა ერთ, არამედ ორ წევრს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციის ახალი რედაქციით, უზენაეს საბჭოს ჩაენაცვლა ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტი. კონსტიტუციის 79-ე მუხლით განისაზღვრა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ორ წევრს ირჩევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით“. მაგრამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტი ორპალატიანია და რესპუბლიკის საბჭოსა და სენატისაგან შედგება. კონსტიტუციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების არჩევა რესპუბლიკის საბჭოს უფლებამოსილებას განეკუთვნება.

ახლანდელი კანონმდებლობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან. მაშასადამე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მინიმალური ასაკობრივი ზღვარი 30 წელია და ამ მხრივ იგი საერთო სასამართლოების მოსამართლეებისაგან აღარ განირჩევა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისათვის კი, ასეთ ასაკად განსაზღვრულია 35 წელი. ადრინდელი კანონმდებლობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისთვისაც ასეთივე მინიმალური ასაკი (35 წელი) იყო დადგენილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართ-

ლოს სტრუქტურა თავისებურია. იგი პლენუმისა და ერთი კოლეგისაგან შედგება. პლენუმის შემადგელობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს ხუთივე წევრი. პლენუმის სხდომებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე უძღვება. კოლეგიის შემადგენლობაში 4 წევრია. კოლეგია საქმეებს 3 მოსამართლის შემადგენლობითაც განიხილავს. სასამართლო კოლეგიის სხდომებს მომხსენებელი მოსამართლე უძღვება (იხ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანული კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მე-13 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები). საქმის განხილვისას და გადაწყვეტილების მიღების დროს კოლეგია მოქმედებს როგორც საკონსტიტუციო სასამართლო.

მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად (მუხ.80 - „საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება“), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია კანონით დადგენილი წესით განიხილოს და გადაწყვიტოს ისეთი საკითხები, როგორცაა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობა;

დავა კომპეტენციის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებს შორის, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული დავა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მეოთხე თავის საკითხებთან (სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობებთან, ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან) მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და ორგანული კანონით



განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ავტონომიური რესპუბლიკის ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ძალით, თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვის დროს სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისათვის, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეული იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და ამ საკითხის გასარკვევად მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს.

ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადად მიჩნეულია აგრეთვე იმპიჩმენტის საკითხი. ოღონდ, აქ ეს საკითხი უფრო შეზღუდულად არის წარმოდგენილი, ვიდრე საქართველოს კონსტიტუციაში. კერძოდ:

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე, 64-ე და 75-ე მუხლებით გათვალისწინებულია საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის წევრების თანამდებობიდან ვადაზე ადრე გადაყენება საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში (მე-60 მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები) გათვალისწინებულია მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის თანამდებობიდან გადაყენება მარტოოდენ კონსტიტუციის დარღვევის შემთხვევაში. აქ ნათქვამია „კონსტიტუცია“ (ლაპარაკია „კონსტიტუციის დარღვევაზე“) დაკონკრეტების გარეშე, მაგრამ იგულისხმება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი კანონი. ამას პირდაპირ ადასტურებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ავტონომიური რესპუბლიკის 1998 წლის 30 იანვრის ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ვ“ პუნქტი, რომლის მიხედვითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის –

ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დარღვევის საკითხი”.

ამასთან ერთად, კონსტიტუციით დადგენილია, რომ არ შეიძლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის დაპატიმრება და/ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედის თანხმობის გარეშე.

კონსტიტუციით განსაზღვრულია ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის თანამდებობიდან გადაყენების პროცედურები, რაც გარკვეულწილად საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების პროცედურების ანალოგიურია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტს დადგენილი წესით შეუძლია ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის თანამდებობიდან გადაყენება, თუ კონსტიტუციის დარღვევა დადასტურებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით. გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის რესპუბლიკის საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარს. საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს. თუკი სასამართლო დადასტურებს კონსტიტუციის დარღვევას, მაშინ სათანადო დასკვნის განხილვის შემდეგ პარლამენტის ორივე პალატა, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას თანამდებობიდან გადაყენების საკითხის კენჭისყრაზე დასმის შესახებ. ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ორივე პალატის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის რესპუბლიკის საბჭოს საქმიანობა შეწყდება ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილების გამო, რომლითაც ამ პალატის არჩევნები არაკონსტიტუციურად არის ცნობილი. 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ძალით კი, პარლამენტის მეორე პალატის (სენატის) საქმიანობის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სენატის არჩევნების ხუთზე

მეტი სენატორის უფლებამოსილების არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სამართლებრივი დებულება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ, რომელიც მოცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის განახლებული რედაქციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში. ამ კონსტიტუციური ნორმის ძალით, ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატს (სენატორს) უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეუწყდება, თუ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო მისი არჩევა. თავის დროზე საქართველოს კანონმდებლობაში სწორედ ასეთი ნორმის არარსებობის გამო არ შეუწყდათ უფლებამოსილება საქართველოს პარლამენტის იმ დეპუტატებს, რომელთა არჩევებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად და ბათილად იქნა ცნობილი.

ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისა და კოლეგიის განსჯადი საკითხები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით. საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის დაწყების საფუძველია კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შეტანა. კანონი განსაზღვრავს, თუ რომელ საკითხზე შეიტანება კონსტიტუციური სარჩელი და რომელზე კონსტიტუციური წარდგინება.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით არ ჩანს, რომ კანონმდებლობაში საბოლოოდ და ნათლად იყოს გამოკვეთილი იმ სუბიექტთა წრე, რომელთაც უფლება აქვთ კონსტიტუციური სარჩელით ან კონსტიტუციური წარდგინებით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს. ამის თქმის საფუძველს იძლევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 2000 წლის 24 ივნისის რედაქცია.

კონსტიტუციის მე-80 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანის უფლება აქვს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს, უზენაესი საბჭოს

წევრთა არანაკლებ ერთ მეოთხედს, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, საერთო სასამართლოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, აჭარაში არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველს და მოქალაქეს“.

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური სარჩელით ან წარდგინებით მიმართვის სუბიექტთა შორის კონსტიტუციის მე-80 მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო (უზენაესი საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედი) და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი. თვით კონსტიტუცია კი, მათ უკვე აღარ იხსენიებს სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში. კონსტიტუციის იმავე რედაქციის მიხედვით, ამჟამად უზენაესი საბჭოს ნაცვლად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს პარლამენტი, რომელიც არის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სუბიექტის სახით უზენაეს საბჭოსა და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს ჩაენაცვლება ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტი მისი ორპალატიანი სტრუქტურის გათვალისწინებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება არაკონსტიტუციურად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი. ასეთი აქტი (აქტის ნაწილი) კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა, რაც ავტონომიური საკონსტიტუციო კონტროლის არსის, მისი ბუნებისა და დანიშნულების გათვალისწინებით, სავსებით მართლზომიერ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული.

**საკონსტიტუციო კონტროლის პრობლემები აფხაზეთში**

საკონსტიტუციო კონტროლის პრობლემა სრულიად სხვადასხვა ასპექტით იჩენს ხოლმე თავს ახალი სახელმწიფო წყობილების

მქონე და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების მომცველ ქვეყანაში. ამის გათვალისწინებით მისასაღებელია, რომ ბოლო დროს პოლიტიკოსებმა და სპეციალისტებმა აფხაზეთთან მიმართებითაც დაიწყეს სერიოზული მსჯელობა საკონსტიტუციო კონტროლის საკითხების შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ექსპერტთა საერთაშორისო სემინარი, რომელიც თბილისში მოაწყო აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულმა საქართველოს პარლამენტის დროებითმა კომისიამ, ფლამანდის თავისუფალი ბრიუსელის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის დეპარტამენტმა, ფრიდრიხ ებერტის ქართულმა ფონდმა, სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების რეგიონალურმა ინსტიტუტმა 2002 წლის ნოემბერში თემაზე – „ფედერალიზმი და ძალაუფლების გამიჯვნა აფხაზეთში“. ექსპერტთა სემინარის სამუშაო პროგრამა ფართოდ იყო მოხაზული. იგი სასემინარო თემის სხვადასხვა კუთხით განხილვას და, ბუნებრივია, საკონსტიტუციო კონტროლის პრობლემაზე მსჯელობასაც ითვალისწინებდა. ამ პრობლემით დაინტერესების გამო იყო, რომ მონაწილეობა მივიღე სემინარის მუშაობაში და მოხსენებითაც გამოვედი განსახილველ საკითხზე<sup>1</sup>. წინამდებარე ნარკვევშიც მსჯელობა მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ გამოსვლის საფუძველზეა აგებული და მასში წამოჭრილი საკითხების ირგვლივ წარიმართება.

სემინარის პროგრამაში შესაბამისი მოხსენების თემად დასახელებული იყო „კონსტიტუციური სასამართლოს ძირითადი ფუნქციები“. სემინარის ორგანიზატორები, მისი თემატიკიდან გამომდინარე, რაღა თქმა უნდა, გულისხმობდნენ საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითად ფუნქციებს აფხაზეთთან მიმართებით. ასევე, საკუთრივ აფხაზეთთან (და, ცხადია, არა მთლიანად საქართველოსთან – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან) მიმართებით ივარაუდებოდა ექსპერტთა ამ საერთაშორისო სემინარის სამუშაო პროგრამაში ჩემი მოხსენების სათაურთან (თემის დასახელების შემდეგ) ფრჩხილებში მოთავსებული კითხვა-მინიშნება: „საჭიროა თუ არა საერთაშორისო მოსამართლეების ჩართვა, რომლებიც დანიშნული

---

<sup>1</sup> მოხსენების ტექსტი სემინარზე განხილვის ცალკეული შედეგების გათვალისწინებით დაიბეჭდა ჟურნალში – „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2002, №4, გვ. 26 – 35.

იქნებიან ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის მიერ, როგორც ეს არის ბოსნია-ჰერცეგოვინაში“?

ბოსნია-ჰერცეგოვინასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე ქვემოთ იქნება პასუხი გაცემული. რაც შეეხება თემის სათაურს, სემინარზე მიზანშეწონილად ჩაითვალა მისი უფრო მკაფიოდ გამოკვეთა და შედარებით ფართო შინაარსით ჩამოყალიბება. სახელდობრ, სემინარის მონაწილეებს წარედგინათ მოსაზრებანი არა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს, არამედ საერთოდ საკონსტიტუციო კონტროლის პერსპექტივებზე აფხაზეთში.

ამთავითვე აღვნიშნავ, რომ ჩვენ შესაძლებლად და საჭიროდაც მიგვაჩნია სპეციალური საკონსტიტუციო კონტროლის დაწესება აფხაზეთში. ოღონდ საკონსტიტუციო კონტროლის ქვემოთ წარმოდგენილი მოდელი გათვალისწინებულია აფხაზეთის ისეთ სამართლებრივ მდგომარეობაზე, როდესაც მას აქვს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში.

ექსპერტთა საერთაშორისო სემინარის მესვეურმა, პროფესორმა ბრუნო კოპიტერსმა - ფლამანდის თავისუფალი ბრიუსელის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ აფხაზები მას ესაუბრებოდნენ აფხაზეთის, როგორც საკუთრივ მათი (აფხაზების) დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესახებ.

ამის საპირისპიროდ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ისტორიული თვალსაზრისით აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არსებითად ავტონომიურ საწყისებზე ერთიანდებოდა.

ნიშანდობლივია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია აფხაზეთს, როგორც საქართველოს განუყოფელ ნაწილს, თვით აფხაზეთის სახალხო საბჭოს გადაყვეტილების გათვალისწინებით, ანიჭებდა ავტონომიურ მმართველობას ადგილობრივ საქმეებში.

ავტონომიური იყო აფხაზეთის სტატუსი საბჭოთა წყობილების არსებობის პერიოდშიც, როდესაც ბოლშევიკები აქტიურად ახორციელებდნენ საქართველოს დანაწევრების რუსულ კოლონიურ პოლიტიკას. 1921-1931 წლებშიც კი, როცა აფხაზეთი ფორმალურად ცალკე საბჭოთა რესპუბლიკის სახით არსებობდა, ფაქტობრივად

იგი საქართველოს ავტონომიურ ერთეულს წარმოადგენდა. ამის შესახებ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში აღინიშნა იურიდიულ ლიტერატურაში (სახელდობრ, 1969 წელს გამოცემულ ჩემს მონოგრაფიაში – „საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება“, გამომცემლობა „მეცნიერება“, გვ. 96-98).

ცხადია, შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ იმდროინდელი საბჭოთა სახელმწიფო სამართლის ისეთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში, როგორც არის სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია, აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკად იწოდებოდა. საინტერესოა ითქვას, რომ აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით არა მარტო საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში, არამედ იმ დროის ზოგიერთ სხვა ოფიციალურ დოკუმენტშიც იხსენიება.

საგულიხმოა ისიც, რომ ავტონომიური რესპუბლიკებიდან აფხაზეთი არ იყო ერთადერთი, რომელიც პირველ ხანებში საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად იწოდებოდა სიტყვა „ავტონომიურის“ დამატების გარეშე. კერძოდ, ასეთ ერთეულს 1937 წლამდე წარმოადგენდა ნახიჩევანი აზერბაიჯანის შემადგენლობაში (იგი იყო აზერბაიჯანის ავტონომიური ერთეული ჯერ მხარის, შემდეგ კი – რესპუბლიკის სახით).

აფხაზეთის სტატუსის საკითხი უკიდურესად გამწვავდა საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესში – აფხაზებისა და ქართველებისათვის გარედან, სეპარატისტულ ძალებზე დაყრდნობით თავსმოხვეული სისხლიანი კონფლიქტის პირობებში. მახსენდება ვ. არძინბასთან საუბარი, როდესაც პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას დროს ქართული დელეგაცია ლ. ალექსიძის ხელმძღვანელობით მოლაპარაკებას აწარმოებდა აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან სოხუმში. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრისას, თ. ნადარეიშვილის სამუშაო კაბინეტში შესვენების დროს, პირად საუბარში ჩემს იმ შენიშვნაზე, რომ ჩვენ (ქართველები) არავის არ დავაჩავერინებთ აქაურ (აფხაზეთში მცხოვრებ) ქართველობას, ვ. არძიმბამ მკვახედ თქვა: „ничего, ничего, мы тоже не безродные“. აქ გამჟღავნდა აფხაზ სეპარატისტთა და ჩრდილოკავკასიელ მოთარეშეთა ერთობლივი ანტიქართული მოქმედების გეგმა. ასევე, როცა შევეკამათე და ვუთხარი, რომ ქართველები არ მტრობენ აფხაზებსმეთქი, ვ. არძიმბამ გაღი-

ზიანებით მიპასუხა: „мы заставим вас воевать против нас, стрелять в нас, убивать нас“. ეს არძინბასეული ავის მომასწავებელი ფრაზა, რომელიც შემდგომში ფართოდ გახმაურდა, საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოცილების მიზნით ყოვლად უპერსპექტივო და უაზრო, ძმათაძველი ომის პროვოცირებით დადასტურდა.

დღესდღეობით ფაქტობრივად ვითომდა დამოუკიდებელი აფხაზეთი იურიდიულად, როგორც ქვეყნის ადრინდელი და ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების ძალით, სრულიად საქართველოს ავტონომიურ-სახელმწიფოებრივი სუბიექტია.

საქართველოს მოქმედ – 1995 წლის კონსტიტუციაში 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით შეტანილი დამატებისა და ცვლილებების შედეგად აფხაზეთს კონსტიტუციურად კვლავ განესაზღვრა მისი ისტორიული განვითარების შესაფერისი, ტრადიციული სტატუსი. ამ პოლიტიკური სტატუსის იურიდიულ გამოხატულებას წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში.

აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ საკონსტიტუციო კონტროლი აფხაზეთში სამომავლოდ ავტონომიურ საწყისებზე უნდა განხორციელდეს.

საკონსტიტუციო კონტროლის საკითხი თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპების თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით შემუშავებულ ეგრეთ წოდებულ „ბოდენის გეგმაშიც“ აისახა. ბოდენის დოკუმენტის არაოფიციალური (აფხაზურ პრესაში, სახელდობრ კი სოხუმში გამოშვებულ გაზეთ „აიტიარას“ 2002 წლის ივნისის ნომერში გამოქვეყნებული) ტექსტის ბოლო, მე-8 პუნქტის მიხედვით, „სახელმწიფო საქართველო და აფხაზეთი უნდა შეთანხმდნენ საქართველოს კონსტიტუციური სასამართლოს შემადგენლობასა და ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე, რომელიც უნდა ხელმძღვანელობდეს საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთის კონსტიტუციით და ფედერალური შეთანხმებით „თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის ძირითად საკითხებზე“ („ბოდენის გეგმის“ ზემოაღნიშნული არაოფიციალური ტექსტი ქართულ პრესაშიც დაიბეჭდა – იხ. „დილის



გაზეთი“, 2002 წლის 15 ნოემბერი, №267, გვ.1).

როგორც ვხედავთ, ბოდენის დოკუმენტში ლაპარაკია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოზე აფხაზეთთან მიმართებით (ამ საკითხს ქვემოთ შევხებით). „ბოდენის გეგმით“ არ არის გათვალისწინებული საკონსტიტუციო კონტროლის დაფუძნება და მისი განმახორციელებელი საეციალური ორგანოს შექმნა საკუთრივ აფხაზეთში. ამისგან დამოუკიდებლად ჩვენ, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სპეციალური ავტონომიური საკონსტიტუციო კონტროლის შემოღება აფხაზეთში. ამ მნიშვნელოვანი საკითხისადმი ასეთი მიდგომა აფხაზების მიმართ ჩვენი, ქართველების საერთო კეთილგანწყობილების ერთ-ერთ გამოხატულებად წარმოგვიდგება.

საკონსტიტუციო კონტროლის დაფუძნება აფხაზეთში, სხვა სათანადო ღონისძიებებთან ერთად, შეიძლება იყოს ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანი, რომელთა მეშვეობითაც უნდა დაიძლიოს, დასრულდეს მეტისმეტად გაჭიანურებული უშედეგო მოლაპარაკებები, ფორმალური, პრაქტიკულად არაფრის მომტანი სხვადასხვაგვარი ფორმატის შეხვედრები. იმედია, საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო გააქტიურების, მეტი ძალისხმევის შედეგად საქართველოს მაინც დაუბრუნდება აფხაზეთი, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართული ტერიტორიის ისეთივე განუყოფელი და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე შემადგენელი ნაწილია, როგორც არის, ვთქვათ, ქართლი, კახეთი, იმერეთი და, თუნდაც თბილისი.

შემოთავაზებული მოდელის მიზანი, მისი დანიშნულება, არის იმ კომპლექსური ღონისძიებების შინაარსობრივი გამრავალფეროვნება და გააქტიურება, რომელთა განხორციელებითაც დაიხვეწება, გაფართოვდება, კიდევაც ამაღლდება და განმტკიცდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს შემადგენლობაში. ძირითადი ამოცანა ისაა, რომ საქართველოს ამ რეგიონის იურიდიულ სტატუსთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი მისი ფაქტობრივი მდგომარეობა და ამით, საბოლოო ანგარიშით, ხელი შეეწყოს კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას.

ავტონომიური საკონსტიტუციო კონტროლის ოპტიმალური მექანიზმის დამკვიდრება, უეჭველია დადებითად იმოქმედებს აგრეთვე

დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე აფხაზეთში და მთლიანად საქართველოში.

სახელმწიფო-სამართლებრივ თეორიასა და პრაქტიკაში ცნობილი არის საკონსტიტუციო კონტროლის სხვადასხვაგვარი ინსტიტუტები და პირველ რიგში სწორედ ის საკითხია გასარკვევი, თუ რომელი მოდელი იქნება ყველაზე უფრო მისაღები აფხაზეთის სინამდვილეში.

ამასთან, საკმარისი როდია საკონსტიტუციო კონტროლის მრავალფეროვნების გათვალისწინება სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით. თეორიულად შესაძლებელია და პრაქტიკულადაც დადასტურებულია ერთსა და იმავე სახელმწიფოში საკონსტიტუციო კონტროლის სრულიად სხვადასხვაგვარი ფორმების თანაარსებობა. სახელდობრ, რუსეთის ფედერაციაში ერთდროულად არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოები, როგორცაა თვით ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო, აგრეთვე ფედერაციის სუბიექტების საკონსტიტუციო (საწესდებო) სასამართლოები, საკონსტიტუციო კონტროლის საზედამხედველო ორგანოები (კერძოდ, საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტი) და ეგრეთ წოდებული „საწესდებო პალატა“ საკონსულტაციო მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილების მიღების უფლებით, ხოლო ერთ რესპუბლიკაში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება ეკისრება უმაღლეს სასამართლოს, ცალკეულ რეგიონებში კი ასეთ კონტროლს ახორციელებენ ზოგადად საერთო სასამართლოები, ანდა ხელისუფლების ყველა განშტოების ორგანოები. უდმურტეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის დაცვის გაკონტროლების ფუნქცია დაკისრებული აქვს პარლამენტს – სახელმწიფო საბჭოს. ადიღეს რესპუბლიკაში ამ მიზნით დაფუძნებულია საკონსტიტუციო პალატა (1996 წლის 17 ივნისს მიიღეს საკონსტიტუციო კანონი „ადიღეს რესპუბლიკის საკონსტიტუციო პალატის შესახებ“).

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ახალი ორგანოების გვერდით რუსეთის ფედერაციის სამ რესპუბლიკაში შემორჩა საბჭოთა კავშირის დროინდელი საკონსტიტუციო კონტროლის საზედამხედველო ორგანო – საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტი. საბჭოთა საკონსტიტუციო იუსტიციის საწყისები, მისი ჩამოყალიბება არსებითად სწორედ სსრ კავშირის საკონსტიტუციო

ზედამხედველობის კომიტეტის შექმნით დაიწყო. ცხადია, ამ კომიტეტს, საბჭოური სისტემის არსის, მისი შეზღუდულობის გამო, არ შეეძლო ნამდვილი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება. საკავშირო საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტი 1988 წლის დეკემბერში დაფუძნდა, ფაქტობრივად კი, 1990 წლის აპრილში ჩამოყალიბდა და მან მალევე, სსრ კავშირის გაუქმებასთან დაკავშირებით, 1991 წლის დეკემბერში შეწყვიტა თავისი საქმიანობა. ჩვენს ხელთ არსებული (1997 წლის გაზაფხულის) მონაცემების მიხედვით, საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტი მოქმედებს ორ რესპუბლიკაში, ერთში კი იგი გათვალისწინებულია. ესენია, ჩუვაშეთი (კომიტეტის შექმნას ითვალისწინებს 1993 წლის კონსტიტუცია), თათრეთი და ჩრდილოეთ ოსეთი – ალანია (კომიტეტები ორივეგან შეიქმნა 1990 წლის დეკემბერში).

ასეთი სიჭრელე საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში რუსეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის მრავალფეროვნებით, ქვეყნის ფართო და ღრმა ფედერალიზაციით არის განპირობებული. სწორედ ამის გამოა, რომ საკონსტიტუციო კონტროლის სფეროც არსებითი თავისებურებებით ხასიათდება რუსეთის ფედერაციის სუბიექტებში.

რუსეთის 1993 წლის კონსტიტუციამ დააკანონა ფედერაციის სუბიექტების რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქების, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური ოკრუგების თანასწორუფლებიანობა. რუსეთის ფედერაციის ყველა სახეობის სუბიექტს გააჩნია საკუთარი კანონმდებლობა. ფედერაციის სუბიექტებიდან მხოლოდ რესპუბლიკებს აქვთ მინიჭებული სახელმწიფოს სტატუსი. სხვა სუბიექტები, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისაგან განსხვავებით, სახელმწიფოსმაგვარი წარმონაქმნებია. რესპუბლიკას (სახელმწიფოს) აქვს თავისი კონსტიტუცია, დანარჩენ სუბიექტებს კი - თავ-თავიანთი წესდებები. ფედერაციის სუბიექტის წესდება დამფუძნებელი ნორმატიული აქტია და გარკვეულწილად კონსტიტუციას მიემსგავსება. ამის გამოა, რომ იგი ძირითად კანონადაც იწოდება. მაგალითად, ალტაის მხარის საკანონმდებლო კრებამ 1995 წლის 26 მაისს მიიღო დადგენილება, რომლითაც დამტკიცდა „ალტაის მხარის წესდება (ძირითადი კანონი)“. ფედერაციის კონსტიტუციასთან წესდების შესაბამისობის

საკითხს განიხილავს რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლო.

რესპუბლიკებში, როგორც წესი, იქმნება საკონსტიტუციო სასამართლოები. რესპუბლიკებთან უფლებრივი გათანაბრების საფუძველზე ფედერაციის სხვა სუბიექტებშიც დაიწყო მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მათაც შეექმნათ საკონსტიტუციო კონტროლის საკუთარი ორგანოები. შემუშავდა ე. წ. საწესდებო სასამართლოების იდეა, რომლის ინიციატორსა და პირველ დამკანონებელს სვერდლოვის ოლქი წარმოადგენდა.

ასე ჩამოყალიბდა რუსეთის ფედერაციის სუბიექტებში საკონსტიტუციო (საწესდებო) სასამართლოები. ისინი მოწოდებული არიან განიხილონ საკითხები ფედერაციის სუბიექტის კონსტიტუციასთან (წესდებასთან) ამ სუბიექტის კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის აქტების შესაბამისობის შესახებ.

ზემოხსენებული საწესდებო სასამართლო ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში. ამ ტიპის სახელმწიფო ორგანოზე ზოგადი წარმოდგენის შექმნის მიზნით მოვიყვანო ცალკეულ მონაცემებს სვერდლოვის ოლქის საწესდებო სასამართლოს შესახებ. ეს ცნობები ამოკრებილია სვერდლოვის ოლქის წესდებიდან და სვერდლოვის ოლქის 1997 წლის 6 მაისის საოლქო კანონიდან „სვერდლოვის ოლქის საწესდებო სასამართლოს შესახებ“.

სვერდლოვის ოლქის საწესდებო სასამართლოს კომპეტენცია, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება რუსეთის ფედერაციისა და სვერდლოვის ოლქის კანონმდებლობით. მის მოსამართლეებს სვერდლოვის ოლქის გუბერნატორის წარდგინებით ირჩევს საოლქო სათათბირო („დუმა“). მოსამართლეები ემორჩილებიან რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასა და სვერდლოვის ოლქის წესდებს.

საწესდებო სასამართლო ახორციელებს სვერდლოვის ოლქის წესდების ოფიციალურ ახსნა-განმარტებას, განიხილავს საქმეებს ხსენებულ წესდებასთან სვერდლოვის ოლქის კანონებისა და ოლქის საკანონმდებლო კრების პალატების დადგენილებების, გუბერნატორისა და სვერდლოვის ოლქის მთავრობის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიული აქტების შესაბამისობის თაობაზე, საოლქო სათათბიროს მიმართვის საფუძველზე იძლევა

დასკვნას ოლქის წესდებასთან გუბერნატორის მოქმედებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისობის, აგრეთვე თანამდებობიდან მისი გადაყენების შესახებ, წყვეტს დავებს კომპეტენციის თაობაზე სვერ-დლოვის ოლქის სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის.

ნორმატიული აქტი ან მისი ცალკეული ნაწილი, რომელსაც საწესდებო სასამართლო მიიჩნევს წესდებასთან შეუსაბამოდ, დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ძალადაკარგულია. საწესდებო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა, გაპროტესტებასა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ზემოთ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, საწესდებო სასამართლო მართლაც საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს ანალოგად წარმოგვიდგება.

საკონსტიტუციო კონტროლის მრავალგვარობის ფონზე საკითხავია – რომელ სახეობას უნდა მიეცეს უპირატესობა: ისეთს, როცა არ არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანო და კონტროლს თავ-თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები, მათ შორის – სასამართლოები, ანდა ასეთი კონტროლის ფუნქცია შეთავსებული აქვთ მხოლოდ საერთო სასამართლოებს. იქნებ უკეთესია საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალური ორგანოს შექმნა? მაგრამ ასეთ შემთხვევაში გასარკვევია, რომელი არის უმჯობესი – სასამართლო თუ სხვა სახელმწიფო ორგანო.

მიმაჩნია, რომ შერჩევის შესაძლებლობის თვალსაზრისით, არცერთი ამ ვარიანტთან არ უნდა იყოს აპრიორულად, გულდასმით და საგანგებოდ განხილვის გარეშე უარყოფილი. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება განსახილველ საკითხზე თვით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული გამგებლობის სფეროს მიეკუთვნება.

არაა გამორიცხული, რომ ავტონომიურმა რესპუბლიკამ საერთოდ უარი თქვას საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანოს დაარსებაზე. ეს ავტონომიის უცილობელი უფლებაა და პრობლემისადმი ასეთი მიდგომაც სავსებით მართლზომიერ პოზიციად უნდა იქნეს მიჩნეული.

სახელმწიფოებრივი ერთეულების მომცველ ქვეყანაში, როგორც წესი, სპეციალურ საერთო-სახელმწიფოებრივ საკონსტიტუციო კონტროლთან ერთად ავტონომიური კონტროლიც ხორციელდება და ამ მიზნით, ბუნებრივია, შესაბამისი რეგიონალური ორგანოებიც ყალიბდება. მაგრამ ზოგად წესს გამონაკლისიც თან ახლავს ზოლმე და საკანონმდებლო თუ სახელმწიფო-სამართლებრივი მშენებლობის პრაქტიკის მონაცემებითაც დასტურდება, რომ საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური საერთო-სახელმწიფოებრივი ორგანოს მქონე ფედერალური მოწყობის ზოგიერთი ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში შესაბამისი სამართლებრივი დანაწესი რეგიონალური საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანოს სახით არ იქმნება.

ასე მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებობს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო და მხარეების („ლანდ“) საკონსტიტუციო სასამართლოები. ამასთან, ერთ მხარეში – შლეზვიგ-ჰოლშტაინში ასეთი სასამართლო არ არსებობს. აქ წამოჭრილ საკონსტიტუციო-სამართლებრივ დავებს ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს. ადრე ასეთივე ვითარება იყო აგრეთვე მეკლენბურგ-წინაპომერანიის მხარეში.

ანალოგიური სიტუაცია სხვაგანაც, კერძოდ კი რუსეთის ფედერაციაშიც დასტურდება.

რუსეთის ფედერაციაში მიღებული წესის მიხედვით, ფედერაციის სუბიექტებს შეუძლიათ შექმნან საკონსტიტუციო (საწესდებო) სასამართლოები. ეს არის მათი უფლება და, ამდენად, ისინი არ არიან ვალდებული იქონიონ საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანოები. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, რუსეთის ფედერაციის 21 რესპუბლიკიდან 1997 წლის გაზაფხულისთვის საკონსტიტუციო სასამართლოები მარტოოდნ 7 რესპუბლიკაში მოქმედებდა. ამათ გარდა, საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოების შექმნა კიდევ 6 რესპუბლიკის კონსტიტუციით არის გათვალისწინებული. ასევე, საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანოების შექმნას მრავალრიცხოვანი მხარეებიდან, ოლქებიდან და ავტონომიებიდან მხოლოდ რამდენიმე რეგიონის წესდება აკანონებს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის სუბიექტებში საკონსტიტუციო სასამართლოსთან მიმართებით უკუ პროცესიც კი განვი-

თარდა. კერძოდ, მორღვეთის რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციაში შეტანილი შესწორების შედეგად გაუქმდა ადრე არსებული საკონსტიტუციო სასამართლო. ასევე, ამჟამად მოქმედი კონსტიტუციისაგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნას ითვალისწინებდა უდმურგეთის ძირითადი კანონის ადრინდელი რედაქცია.

საინტერესოა ითქვას, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტთან მიმართებით მეტად თავისებური მდგომარეობაა შვეიცარიაში. აქ არ არსებობს სპეციალური ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო. ამ ფუნქციას ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ასრულებს. მიუხედავად ამისა, 1978 წელს საკონსტიტუციო სასამართლო შეიქმნა შვეიცარიის ერთ-ერთ კანტონში. მაშასადამე, სპეციალური საკონსტიტუციო კონტროლი ამ ქვეყანაში მხოლოდ ფედერაციის სუბიექტის – კანტონის დონეზე ხორციელდება. ასე რომ, შვეიცარიაში საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქცია არსებითად ფედერალური სასამართლოს პრეროგატივაა - ფედერაციაში გაერთიანებულია 23 კანტონი და მათგან მხოლოდ ერთში მოქმედებს საკონსტიტუციო სასამართლო.

აფხაზეთთან მიმართებით, თავისთავად ცხადია, ანგარიში უნდა გაეწიოს საკონსტიტუციო კონტროლის იმ სახეობას, რომელიც უკვე 1996 წლიდან საკმაო წარმატებით მოქმედებს საქართველოში.

თუკი ამასთან ერთად გათვალისწინებული იქნება აგრეთვე საკონსტიტუციო კონტროლის ზემოაღნიშნული ფორმებისათვის დამახასიათებელი პროცედურები, მაშინ აფხაზეთში ყველაზე უფრო მიზანშეწონილად საკონსტიტუციო სასამართლოს შემოღება წარმოგვიდგება. აქ საკმარისია აღინიშნოს საკონსტიტუციო კონტროლის ამ ორგანოსათვის დამახასიათებელი დემოკრატიული წესები, ისეთი ნიშანთვისებები, როგორიცაა, კერძოდ, საქმის განხილვა ღია სასამართლო სხდომაზე და მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემოღება მოასწავებს მნიშვნელოვან სიახლეს აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი განვითარების ისტორიაში. ეს იქნება საკონსტიტუციო კონტროლის პირველი სპეციალური ორგანო აფხაზეთში. ანალოგიური ორგანო არ არის გათვალისწინებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

მოქმედი კონსტიტუციით. მას არც აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების 1994 წლის ეგრეთ წოდებული „კონსტიტუცია“ არ ითვალისწინებს. ამ აქტის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, აფხაზეთის პრეზიდენტის, პარლამენტის, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციასთან შესაბამისობას განიხილავს აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო.

საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური სასამართლო ორგანოს დაარსება ნიშნავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებების გაფართოებას. იგი იქნება აფხაზეთის ავტონომიური ეროვნული სახელმწიფოებრიობის არსებობისა და მისი დემოკრატიული განვითარების ქმედითი სამართლებრივი გარანტია.

აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსება, ჩვეულებრივ, საქართველოს ფედერაციული მოწყობის პირობებში მოიაზრება, მაგრამ ვფიქრობ, რომ არც საპირისპირო ვითარება არ გამოირიცხება.

აღნიშნავ, რომ აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის საკითხი, ჩემი აზრით, შეიძლება არც იყოს მიბმული საქართველოს სახელმწიფოს მაინცდამაინც ფედერაციულ მოწყობასთან. საკონსტიტუციო სასამართლოს დანიშნულება არის კონსტიტუციის დაცვა, მისი უზენაესობის უზრუნველყოფა. საკონსტიტუციო სასამართლოს დაფუძნების წინაპირობას წარმოადგენს კონსტიტუციის არსებობა. საქართველოს შემადგენლობაში მყოფი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის არსებობის დროს საქართველოს ფედერაციული მოწყობის გარეშეც დასაშვები და სავსებით შესაძლებელია აფხაზეთის ავტონომიის საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა.

არგუმენტის, მაგალითის მოძიებისათვის ამ შემთხვევაში არ არის საჭირო შორს წასვლა. საინტერესო იქნება ჩვენზე სინამდვილიდან აღებული ისეთი ფაქტის დამოწმება, როგორც არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს დაფუძნება.

ზემოთ, საკონსტიტუციო კონტროლის ტერიტორიულ-ფუნქციურ გამიჯვნასთან დაკავშირებით, ითქვა, რომ საქართველოს სახელმწიფო წყობილების ფორმის საკითხი ჯერჯერობით არ არის კონსტი-



ტუციურად გადაწყვეტილი. ეს იმით არის გამოწვეული, რომ დარღვეულია სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის) სახით ოკუპირებულია. სწორედ ამის გამო ჩაიწერა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში, რომ „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“.

მამასადამე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო დაფუძნდა ისეთ ვითარებაში, როდესაც საკანონმდებლო წესით, კონსტიტუციით ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული დღევანდელი საქართველოს უნიტარული ან ფედერაციული წესით მოწყობის საკითხი. ასევე, საქართველოს სახელმწიფო წყობილების ფორმის საკითხისაგან დამოუკიდებლად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნაც შესაძლებელი და სავსებით დასაშვებია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო მოიაზრება როგორც კონსტიტუციური კონტროლის სპეციალური ორგანო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ავტონომიის კონსტიტუციის დაცვა და არ დაუშვას სახელმწიფო ორგანოების მხრივ მისი დარღვევა. ამ ფუნქციიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს განეკუთვნება განსაკუთრებული ადგილი ავტონომიის სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში. იგი დამოუკიდებელი იქნება ყველა სხვა სახელმწიფო ორგანოსაგან, ხოლო მისი კომპეტენციის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებას ექნება სავალდებულო ძალა ნებისმიერი თანამდებობის პირისა და სახელმწიფო ორგანოსათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს მართლზომიერი გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და მისი შეუსრულებლობა გამოიწვევს როგორც პოლიტიკურ, ისე სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამავე დროს, აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლო უნდა იყოს დეპოლიტიზირებული, ისევე, როგორც სხვა ანალოგიური ორგანოები.

საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობა გულისხმობს

მისი წევრების დამოუკიდებლობასა და ხელშეუხებლობას, რაც გარანტირებული იქნება შესაბამისი კონსტიტუციის ღონეზე.

აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლო, მისი დანიშნულების გათვალისწინებით და მაღალი სამართლებრივი სტატუსის უზრუნველყოფის მიზნით სათანადოდ უნდა აისახოს აფხაზეთის კონსტიტუციაში და, იქნებ, საქართველოს ძირითად კანონშიც. საკონსტიტუციო სასამართლო იქნება ავტონომიის სასამართლო ხელისუფლების უპირველესი დანაწესი, მაგრამ არ გაერთიენდება არც აფხაზეთისა და არც მთლიანი საქართველოს სასამართლოების ერთიან სისტემაში. იგი საერთო სასამართლოების სისტემის გარეთ და, არსებითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსაგან დამოუკიდებლედ იარსებებს.

კონსტიტუციაში აისახება ავტონომიური საკონსტიტუციო სასამართლოს ფუძემდებლური დებულებები, მისი შექმნის წესი, სასამართლოსა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უმთავრესი გარანტიები, სასამართლოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების სანიმუშო ჩამონათვალი.

ამასთან ერთად, აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლოს იურიდიული სტატუსის განსაზღვრა, ცხადია არ შემოიფარგლება კონსტიტუციით. ძირითადი კანონის გარდა უნდა იყოს აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირების სხვა საკანონმდებლო საფუძვლები. ქვემოთ სწორედ ასეთ სავარაუდო საკანონმდებლო აქტებს შევხები.

საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის 2002 წლის 10 აგვისტოს რედაქციით ჩამოყალიბებული მე-4 პუნქტის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“. ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, თუ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ამ ფუძემდებლურ აქტში აისახება აფხაზეთის საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს არსებობა ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს სახით. ამ დოკუმენტით დაკანონებული საკონსტიტუციო სასამართლო სხვა სათანადო კონსტიტუციურ ორგანოებთან ერთად იქნება აფხაზეთის ავტონომიური სახელმწიფოებრიობის

გამომხატველი და დამადასტურებელი ატრიბუტი.

თუკი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობაში შემოტანილი იქნება ორგანული კანონის ცნება, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსი ამ კატეგორიის სპეციალურ კანონშიც აისახება. ასეთ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სამართალწარმოების საკითხები შეიძლება ავტონომიური რესპუბლიკის ჩვეულებრივი კანონით იქნეს მოწესრიგებული.

ამგვარად, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება აფხაზეთში საკუთრივ ავტონომიის კანონმდებლობით განისაზღვრება.

საერთოდ, ავტონომიური საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები იქმნებიან და საქმიანობენ შესაბამისი სუბიექტების კანონმდებლობის საფუძველზე. ასე ყალიბდებიან და ფუნქციონირებენ, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის რეგიონალური საკონსტიტუციო (საწესდებო) სასამართლოები.

ამასთან, ავტონომიური საკონსტიტუციო კონტროლი ყველგან, ყველა ქვეყანაში უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის მტკიცედ დაცვით ხორციელდება. სავსებით მართებულად აღინიშნა ევროპული საკონსტიტუციო სასამართლოების XII კონფერენციაზე (ბრიუსელი, 2002 წლის 13-16 მაისი), რომ ფედერაციულ საწყისებზე აგებული სახელმწიფოს სუბიექტების სასამართლო ორგანოების შექმნის შედეგად არ უნდა შეიღახოს ფედერალური სასამართლოს სტატუსი.

საკონსტიტუციო კონტროლის პრობლემასთან დაკავშირებით წამოიჭრება ხოლმე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ურთიერთმიმართების საკითხი საერთო-სახელმწიფოებრივი და რეგიონალური ინტერესების გადაკვეთის სფეროში. ეს, საკონსტიტუციო კონტროლის არსიდან გამომდინარე, საკმაოდ დელიკატური საკითხია და სრულყოფილი პასუხის გასაცემად აუცილებელია პრობლემის ჩაღრმავებით შესწავლა.

ამჯერად, დაბეჯითებით იმის თქმა შეიძლება, რომ აღნიშნულ ორ სასამართლოს შორის ნამდვილად არ იქნება ინსტანციური ურთიერთობა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ითქვას, რომ ავტონომიური (რეგიონალური) საკონსტიტუციო კონტროლის ინსტანციურობის

საკითხისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა გამოვლინდა რუსეთის ფედერაციაში. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები თავიანთ სტატიებში ხაზგასმით მიუთითებდნენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, თავისი არსის გათვალისწინებით, არ საჭიროებს ზემდგომი ორგანოს არსებობას. იგი მარტოოდენ შესაბამის ძირითად კანონს უნდა ემორჩილებოდეს. ამიტომაც, მათი აზრით, რეგიონების საკონსტიტუციო (საწესდებო) სასამართლოები არ უნდა იყვნენ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოსთან ერთ სისტემაში გაერთიანებული. კომისა და დაღესტნის საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეებს უნდოდათ საკონსტიტუციო სასამართლოების ერთიანი სისტემის შექმნა. ეს პოზიცია არ იქნა გაზიარებული და გამოირიცხა იმის შესაძლებლობა, რომ რეგიონების საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების გადაწყვეტილებანი გადაესინჯათ ფედერალურ სასამართლოებს. ასე რომ, სხვა სასამართლო ორგანო არ არის უფლებამოსილი გადასინჯოს ფედერაციის სუბიექტის საკონსტიტუციო (საწესდებო) სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია მისი კომპეტენციის ფარგლებში. საკონსტიტუციო (საწესდებო) სასამართლოები შედიან რუსეთის ფედერაციის სასამართლო სისტემაში, მაგრამ ფედერალური სასამართლოების სისტემას კი არ მიეკუთვნებიან, არამედ არიან ფედერაციის სუბიექტების სასამართლოები. მათი შექმნისა და საქმიანობის წესი ფედერაციის სუბიექტების კანონებით განისაზღვრება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარიმართება. თითოეული მათგანის იურისდიქცია, შესაბამისად, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით გაიმიჯნება და ამ ძირითადი კანონებით განსაზღვრული საკითხებით შემოიფარგლება.

მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ კომპეტენციაში შემაგალ და, აგრეთვე, ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებულ სადავო საქმეებს, ისევე როგორც საჯარო-სამართლებრივ დავებს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ავტონომიურ რესპუბლიკას ან საკუთრივ ავტონომიებს

შორის გადაწყვეტს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. ამასთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ თვით საბჭოთა საქართველოს 1927 წლის კონსტიტუციითაც (იხ. მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი), საქართველოს საბჭოების ყრილობისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) კომპეტენციაში შედიოდა „ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებს შორის, აგრეთვე ამათსა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სხვა ორგანოთა შორის დავა-ცილობის გადაწყვეტა“.

ასევე, თავისთავად იგულისხმება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განიხილება საქმეები ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე.

აღრე, საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით, ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებს მათი მომცველი რესპუბლიკების სათანადო ორგანოები ამტკიცებდნენ.

საქართველოს სსრ-ის 1927 წლის კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის ძალით, საქართველოს საბჭოების ყრილობისა და ცაკის გამგებლობას ეკუთვნოდა „ავტონომიურ რესპუბლიკათა კონსტიტუციების“, „მათ ცვლილებათა და დამატებათა დამტკიცება“.

1937 წლის კონსტიტუციის მე-14 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმადაც, საქართველოს სსრ „თავისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით „... ამტკიცებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სსრ-ების კონსტიტუციებს“. 24-ე მუხლისა და 62-ე მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები ითვალისწინებდნენ ამ რესპუბლიკების თავისებურებებს და შეესაბამებოდნენ საქართველოს და სსრ კავშირის კონსტიტუციებს. ავტონომიური რესპუბლიკები იღებდნენ თავიანთ კონსტიტუციებს და შექპონდათ ისინი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ-ის უზენაეს საბჭოში.

ბოლო (1977–1978 წლების) საბჭოთა კონსტიტუციები აღარ ითვალისწინებდნენ მოკავშირე რესპუბლიკების მხრივ ავტონომიების კონსტიტუციების შემდგომ დამტკიცებას. სამაგიეროდ, შემოღებული იქნა კონტროლის ახალი მექანიზმი და საქართველოს 1978 წლის

კონსტიტუციის 72-ე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრა, რომ „საქართველოს სსრ რესპუბლიკის გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით ექვემდებარება ... საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციების შესაბამისობის უზრუნველყოფა“. კონკრეტულად, ამ ფუნქციის განხორციელება დაეკისრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. 115-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი „უზრუნველყოფს, რომ ავტონომიურ რესპუბლიკათა კონსტიტუციები და კანონები შეესაბამებოდეს საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და კანონებს“.

ავტონომიური საკონსტიტუციო კონტროლი, მისი ფარგლები განსხვავებულია ცალკეულ ქვეყნებში და მეტ-ნაკლები მოცულობით განისაზღვრება. შედარებისათვის მოვიყვანო რუსეთის ფედერაციისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონაცემებს.

მრავალმხრივი და საგრძნობლად ფართოა რუსეთის ფედერაციაში გაერთიანებული რესპუბლიკების საკონსტიტუციო სასამართლოების კომპეტენცია. ეს კარგად ჩანს თუნდაც სახას რესპუბლიკის (იაკუტიის) საკონსტიტუციო სასამართლოს მაგალითზე. მისი უფლებამოსილება განსაზღვრულია იაკუტიის მოქმედი კონსტიტუციის 100 – 101 მუხლებში (მხედველობაშია 1992 წლის კონსტიტუცია 1994 წლის 20 აპრილის ჩათვლით შეტანილი ცვლილებებით).

იაკუტიის საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დაცვის საქმეში. იგი (1) განიხილავს საქმეებს იაკუტიის კონსტიტუციასთან რესპუბლიკის სახელმწიფო კრების, პრეზიდენტის, მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოების, სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ნორმატიული აქტების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების აქტების, მუნიციპალურ დაწესებულებათა წესდებების, რესპუბლიკური რეფერენდუმის დანიშვნა-ჩატარების, რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ხელშეკრულებების შესაბამისობის შესახებ; (2) წყვეტს დავებს კომპეტენციის თაობაზე იაკუტიის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს შორის, ადგი-

ლობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის; (3) მოქალაქეთა საჩივრებისა და სასამართლოების მიმართვის საფუძველზე ამოწმებს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით გამოსაყენებელი რესპუბლიკური კანონების კონსტიტუციურობას; (4) ოფიციალურად განმარტავს რესპუბლიკის კონსტიტუციას; (5) იძლევა დასკვნებს კონსტიტუციის დარღვევის თაობაზე სახელმწიფო კრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისა და განსაზღვრული თანამდებობის პირებისადმი უნდობლობის გამოცხადების დროს, რესპუბლიკის პრეზიდენტისა და სახელმწიფო კრების დეპუტატების არჩევნების სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რუსეთის კონსტიტუციასთან იაკუტიის კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობის შესახებ; (6) ახორციელებს რესპუბლიკის კონსტიტუციის ცვლილება-დამატებების წინასწარ კონტროლს საკანონმდებლო პროცედურის დაცვის თვალსაზრისით; (7) მონაწილეობს იაკუტიასა და რუსეთის ფედერაციას შორის საკონსტიტუციო-სამართლებრივი დავის გადაწყვეტაში; (8) გამოდის საკანონმდებლო ინიციატივით თავისი გამგებლობის საკითხებზე და ასრულებს კონსტიტუციითა თუ კანონით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

შედარებით უფრო შემოფარგლულად არის წარმოდგენილი, მაგალითად, ქვემო საქსონიის მხარის („ლანდ“) საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამ სუბიექტის 1993 წლის კონსტიტუციაში (1994 წლის რედაქციით).

ქვემო საქსონიის მხარის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 წევრისა და მათი 9 მოადგილისაგან, რომლებიც სასამართლოს თითოული წევრის პირადი წარმომადგენლები არიან. სასამართლოს წევრებსა და მათ მოადგილეებს 7 წლის ვადით ირჩევს ქვემო საქსონიის მხარის პარლამენტი (ლანდტაგი). კონსტიტუციით დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა თანამდებობრივი შეუთავსებლობის პირობები. კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ კანონით განისაზღვრება ის შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს აქვს კანონის ძალა.

მხარის საკონსტიტუციო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება:

ქვემო საქსონიის კონსტიტუციის დებულებათა ახსნა-განმარტების თაობაზე იმ სადავო საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება მხარის უმაღლესი ორგანოების ან დავის სხვა მონაწილის უფლებამოვალეობების მოცულობას; სახალხო ინიციატივებისა თუ რეფერენდუმების ჩატარებასთან დაკავშირებულ დავებზე; კონსტიტუციასთან მხარის კანონების შესაბამისობის შესახებ; თვითმმართველობის უფლების დარღვევის თაობაზე. ქვემო საქსონიის მხარის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს აგრეთვე სამხარეო კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ საკითხებს, როგორცაა, კერძოდ, დეპუტატისადმი წაყენებული ბრალდება და პარლამენტის საგამომიებო კომისიის სადავო გადაწყვეტილება.

რაც შეეხება აფხაზეთს, მის საკონსტიტუციო სასამართლოს, შეჯერებული მონაცემების მიხედვით შეიძლება, კერძოდ, ითქვას, რომ იგი განიხილავს ავტონომიის კონსტიტუციასთან ავტონომიური რესპუბლიკის კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს, დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე, არჩევნების კონსტიტუციურობისა და საკანონმდებლო ორგანოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის, გარკვეული თანამდებობის პირის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დარღვევის საკითხებს და განახორციელებს სხვა სათანადო უფლებამოსილებებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო, თავისთავად ცხადია, არ უნდა იყოს და სინამდვილეში ვერც იქნება ცენტრალური ხელისუფლებისაგან სრულიად მოკვეთილი სახელმწიფო ორგანო. კონფლიქტების გაღვივების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა იმ საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება, რომლებიც ცენტრისა და ავტონომიის ინტერესთა გადაკვეთის შემთხვევაში წამოიჭრება. ამ დროს ორივე მხარის მოქმედება სამართლებრივი ჩარჩოებით უნდა იყოს განსაზღვრული. ეს სფეროც საგანგებო შესწავლას მოითხოვს და აქ მხოლოდ ორიოდ მაგალითის მოყვანით დაკმაყოფილდები.

როდესაც კონკრეტული საქმის განმხილველი ნებისმიერი საერთო სასამართლო, იქნება იგი საკუთრივ საქართველოსი თუ აფხაზეთისა,



მიიჩნევს, რომ მის მიერ გამოსაყენებელი კანონი ანტიკონსტიტუციურია, მაშინ შეჩერდება სამართალწარმოება და თუ საქმე შეეხება აფხაზეთის კონსტიტუციის დარღვევას, გადაწყვეტილებას მიიღებს აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლო, ხოლო საქართველოს კონსტიტუციასთან მიმართებით სადავო აქტის განხილვა და მისი კონსტიტუციურობის შეფასება დაექვემდებარება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ასევე იქნება იმ შემთხვევებში, როდესაც აფხაზეთის ავტონომიის ნორმატიული აქტით დაირღვევა საქართველოს კონსტიტუცია ან კანონი.

თუ საქართველოს კონსტიტუციის გამოყენებისას აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლო განიზრახავს გადაუხვიოს შესაბამის საკითხზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ აქტს, მაშინ მან უნდა მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს მისი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული დებულებები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია საქართველოსა და აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლოებთან მიმართებით, მოდიფიცირებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციის მე-100 მუხლის საფუძველზე.

საერთოდ, როგორც უკვე ითქვა, აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან ავტონომიის კანონებისა და სხვა სათანადო ნორმატიული აქტების მიმართების სადავო საკითხებს. ამავე დროს, საქართველოს კონსტიტუციასთან აფხაზეთის კონსტიტუციის, კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხები შედის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ძალით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს დავას საქართველოსა და აფხაზეთის სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე.

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ექვემდებარება საქართველოს მოქალაქეების, სხვა ფიზიკური პირებისა და საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელების განხილვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით.

ზემოხსენებული „ბოდენის გეგმის“ მიხედვით, „სახელმწიფო საქართველო და აფხაზეთი“ უნდა შეთანხმდნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით აქ უნდა აღინიშნოს იმის აუცილებლობა, რომ საქართველოს კონსტიტუციასა და შესაბამის ორგანულ კანონში აისახოს და განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლის შეყვანა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგელობაში. ასეთი მოსამართლე ფაქტობრივად ამჟამადაც არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, მაგრამ წარმომადგელობა მტკიცე საკანონმდებლო ბაზას, კონსტიტუციურ საფუძველს უნდა ემყარებოდეს.

დასმული საკითხი, მაგალითად, შეიძლება მოგვარდეს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 7(1) მუხლის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს თავისი ბრძანებულებით ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაწესდეს, რომ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების თითო-თითო წარმომადგენელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დანიშნავს საქართველოს პრეზიდენტი მისთვის განკუთვნილი ლიმიტის ანგარიშში. ასეთი დანიშნვები განხორციელდება ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებითა და მათი რეკომენდაციის საფუძველზე.

თავის მხრივ, აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლო ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის უზენაესობას უზრუნველყოფს

საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები კი, საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციების შესაბამისად მიიღებენ სათანადო გადაწყვეტილებებს.

ფედერაციულ და, საერთოდ, სახელმწიფოებრივი ერთეულების მომკველ ქვეყანაში ჩვეულებრივ მოვლენად არის მიჩნეული შესაბამისი სუბიექტის მხრივ როგორც საკუთრივ თავისი, ისე, პირველ რიგში, იმ სახელმწიფოს კონსტიტუციისადმი მორჩილება, რომლის შემადგელობაშიც იგი იმყოფება. სანიმუშოდ დავიმოწმებ ქვემო საქსონიის მხარის („ლანდ“) 1993 წლის კონსტიტუციის (1994 წლის რედაქციით) 31-ე მუხლს, რომლის ძალითაც სამხარეო მთავრობის წევრებმა თანამდებობის დაკავებისას პარლამენტის (ლანდტაგის) წინაშე უნდა დადონ ფიცის. ამ სამსახურებრივი ფიცის დადების დროს მხარის მთავრობის წევრი მიუთითებს სათანადო გარემოებებზე და, მათ შორის, აღნიშნავს, რომ „შეასრულებს და დაიცავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითად კანონს, ქვემო საქსონიის კონსტიტუციასა და კანონებს“.

აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა, სავარაუდოდ, შეიძლება შეიდი მოსამართლით განისაზღვროს. თანამედროვე, მრავალმხრივად რთულ პირობებში მიზანშეწონილია, რომ ამ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილების ვადით აირჩიოს ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტმა, სადაც წარმოდგენილი იქნება მოსახლეობისა და პოლიტიკური ძალების ფართო სპექტრი. ეს იმ მხრივაც მისაღებია, რომ ამ გზით უფრო გამოირიცხება მოსამართლეებზე გავლენის შესაძლებლობა.

დღევანდელი დაძაბული აფხაზურ-ქართული ურთიერთობების გათვალისწინებით, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტება განხორციელდეს ეროვნული ნიშნის მიხედვით. მაგალითად, სასამართლოს შეიდი წევრიდან შეიძლება იყოს ორი აფხაზი, ორი ქართველი, ერთი – სხვა ეროვნებისა და ორიც საერთაშორისო მოსამართლე.

ამ საერთაშორისო მოსამართლეების საკითხის განმარტებამდე აღვნიშნავ, რომ აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლო საქმეებს პლენარულ სხდომებზე განიხილავს. სასამართლოს თავმჯდომარის

თანამდებობაზე რიგრიგობით – თითო-თითო, ორ-ორი ან სამ-სამი წლით იქნებიან აფხაზი და ქართველი ეროვნების მოსამართლეები. სასამართლო პროცესი წარმართება და სხდომის ოქმიც გაფორმდება აფხაზურ და ქართულ ენებზე შერეულად, ხოლო გადაწყვეტილება, აგრეთვე სასამართლოს სხვა აქტები (რალა თქმა უნდა, იდენტური ტექსტები) დაიწერება და გამოქვეყნდება როგორც ქართულად, ისე აფხაზურ ენაზე. მოსამართლეებმა ან უნდა იცოდნენ ორივე ენა (აფხაზურიცა და ქართულიც), ანდა ქართველი მოსამართლეები გამოიყენებენ ქართულს, აფხაზები კი – აფხაზურ ენას. ასეთ ვითარებაში ურთიერთგაგება, ცხადია, თარჯიმნის მეშვეობით იქნება შესაძლებელი.

აფხაზეთში და მის ირგვლივ შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების საკითხში, ალბათ, გასაზიარებელია ბოსნია-ჰერცეგოვინის გამოცდილება. სახელდობრ, საქმე შეეხება საერთაშორისო მოსამართლეების გარკვეული რაოდენობის (ვთქვათ, ორი წევრის) ჩართვას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში.

ბოსნია-ჰერცეგოვინაში ორი დონის სამი საკონსტიტუციო სასამართლო არსებობს. ესენია - ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო და ფედერაციის სუბიექტების დონეზე მოწყობილი საკონსტიტუციო სასამართლოები. ამგვარად, ბოსნია-ჰერცეგოვინის ფედერაციასა და მის სუბიექტებს საკონსტიტუციო კონტროლის თავთავიანთი სპეციალური სახელმწიფო ორგანო გააჩნიათ – თითოეულ მათგანს საკუთარი საკონსტიტუციო სასამართლო აქვს. საკონსტიტუციო სასამართლოს დაფუძნების საფუძველია კონსტიტუცია, რომელიც მოცემულია ბოსნია-ჰერცეგოვინის მშვიდობის ჩარჩო შეთანხმების (დეიტონის შეთანხმების) მე-4 დამატებაში.

აღსანიშნავია, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინაში ფედერაციულ დონეზე მხოლოდ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არსებობს. როგორც ბელგიის საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლემ, პროფესორმა, დოქტორმა ანდრე ალენმა აღნიშნა თავის საერთო მოხსენებაში 2002 წლის მაისში ბრიუსელში გამართულ ევროპული საკონსტიტუციო სასამართლოების XII კონფერენციაზე, ბოსნია-

პერცოგოვინის სხვა ყველა დანარჩენი სასამართლო ფედერაციის ორი სუბიექტის ღონეზეა მოწყობილი. ეს გარემოება თვალნათლივ წარმოაჩენს იმ განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობას, რომელიც საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალურ სასამართლო ორგანოს ენიჭება ბოსნია-ჰერცოგოვინის ფედერაციაში.

ბოსნია-ჰერცოგოვინის საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრა წევრიდან სამს ნიშნავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარე ბოსნია-ჰერცოგოვინის პრეზიდენტთან მოთათბირების შემდეგ. ამგვარად შერჩეული მოსამართლე არ უნდა იყოს ბოსნია-ჰერცოგოვინის, ან მისი მეზობელი ქვეყნის მოქალაქე. 2002 წლის ბოსნია-ჰერცოგოვინის საკონსტიტუციო სასამართლოს ახალ წევრებად დანიშნენ ბრიტანეთის, საფრანგეთისა და მოლდავეთის მოქალაქეები. მათ შეცვალეს 1996 წელს დანიშნული შვედი, ფრანგი და ავსტრიელი მოსამართლეები, რომელთა ხელახალი არჩევა, კონსტიტუციის შესაბამისად, აღარ შეიძლებოდა.

ადვილად შესაძლებელია და ეს გასაკვირიც არ იქნება, რომ ამ წესს საქართველოში გამოუჩნდეს მოწინააღმდეგეები და იგი ზოგიერთისთვის, თუნდ ქართველისთვის ან აფხაზისთვის, მიუღებელი იყოს. პირადად ჩემთვის ბოსნია-ჰერცოგოვინის გამოცდილება, ამ ეტაპზე, გასაზიარებელია. ასეთი პრაქტიკის დანერგვა აფხაზეთში, სახელდობრ კი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ როგორც საქართველოს, ისე აფხაზეთის სათანადო თანამდებობის პირებთან მოთათბირების გზითა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში გამოყენებული წესის ანალოგიურად ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებად ორი საერთაშორისო მოსამართლის დანიშვნა, ვფიქრობ ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო კონტროლის ახალშექმნილი სასამართლო ორგანოს საქმიანობის სწორად წარმართვასა და კონფლიქტის შედეგების დაძლევის საერთაშორისო-სამართლებრივი თანამშრომლობის პირობებში.

კასაციის მიზნები და საკასაციო საჩივრის  
ბანსახილველად მიღების (დასაშვებობის)  
წინაპირობები

1. კასაციის მიზანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს, აგრეთვე საოლქო სასამართლოს კოლეგიების გადაწყვეტილებები მხარეებმა და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის უფლების მქონე მესამე პირებმა შეიძლება კანონით დადგენილ ვადებში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში. ამავე კოდექსის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო არის საბოლოო ინსტანცია, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები და განჩინებები დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში და მათი გასაჩივრება აღარ შეიძლება.

რა არის კასაციის მიზანი?

ამ მიზნის უფრო ნათლად გარკვევისათვის მიზანშეწონილია მოკლედ მიმოვიხილოთ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა და ლიტერატურა.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების დროს, უფრო ზუსტად 1964 წლის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლებითა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებული იყო საკასაციო ინსტანციის სასამართლოები. ამ სასამართლოების ამოცანების განსაზღვრის დროს უთითებდნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსების იმ მუხლებზე, რომლებიც ეძღვნებოდა საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ფარგ-

ლებს. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო საქმეში არსებული და მხარეებისა და საქმეში მონაწილე სხვა პირების მიერ დამატებით წარდგენილი მასალებით ამოწმებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას როგორც გასაჩივრებულ, ისე გაუსაჩივრებელ ნაწილზე, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებსაც არ ჰქონდათ შეტანილი საჩივარი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო შეზღუდული არ იყო საკასაციო საჩივრის ან პროტესტის მოსაზრებებით და საქმე უნდა შეემოწმებინა სრული მოცულობით.

ამ მუხლის ანალიზიდან გამომდინარე აკეთებდნენ დასკვნას, რომ საკასაციო სასამართლოს მიზანი იყო შეემოწმებინა გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა, ე.ი. მისი როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მხარე.

სამოქალაქო პროცესში დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების გაძლიერებასთან დაკავშირებით, 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან საკასაციო სასამართლოს მიზნები და ამოცანები ნაწილობრივ შეიცვალა. კერძოდ, რუსეთის სსკ 294-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლოს შეუძლია არამარტო შეამოწმოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობა (ფაქტობრივი მხარე), არამედ, დაადგინოს ახალი ფაქტები და გამოიკვლიოს ახალი მტკიცებულებები. ამასთან ერთად, საკასაციო სასამართლო შეზღუდულია საკასაციო საჩივრის (პროტესტის) ფარგლებით და არაა ვალდებული შეამოწმოს საქმე მთელი მოცულობით. მას მხოლოდ უფლება აქვს შეამოწმოს გადაწყვეტილება სრული მოცულობით. რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 294-ე მუხლში შეტანილი ამ ცვლილებების მიხედვით გააკეთეს დასკვნა, რომ საკასაციო სასამართლომ შეიძინა სააპელაციო სასამართლოს ნიშნებიც, რადგან დაინტერესებული პირების ინიციატივით მას შეუძლია განმეორებით განიხილოს საქმე არსებითად.<sup>1</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აკეთებენ დასკვნას, რომ საკა-

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ. Гражданский процесс. Учебник под ред. проф. В. А. Мусина, М. А. Чечинной и Л. М. Чечота М. 1998, стр.328

საციო სასამართლო ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების (განჩინებების) კანონიერებასა და დასაბუთებულობას, ასწორებს მათ მიერ დაშვებულ შეცდომებს, ხელს უწყობს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას, პირთა უფლებებისა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესების დაცვას.<sup>2</sup>

როგორ დგას ეს საკითხი იმ ქვეყნების კანონმდებლობაში, რომელიც შეეხებოდათობისა და დისპოზიციურობის პრინციპებზე მთლიანად აგებული?

საფრანგეთის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 604-ე მუხლის თანახმად საკასაციო საჩივარი მიზნად უნდა ისახავდეს საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამობის შემოწმებას, რის გამოც იგი ამ გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივ მხარეს განიხილავს.

როგორც ამ მუხლის კომენტატორები აღნიშნავენ, საკასაციო სასამართლო არ ამოწმებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. ამიტომ, საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია მიიღოს რაიმე ზომები მოკვლევითი ღონისძიებების დანიშვნის შესახებ. იგი არც ახალ მტკიცებულებებს განიხილავს და არც ხელმეორედ ამოწმებს მტკიცებულებებს, რომლებიც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში იყო წარდგენილი.<sup>3</sup>

აქედან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საფრანგეთის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსითაც კასაციის მიზანია, ერთის მხრივ, მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა და მეორეს მხრივ, საფრანგეთის კანონების ერთგვარად გაგება სასამართლოების მიერ.

უფრო მკაფიოდ ეს საკითხი გამოკვეთილია ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. ამ კოდექსის 502-ე მუხლი შეიცავს კასაციის მიზნების ლეგალურ განმარტებებს. ამ მუხლის თანახმად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ კასაცია დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ მატერიალური ან პროცესუალური სამართლის იურიდიული საკითხის გადაჭრაზე დამოკიდებული გადაწყვეტილების

<sup>2</sup> იხ. იქვე. გვ.329

<sup>3</sup> იხ. Nouveau code de procedure civile, edition Dalloz -2002, pages 334-339



მიღება, რომელსაც ერთიანი სამართლებრივი სისტემის, სამართლებრივი უსაფრთხოების ან სამართლის განვითარების დასაცავად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რათა არ მოხდეს სააპელაციო სასამართლოს მხრივ უზენაესი სასამართლოს მიერ უზრუნველყოფილი მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის გვერდის ავლა ან კიდევ, როდესაც ასეთი ერთიანი მართლმსაჯულება ჯერ კიდევ არ არსებობს ან თუმცა არსებობს, მაგრამ არა ერთიანი მართლმსაჯულების სახით.<sup>4</sup>

ამრიგად, ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით პირდაპირაა განსაზღვრული კასაციის მიზანი: ერთიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა. ერთიან მართლმსაჯულებაში უნდა ვიგულისხმოთ მატერიალური და საპროცესო ნორმების აზრისა და შინაარსის ერთგვაროვნად გაგება სასამართლოების მიერ.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავს კასაციის მიზნის ლეგალურ განმარტებას, მაგრამ კოდექსის იმ თავის კომენტარში, რომელიც კასაციას ეხება, კერძოდ ამ თავის შესავალში კკითხულობთ: კასაცია წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვას, იგი არსებითად სააპელაციო გადაწყვეტილებათა წინააღმდეგაა მიმართული და აპელაციისაგან განსხვავებით იძლევა შესაძლებლობას გადასინჯოს საქმე მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით. იგი ძირითადად მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის დაცვას ემსახურება, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს, როგორც სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებას, ისე (შეზღუდული მოცულობით) მართლმსაჯულების ცალკეული საკითხების განვითარებას.<sup>5</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში საკითხი კასაციის მიზნის შესახებ სადავოა. არსებობს მოსაზრება, რომ რევიზია (კასაცია) არის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალება, ამ გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების მიზნით; გასაჩივრების უფლება ეძლევა მხარეს, რომლის მიმართაც გამოტანილია მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილება, რომელსაც

<sup>4</sup> იხ. Jurisdiktionsnorm und Zivilprozessordnung Herausgegeben von Dr. Rudolf Stohanzl. 15. Auflage. Wien. 2002. S. 1399-1416

<sup>5</sup> იხ. Zivilprozessordnung. Kommentar von Prof. Dr. Heinz Thomas, Dr. Klaus Reichold, Prof. Dr. Hans Putzo, Dr. Rainer Hüsstge. 24., Auflage München 2002. S. 895-896

სურს მიაღწიოს ამ გადაწყვეტილების შეცვლას ან გაუქმებას და მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას და, რომ საკასაციო სასამართლოს უფლება არა აქვს უფლებამოსილი მხარის საჩივრის გარეშე შეამოწმოს საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი და ა.შ. ყოველივე ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ კასაციის მიზანი (ზოგიერთის აზრით – უმთავრესი მიზანი) – ესაა მხოლოდ კასატორის (მხარეთა) ინტერესების დაცვა. სხვანაირად რომ ვთქვათ, კასაცია ემსახურება ინდივიდუალური ინტერესების დაცვას. უფრო ფართოდაა გავრცელებული (შეიძლება ითქვას – გაბატონებულია) შეხედულება, რომლის თანახმად კასაციის ერთადერთი მიზანი არაა მხარეთა ინტერესების დაცვა. მას ეკისრება მეორე და უფრო უპირატესი მიზნის რეალიზაცია – ერთიანი მართლმსაჯულების ჩამოყალიბება და სამართლის განვითარება.<sup>6</sup>

ცნობილი გერმანელი იურისტი არტურ მეი თავისი ამ პოზიციის განსამტკიცებლად იშველიებს გერმანიის ფედერაციულ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელმაც თავის გადაწყვეტილებებში არაერთგზის აღნიშნა, რომ მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის დაცვა საკასაციო სასამართლოს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, მაგრამ სხვა გადაწყვეტილებებში მან (ე.ი. საკონსტიტუციო სასამართლომ) ეს მოსაზრება შეცვალა და ხაზი გაუსვა საკასაციო სასამართლოს ორგვარ ამოცანას: ერთის მხრივ, მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის დაცვასა და სამართლის განვითარებაზე საჯარო ინტერესს და მეორეს მხრივ, ცალკეულ სამართლიან გადაწყვეტილებებზე მხარეთა ინტერესების დაცვას.<sup>7</sup>

ვფიქრობთ ინტერესმოკლებული არ იქნება ის არგუმენტები, რომლებიც მოყავს ზემოთ დასახელებულ ავტორს კასაციის მიზნების განსაზღვრისას.

იმის სასარგებლოდ, რომ კასაცია მხარეთა ინტერესების დაცვას ემსახურება მიუთითებს შემდეგი არგუმენტები: კასაცია არის გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალება; გასაჩივრება შეუძლიათ მხოლოდ მხარეებს; კასაციის ხარჯებს იხდიან მხარეები; კასაციის

<sup>6</sup> იხ. Die Revision. Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchststrichterlichen Rechtsprechung von Artur May. 2. Auflage. 1997. S 20-22

<sup>7</sup> იხ. იქვე. გვ.20

ძიერ გადაწყვეტილება მიიღება არა აბსტრაქტულ სამართლებრივ საკითხზე, არამედ კონკრეტული სამართლებრივი დავის თაობაზე; საკასაციო სასამართლოს ეკრძალება reformatio in pejus (უარესით შეცვლა), ე.ი. საუარესოდ შებრუნება, გადაწყვეტილების შეცვლა კასატორის საწინააღმდეგოდ; საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალა ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ პროცესის მონაწილეებზე.

რაც შეეხება ერთიანი მართლმსაჯულების სისტემის დაცვისა და სამართლის განვითარების საჯარო ინტერესს, აღნიშნულის სასარგებლოდ მას მოყავს შემდეგი არგუმენტები: კასატორიასთვის ფუნქციონალური კომპეტენციის განსაზღვრა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება; საკასაციო წესით განსაზღვრული საქმით შემოფარგვლა; საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის შემოწმების სავალდებულობა; საკასაციო სასამართლოს ვალდებულება განიხილოს მხოლოდ მნიშვნელოვანი (ღარბული) საქმეები.<sup>5</sup>

ქართულ იურადიულ ლიტერატურაში კასაციის მიზნის საკითხს მოკლედ შეეხო პროფესორი თენგიზ ლილუაშვილი თავის პრაქტიკულ საბჭოაღმკვრივლოში. მისი აზრით, საკასაციო სასამართლოს შექმნის მოტივია მიზანია იყო ის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნება, კანონების ერთგვაროვანი გაგება; მიზანა კანონების ერთგვაროვნად გაგება არ არის კასაციის მოტივია მიზანია. უფრო მეტიც, კანონების ერთგვაროვნად გაგება შეუძლებელია განვიხილოთ არა როგორც მიზანი, რისთვისაც არსებობს სასამართლო, არამედ როგორც მისი საქმიანობის აუცილებელი თანმშებლები. სასამართლო კასაციის მიზანი არ შეიძლება იყოს სხვა, თუ არა მიზანია უულებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო შეცდომების გასწორება, რომლებიც შეიძლება დაუშვან მათ ამ კანონმდებლობის გამოყენებისას.<sup>6</sup>

მოლიანად ვიზიარებ მოსაზრებას კასაციის ორგვარი მიზნის შესა-

<sup>5</sup> იხ. იქვე პ: 21

<sup>6</sup> იხ. ი. ლილუაშვილი სასამართლო საქმიანობის წარმოება სასამართლოში. პრაქტიკული სახელმძღვანელო II გამოცემა. თბ. 2001წ. გვ. 302-303

ხებ. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ კასაციის მიზნების დაყოფა ან გამოიჯვნა იმის მიხედვით, თუ რომელი სარგებლობს უპირატესობით, ამასთან მათი ხარისხებად დაყოფა არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. ვფიქრობ, როგორც ინდივიდუალური, ისე საჯარო ინტერესები ერთნაირად მნიშვნელოვანია კასაციის საქმიანობაში.

2. საკასაციო საჩივრის მიღების (დასაშვებობის წინაპირობები). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს არა მარტო საკასაციო საჩივრის შეტანის შესაძლებლობას, არამედ ამ საჩივრის შეტანისა და მისი განსახილველად მიღების (დასაშვებობის) წინაპირობებსაც. იმ შემთხვევაში როდესაც ერთ-ერთი ასეთი წინაპირობა არ არსებობს საკასაციო სასამართლო ვერ მიიღებს ასეთ საჩივარს განსახილველად. მოკლედ განვიხილოთ ეს წინაპირობები.

1) საჩივრის შეტანა უფლებამოსილი პირის მიერ. სსკ 391-ე მუხლის თანახმად საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხარეებს, ე.ი. მოსარჩელეს, მოპასუხეს, მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, აგრეთვე თანამონაწილეებს, ანუ თანამოსარჩელებს და თანამოპასუხეებს.

თუ კასატორი, ე.ი. პირი, რომელმაც შეიტანა საკასაციო საჩივარი, აქ ჩამოთვლილ პირთა არცერთ კატეგორიას არ მიეკუთვნება, საკასაციო სასამართლომ ამ პირისაგან არ უნდა მიიღოს საკასაციო საჩივარი განსახილველად, რადგან იგი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ და, მაშასადამე, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობა. ასეთ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება „საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ“, რომელიც ისე, როგორც საკასაციო სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება თუ განჩინება, დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში და არ შეიძლება გასაჩივრდეს.

ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა იმ პირმა, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში, როგორც მხარე (თანამონაწილე), ან მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. თავის საკასაციო საჩივარს კასატორი იმით ასაბუთებდა, რომ სასამართლომ გადაწყვიტა დავა მხარეთა შორის მიწის ფართობზე საკუთრების უფლების

ცნობის შესახებ, მაშინ, როდესაც ამ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე არის თვითონ კასატორი, რომელიც სასამართლომ არ ჩააბა ამ საქმეში მესამე პირად. საკასაციო სასამართლომ სსკ 401-ე მუხლის საფუძველზე გამოიტანა განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ იმ მოტივით, რომ იგი არაა უფლებამოსილი პირი, რომელსაც შეუძლია შეიტანოს ასეთი საჩივარი. ამასთან ერთად, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს დამოუკიდებელი სარჩელით იმ პირის მიმართ, ვისაც მიეკუთვნა მიწის ნაკვეთი, ამ ნაკვეთზე მისი საკუთრების უფლების ცნობის შესახებ.<sup>10</sup>

სასამართლო პრაქტიკიდან ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში კასატორი არც მხარე იყო და არც საქმეში მონაწილე მხარეების უფლებამონაცვლე.

ამავე კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად არ საჭიროებენ დამტკიცებას ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას „იგივე მხარეები მონაწილეობენ“. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საქმეში სხვა მხარეები მონაწილეობენ, ფაქტები, ხოლო ამ შემთხვევაში საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე, შეიძლება სადავო გახადოს კასატორმა და ხელმეორედ დაადასტუროს (დაამტკიცოს), რომ სინამდვილეში საკუთრების უფლება ამ ნაკვეთზე ეკუთვნის სახელდობრ მას.

სადავო საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება ისეთ პირს, რომელიც მართალია არ მონაწილეობდა საქმეში როგორც მხარე ან მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მაგრამ ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით განისაზღვრა მისი უფლებები ან მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ (მიეკუთვნა რაიმე ქონება, ან დაეკისრა ერთ-ერთი მხარის მიმართ ქონების (ნივთების) გადაცემა, რაიმე კონკრეტული მოქმედების შესრულება და ა.შ.).

---

<sup>10</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 3 აგვისტოს განჩინება, საქმეზე № 3/810-01.

მიმაჩნია, რომ თუ პირი, რომელიც საერთოდ არ იყო ჩაბმული საქმეში მოპასუხედ, თანამოპასუხედ და არც სარჩელი შეუტანია დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნით, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი მოხსენიებულია გადაწყვეტილებაში და დაეჯალა რაიმე მოქმედების შესრულება ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიმართ, ასეთ პირს უნდა მიეცეს უფლება გაასაჩივროს გადაწყვეტილება საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო მხარს უჭერს ასეთ პოზიციას. დასაშვებად მიიჩნევს ამ პირების მიერ შეტანილ საჩივრებს და იღებს მათ განსახილველად.<sup>11</sup>

სრულიად ვიზიარებთ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თუ სასამართლომ გადაწყვიტა იმ პირის უფლება-მოვალეობის საკითხი, რომელიც საერთოდ არ იყო ჩაბმული საქმეში არც მხარედ (თანამონაწილედ) და არც მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ასეთი გადაწყვეტილება ამ პირის საკასაციო საჩივრით უნდა გაუქმდეს სსკ 394-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, ხოლო თუ ასეთი გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, ამ პირს შეუძლია მოითხოვოს კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება სსკ 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის საფუძველზე.<sup>12</sup>

2) საკასაციო საჩივრის შეტანა კანონით დადგენილ ვადაში. სსკ 397-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის შეტანის ვადას. ეს ვადა არის ერთი თვე, რომლის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და მისი დენა იწყება ორივე მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან, ხოლო თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდა საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, მაშინ საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

---

<sup>11</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 30 აპრილის განჩინება, საქმეზე №31/661-02.

<sup>12</sup> იხ. თ.ლილუაშვილი – სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში მეორე გამოცემა. თბ. 2001 წ. გვ.305-306

ამდენად საკასაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრების ერთ-  
თვიანი ვადის დენა იწყება:

ა) ორივე მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადა-  
ცემის მომენტიდან. ის, რომ 397-ე მუხლის პირველ ნაწილში საუბარია  
გადაწყვეტილების (და არა დასაბუთებული გადაწყვეტილების)  
გადაცემაზე – ეს არაფერს არ ნიშნავს. მოტივირებული საკასაციო  
საჩივარი, რასაც კანონი მოითხოვს (სსკ 396-ე მუხლი) შესაძ-  
ლებელია შედგეს მხოლოდ დასაბუთებული (მოტივირებული) გადა-  
წყვეტილების გაცნობის შემდეგ.

გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად კი ითვლება ამ გადაწყვე-  
ტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში,  
რაზედაც მხარემ ხელი უნდა მოაწეროს შესაბამის ხელწერილზე  
და დაერთოს საქმეს, ან კიდევ, მისი მხარისათვის სსკ 70-78-ე  
მუხლების შესაბამისად. გადაგზავნის დრო.

ბ) დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან,  
მხოლოდ ერთი პირობით, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას  
ესწრებოდა საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი.

ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: ვის აქვს უფლება შეიტანოს  
საკასაციო საჩივარი?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება  
აქვთ მხარეებს და მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთ-  
ხოვნით, მაგრამ საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვს მხოლოდ  
იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება.  
აქედან გამომდინარე, თუ გადაწყვეტილება მთლიანად ერთ-ერთი  
მხარის წინააღმდეგაა გამოტანილი, მაშინ ეს მხარე უნდა ესწრებოდეს  
დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას, მაგრამ თუ გადა-  
წყვეტილება ნაწილობრივ ერთი, ხოლო ნაწილობრივ მეორე მხარის  
წინააღმდეგაა გამოტანილი, მაშინ, ცხადია, ორივე მხარე უნდა ესწ-  
რებოდეს გადაწყვეტილების გამოცხადებას, რადგან ორივე მხარეს  
აქვს უფლება გაასაჩივროს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც  
მის წინააღმდეგაა გამოტანილი.

იგივე უნდა ითქვას წარმომადგენელზეც (ადვოკატზე). თუ გადა-  
წყვეტილების გამოცხადებას ესწრება არა უშუალოდ მხარე, არამედ  
მისი წარმომადგენელი, მაშინ გასაჩივრების ვადის გამოთვლა დაიწყება

ამ გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან იმ პირობით, თუ წარმომადგენელს ჰქონდა გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების სპეციალური უფლებამოსილება (სსკ 98-ე მუხლი).

გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებასთან დაკავშირებით პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმის ზუსტად განსაზღვრას თუ საიდან იწყება, ანუ რომელი დღიდან იწყება ერთთვიანი ვადის ათვლა და როდის მთავრდება ეს ვადა.

სსკ მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად თვეებით გამოსათვლელი ვადა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. მაგალითად, თუ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა იწყება მისი გამოცხადების დღიდან მაშინ გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება ამ გადაწყვეტილების გამოცხადების მეორე დღიდან. დაუშვათ გადაწყვეტილება მხარეთა დასწრებით გამოცხადდა 11 ნოემბერს. ეს თარიღი ჩაითვლება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დასაწყისად, მაგრამ გასაჩივრების ვადის დენა დაიწყება 12 ნოემბრიდან.

მაგრამ როდის დამთავრდება ეს ერთთვიანი ვადა?

ამ კითხვაზე პასუხს შეიცავს სსკ 61-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად „თვეებით გამოსათვლელი ვადა გასულად ჩაითვლება ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის თვესა და რიცხვში“. აქედან გამომდინარე, თუ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენა დაიწყო 12 ნოემბრიდან, მაშინ ეს ვადა გასულად ჩაითვლება 12 დეკემბერს.

კანონით მოწესრიგებულია აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როდესაც გამოსათვლელი ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე, ან დასვენების დღეს, აგრეთვე თვეებით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელ თვეს არა აქვს სათანადო რიცხვი.

თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღე. მაგალითად, თუ ვადა მთავრდება 2002 წლის 15 დეკემბერს, ე.ი. კვირას, მაშინ ვადა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს მის მომდევნო სამუშაო დღეს, ე.ი. ორშაბათს 16 დეკემბერს.

იმ შემთხვევაში, როდესაც თვეებით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელ თვეს სათანადო რიცხვი არა აქვს, მაშინ ვადა დამთავრებულად ჩაითვლება ამ თვის უკანასკნელ დღეს (სსკ 61-ე მუხლის პირველი



ნაწ.). აქედან გამომდინარე, თუ ვადის ათვლა დაიწყო 2002 წლის 31 იანვარს, იგი უნდა დამთავრდეს 31 თებერვალს, მაგრამ რადგან თებერვალს არ გააჩნია სათანადო რიცხვი, ვადა დამთავრებულად (გასულად) უნდა ჩაითვალოს თებერვლის უკანასკნელ დღეს, რომელიც იქნება 28 თებერვალი.

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა, როგორც აღვნიშნეთ არის ერთი თვე და ამ ვადის აღდგენა ან გაგრძელება იმ შემთხვევაშიც კი, როცა არსებობდა საპატიო მიზეზი, არ შეიძლება. ამიტომ, საკასაციო სასამართლო არ იკვლევს არსებობდა თუ არა საპატიო მიზეზი. თუ ვადა გაშვებულია, საკასაციო სასამართლომ უარი უნდა უთხრას კასატორს საკასაციო საჩივრის მიღებაზე და გამოიტანოს განჩინება მისი განუხილველად დატოვების შესახებ (სსკ 401-ე მუხლი).

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა არის ერთი თვე, ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება ორივე მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. კასატორს დასაბუთებული განჩინების ასლი გაეგზავნა 2001 წლის 30 მარტს, რომელიც 2001 წლის 20 აპრილს ჩაბარდა. კასატორმა საკასაციო საჩივარი შეიტანა ერთთვიანი საპროცესო ვადის დარღვევით, კერძოდ, 2001 წლის 23 მაისს, ე.ი. 2 დღის დაგვიანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ იყო დასაშვები და განუხილველად დატოვა.<sup>13</sup>

საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე (სსკ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

აქედან გამომდინარე, თუ საკასაციო საჩივარი ჩაბარდა ფოსტას ან სასამართლოს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე – ვადა გასულად არ შეიძლება ჩაითვალოს.

3) საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება. სსკ 391-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საკასაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ

<sup>13</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 7 ივნისის განჩინება, საქმეზე №3/593-01.

დავებში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ საჩივრის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება, ე.ი. თუ საჩივარი 1000 ლარს შეადგენს – კასაცია არ დაიშვება, მაგრამ, თუ საჩივრის საგანი შეადგენს 1000 ლარს პლიუს ერთი ლარი, ღირებულების თვალსაზრისით იგი დასაშვებია.

საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულებაში იგულისხმება არა სარჩელის საგნის ღირებულება არამედ ის, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ნაწილს ასაჩივრებს კასატორი, ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლას მოითხოვს იგი. ცხადია, რომ თუ სარჩელის საგნის ღირებულება ათას ლარზე მეტია და სახელმწიფო ბაჟიც ამის მიხედვითაა გადახდილი, ხოლო მოსარჩელეს უარი უთხრა სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად და მან ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკასაციო წესით, მაშინ საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულების განსაზღვრა მარტივია: სარჩელის საგნისა და საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება ემთხვევა ერთმანეთს.

მაგრამ, როცა სარჩელი ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული და ნაწილობრივ უარი ეთქვა მხარეს მის დაკმაყოფილებაზე, მაშინ საჭიროა განისაზღვროს საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება.

შეფასებისა და ღირებულების განსაზღვრის ზოგადი კრიტერიუმი ჩამოყალიბებულია სსკ 391-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის თანახმად „საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. თუ ღირებულების მოცულობა ეჭვს იწვევს, მაშინ საკასაციო საჩივრის შემტანმა პირმა ეს ღირებულება უნდა დაადასტუროს“.

იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელი აღძრულია ფულის გადახდეინების შესახებ, მაშინ დავის საგნის ფასი განისაზღვრება გადასახდელი თანხით. ასეთ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულების განსაზღვრა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს: თუ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე მთლიანად, ან მთლიანად დაკმაყოფილდა იგი, ხოლო დაინტერესებული მხარე მთლიანად ასაჩივრებს მას, მაშინ საკასაციო საჩივრის საგანი დაემთხვევა სარჩელის საგნის ღირებულებას. მაგრამ თუ სარჩელი ნაწილობრივ

დაკმაყოფილდა, საკასაციო საჩივრის ფასი განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რომელი მხარე ასაჩივრებს გადაწყვეტილებას და გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული. თუ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილებულია მოთხოვნა, მაშინ საკასაციო საჩივრის ფასი განისაზღვრება იმ თანხით, რა თანხითაც დაკმაყოფილებულია, მაგრამ თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ და იგი გასაჩივრებულია მხოლოდ იმ ნაწილში, რომელშიც მოსარჩელეს უარი ეთქვა, მაშინ საკასაციო საჩივრის ფასის განსაზღვრისათვის სარჩელით მოთხოვილი გადასახდელი თანხის საერთო ოდენობას უნდა გამოაკლდეს ის თანხა, რომლის გადახდაც გადაწყვეტილებით დაეკისრა მოპასუხეს. მიღებული თანხით განისაზღვრება საკასაციო საჩივრის საგნის ფასიც. მაგალითად, მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან 5000 ლარის გადახდევინებას, სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი ნაწილობრივ და დააკისრა მოპასუხეს 3000 ლარის გადახდა. თუ მოპასუხემ გაასაჩივრა გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი, მაშინ მისი საკასაციო საჩივრის ფასი იქნება 3000 ლარი. მაგრამ, თუ საჩივარი შეიტანა მოსარჩელემ, მაშინ მისი საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება იქნება 2000 ლარი ( $5000 - 3000 = 2000$ ).

ასეთივე წესით განისაზღვრება საკასაციო საჩივრის ფასი, როდესაც სარჩელი აღძრულია ნივთის (ქონების) გადაცემის თუ მიწოდების შესახებ. სირთულე აქ შეიძლება წამოიჭრას სადავო ნივთის ფასის განსაზღვრის დროს. როგორც ცნობილია, დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. თუ ეს ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების ნამდვილ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე (სსკ მე-40 მუხლი). იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, მაშინ სახელმწიფო ბაჟის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მოსამართლე, შემდეგ კი, ე.ი. საქმის გადაწყვეტის პროცესში დადგენილი სარჩელის ფასის შესაბამისად ხდება სახელმწიფო ბაჟის ან დამატებითი გადახდევინება, ან კიდევ ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება (სსკ 42-ე მუხლი).

რაც შეეხება საკასაციო საჩივრის საგნის ფასის განსაზღვრას, აქ

ეს საკითხი განსხვავებულად წესრიგდება. საკასაციო სასამართლო ვერ მიიღებს საკასაციო საჩივარს განსახილველად თუ მისი ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს. არ არის გამორიცხული შემთხვევები, როდესაც საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება ეჭვს იწვევს არა იმ თვალსაზრისით, რომ იგი არ აღემატება 1000 ლარს, არამედ იმ თვალსაზრისით, რომ იგი აშკარად გადიდებულია. ასეთი ეჭვის შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ განჩინებით უნდა განუსაზღვროს კასატორს ვადა, დაადასტუროს (დაამტკიცოს), რომ მისი საკასაციო საჩივარი 1000 ლარს აღემატება. თუ კასატორი დადგენილ ვადაში ვერ დაადასტურებს ამას, საკასაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, მისი დაუშვებლობის გამო (სსკ 401-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო საჩივარი თუმცა ბევრად აღემატება 1000 ლარს მაგრამ იგი აშკარად არ შეესაბამება და ბევრად შემცირებულია სადავო ნივთის ნამდვილ ღირებულებასთან შედარებით, მაშინ საკასაციო სასამართლო უარს ვერ იტყვის მის მიღებაზე, მაგრამ დაავალებს კასატორს, რომ დაადასტუროს საჩივრის საგნის ნამდვილი ღირებულება, რადგან ამ გარემოების დადასტურების მოვალეობა ეკისრება კასატორს (სსკ 391-ე მუხლის მე-3 ნაწ.). ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ მიუთითა: „სსკ-ის 41-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად დავის საგნის ფასი ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელში განისაზღვრება 1 წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით. მოცემულ შემთხვევაში დავის საგნის ფასი იქნება 360 ლარი ( $30 \times 12 = 360$ ).

სსკ 391-ე მუხლის მე-2 ნაწილით საკასაციო საჩივარი ქონებრივ სამართლებრივ დავებში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატამ მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებელი იყო და განუხილველად დატოვა“.<sup>14</sup>

4) საკასაციო საჩივრის შინაარსის შესაბამისობა კანონის

<sup>14</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 2 ნოემბრის განჩინება, საქმეზე №37/598-01.

მოთხოვნებთან. სსკ 396-ე მუხლი მთლიანად ეძღვნება საკასაციო საჩივრის შინაარსს და განსაზღვრავს იმ სავალდებულო რეკვიზიტებს, რომლებსაც ასეთი საჩივარი უნდა შეიცავდეს. ამასთან ერთად, დასახელებული მუხლის მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. იგი აგრეთვე მიუთითებს იმ შედეგებზე, რომლებიც შეიძლება დადგეს, თუ საკასაციო საჩივარი ამ მოთხოვნებს არ პასუხობს.

სსკ 396-ე მუხლი, გარდა იმ სავალდებულო რეკვიზიტებისა, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ნებისმიერი წერილობითი საჩივარი, შუამდგომლობა, განცხადება თუ სარჩელი, რომელთა ადრესატი სასამართლოა, საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს აგრეთვე 1) მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული; 2) მითითებას, თუ რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება, გასაჩივრების საფუძვლებს (კასაციის მიზეზები) და განმარტებას იმის თაობაზე, მოითხოვს თუ არა მომჩივანი გადაწყვეტილების გაუქმებასა თუ შეცვლას (კასაციის განაცხადი); 3) მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება.

საკასაციო საჩივარში მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული და რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება – ამ საკითხს საკმაოდ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. ვინაიდან, საკასაციო სასამართლო შეზღუდულია საკასაციო საჩივრის ფარგლებით, რაზედაც პირდაპირაა მითითებული სსკ 404-ე მუხლში, რომლის იმპერატიული მოთხოვნის თანახმად „საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში“ და რადგან სასამართლო ვერ გასცდება საკასაციო საჩივრის ფარგლებს, ცხადია, მან ზუსტად უნდა იცოდეს რას მოითხოვს კასატორი. ამის დადგენის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს საკასაციო საჩივარი; ამიტომ, თუ საკასაციო საჩივარი ისეა შედგენილი, რომ ძნელია ან შეუძლებელია იმის დადგენა, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილს და რა მოცულობით ასაჩივრებს კასატორი, ეს უნდა ჩაითვალოს საჩივრის ხარვეზად, რომელიც უნდა შეავსოს კასატორმა დადგენილი წესით (ამის თაობაზე ქვემოთ იქნება საუბარი).

ისეთ პირობებში, როდესაც საკასაციო სასამართლო მოწოდებულია შეამოწმოს საქმის მხოლოდ იურიდიული მხარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკასაციო საჩივარში იმ საფუძვლებზე (კასაციის მიზეზებზე) მითითება, რომელთა გამო კასატორი ასაჩივრებს გადაწყვეტილებას. ამასთან დაკავშირებით საგანგებო მნიშვნელობას იძენს სსკ 393-ე მუხლის პირველი ნაწილის მითითება იმის შესახებ, რომ „საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი“. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კანონი დარღვეულად ითვლება, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი.

სსკ 393-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: საკასაციო საჩივარი ჯერ-ერთი უნდა შეიცავდეს მითითებას იმის შესახებ, თუ რომელი კანონი მიაჩნია კასატორს დარღვეულად და, მეორე, კონკრეტულად რაში გამოიხატა ამ კანონის დარღვევა.<sup>15</sup>

როგორც აღვნიშნეთ, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას. ამ შემთხვევაში კასატორმა უნდა მიუთითოს თავის საჩივარში იმ ფაქტებზე და მტკიცებულებებზე „რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას“. მაგალითად, საქმე სააპელაციო წესით განიხილა იმ მოსამართლემ, რომელიც მონაწილეობდა ამ საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის სასამართლოში, ან კიდევ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ ფაქტიურად საქმე განიხილა დახურულ სხდომაზე, მაშინ როდესაც ამისათვის არც საფუძველი ჰქონდა და არც შესაბამისი განჩინება არ მიუღია დახურულ სხდომაზე საქმის განხილვის შესახებ.

თუ კასატორი თავის საჩივარში ასეთ და სხვა ამგვარ საპროცესო დარღვევებზე მიუთითებს, მან უნდა მიუთითოს ფაქტებზე და მტკიცებულებებზე, რომლებიც ასეთ დარღვევებს დაადასტურებენ. მაგა-

---

<sup>15</sup> დაწვრილებით იხ. თ.ლილუაშვილი - სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში. მეორე გამოცემა. თბ.2001 წელი გვ. 313.

ლითად, კასატორს შეუძლია მიუთითოს თავის საჩივარში და დაურ-  
თოს ამ საჩივარს ადრე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული  
გადაწყვეტილება იმის დასადასტურებლად, რომ სასამართლომ გან-  
მეორებით განიხილა იგივე საქმე იმავე მხარეებს შორის, რაც დაუშ-  
ვებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. სსკ 266-ე  
მუხლის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის  
შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებებს არ შეუძლიათ  
ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები  
იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში  
გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთი-  
ერთობანი.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა პირობებისგან განსხვა-  
ვებით, თუ საკასაციო საჩივრის შინაარსი არ პასუხობს სსკ 396-ე  
მუხლის მოთხოვნებს, საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია მაშინ-  
ვე მიიღოს განჩინება ამ საჩივრის განუხილველად დატოვების შესა-  
ხებ მისი დაუშვებლობის გამო. საკასაციო სასამართლომ ჯერ უნდა  
მიიღოს განჩინება საჩივრის ხარვეზის შევსების შესახებ, კასატორს  
განუსაზღვროს ვადა ამ ხარვეზის შესავსებად და მხოლოდ ამის  
შემდეგ, თუ განჩინებით დადგენილ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევ-  
სებული, უნდა გამოიტანოს განჩინება საკასაციო საჩივრის განუ-  
ხილველად დატოვების შესახებ.

5) სახელმწიფო ბაჟის გადახდა. სახელმწიფო ბაჟის გადახდა  
საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთი წინაპირობაა. ამის  
შესახებ პირდაპირაა მითითებული სსკ 396-ე მუხლის მესამე ნაწილში,  
რომლის თანახმად, თუ სახელმწიფო ბაჟი არაა გადახდილი, საკასაციო  
სასამართლომ უნდა დაავალოს კასატორს შეიტანოს სახელმწიფო  
ბაჟი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში სახელმწიფო  
ბაჟი არ იქნება შეტანილი საკასაციო საჩივარი არ დაიშვება და  
სასამართლო გამოიტანს განჩინებას მისი განუხილველად დატოვების  
შესახებ (სსკ 401-ე მუხლი).

როგორც ზემოაღნიშნული მუხლების ანალიზიდან ჩანს, სახელმ-  
წიფო ბაჟის წინასწარი გადახდა საკასაციო საჩივრის განსახილველად  
მიღების ერთ-ერთი კანონით გათვალისწინებული წინაპირობაა, რაც  
იმას ნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია ამ წინა-

პირობის არსებობის გარეშე, ე.ი. სახელმწიფო ბაჟის წინასწარი გადახდის გარეშე მიიღოს და განიხილოს საკასაციო საჩივარი. ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც საკასაციო სასამართლოს შეუძლია სახელმწიფო ბაჟის წინასწარი გადახდის, ან საერთოდ სახელმწიფო ბაჟის გარეშე განიხილოს საქმე, ესაა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება, განაწილვადება, ან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, თუ კასატორის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ეს შესაძლებელია (სსკ 47-48-ე მუხლები). კასატორის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლების, გადახდის გადადების, განაწილვადების ან მისი ოდენობის შემცირების თაობაზე საკასაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება.

იმ შემთხვევაში, როდესაც შემოტანილია საკასაციო საჩივარი, მაგრამ არაა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ე.ი. არ ერთვის მისი გადახდის დამდასტურებელი ქვითარი, საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება საკასაციო საჩივრის ხარვეზის შევსების შესახებ, რომელიც სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობით გამოიხატება. იმავე განჩინებით საკასაციო სასამართლო განსაზღვრავს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვადას. თუ ამ ვადაში სახელმწიფო ბაჟი არ იქნება გადახდილი საკასაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს მეორე განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, მისი დაუშვებლობის გამო (სსკ 396-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ ერთ-ერთ თავის განჩინებაში მიუთითა: დაევალოს კასატორს ამ განჩინების ჩაბარებიდან 15 დღის განმავლობაში წარმოუდგინოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრები. „თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული საკასაციო საჩივარი არ დაიშვება და განუხილველად დარჩება.“<sup>16</sup>

პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლოს შეუძლია მის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის დანიშნული ვადა გააგრძელოს. სსკ 64-ე მუხლის

<sup>16</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 10 მაისის განჩინება. საქმე № 3/385-02.



თანახმად სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს, როგორც მხარეთა (ამ შემთხვევაში კასატორის) თხოვნით, ისე თვით სასამართლოს ინიციატივით.

როგორც წესი, საპროცესო ვადის გაგრძელება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მხარის განცხადების (შუამდგომლობის) საფუძველზე, რომელიც, ცხადია, დასაბუთებული უნდა იყოს. რაც შეეხება სასამართლოს ინიციატივით საპროცესო ვადის გაგრძელების საკითხს, ე.ი. დაინტერესებული პირის შუამდგომლობის გარეშე, ეს შეიძლება მოხდეს იშვიათ და გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც საქმის მასალებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ საპროცესო მოქმედების შესრულება თავისი ხასიათისა და შინაარსის მიხედვით, მოითხოვდა უფრო მეტ დროს.

დამოუკიდებლად იმისა, თუ ვისი ინიციატივით ხდება საპროცესო ვადის გაგრძელება – სასამართლოს და მათ შორის, საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც არ გასაჩივრდება.

6) საკასაციო გასაჩივრებაზე მხარის წერილობითი უარის არარსებობა. სსკ 370-ე მუხლი შეიცავს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კიდევ ერთ წინაპირობას. კერძოდ, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარე სასამართლოს ან მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი ფორმით განუცხადებს უარს სააპელაციო გასაჩივრებაზე, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება.

ამ მუხლის დანაწესი მთლიანად ვრცელდება საკასაციო სასამართლოზე, რადგან სსკ 399-ე მუხლის თანახმად „საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.“ ვინაიდან რაიმე გამონაკლისები ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლოს მიმართ არაა გათვალისწინებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება, თუ მხარეს, რომელმაც შემოიტანა საკასაციო საჩივარი სსკ 370-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, განცხადებული აქვს უარი საკასაციო გასაჩივრებაზე. ასეთ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი აღარ დაიშვება და საკასაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება მისი განუხილველად დატოვების შესახებ.

როგორც ვხედავთ, საკასაციო გასაჩივრებაზე უარის თქმა იწვევს

იურიდიულ შედეგს: მხარე კარგავს გასაჩივრების უფლებას. ამ უფლების აღდგენა შეიძლება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როდესაც მოწინააღმდეგე მხარე შეიტანს საკასაციო საჩივარს. სსკ 405-ე მუხლის თანახმად მოწინააღმდეგე მხარეს ე.ი. იმ მხარეს, რომელმაც უარი განაცხადა საკასაციო საჩივრის შეტანაზე, შეუძლია საქმის ზეპირი განხილვის განმავლობაში წარადგინოს შეგებებული საკასაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ნათქვამი უარი საკასაციო საჩივრის შეტანაზე.

ასეთია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის, ანუ მისი განსახილველად მიღების წინაპირობები.

როგორც აღვნიშნეთ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს შეგებებული საკასაციო საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას (სსკ 405-ე მუხლი).

შეგებებული საკასაციო საჩივარი თავისი დატვირთვით – საკასაციო საჩივარია და ბუნებრივია მას ძირითადად წაყენება დასაშვებობის იგივე პირობები, როგორც დამოუკიდებელ საკასაციო საჩივარს, მაგრამ, ამასთან ერთად მას ახასიათებს ზოგიერთი თავისებურებაც. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება განვიხილოთ ეს თავისებურებანი.

ა) შეგებებულ საკასაციო საჩივარზე არ ვრცელდება ერთთვიანი ვადა. იგი შეიძლება შეტანილ იქნეს ძირითადი (დამოუკიდებელი) საკასაციო საჩივრის (საქმის) განხილვის მთელი დროის მანძილზე – საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

ბ) შეგებებულ საკასაციო საჩივარზე არ ვრცელდება კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს. შეგებებული საკასაციო საჩივრის საგნის ფასი შეიძლება 1000 ლარზე ნაკლებიც იყოს.

გ) თუ კასატორი უარს იტყვის საკასაციო საჩივარზე, მაშინ შეგებებული საკასაციო საჩივარი კარგავს თავის დანიშნულებას და იგი აღარ განიხილება. ამასთან ერთად თუ შეგებებული საკასაციო საჩივარი შეტანილია საკასაციო გასაჩივრების ვადაში და მისი საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს, მაშინ ეს შეგებებული საკასაციო საჩივარი განხილული უნდა იქნეს საკასაციო სასამართლოს მიერ მიუხედავად იმისა, უარი თქვა კასატორმა თავის საკასაციო

საჩივარზე თუ არა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეგებებული საკასაციო საჩივარი, რომელიც პასუხობს კანონით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას და შეტანილია საკასაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილ ვადაში, უნდა განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი საკასაციო საჩივარი, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ კასატორი, ე.ი. ძირითადი საკასაციო საჩივრის შემტანი პირი უარს ამბობს საკასაციო საჩივარზე ან უკან გააქვს თავისი საჩივარი, შეგებებული საკასაციო საჩივარი არ კარგავს თავის მნიშვნელობას და იგი უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საკასაციო სასამართლომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეტანილია საკასაციო საჩივრის შეტანისათვის კანონით დადგენილ ვადაში და პასუხობს საკასაციო საჩივრისათვის კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ამრიგად, თუ კასატორი უარს ამბობს თავის ძირითად ანუ დამოუკიდებელ საკასაციო საჩივარზე, შეგებებული საკასაციო საჩივარი, რომელიც შეტანილია ვადის გადაცილებით, კარგავს თავის მნიშვნელობას და იურიდიულ ძალას. ასეთ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საკასაციო წარმოება.

საკასაციო წარმოება უნდა შეწყდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დამოუკიდებელი საკასაციო საჩივრის შემტანი პირი და აგრეთვე, შეგებებული საკასაციო საჩივრის შემომტანი პირი, უარს იტყვიან თავიანთ საჩივრებზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც შეტანილია ორი დამოუკიდებელი საკასაციო საჩივარი, საკასაციო სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ორივეს მიმართ. ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთი კასატორის მიერ საჩივარზე უარის თქმა გავლენას არ ახდენს საკასაციო წარმოების განვითარებაზე: საკასაციო სასამართლო შეწყვეტს საკასაციო წარმოებას იმ საკასაციო საჩივრის მიმართ, რომელზეც უარი თქვეს, ხოლო მეორეს მიმართ გამოიტანს გადაწყვეტილებას.

## ღირსეულ იუბილარს

ისტორიულად დადგენილი ჭეშმარიტებაა: დიდი განსაცდელისა და სასიცოცხლო არჩევანის გაკეთების ჟამს განგება ერისთვის გამოიმეტებს მაღალი ნიჭითა და დიდბუნებოვნებით დაჯილდოებულ მამულიშვილებს, რომლებიც თავიანთი უღრეკი ქელით გასწევენ ერისკაცობის უმძიმეს ჭაპანს და უვნებლად გაატარებენ ერს ავბედითობით აღსავსე ისტორიულ ქარტეხილებში.

XX საუკუნის 90-იან წლებში ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ოცნება რეალობად იქცა – ქვეყანამ მოიპოვა ნანატრი დამოუკიდებლობა, მაგრამ იმთავითვე ცხადი გახდა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებაზე უფრო ძნელი მისი შენარჩუნება იყო, ეს სიძნელე კი, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მშენებლობის ურთულეს გზას ემთხვეოდა. სხვა ერთა შორის ღირსეულად დგომას ჩვეულ ქართველობას უნდა შეექმნა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს იმგვარი მოდელი, რაც მისაღები იქნებოდა, როგორც დემოკრატიული მსოფლიოსათვის, ისე ეროვნულ ნიადაგზე დამყარებული ქართული პოლიტიკური აზროვნებისათვისაც, ამგვარ ვითარებაში ქართული სამართლებრივი აზროვნების კორიფეთაგან შედგენილმა კოპორტამ იკისრა უდიდესი მისია ერისა და ქვეყნის წინაშე – ქვეყანაში გაეტარებინა სამართლებრივი რეფორმა, რაც დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე მის ერთ-ერთ შტოს – სასამართლო ხელისუფლებას სრულყოფილს და დახვეწილს გახდიდა. პროფესორი თენგიზ ლილუაშვილი ამ კოპორტის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია.

ბატონმა თენგიზმა თანამოაზრეებთან და უცხოელ ექსპერტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ისეთ უმნიშვნელოვანეს კანონთა პროექტების შექმნაში, როგორიცაა: ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების

შესახებ“, კანონი „მეწარმეთა შესახებ“, კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, ორგანული კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. ბატონი თენგიზი მონაწილეობდა აგრეთვე მრავალი სხვა ნორმატიული აქტის შექმნაში, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა სასამართლო რეფორმის მომზადება და განხორციელება.

დიდა ბატონი თენგიზის როლი საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის ჩამოყალიბების საქმეში.

ბატონ თენგიზის დამსახურებაა სასამართლო სისტემაში ისეთი ინსტიტუტების შემოღება როგორცაა: მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნა საგამოცდო და საკონკურსო წესით, იუსტიციის საბჭოს შემოღება (სასამართლო გაემიჯნა იუსტიციის სამინისტროს), საქალაქო, რაიონული, საოლქო, სააპელაციო სასამართლოების შექმნა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრა, მოსამართლეთა და სასამართლოს თავმჯდომარეთა დანიშვნისა და გათავისუფლების წესი, მოსამართლეთა სპეციალიზაცია და სხვა მრავალი, მისი უშუალო ძალისხმევით და მონაწილეობით დამკვიდრდა ჩვენს სინამდვილეში სამსაფეხურიანი საერთო სასამართლო სისტემა და მასში გამოიკვეთა სააპელაციო სასამართლოს რგოლი, რაც უცნობი იყო როგორც ქართულ საბჭოთა, ისე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა სამართლის სინამდვილეში. სააპელაციო სასამართლოების ფუნქციით საოლქო სასამართლოებისა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოების აღჭურვის შედეგად შემცირდა საქმეთა განხილვის გაჭიანურება, რადგანაც სააპელაციო სასამართლოებს დაეკისრათ I ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმება როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისითაც.

თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, ცხადია, წარმოუდგენელია სამოქალაქო სამართლის გარეშე. სამოქალაქო სამართლის პრაქტიკული მიზნების განხორციელება კი შეუძლებელია, თუ არ მოქმედებს დახვეწილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, რომ ბატონი თ. ლილუაშვილი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შემოქმედია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არა მარტო იმეორებს ევროპის მოწინავე ქვეყნების საპროცესო კოდექსების მიღწევებს, არამედ გარკვეულწილად მათ შემოქმედებით განვითარებას წარმოადგენს, რადგანაც მასში ახლებურადაა გადაწყვეტილი ბევრი უმნიშვნელოვანესი საკითხი. შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების უმთავრეს, ფუნტამენტურ პრინციპებად აღიარებამ, ფაქტობრივად, ახალი ფურცელი გადაშალა ქართული საპროცესო კანონმდებლობის ისტორიაში, რამეთუ მათი გამოყენებით კიდევ უფრო გაიზარდა მხარეთა კერძო ავტონომიის როლი სამოქალაქო საქმის წარმოებაში. ამიერიდან, სასამართლო გამოდის პირეთენელი მსაჯულის როლში, რადგანაც მხარეები თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ, ხოლო სამართალწარმოება მიმდინარეობის შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და შესაძლებლობებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი დამსახურებაა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაწესება. ამ ინსტიტუტის შემოღებით საბოლოოდ წერტილი დაესვა მხარეთა თვითნებობით საქმის განხილვის გაჭიანურებას. ამავე დროს, ამაღლდა სასამართლოს ავტორიტეტი, რაც ასე აუცილებელია ჩვენს პირობებში. სხვა მნიშვნელოვან სიახლეებთან ერთად საპროცესო კოდექსის უდავოდ დიდ დამსახურებას წარმოადგენს ის, რომ აღარ არსებობს საქმის ზედამხედველობის წესით წარმოება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იყო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნებისმიერ დროს პროტესტის გამოთქმა, გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. ამ წესის მოქმედების გამო ხშირად ხდებოდა ისე, რომ კანონიერ ძალაში გადაწყვეტილების შესვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც მხარეები უკვე შეგუებულნი იყვნენ გადაწყვეტილების შედეგებს და მათ ცხოვრებაში ახორციელებდნენ კიდევ, პროკურორის ან ზემდგომი სასამართლოს ხელმძღვანელი პირის მიერ გამოთქმული პროტესტის საფუძველზე უქმდებოდა გადაწყვეტილება და ახლდებოდა საქმის წარმოება. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით ამგვარი რამ დაუშვებელია და გათვა-

ლისწინებულა საქმის წარმოების განახლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით, ისიც გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 წლის ვადაში და მხარეთა ან დაინტერესებულ პირთა განცხადებით, საპროცესო კოდექსში უარია ნათქვამი მსაჯულების ინსტიტუტზე, რაც მოსამართლის როლის ამღლებას უწყობს ხელს.

მართალია, ბატონ თ.ლილუაშვილს მხოლოდ ზემოთ დასახელებული კანონების შექმნაც ეყოფოდა სახელად, მან გაითვალისწინა, რომ ახალი კანონის დამკვიდრება სამართლებრივი რეფორმების პერიოდში დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული და მისთვის ჩვეული გულისხმიერებით უდიდესი დახმარება გაუწია სასამართლოებს იმ პრაქტიკული სახელმძღვანელოებით, რომლებშიც დეტალურადაა გაანალიზებული საქმის წარმოების ნიუანსები. ამ სახელმძღვანელოებში არა მარტო საკვანძო საკითხებია დიდი მეცნიერული ალლოთი გადაწყვეტილი, არამედ თვით უმნიშვნელო განჩინებათა ნიმუშებიცაა მოცემული, რომ არაფერი ვთქვათ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული საკითხების ამსახველ სქემაზე, რომელიც მოსამართლეების სახელმძღვანელოდ გადაიქცა.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ყოველი კანონი ცხოვრებაში მისი პრაქტიკული განხორციელებით ფასდება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უკვე სამი წელია მოქმედებს და შეიძლება ითქვას, რომ მან გაუძლო გამოცდას. გაუძლო გამოცდას ბატონ თენგიზ ლილუაშვილის მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად. ამ შრომის ერთ-ერთი დადასტურებაა სასამართლო პრაქტიკის განზოგადება და მის საფუძველზე გაკეთებული რეკომენდაციები და დასკვნები, რაც მოცემულია თ.ლილუაშვილის ნაშრომში „სამოქალაქო პროცესის საკითხები“. საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში ამ ნაშრომის უდიდეს ღირსებას წარმოადგენს ის, რომ პროფესორი თ.ლილუაშვილი აყენებს დღის წესრიგში სასამართლო ინსტანციების კონსოლიდაციის ანუ სასამართლო ინსტანციათა შეთანხმებული მოქმედების აუცილებლობას, რაც დამყარებული იქნება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ერთიან გაგებაზე. უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობისაა აგრეთვე ბატონ თ.ლილუაშვილის ნაშრომი „საერთაშორისო კერძო სამართალი“. მასში გაანალიზებულია საერთაშორისო სამართლის რაობა, კოლიზური ნორმის ცნება, მისი გამოყენების შემთხვევები და სხვა.

ნაშრომში, სხვათა შორის, განხილულია უცხოეთის მოქალაქეების და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სამართლებრივი სტატუსი, მათი საპროცესო უფლებები და სხვა, რაც ყოველდღიურ გამოყენებას პოულობს მოსამართლეთა და არა მარტო მოსამართლეთა საქმიანობაში. რა თქმა უნდა, ამ წერილში შეუძლებელია /და არც დაგვისახავს მიზნად/ ბატონ თ.ლილუაშვილის მეცნიერული ღვაწლის წარმოჩენა, უბრალოდ, იმ საკითხებს შევხებით, რაც ჩვენთვის ხელმისაწვდომი და ახლობელი გახდა ბატონი თენგიზის შრომების მეშვეობით.

არ შეძლება ბატონ თენგიზზე საუბრისას არ აღინიშნოს მისი მაღალი მოქალაქეობრივი და პატრიოტული სულისკვეთება, ნამდვილად უხდება საქართველოს ბატონი თენგიზის თავაწეული, წელგამართული, ენერგიული ნაბიჯით სვლა, რადგანაც იგი თავის ნაკვალევზე უზარმაზარ სიყვარულსა და სითბოს ტოვებს. ამ სიყვარულისა და სითბოს გამოვლინებაა ბატონ თ.ლილუაშვილის თანადგომის ნიჭი. მახსენდება: მოსამართლეებისათვის „კაბალური“ გამოცდების დაწესების შემდეგ ბატონმა თენგიზმა როგორ მოიარა საქართველოს ყველა რაიონი და როგორ ცდილობდა ყველა მოსამართლისათვის კიდევ ერთხელ გადაეცა მისი ღრმა ცოდნა და დიდი გამოცდილება მრისხანე გამოცდის წინ და ყველაფერი ეს დიდი სიყვარულით და მოსამართლეებისადმი პატივისცემით, უანგაროდ კეთდებოდა.

ბატონი თენგიზი გარდა მეცნიერებისა, წარმატებით მოღვაწეობს პედაგოგიურ ასპარეზზეც, მისი ხელდასმით ფრთიანდებიან თაობები. ათეულობით მეცნიერ-მუშაკი გამოიზარდა ბატონი თენგიზის მაღლიან ფრთებქვეშ.

ბატონ თენგიზს მისმა გაზრდილებმა „ასაკოვანი ახალგაზრდა“ შეარქვეს. მისთვის არ არსებობს ასაკობრივი ზღვარი ურთიერთობანი, მეგობრობასა და გვერდში დგომაში მხოლოდ იმისათვის, ვინც პატივს სცემს იმ ადამიანურ თვისებებსა და ცხოვრებისეულ პრინციპებს, რაც ბატონ თენგიზს გააჩნია.

ბატონი თენგიზი გამორჩეული მეოჯახე, მზრუნველი მამა და კარგი მეურნეა.

ბატონო თენგიზ! თქვენი სულგრძელობისა გვეჯერა და ვიცით, მოგვიტევენთ მხოლოდ ამ პატარა წერილით თქვენი 75 წლის



იუბილესადმი გამოხმაურებას აჭარის არ მოსამართლეთა კორპუსის სახელით და გვინდა გისურვოთ ურყევი ჯანმრთელობა, ოჯახური მყუდროება და ბედნიერება, უშრეტო ენერჯია, რადგანაც ვიცით, რომ თქვენ სულმნათი ილიას იმ აზრის განმახორციელებელი ბრძანდებით, რომ „ქვეყანა ტაძარი კი არაა, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, ქვეყანა სახელოსნოა, საცა კაცი უნდა მუშაობდეს და ირჯებოდეს“, კიდევ მრავალ წელს თქვენი მუშაობისა და გარჯის შედეგებით ეამაყოს საქართველოს.

## ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო და სიტყვის თავისუფლება

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემის მოქმედება შეუძლებელია, თუ სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში საზოგადოებისათვის ცნობილი არ იქნება. სასურველი და აუცილებელიც არის, რომ ევროსასამართლოს პრაქტიკის გაცნობა შესაძლებელი იყოს, როგორც პრაქტიკოსი იურისტებისათვის, ისე ნებისმიერი მოქალაქისათვის, ვის უფლებებსა და თავისუფლებებსაც შეიძლება საფრთხე შეექმნას და დავის საგნად იქცეს.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოს ინტეგრირება საზოგადოების ყოველი წევრისაგან და განსაკუთრებით სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან მოითხოვს იმ სამართლებრივი პრინციპების გაცნობასა და შესწავლას, რომელიც აღნიშნული სისტემის საფუძველს წარმოადგენს.

მართალია, ქართული საზოგადოების ინტერესი, მას შემდეგ, რაც საქრთველო ევროსაბჭოს წევრი გახდა, ევროსტრუქტურებისა და განსაკუთრებით ევროსასამართლოს მიმართ გაიზარდა, მაგრამ იმ წყაროების სიმცირის გამო, რომელიც ამ ინტერესს დააკმაყოფილებდა, ხშირია არსწორი შეხედულებები და წარმოდგენები იმ იურიდიულ გარანტიებზე, რომელსაც „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენცია ამკვიდრებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის კონვენციის მე-10 მუხლი. ევროსასამართლოს პრაქტიკაში აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით განხილული საქმეები რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილს იკავებს. (ევროსასამართლომ ყველაზე მეტი საქმე განიხილა კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებით.) თუ გადავხედავთ ჩვენს სასამართლო პრაქტიკას, სიტყვის თავისუფლების დაცვას უკავშირდება არაერთი

განმაურებული საქმე. აღნიშნული კატეგორიის დავები რაოდენობრივადაც გაიზარდა.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ უშლის ხელს სახელმწიფოებს, მოითხოვონ რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინოწარმოების ლიცენზირება. ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო, რომ იგი მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სასჯელს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებლობას წარმოადგენენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთისათვის, ჯანმრთელობისა და მორალის, სხვათა რეპუტაციის დაცვისათვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების ან სასამართლო ორგანოთა ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის.

კონვენციის აღნიშნული ნორმის გამოყენების თვალსაზრისით ევროპული სასამართლოს მიერ შექმნილია საკმაოდ ბევრი პრეცედენტი. ყოველი ახალი გადაწყვეტილების მიღებისას ყოველი ცალკეული საქმის თავისებურებების გათვალისწინებით აღნიშნული მუხლის განმარტება იძენს ახალ ელემენტებს. კონვენციის ცალკეული მუხლის განმარტება ხორციელდება მთლიანად კონვენციის კონტექსტში, კონვენციის არსიდან, დანიშნულებიდან და მიზნებიდან გამომდინარე. სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებები გაგებულია დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ სხვა ფასეულობებთან კავშირში, როგორცაა კანონის უზენაესობა, კანონის ეფექტურობა, პლურალიზმი, უმცირესობათა აზრის პატივისცემა, შემწყნარებლობა.

პრინციპები, რომელსაც ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები ემყარება შემდეგი შინაარსით ჩამოყალიბდა:

სიტყვის თავისუფლება, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლით

არის გარანტირებული, წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების არსებობის ერთ-ერთ საფუძველს, საზოგადოების პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთ პირობას. სიტყვის თავისუფლება არის დემოკრატიული საზოგადოების ის იარაღი, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს მიიღოს და გასცეს ინფორმაცია, შეიტყოს პოლიტიკური ლიდერების საზოგადოებრივ პრობლემებთან დამოკიდებულება, ერთმანეთს შეადაროს მათი შეხედულებები და იდეები.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულია არა მხოლოდ პრესის თავისუფლება, რომ ინფორმაცია მიეწოდოს საზოგადოებას, არამედ საზოგადოების უფლებაც – იყოს სათანადო დონეზე ინფორმირებული. მე-10 მუხლის გათვალისწინებით აზრის გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ ინფორმაციაზე და იდეებზე, რომელთაც აქვთ უწყინარი და უმნიშვნელო ხასიათი, არამედ იმაზეც, რომელიც გარკვეულწილად შიშს გვრის, აფხიზლებს საზოგადოებას, სახელმწიფოს ან მოსახლეობის რომელიმე ნაწილს. ამას ითხოვს პლურალიზმი, შემწყნარებლობა, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა.

სასამართლო ხშირად ემხრობა იმ აზრს, რომ ჟურნალისტური თავისუფლება გულისხმობს ასევე იმგვარი გამონათქვამების გამოყენებას, რომელიც გარკვეულ ზღვრამდე გადაჭარბებულს და პროვოკაციულსაც წარმოადგენს. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ თავისუფლებას არა აქვს აბსოლუტური ხასიათი და თან სდევს აუცილებელი შეზღუდვები, რომელიც ნაკარნახევია ნებისმიერი პირის ვალდებულებებითა და პასუხისმგებლობით საზოგადოებაში.

უფლებების განხორციელება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რომელთა მისაღწევად ასეთი შეუზღუდვები არის შემოღებული. ყოველი სახელმწიფო თავად განსაზღვრავს რა სახით უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა რეალიზაცია მისი ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების გათვალისწინებით. არსებითი პირობა, რომელიც სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს დაცული არის ის, რომ ეროვნული ხელისუფლების მიხედულებები არ ეწინააღმდეგებოდეს ევროპული კონვენციის მოთხოვნებს.

მე-10 მუხლის მეორე ნაწილი შეიცავს იმ საფუძვლების ჩამონათვალს, რომლის დროსაც აზრის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს. სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის შესაძლებლობისა და დასაშვებობის საკითხებმა დეტალური განმარტებები ჰპოვა ევროსასამართლოს პრაქტიკაში. სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: აზრის თავისუფალი გამოხატვა წარმოადგენს წესს, პრინციპს, სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა ამ უფლების რეალიზაციაში – გამონაკლისს.

ჩარევის შესაძლებლობა ნიშნავს ჩარევის აუცილებლობას. თუ დემოკრატიული საზოგადოება არ განიცდის აუცილებლობას, სახელმწიფო არ არის ვალდებული, რაიმე ზომები მიიღოს ამ მიმართულებით. კონვენცია არ ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს, შეზღუდოს კონვენციით გარანტირებული უფლებები და ვალდებულებები. სახელმწიფოს ჩარევა დაშვებულია მხოლოდ შემდეგი პირობების არსებობისას: მისი შესაძლებლობა გათვალისწინებულია კანონით, ისახავს ერთ ან რამდენიმე კანონიერ მიზანს, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით არის განსაზღვრული და ის აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

აუცილებელია, რომ სახელმწიფოს ჩარევა გათვალისწინებული იყოს მისი შიდა კანონმდებლობით. ეს ნორმა უნდა იყოს ხელმისაწვდომი. მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებელი იყოს დაინტერესებულმა პირებმა წინასწარ განსაზღვრონ მისი გამოყენების შედეგები. საქმეზე „ვაბლი ავსტრიის წინააღმდეგ“ სასამართლო დაეთანხმა ავსტრიის უზენაესი სასამართლოს დასკვნას განმცხადებლის დიფამაციური დანაშაულის ჩადენაში ბრალეულად ცნობის შესახებ ერთ-ერთ ავსტრიულ გაზეთში მოტანილი გამონათქვამებისათვის: „ეს ნაცისტური ჟურნალისტიკა“. მოცემული საქმე გარკვეულწილად ტიპურია ავსტრიისათვის, სადაც მოქმედებს შედარებით მკაცრი კანონმდებლობა ნაციონალ-სოციალიზმის აკრძალვის თვალსაზრისით და ის გამყარებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ევროსასამართლო მიუთითებდა, რომ განმცხადებელს ჰქონდა შესაძლებლობა წინასწარ განესაზღვრა ამგვარი სამართალდარღვევის შედეგები.

სხვა პირთა უფლებების დაცვაში სასამართლო გულისხმობს ზრუნავს ყოველი ადამიანის რეპუტაციაზე, მათ შორის, პოლიტიკურ

მოღვაწეზე. ამასთან, პოლიტიკოსებთან მიმართებაში სასამართლო აწესებს გარკვეულ პირობებს. სასამართლო გადაწყვეტილებებიდან აშკარა ხდება შემდეგი აზრი: პოლიტიკური საქმიანობა არ შეიძლება განხორციელდეს კრიტიკის გარეშე, ხოლო ჟურნალისტები, ბუნებრივია პოლიტიკურ მოღვაწეებს გაზრდილ ყურადღებას უთმობენ. სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ პოლიტიკოსთა კრიტიკის დასაშვები ფარგლები გაცილებით ფართეა, ვიდრე კერძო პირისა. პოლიტიკოსი იურიდიულად და შეცნობილად აყენებს თავის თავს ისეთ მდგომარეობაში, რომ მისი ყოველი სიტყვა და მოქმედება ხდება გაზრდილი ყურადღების საგანი როგორც ჟურნალისტების, ისე – მთელი საზოგადოების მხრიდან და ამიტომ ისინი ვალდებული არიან, გამოავლინონ თმენის მაღალი ხარისხი მათ მიმართ მკვეთრი გამოთქმების მიმართ. სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი არ იძლევა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას პოლიტიკური დისკუსიის სფეროში. ამასთან, რამდენად ფართოა პოლიტიკოსთა კრიტიკის დასაშვები ზღვარი სასამართლო არ განსაზღვრავს. ყოველ კონკრეტულ საქმეში ის ამ საკითხს წყვეტს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. მაგალითად, საქმეში „დალბანი რუმინეთის წინააღმდეგ“ სასამართლო არ აძლევს განსაკუთრებულ მნიშვნელობას განმცხადებლის მკვეთრ გამონათქვამებს დეპუტატის მიმართ. სასამართლოსთვის არსებითია ის, რომ განმცხადებლის წერილი შეიცავდა ინფორმაციას არა პირად ცხოვრებაზე, არამედ მის მოქმედებებზე ხალხის რჩეულის რანგში.

სიტყვის თავისუფლების განხორციელებაში სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია, თუ ასეთი ჩარევა აკმაყოფილებს რეალურ სოციალურ მოთხოვნებს და თავისი ხასიათით შეესაბამება მიზნებს, რომლის მისაღწევად ის ხორციელდება. ჩარევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ეროვნულ ხელისუფლებას აქვს მიხედულების განსაკუთრებით ფართო არეალი. ევროპული სასამართლო ამ გარემოებას ხსნის იმით, რომ ისინი ახლოს არიან ნაციონალურ საფუძველთან, ვიდრე საერთაშორისო ინსტიტუტები, უფრო კარგად იცნობენ ეროვნულ მოთხოვნილებებსა და სპეციფიკას. ამასთან, სწორედ ეროვნულ ხელისუფლებას აკისრია ძირითადი ვალდებულება ადამიანის უფლებების დაცვაზე.

ეროვნული ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმებისას, ევროპული სასამართლო განსაზღვრავს იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მიზნების გათვალისწინებით აუცილებელი. ევროპული კონტროლი მოიცავს, როგორც სახელმწიფოში მოქმედი კანონის კონტროლს, რომლის საფუძველზეც ეს გადაწყვეტილება იყო მიღებული, ასევე მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

საქმეზე „ვაბლი ავსტრიის წინააღმდეგ“ და რიგ ანალოგიურ საქმეებზე, ევროპული სასამართლო ეთანხმება ავსტრიული სასამართლოების პრაქტიკას ნაციონალ-სოციალიზმთან დაკავშირებული კანონმდებლობის გამოყენებისას. ის აგრეთვე იწონებს ამ კანონმდებლობის სულისკვეთებას.

ევროპის სასამართლოს ამოცანა არა ეროვნული სასამართლოების შეცვლა, არამედ იმ გადაწყვეტილებების კონტროლი, რომელიც მათ მიერ იყო მიღებული.

ყოველ კონკრეტულ საქმეზე სასამართლო იხილავს ჩარევის სოციალურ აუცილებლობას, საჭიროებას, ადეკვატურობას, შესაბამისობას, პროპორციულობას ჩარევის საშუალებებსა და კანონით განსაზღვრულ მიზნებს შორის. ამგვარი საკითხების გადაწყვეტისას სასამართლოს მთავარ ორიენტირად გვევლინება, პირველ რიგში, საზოგადოების ინტერესი მთლიანად, რაც იმაში მდგომარეობს, რომ არსებობდეს ინფორმაცია იმ აქტუალური საჭირობოროტო საკითხების მიმართ, რომელიც არის საზოგადოების შეშფოთების და საზოგადოებრივი პრობლემების საფუძველი.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო ადგენს, რომ ჩარევის აუცილებლობა დამაჯერებლად უნდა იყოს დასაბუთებული ეროვნული ხელისუფლების მიერ. მაგალითად, ვაბლის საქმეზე სასამართლო მიდის დასკვნამდე რომ ჩარევის აუცილებლობა დამაჯერებლად იყო დასაბუთებული ეროვნული ხელისუფლების მიერ, ხოლო დოლბანის საქმეზე – არა.

ევროსასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილებები ფორმალურად სავალდებულოა იმ სახელმწიფოთათვის, ვინც მოპასუხედ გვევლინება ევროპის სასამართლოში, ამასთან, ფაქტობრივად, სხვა ქვეყნები ხელმძღვანელობენ ამ გადაწყვეტილებებით, როდესაც ხდება

შიდა კანონმდებლობის შესაბამისობის განსაზღვრა ევროპის კონვენციასთან.

ფორმალურად კონვენციის მონაწილე სახელმწიფო და მისი ორგანოები, მათ შორის სასამართლოები, არ არიან ვალდებული მიყენენ სასამართლოს მიერ შექმნილ პრეცედენტს, მაგრამ, თუ ისინი არ გაითვალისწინებენ, როგორ არის განმარტებული კონვენციის ნორმა ევროპის სასამართლოს მიერ და მისი რეალიზაციის მითითებები, ისინი რისკავენ, რომ ქვეყნის წინააღმდეგ სარჩელის არსებობის შემთხვევაში გამტყუნდნენ სასამართლოს მიერ იმავე მოტივებით, რაც გახდა წარსულში სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებული საქმეები არის მრავალი სახის. აღნიშნულ საქმეთა ობიექტებს წარმოადგენენ პუბლიკაციები პრესაში, სატელევიზიო გადაცემები, წერილები და განცხადებები, რომლებიც არ გასულან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, სოციოლოგიური გამოკვლევები, რეკლამა, უარი ტელე და რადიომაუწყებლობის ლიცენზიის გაცემაზე და სხვა. ძირითად, მაგრამ არაერთადერთ მოქმედ პირად ამგვარ საქმეებში იყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპექტში სიტყვის თავისუფლების დაცვის ტიპიურ საქმეს წარმოადგენს საქმე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“.

როგორც ყოველ სხვა საქმეში, რომელიც მე-10 მუხლთან დაკავშირებით განხილულია სასამართლოს მიერ, სასამართლოს ყურადღება გამახვილებულია, არის თუ არა ხელისუფლების მოქმედება დამყარებული კანონზე, კანონზომიერია თუ არა ის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თვალსაზრისით, იყო თუ არა აღნიშნული მოქმედება აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, იყო თუ არა მიღებული ზომები განმცხადებლის მოქმედების ადეკვატური.

სასამართლოს აზრით, ეს ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის. ჟურნალისტის ცალკეული შეფასებითი გამონათთქვამები გაისმა მწვავე, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური დისკუსიისას. სტატის შინაარსი და ტონი იყო საკმაოდ დაბალანსებული, ხოლო სახელმწიფოს მიერ მიღებული



ზომები არ იყო ადეკვატური. ამგვარი მოქმედებები შეიძლება უარყოფითად აისახოს პრესის მიერ მისი ფუნქციების განხორციელებაზე. ანალოგიურ შეფასებებს აქვს ადგილი ევროსასამართლოს მხრიდან საქმეზე „კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ.“ სასამართლომ მიუთითა, რომ სიტყვის თავისუფლება ყველასათვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს განსაკუთრებით სამართლიანია, როდესაც საუბარი ეხება ხალხის არჩევით წარმომადგენლებს. ისინი წარმოადგენენ მათ ელექტორატს, ამახვილებენ ყურადღებას ელექტორატის საზრუნვაზე და იცავენ მათ ინტერესებს. შესაბამისად ჩარევა პარლამენტარის მიერ სიტყვის თავისუფლების განხორციელებაში, როგორც ითვლება განმცხადებელი, ითხოვს სასამართლოს მხრიდან ყველაზე დიდ ყურადღებას.

საქმე „გრიგორიადისი საბერძნეთის წინააღმდეგ“ არ ეხება პრესაში არსებულ პუბლიკაციას და საუბარი მიდის არა კანცლერზე ან მთავრობაზე, არამედ ისეთ სახელმწიფო ინსტიტუტზე, როგორც არის ჯარი. სასამართლო მიუთითებს, რომ მე-10 მუხლი არ ჩერდება კაზარმის კართან. ის მოქმედებს სამხედრო მოსამსახურეებზე ისე როგორც სხვა პირებზე. სახელმწიფოს უფლება აქვს შეზღუდოს აზრის გამოხატვის თავისუფლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯარის დანიშნულებისამებრ ფუნქციონირებას რეალური საფრთხე ემუქრება.

კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენების თვალსაზრისით მეტად საინტერესოა გადაწყვეტილებები, როგორცაა „ნილსენი და ენსენი ნორვეგიის წინააღმდეგ“, „ლეოდე და იზორინი საფრანგეთის წინააღმდეგ“, „ფრეზოსი და რუარი საფრანგეთის წინააღმდეგ“, „სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, „იერსილდი დანიის წინააღმდეგ“.

90-იანი წლების მეორე ნახევარში სასამართლომ განიხილა მნიშვნელოვანი რიცხვი „თურქული საქმეებისა“, რომელიც კრიზისულ პოლიტიკურ სიტუაციაში სიტყვის თავისუფლების დაცვას უკავშირდება. ისინი ეხებოდა თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში დაძაბულ პოლიტიკურ სიტუაციას. ერაყის სააზღვართან თურქეთის არმიის სამხედრო მოქმედებებს შეიარაღებულ ქურთთა რაზმებთან, რომლებიც გამოდიოდნენ რეგიონის ავტონომიის მოთხოვნით, თან სდევდა ოპოზიციური მოძრაობებისა და ორგანიზაციების დევნა. ამგვარი თურქული საქმეების რიცხვი დაახლოებით ოცს უახლოვდება. ყოველი მათგანი

იმით ჰგავს ერთმანეთს, რომ განმცხადებლები, თურქეთის სასამართლოს გასამართლებული პირები არიან. ისინი გამოდიოდნენ თურქეთის ხელისუფლების კრიტიკით რევიონში განხორციელებული მოქმედებების გამო. სასამართლო უთითებდა, რომ ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, რომლებიც თან ახლავს აზრის თავისუფლებაზე უფლების განხორციელებას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის კონფლიქტისა და დაძაბულობის პირობებში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ისინი განსაკუთრებული სიფხიზლით უნდა მოეკიდნენ იმ მასალების გამოქვეყნებას, რომლებიც მოუწოდებენ აქტიური ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებისაკენ. აღნიშნულის გარეშე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ეწევიან რისკს, გავრცელონ ისეთი მასალები, რომელიც თესავს სიძულვილს და ძალადობას. თუ საქმე არ ეხება ამგვარ გამონათქვამებს, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს არა აქვთ უფლება გამოიყენონ სისხლის სამართალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ზეწოლისათვის.

კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით აზრის გამოთქმის შეზღუდვა შეიძლება მოხდეს სასამართლო ორგანოთა ავტორიტეტის და მიუკერძოებლობის დასაცავად. ევროსასამართლოს ყურადღება „სასამართლო ორგანოთა უპატივცემულობაზე“ მიჰყვრებილი იყო საქმეზე „სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“. სწორედ ამ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბდა ასეთი ფორმულა: „გაზეთების სასამართლომ წინ არ უნდა გაუსწროს სასამართლოს გადაწყვეტილებას.“ შესაბამის პუბლიკაციებში არ უნდა იყოს არაფერი ისეთი, რაც ზეგავლენას მოახდენს პროცესის მსვლელობაზე, მხარეთა უფლებებზე და სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. ამ მოთხოვნათა დარღვევით შეიძლება პირმა დაკარგოს მე-10 მუხლის საფუძველზე დაცვის უფლება. ამასთან, ევროპის სასამართლო არაერთხელ აღნიშნავდა, რომ მართლმსაჯულება არ უნდა არსებობდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობის სფეროს გარეთ. „სასამართლო სინამდვილის“ დადგენა არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი სხვა აზრი უნდა ჩაითვალოს მცდარად. სასამართლოებს არ შეუძლიათ იმოქმედონ ვაკუუმში. მართალია, ისინი წარმოადგენენ ადგილს, სადაც დავა უნდა გადაწყდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დავების მიმოხილვა არ შეიძლება ხდებოდეს სხვაგან,

სპეციალურ ჟურნალებში, პრესაში ან მოსახლეობაში. მართლმსაჯულების სათანადო განხორციელების ინტერესებისათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა არ უნდა გადააბიჯონ იმ ჩარჩოებს, რომელიც მათთვის არის დადგენილი. ამასთან, მათ აქვთ ფუნქცია გაავრცელონ ინფორმაცია და იდეები, რომელიც ეხება სასამართლოს საქმიანობას. ამ ზოგადი პოზიციის ფარგლებში ევროსასამართლომ დაიცვა მართლმსაჯულება იმ თავდასხმებისა და ბრალდებებისაგან, რომლის მიზანია ეჭვქვეშ დააყენოს სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, მოახდინოს მასზე ზეწოლა. სასამართლო – ეს არის მართლმსაჯულების გარანტი, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული მისი საქმიანობა საზოგადოებაში არის გადამწყვეტი მნიშვნელობის. ამიტომ ისინი უნდა სარგებლობდნენ საზოგადოების ნდობით და შესაბამისად იყვნენ დაცულნი დაუსაბუთებელი თავდასხმებისაგან. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსამართლეს აკისრია თავშეკავების ვალდებულება, რომელიც ხელს უშლის მას უპასუხოს კრიტიკას, დაიცვას თავი ისე, როგორც მაგალითად ამას პოლიტიკოსები ან თუნდაც ჟურნალისტები აკეთებენ.

ევროსასამართლომ გადაწყვეტილებაში „პრალერი და ობერლშიკი ავსტრიის წინააღმდეგ“ არ ცნო მე-10 მუხლის დარღვევით ჟურნალისტების დასჯა პუბლიკაციისათვის, რომელიც წარმოადგენდა შეტევას მოსამართლეზე. ის დაადანაშაულეს მიკერძოებაში და სხვა გადაცდომებში და შეამკეს ეპითეტებით – „ბევრი ავსტრიელი მოსამართლე ყველაფერზე წამსვლელია“. რაც არ იყო სტატიაში მოყვანილი, ეს იყო ფაქტები. სტატია ეფუძნებოდა უპირატესად ადვოკატების გამონათქვამებს და საგაზეთო ქრონიკას.

სასამართლო აღნიშნავდა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც მოიყვანეს განცხადების ავტორებმა, არ ადასტურებენ მათ მიერ წამოჭრილ სერიოზულ ბრალდებებს. მოცემულ შემთხვევაში განცხადების ავტორებმა არ გამოავლინეს არც კეთილსინდისიერება, არც ჟურნალისტის ეთიკის წესები დაიცვას.

აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესოა გადაწყვეტილება საქმეზე „შოპფერი შვეიცარიის წინააღმდეგ“. მოცემულ საქმეზე განმცხადებელია ადვოკატი. განმცხადებელი იყო პირის დამცველი, რომელსაც ბრალი ედებოდა ქურდობაში და იმყოფებოდა ჰატიმრობაში. ადვო-

კატმა მოიწვია პრესკონფერენცია, რომელზეც განაცხადა, რომ მისი კლიენტის დაპატიმრება იყო ქვეყნის კანონმდებლობისა და ევროპის კონვენციის უხეში დარღვევა.

ევროსასამართლომ მიუთითა, რომ ადვოკატის სტატუსი მას განუსაღზვრავს განსაკუთრებულ ადგილს მართლმსაჯულების განხორციელებაში და ამ სფეროში ადვოკატის გადამწყვეტი როლის გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ მან უნდა შეუწყოს ხელი მართლმსაჯულების ნორმალურ ფუნქციონირებას და სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის ზრდას.

სასამართლო უთითებდა, რომ ამ საქმეში ადვოკატმა სამართლებრივ გზას ამჯობინა საჯარო პოლემიკა, რომლის საგანი გახდა მისი კლიენტის საქმე, რაც შეიძლება შეფასებული იქნეს, როგორც მცდელობა მოახდინოს ზეწოლა გამოძიებაზე და თავდასხმა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაზე. ადვოკატის გამონათქვამები იყო შურისძიების, აგრესიული ტონის, მოკლებულნი თავშეკავებულობას, წესიერებას და ღირსებას, რასაც უნდა ავლენდნენ ადვოკატები.

ამავე პრობლემასთან დაკავშირებულ დავას ეხება საქმე „ფორმსი ავსტრიის წინააღმდეგ“.

მე-10 მუხლთან დაკავშირებით უნდა იქნეს განხილული სიტყვისა და პრესის თავისუფლების კომერციულ ხასიათთან დაკავშირებული დავები.

საქმეზე „ხერტელი შვეიცარიის წინააღმდეგ“ (1998წ) საქონლის პრიმიტიული რეკლამაც კი სასამართლომ მიაქცია მე-10 მუხლის მოქმედების სფეროში და მასზე გაავრცელა ის პრინციპები, რაც სხვა სახის ინფორმაციის გავრცელებასთან არის დაკავშირებული. ამავე საკითხეს ეხება გადაწყვეტილება მიღებული საქმეზე „გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“.

მორალურ-ეთიკურ ასპექტში სიტყვის თავისუფლების კატეგორიის საქმეთა საგანია მე-10 მუხლის თანახმად იმ საჩივრების განხილვა, რომელიც ეხება ნაციონალური ხელისუფლების მიერ დაწესებულ შეზღუდვებს დაბეჭდილი მხატვრული, კინომეტოგრაფიული ან სხვაგვარი ნაწარმოებების გავრცელებაზე, რომლებიც ხელისუფლების აზრით ატარებენ ამორალურ ხასიათს და შეურაცხყოფენ

მოსახლეობის გარკვეული წრის ეთიკურ ან რელიგიურ შეხედულებებს. საუბარია შუზღუდვაზე სხვა პირთა ზნეობისა და უფლებების დაცვის მიზნით. პირველად ამ პრობლემებს სასამართლო შეეხო საქმეზე „ხენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“. ამავე სფეროს ეხება გადაწყვეტილება მიღებული საქმეზე „მიუღერი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ“. ამ გადაწყვეტილებაში პირველად იყო დადასტურებული, რომ მხატვრობა განზილული უნდა იქნეს, როგორც აზრის თავისუფალი გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა.

მართალია, საქართველოს მონაწილეობით ევროსასამართლოს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ სასამართლოში საქართველოს მოქალაქეთა არაერთი განცხადება არის შესული. აღნიშნული განცხადებების დაკმაყოფილება, თუ ასეთს ექნება ადგილი, ცხადად დაგვანახებს ჩვენი კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების სუსტ წერტილებს. უმჯობესია არ დაველოდოთ ამგავრი გადაწყვეტილებების მიღებას და სხვა სახელმწიფოთა მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით შევძლოთ ნაკლოვანებების გამოსწორება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Европейский суд по правам человека В.А.Туманов. Москва. 2001.
2. Европейский суд по правам человека. Избранные решения, Москва, 2000.
3. Европейский суд по правам человека. Избранные постановления 1999-2001гг. и комментарии.

## პერძო საჩივარი და მისი გადაწყვეტის ზოგადი პრინციპები

საქართველოს ძირითადი კანონი – საქართველოს კონსტიტუცია პრეამბულაშივე გამოხატავს საქართველოს მოქალაქეთა ნებას იმის შესახებ, რომ დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება და სამართლებრივი სახელმწიფო<sup>1</sup>.

საქართველოს მოქალაქეების ამ ურყევი ნების – სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ერთ-ერთ გარანტს ხელისუფლების სხვა შტოებთან ერთად სასამართლო წარმოადგენს, რომელსაც ამ მიზნის განხორციელების საქმეში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს, რამეთუ საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში საერთო სასამართლოების მეშვეობით ხორციელდება. საქართველოს კონსტიტუციის ამავე მუხლის შესაბამისად სასამართლო სისტემა და სამართალწარმოების წესი დადგენილია კანონით<sup>2</sup>.

სასამართლო ხელისუფლებას აქვს კონკრეტული, სამართალშეფარდებითი ხასიათი. საერთო სასამართლოები იხილავენ და წყვეტენ კონკრეტულ საქმეებს და დაეებს, რომლებიც წარმოიშობა საზოგადოებაში სხვადასხვა კონფლიქტის შედეგად. ეს კონფლიქტური სიტუაციები შეიძლება იყოს სისხლის სამართლებრივი, ქონებრივი, უფლებრივი, ადმინისტრაციული და სხვა. ამ დაეებს სასამართლო განიხილავს კანონით დადგენილი საპროცესო ნორმების დაცვით. ამ დავათა განხილვის სწორად გადაწყვეტის საქმეში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საპროცესო კანონმდებლობის დაცვას.

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია – პრეამბულა-იურიდიული და საგამომცემლო კომპანია შპს „ნორმა“ 1995წ.

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუცია – მუხლი 83

თუ ქვემდგომი სასამართლო დაარღვევს დავის განხილვის საპროცესო ფორმას, ზემდგომი სასამართლოს მიერ უნდა გაუქმდეს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, თუ ამ საპროცესო ნორმების დარღვევის გამო არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

საპროცესო ფორმის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანგლო-საქსურ სამართლებრივ სისტემაში, ვინაიდან საქმის განხილვა-გადაწყვეტისას პროცესუალური მოთხოვნების განუხრელი შესრულება, მკაცრი ფორმალიზმით გამორჩეული წესების დაცვა, ჭეშმარიტების დადგენის უპირატესი ფაქტორია<sup>3</sup>.

საპროცესო ნორმების დაცვა ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად ერთ-ერთ პრიორიტეტულ ნიშანს წარმოადგენს კონკრეტულ დავათა დროულად და სწორად გადაწყვეტის საქმეში.

საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ იგი შედგება რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი და საქართველოს უზენაესი სასამართლოებისაგან, მაინც ერთიანია.

საერთო სასამართლოების სისტემის ერთიანობის პრინციპის არსებობა უზუნველყოფილია საქართველოს ორგანული კანონით.

„საერთო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში პირდაპირაა მითითებული, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა ერთიანია.<sup>4</sup>

ასევე ერთიანია საერთო სასამართლოების სისტემის ყველა რგოლისათვის საპროცესო კანონმდებლობა. მათ ერთიანობას გარკვეულწილად საპროცესო ნორმების შესასრულებლად სავალდებულობის პრინციპიც აყალიბებს და კიდევ უფრო ერთიანს ხდის.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ფართოდ განვითარებამ, კიდევ უფრო გაზარდა სამოქალაქო კონფლიქტების დროულად და კანონიერად მოწესრიგების აუცილებლობა.

<sup>3</sup> ოთარ მელქაძე, ბექა დვალი „სასამართლო ხელისუფლება – სამართლებრივი ლიტერატურის სერია- წიგნი XI თბილისი „მერანი-3“ 2000წ გვ.46

<sup>4</sup> საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი მუხლი 2 პუნქტი 2. 1997წ 13 ივნისი „ნორმატიული აქტები საერთო სასამართლოს შესახებ“ 2002 წლის 15 ივნისის მდგომარეობით თბილისი 2002წ გვ.14

საზოგადოებაში წამოჭრილი კონფლიქტური სიტუაციის გადაწყვეტა სასამართლოს მეშვეობით ხორციელდება. სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელების დროს საქმის განხილვისას გარკვეულ პროცედურას ემორჩილება. ამ პროცედურას სამოქალაქო სამართალურთიერთობაში სამოქალაქო პროცესი ეწოდება.

სამოქალაქო პროცესი სოციალური მოვლენაა, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოების მოთხოვნებთან სამოქალაქო უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ თვალსაზრისით სამოქალაქო პროცესი არის იურიდიული ურთიერთობა<sup>5</sup>.

სამოქალაქო პროცესი სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას მოიცავს სასამართლოს და მხარეების თუ საქმეში მონაწილე სხვა პირების პროცესუალურ მოქმედებებს. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო პროცესი არის სამოქალაქო უფლებათა განხორციელებისა და დაცვის მიზნით სასამართლო თუ სხვა ორგანოთა საქმიანობა, რაც მოწესრიგებულია კანონით<sup>6</sup>.

საპროცესო კანონმდებლობის სრული რეალიზაცია თუ არ ხდება, თუ პროცესუალურად არ არის უზრუნველყოფილი ამ კანონმდებლობის სისრულეში მოყვანა, სამართლებრივად მოწესრიგებულ სახელმწიფოზე ლაპარაკიც ზედმეტია. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის სრული რეალიზაცია ხდება სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა სტადიაზე. როგორც საქმის აღძვრის, მისი მომზადების, საქმის განხილვის, გადაწყვეტილებათა (განჩინებათა) გასაჩივრების, თუ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების (განჩინებების) ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თუ ბათილობის გამო გადასინჯვის სტადიაზე.

ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს განჩინებათა გასაჩივრების სტადია.

როგორც სხვა დანარჩენი სტადიები, აღნიშნული სტადიაც გარკვეული პროცესუალური ფორმალიზმით ხასიათდება.

ფორმალიზმი საპროცესო სამართლის ისეთი პრინციპია, რომელიც

<sup>5</sup> ავთანდილ კობახიძე - „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“ | ზოგადი საკითხები გამოცემლობა „საქართველოს მაცნე“ თბილისი 2001წ გვ.5

<sup>6</sup> ავთანდილ კობახიძე - „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“ | ზოგადი საკითხები - გამოცემლობა „საქართველოს მაცნე“ - თბილისი 2001წ გვ.7



კოდექსის რომელიმე ცალკე მუხლით კი არ არის დადგენილი, არამედ სხვადასხვა მუხლებით არის მოწესრიგებული. იგი გამოიხატება იმაში, რომ ცალკეული პროცესუალური მოქმედებები ხორციელდება გარკვეული ფორმალობის დაცვით.<sup>7</sup>

ამ პრინციპის დაცვა პროცესის მონაწილეებს საშუალებას აძლევს თავიანთი უფლებები უკეთ დაიცვან, მეტ გარანტიას უქმნის მათ უფლებების რეალიზაციისათვის, ვინაიდან კანონით წინასწარვე დადგენილია, რა ფორმით უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებაზე საჩივრით მიმართვა, როდის, ვის მიერ, სად და ა.შ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის შესაბამისად გასაჩივრების ობიექტი შეიძლება იყოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებები.<sup>8</sup> ასეთი განჩინებები შეიძლება მიღებული იქნეს როგორც საქმის მომზადების სტადიაზე, ისე – მის შემდეგ.

საჩივარი, რომლითაც ხდება სასამართლოს განჩინებათა გასაჩივრება, ცნობილია კერძო საჩივრის სახელწოდებით.

ყველა განჩინება არ საჩივრდება კერძო საჩივრით. ზოგიერთი განჩინების გასაჩივრება შეიძლება გადაწყვეტილებასთან ერთად, ზოგიერთისა კი – გადაწყვეტილებისგან დამოუკიდებლად და ამ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამიტომაც ამ სახის საჩივარს პროფესორი თენგიზ ლილუაშვილი უწოდებს კერძო საჩივარს<sup>9</sup>.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში არის განჩინებათა კატეგორია, რომლებიც საჩივრდება კერძო საჩივრით და ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსში<sup>10</sup>, მაგრამ არის

<sup>7</sup> აქთანდილ კობახიძე - „სამოქალაქო საპროცესო სამართალი I - ზოგადი საკითხები გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ თბილისი 2001წ გვ.55

<sup>8</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი -- მიღებული 1997 წლის 14 ნოემბერს (2002 წლის 15 ივნისის მდგომარეობით - გამომცემლობა „სასამართლო“. თბილისი 2002წ მუხლი 414-ე პირველი ნაწილი).

<sup>9</sup> თენგიზ ლილუაშვილი „სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში“ პრაქტიკული სასულძღვანელო II გამოცემა „ჯეისიი“ 2001 წელი გვ.340

<sup>10</sup> მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის მეორე წინადადების შესაბამისად მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა

განჩინებები, რომლებზეც არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა და ამის შესახებ ასევე პირდაპირაა მითითებული საპროცესო კოდექსში<sup>11</sup>.

ასევე არის გამონაკლისებიც, როცა ამა თუ იმ სახის განჩინების გასაჩივრების დასაშვებობის ან დაუშვებლობის შესახებ კანონში პირდაპირ არააფერია მითითებული<sup>12</sup>. ზოგიერთი გამონაკლისისთვის კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ ამა თუ იმ სახეობის განჩინების გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად<sup>13</sup>.

საპროცესო კანონმდებლობით განჩინებათა გასაჩივრების ამგვარი სახით დაყოფა პირველ რიგში განპირობებულია იმით, რომ კანონმდებლობით ყველა სახის განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების დაშვება გააჭიანურებდა საქმის საბოლოო განხილვას<sup>14</sup>. მაგრამ არის განჩინებათა ისეთი სახეები, რომლებიც საქმეში მონაწილე პირთათვის მეტად მნიშვნელოვანია. სწორედ ამგვარი კატეგორიის განჩინებებზე დააწესა კანონმდებლობამ კერძო საჩივრით გასაჩივრების უფლება.

ამიტომაცაა, რომ ზოგიერთი ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში პირდაპირაა მითითებული იმ განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების დასაშვებობის შესახებ, როცა სასამართლოს განჩინება გზას უღობავს საქმის შემდგომ მსვლელობას. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტის შესაბამისად განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა დასაშვებია თუ კი განჩინება გზას უღობავს საქმის შემდგომ განხილვას.<sup>15</sup>

<sup>11</sup> მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად მტიკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრება არ დაიშვება.

<sup>12</sup> მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის შესაბამისად სასამართლომ შეიძლება დაადგინოს მოწმის იძულებით მოცანა. ცხადია, ასეთი განზრახვა სასამართლომ თავის განჩინებაში უნდა დააფიქსიროს. ამ სახის განჩინების გასაჩივრების დასაშვებობაზე ან დაუშვებლობაზე კანონი არააფერს ამბობს

<sup>13</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად აცილების თაობაზე სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად.

<sup>14</sup> Коллектив авторов „Гражданский процесс“ 3-е издание Москва 2000 стр. 423

<sup>15</sup> რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 371

აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის თავისებურებაც, როცა განჩინებაზე არ შეიძლება არც კერძო საჩივრის შეტანა და მისი გასაჩივრებაც დაუშვებელია ამ საქმეზე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთადაც. ასეთი სახის განჩინებას მიეკუთვნება ზემდგომი სასამართლოს განჩინება, რომელიც გამოტანილია კერძო საჩივრის თაობაზე<sup>16</sup>.

ჩვენ ზოგადად განვიხილეთ, თუ რომელ განჩინებებზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, ახლა განვიხილოთ ვის შეუძლია შეიტანოს კერძო საჩივარი და სად ზდება კერძო საჩივრის შეტანა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხარეებს, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება, აგრეთვე იმ პირებსაც, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება. ამ ნორმის შესაბამისად კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ პროცესში მონაწილე მოსარჩელეს და მოპასუხეს. ასევე - მესამე პირს, რომელიც პროცესში მონაწილეობს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ვინაიდან იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით გათანაბრებულია მხარესთან. ამ ნორმის შესაბამისად კერძო საჩივრის შეტანა შეუძლია საქმეში მონაწილე მესამე პირსაც, რომელიც გამოდის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე და ასევე იმ პირებსაც, რომლებიც საერთოდ არ მონაწილეობენ ამ პროცესში, მაგრამ მათ უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება.

კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე სუბიექტთა მიმართ ამგვარი მიდგომა ერთი მხრივ თითქოს კიდევაც ართულებს სამოქალაქო პროცესს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას აჭიანურებს, რადგან კერძო საჩივრის შეტანით შეიძლება საქმეში შემოვიდნენ ახალი პირები, რომლებიც აქამდე პროცესში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ, მეორე მხრივ, აღნიშნული პრინციპი იცავს იმ პირთა სამართლებრივ უფლებებს, რომლებიც ამ სასამართლო პროცესში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ მათ ინტერესებსაც შეეხო ეს განჩინება. კანონის ამგვარი მიდგომა იმ პირებს, რომელთა ინტერე-

<sup>16</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

სებსაც შეეხო ეს განჩინება, ათავისუფლებს მათი დარღვეული უფლების აღდგენის სასარჩელო წესით სასამართლოსთვის მიმართვისაგან, რაც შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია. ეს წესი დაინტერესებულ პირს უფლებას აძლევს კერძო საჩივრით უშუალოდ ჩაერთოს ამ პროცესში და დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში შეძლოს დარღვეული უფლებების დაცვა.

ეს საკითხი სხვაგვარად წყდება რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით. რუსეთის ფედერაციაში სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა შეუძლია მხარეებს და სხვა პირებს, რომლებიც მონაწილეობენ საქმეში, ასევე განჩინების გაპროტესტება შეუძლია პროკურორს<sup>17</sup>. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ მიუთითებს, თუ ვის აქვს უფლება განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანისა, მაგრამ იგულისხმება, რომ ამ უფლებით სარგებლობენ მხოლოდ მხარეები და მესამე პირები, როგორც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ისე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, ვინაიდან მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე საქმის განხილვის ყველა სტადიაზე სარგებლობენ სასამართლო თავდაცვის ყველა იმ საშუალებით და ფაქტობრივად ახორციელებენ ყველა იმ საპროცესო მოქმედებებს, რასაც მხარეები და იგი პროცესუალური თანამონაწილეა მხარისა<sup>18</sup>.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება. კერძო საჩივარი ამ სასამართლომ უნდა განიხილოს<sup>19</sup>.

მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 415-ე მუხლში მითითებულია, რომ კერძო საჩივარი შეტანილი უნდა იყოს იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ კერძო საჩივრის შეტანა დასაშვებია სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ამ მუხლში სიტყვა

<sup>17</sup> гражданский процессуальный кодекс РФ ст 371

<sup>18</sup> გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პარაგრაფი 69

<sup>19</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 415-ე და 417-ე მუხლები

„გადაწყვეტილება“ გამოყენებულია ფართო გაგებით, რომელშიც მოიაზრება განჩინება. გარდა ამისა ამ მუხლში მითითებული გარემოება, რომ კერძო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ზოგადად იმ სასამართლოს კი არ ნიშნავს, რომელშიც მიმდინარეობდა ამ საქმის განხილვა, არამედ იგულისხმება ის სასამართლო შემადგენლობა (ერთპიროვნული მოსამართლე, ან საქმის განმხილველი კოლეგიური შემადგენლობა), რომელიც უშუალოდ იხილავს ამ საქმეს.

კერძო საჩივრის იმ სასამართლოში შეტანა და განხილვა, რომელმაც ამ საქმეზე მიიღო განჩინება, უფრო ეფექტურს ხდის კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნის სწრაფად და სწორად გადაწყვეტას, ზოგავს დროს და საშუალებას აძლევს საქმის განმხილველ სასამართლოს დროულად გამოასწოროს მის მიერ დაშვებული ესა თუ ის შეცდომა.

განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით თითქმის ანალოგიურ პრინციპზეა აგებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, მაგრამ არის გარკვეული განსხვავებაც.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად კერძო საჩივარი წარედგინება იმ სასამართლოს, რომელშიც ან რომლის თავმჯდომარეობითაც გამოტანილია გასაჩივრებული განჩინება, ხოლო სასწრაფო შემთხვევაში იგი შეიძლება შეტანილი იქნეს იმ სასამართლოში, რომელიც უშუალოდ იხილავს მას.<sup>20</sup>

მართალია, კერძო საჩივრის შეტანა რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის შესაბამისად ხდება საპროცესო კოდექსის მე-40 თავის შესაბამისად, ანუ იმდაგვარად, როგორც ხდება საკასაციო საჩივრის შეტანა (მუხლი 337), ე.ი. კერძო საჩივარი შეიტანება იმ სასამართლოს მეშვეობით, რომელმაც ეს განჩინება გამოიტანა. იგი შეიტანება ზემდგომ სასამართლოში, ანუ კერძო საჩივარი შეიტანება ზემდგომ სასამართლოში ამ განჩინების გამომტანი სასამართლოს მეშვეობით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ

<sup>20</sup> გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 569-ე პარაგრაფი

კერძო საჩივარი შეიტანება წერილობითი ფორმით. სხვა ფორმით კერძო საჩივრის შეტანა გამორიცხულია. დაუშვებელია კერძო საჩივრის შეტანა ზეპირად, სასამართლო სხდომის ოქმში პოზიციის დაფიქსირებით და ა.შ.

მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ აღგენს კერძო საჩივრის ფორმის სხვა რეკვიზიტებს, მაგრამ ცხადია, რომ კერძო საჩივარი უნდა პასუხობდეს იმ აუცილებელ პირობებს, რაც ზოგადად დადგენილია სააპელაციო და საკასაციო საჩივრისათვის და ასევე ასახულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილში. კერძოდ, კერძო საჩივარი აუცილებლად უნდა შეიცავდეს იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც შედგენილია საჩივარი, იმ პირის დასახელებას და სამართლებრივ სტატუსს, აგრეთვე მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი, გასაჩივრებული განჩინების ზუსტ დასახელებას, მითითებას იმაზე თუ რა ნაწილში საჩივრდება განჩინება; მითითებას, თუ რა მოცულობით საჩივრდება განჩინება, გასაჩივრების საფუძვლებს და განმარტებას, იმის თაობაზე, მოითხოვს თუ არა საჩივრის ავტორი განჩინების შეცვლას თუ გაუქმებას; მითითებას იმ ფაქტებზე და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ კერძო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ეფუძნება. კერძო საჩივარს შეიძლება ერთვოდეს წერილობითი მასალებიც. კერძო საჩივარი ასევე ხელმოწერილი უნდა იყოს მისი ავტორის მიერ.

ჩვენი კანონმდებლობა არ ზღუდავს კერძო საჩივრის წარმომადგენლის მეშვეობით შეტანას, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე და 98-ე მუხლების შესაბამისად მხარეებს შეუძლიათ სასამართლოში საქმე აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობითაც, მაგრამ ამ დროს კერძო საჩივარს თან უნდა ახლდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად გაფორმებული სრულყოფილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი, რომელშიც სპეციალურად მითითებული იქნება, რომ მას აქვს განჩინების გასაჩივრების უფლებამოსილება.

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, კერძო საჩივარი ასევე წერილობით უნდა იყოს შედგენილი.

მართალია, კერძო საჩივრის წერილობითი ფორმის აუცილებლობის შესახებ კოდექსში არაფერია ნათქვამი, მაგრამ 373-ე მუხლში მითითებულია, რომ კერძო საჩივრის შეტანა ხდება იმ წესის დაცვით როგორც საკასაციო საჩივრისა, ხოლო თავის მხრივ ამავე კოდექსის 396-ე მუხლში მითითებულია რა იმაზე, რომ საკასაციო საჩივარი ხელმოწერილი უნდა იყოს მისი შემტანი პირის მიერ, მიუთითებს იმაზე, რომ კერძო საჩივარი წერილობითი ფორმით უნდა იყოს შეტანილი.

ამ პრინციპისგან განსხვავებული პრინციპი ახასიათებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საპროცესო კანონმდებლობას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 569-ე პარაგრაფის მე-2 პუნქტის შესაბამისად კერძო საჩივარი შეიძლება წარდგენილი იქნეს როგორც წერილობით, ისე შეიძლება შეტანილი იქნეს სასამართლოს კანცელარიის ოქმში, თუკი შესაბამისი საქმე არ წარმოადგენს ან არ წარმოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოს ისეთ საქმეს, რომელშიც ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობაა აუცილებელი, ანდა, თუ საჩივარი ეხება სასამართლო ხარჯებს ან, თუ იგი წარდგენილი იქნება მოწმის ან ექსპერტის მიერ.

მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არაფერს ამბობს იმაზე, თუ რამდენ ცალად უნდა იქნეს წარდგენილი კერძო საჩივარი და მისი ასლი უნდა გადაეგზავნოს მოწინააღმდეგე მხარეს, მაგრამ ცხადია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად კერძო საჩივარი, ისევე, როგორც სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, იმდენივე პირად უნდა იყოს წარდგენილი, რამდენი მხარეცაა საქმეში და იგი უნდა გაეგზავნოს მოწინააღმდეგე მხარეს, რათა მხარე დროულად გაეცნოს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებებს და სათანადო შესაგებლით წარდგეს სასამართლო სხდომაზე, ან წარადგინოს შესაგებელი, თუ კი საქმის განხილვა მოხდება ზეპირი განხილვის გარეშე.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კერძო საჩივარი შეიძლება ემყარებოდეს ახალ ფაქტებს და მტკიცებულებებს, რაც მოწინააღმდეგე მხარისთვის შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე წინასწარ უნდა იქნეს ცნობილი.

შეიძლება დაისვას კითხვა, მოწინააღმდეგე მხარეს აქვს თუ არა შეგებებული კერძო საჩივრის შეტანის უფლება? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია. კანონი პირდაპირ არაფერს მოუთითებს შეგებებულ კერძო საჩივარზე, მაგრამ მიუხედავად ამისა ვფიქრობთ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (ანალოგია) მიხედვით შესაძლებელია შეგებებული კერძო საჩივრის შეტანა.

მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხემ მოითხოვა მის ორ სახლზე დადებული ყადაღის მოხსნა, ანუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოთხოვნა და ყადაღა მოხსნა ერთ სახლზე, მეორე სახლზე ყადაღის მოხსნაზე კი მოპასუხის განცხადება არ დააკმაყოფილა.

ასეთი სახის განჩინებაზე ცხადია, ორივე მხარეს აქვს უფლება შეიტანოს კერძო საჩივარი, რადგან კანონი პირდაპირ მოუთითებს, რომ ამ სახის განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

მოპასუხემ კანონით დადგენილ ვადაში არ გაასაჩივრა ეს განჩინება, მაგრამ მოსარჩელემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა ამ განჩინების იმ ნაწილის გაუქმება, რომლითაც დაკმაყოფილდა მოპასუხის მოთხოვნა ერთ სახლზე ყადაღის მოხსნის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მოპასუხეს სრული უფლება რჩება წარადგინოს შეგებებული კერძო საჩივარი და მოითხოვოს განჩინების იმ ნაწილის გაუქმება, რომლითაც უარი ეთქვა მის შუამდგომლობას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ მეორე სახლთან დაკავშირებით.

შეგებებული კერძო საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა უფრო ნათლად მაშინ შეიძლება წარმოჩინდეს, როცა განჩინების გასაჩივრება ხდება საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად წარდგენილ სააპელაციო საჩივრის ან საკასაციო საჩივრის დროს, რაზეც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ასევე არაფერს ამბობს შეგებებული კერძო საჩივრის შეტანის შესაძლებლობაზე, მაგრამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირ აღიარებს შეგებებული კერძო საჩივრის



შეტანის შესაძლებლობას.<sup>21</sup>

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 577-ე პარაგრაფის მე-4 აბზაცით, ამ კოდექსის 576-ე პარაგრაფის შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელიც იხილავს სამოქალაქო საქმეს, შეიძლება შუამდგომლობის შეტანა საჩივრის შეტანისათვის დადგენილი წესის შესაბამისად დადგენილ ვადაში. საქმის განმხილველი სასამართლო ვალდებულია წარადგინოს შუამდგომლობა (შუამდგომლობაში საჩივარიც იგულისხმება), თუ კი მას არ სურს დაკმაყოფილდეს იგი საჩივრის განმხილველი სასამართლოს მიერ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, როგორც სხვა ქვეყნების საპროცესო კოდექსები, კერძო საჩივრის შეტანისთვის აწესებს გარკვეულ ვადებს. კერძო საჩივრის შეტანისათვის ვადების დაწესება განპირობებულია იმით, რომ თუკი განჩინება შევა კანონიერ ძალაში (კანონმდებელი განჩინების კანონიერ ძალაში შესვლისთვის აწესებს გარკვეულ ვადებს), მასზე კერძო საჩივრის შეტანა დაუშვებელი იქნება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად კერძო საჩივრის შეტანისათვის დაწესებულია 12 დღე.<sup>22</sup>

მაგრამ კერძო საჩივრის შეტანაზე საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად სხვა ვადაცაა დაწესებული. მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს ხუთ დღეს.<sup>23</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანის შემჭიდროებულ ვადას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადგენს გამონაკლის შემთხვევაში.

მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად

<sup>21</sup> Гражданское процессуальное право Германии А. Г. Давтян. Москва 2000 стр. 173

<sup>22</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში

<sup>23</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს ხუთ დღეს

თუ საპროცესო ვადა კანონით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს სასამართლო, მაგრამ კანონმდებელი მკაცრად განსაზღვრავს განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანის ვადებს. იმ შემთხვევაში, როცა არ მიუთითებს გასაჩივრების ვადას, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ვადის დადგენის პრეროგატივა სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული. ასეთ შემთხვევაში კერძო საჩივრის შეტანის ვადა განისაზღვრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად 12 დღით, ხოლო სხვა შემთხვევაში, როცა საჩივრის წარდგენის შემჭიდროებულ ვადებზეა საუბარი, კონკრეტული სახის კერძო საჩივარზე განისაზღვრება კანონით.

მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. ამ სახის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად ცხადია, სასამართლომ უნდა მიიღოს შესაბამისი განჩინება, რომელზეც კერძო საჩივრის შეტანა დასაშვებია 5 დღის ვადაში, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის შესაბამისად ამ სახის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები. ამ წესების, ანუ ამავე კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მიღებული განჩინების გასაჩივრების ვადა ხუთი დღეა.

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად კერძო საჩივრის შეტანის ვადები გათანაბრებულია საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადებთან და იგი შეადგენს 10 დღე-ღამეს.<sup>24</sup>

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად კერძო საჩივრის შეტანის ვადა ორი კვირაა.<sup>25</sup>

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კერძო საჩივრის წარდგენის ვადების გამოთვლა გარკვეულწილად განსხვავდება მითითებული

<sup>24</sup> რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე და 338-ე მუხლის შესაბამისად კერძო საჩივრის წარდგენის ვადაა 10 დღე-ღამე

<sup>25</sup> გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 577-ე პარაგრაფის მე-2 პუნქტის შესაბამისად კერძო საჩივარი წარედგინება ორი კვირის ვადაში.

სამი ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრება კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, კერძო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. ეს ნორმა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირში გულისხმობს როგორც მხარეს, ისე სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილ მის წარმომადგენელსაც. იმ შემთხვევაში, როცა კერძო საჩივრის შეტანის უფლებამოსილი პირი არ ესწრება განჩინების გამოტანას, კერძო საჩივრის შეტანის წესი რეგულირდება 416-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში კერძო საჩივრის შეტანის ვადა იწყება შესაბამისი პირისათვის ამ განჩინების ასლის ჩაბარების დღიდან. ამ განჩინების მხარისათვის ან დაინტერესებული პირისათვის გადაცემის მომენტად კი ჩაითვლება უშუალოდ სასამართლოში ჩაბარება ანდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად უწყება ჩაბარებულად ითვლება მაშინ, როცა იგი ადრესატს ჩაბარდება პირადად და ხელს მოაწერს უწყების მეორე ეგზემპლარზე. თითქმის ასეთივე პირობებია დადგენილი ადრესატის არყოფნის შემთხვევაშიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში განჩინება უნდა ჩაბარდეს ამ მუხლში აღნიშნულ პირებს და ჩაბარების შესახებ უწყების მეორე ეგზემპლარზე ხელმოწერით დაადასტუროს მისი მიღება. როგორც პირველ ისე მეორე შემთხვევაში განჩინების ასლი ჩაბარებულად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როცა სათანადო წესით ჩაბარების დოკუმენტი დაუბრუნდება სასამართლოს. თუ ასეთი დოკუმენტი არ იარსებებს, მაშინ განჩინების ასლი ჩაბარებულად არ ჩაითვლება და შესაბამისად კერძო საჩივრის შეტანის ვადაც აითვლება ამ პროცედურის კანონის შესაბამისად განხორციელების შემდეგ.

კერძო საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს კანონში მითითებული ვადის გასვლის შემდეგაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

ამ გამონაკლისს შეიძლება მიეკუთვნოს ისეთი გარემოება, როცა გასაჩივრებულ განჩინებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-

ე მუხლის „ზ“ პუნქტის შესაბამისად არ არის მითითებული განჩინების გასაჩივრების წესი და ვადა ან სასამართლოს სხდომის ოქმში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლის „მ“ პუნქტის შესაბამისად არ არის მითითებული მისი გასაჩივრების წესისა და ვადის განმარტების შესახებ (იმ შემთხვევაში, როცა განჩინება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის დროს).

თუ მხარეს ან დაინტერესებულ პირს არ ეცნობა გასაჩივრების წესის და ვადის შესახებ, მაშინ გასაჩივრების ვადის დენა არ დაიწყება. ასეთ შემთხვევაში გასაჩივრების ვადა არ ათვლება განჩინების გამოცხადების ან მისი მხარისათვის გადაცემის მომენტიდან. ამ წესით მიღებულ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა დასაშვებია ნებისმიერ დროს და კერძო საჩივრის შეტანის ვადა გაშვებულად არ ჩაითვლება, ვინაიდან ივარაუდება, რომ იგი კანონიერ ძალაში არ არის შესული.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად კერძო საჩივრის შეტანის ვადა ათვლება განჩინების ჩაბარების მომენტიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა გასაჩივრების უფლების მქონე პირი ესწრება განჩინების გამოცხადებას, განჩინების გამოცხადების მომენტიდან.

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად კი კერძო საჩივრის შეტანის ვადა ათვლება განჩინების გამოტანის დღიდან (მუხლი 372). როგორც ვხედავთ, კერძო საჩივრის შეტანის ვადების ათვლის პრინციპი სიცხადის თვალსაზრისით უფრო ნათელი და სრულყოფილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. კერძო საჩივრის წარდგენის ვადების გამოთვლის თვალსაზრისით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან მითითებასაც შეიცავს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის შესაბამისად კერძო საჩივრის შეტანისათვის განსაზღვრულია 12 დღიანი ვადა. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. მართალია, იმ კერძო საჩივრებზე, რომელთა შეტანის ვადა მხოლოდ 5 დღით განისაზღვრება არ არის მინიშნება იმის შესახებ, რომ ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კანონში მითითებული კერძო საჩივრის შეტანის ხუთდღიანი ვადის გაგრძელება

დასაშვებია. ამ შემთხვევაში ანალოგიის პრინციპით მოქმედებს 416-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების აკრძალვა - „ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია“. მაშინ, როცა საპროცესო ვადის აღდგენა დაშვებულია რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 111-ე-112-ე მუხლების შესაბამისად, ხოლო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ასეთ გამონაკლისს არ უშვებს.

კერძო საჩივრის გადაწყვეტის ერთ-ერთ უმთავრეს და ძირითად სტადიას წარმოადგენს კერძო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება. ამ ეტაპით იწყება კერძო საჩივრის უშუალოდ სასამართლოსთან შემხებლობა. ამიტომ პროფესორი თენგიზ ლილუაშვილი თავის ნაშრომში „სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში“ განსაკუთრებულ ადგილს უთმობს კერძო საჩივრის დასაშვებობის პირობების გამოკვლევას. იგი სწორად მიუთითებს, რომ კერძო საჩივრის შემოსვლისთანავე სასამართლომ, რომელმაც გამოიტანა გასაჩივრებული განჩინება, უნდა შეამოწმოს მისი დასაშვებობის საკითხი. კერძოდ: ა) ამა თუ იმ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანის შესაძლებლობას უნდა ითვალისწინებდეს კანონი; ბ) კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხარეებს და იმ პირებს, რომლებსაც ეხებათ ეს განჩინება; გ) კერძო საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით; დ) კერძო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც გადაწყვეტილება (განჩინება) გამოიტანა; ე) კერძო საჩივრის შეტანა, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, შეიძლება 12 დღის განმავლობაში, ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია და მისი გამოთვლა იწყება განჩინების გადაცემის მომენტიდან, ხოლო თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, მაშინ კერძო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

თუ აქ ჩამოთვლილი ერთ-ერთი პირობა არ არსებობს, აღნიშნავს პროფესორი თენგიზ ლილუაშვილი, კერძო საჩივარი არ დაიშვება.<sup>26</sup>

მართალია, კერძო საჩივრის დასაშვებად მიჩნევისათვის აუცილებელია ზემოთმითითებული კრიტერიუმების არსებობა, მაგრამ

<sup>26</sup> თენგიზ ლილუაშვილი „სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში“ - პრაქტიკული სახელმძღვანელო II გამოცემა „ჯისიი“ თბილისი 2001 წ. გვ. 341

მარტო ამ კრიტერიუმების არსებობა როდი ნიშნავს იმას, რომ კერძო საჩივარი დასაშვებია. კერძო საჩივრის დასაშვებად მიჩნევისათვის, ჩვენი მოსაზრებით, ასევე აუცილებელია კერძო საჩივრისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობაც.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა.

აქედან გამომდინარე ცხადია, კერძო საჩივარი დასაშვებად რომ იქნეს მიჩნეული, აუცილებელია სახელმწიფო ბაჟის წინასწარ შეტანა (სასამართლოს, მხარის თხოვნის ან სხვა საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, შეუძლია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლება, განაწილვადება, შემცირება და გადაღება).

ვინაიდან კერძო საჩივარი იმ სასამართლოში შედის, რომელმაც მიიღო გასაჩივრებული განჩინება და ამ სასამართლოსვე აქვს უფლება დააკმაყოფილოს კერძო საჩივარი, ცხადია, სახელმწიფო ბაჟიც ამ სასამართლოში უნდა იქნეს გადახდილი, ამასთან – წინასწარ.

კერძო საჩივრის მიმღებმა სასამართლომ კერძო საჩივრის დასაბუთებულობის გადაწყვეტამდე უნდა გაარკვიოს დასაშვებია თუ არა მოცემული კერძო საჩივარი. კერძო საჩივრის დასაშვებობაში სხვა საკითხებთან ერთად (კერძო საჩივრის შეტანა კანონით დადგენილ ვადაში და ა.შ.) ისიც იგულისხმება გადახდილია თუ არა სახელმწიფო ბაჟი და ხომ არ არსებობს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების, გადაღების ან განაწილვადების საფუძვლები. თუ არ გადაწყდება კერძო საჩივრის დასაშვებად მიჩნევის საკითხი, შეუძლებელია სასამართლო შეუდგეს მისი დასაბუთებულობის საკითხის შემოწმებას, ვინაიდან დასაბუთებულობის საკითხის გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ მას შამდეგ, რაც კერძო საჩივარი დასაშვები გახდება.

მიგვაჩნია, რომ თუ კერძო საჩივარზე არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ანუ კერძო საჩივარს თან არ ახლავს სახელმწიფო

ბაჟის გადახდის ქვითარი და ამასთან, კერძო საჩივრის შემტანი არ თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ანდა არ არსებობს მისი გადახდის გადადების, განაწილვადების ან განთავისუფლების საფუძველი, სასამართლო ვალდებულია, მსგავსად სააპელაციო და საკასაციო საჩივრისა, მისცეს ვადა კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზის შესავსებად და თუ მითითებულ ვადაში არ იქნება გამოსწორებული ხარვეზი, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიიჩნიოს იგი დაუშვებლად და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე, 419-ე მუხლების შესაბამისად განსახილველად გადაუგზავნოს ზემდგომ სასამართლოს. ხარვეზის შესავსებად ვადის დაწესების პრინციპი მოქმედებს კერძო საჩივრის ფორმის სხვა ისეთი რეკვიზიტების არარსებობის შემთხვევაშიც, რომელთა გამოც დაუშვებელია კერძო საჩივრის მიღება (კერძო საჩივარი შეტანილია წარმომადგენლის მიერ, მაგრამ კერძო საჩივარს თან არ ახლავს სათანადო რწმუნება კერძო საჩივრის შეტანის უფლების შესახებ და ა.შ.)

სახელმწიფო ბაჟის შეტანის საკითხი რუსეთის ფედერაციის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად სრულიად განსხვავებულია. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ შეიტანება.<sup>27, 28</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად თუ სასამართლო კერძო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, მაშინ იგი აკმაყოფილებს კერძო საჩივარს, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად ზემდგომ სასამართლოს უნდა გადაეგზავნოს.

განჩინების გამოშტანმა სასამართლომ ზემდგომ სასამართლოს კერძო საჩივარი მაშინაც უნდა გადაუგზავნოს თუ კი იგი მიიჩნევს, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო კერძო საჩივარი დაუშვებელია.

<sup>27</sup> რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის შესაბამისად პირველი ინსტანციის სასამართლოში კერძო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხლება.

<sup>28</sup> Авторский коллектив, комментарии к Гражданскому процессуальному кодексу под редакцией Г.П. Ивлева, Москва 2003 г. стр. 148.

(კერძო საჩივრის დაუშვებლად მიჩნევის შემთხვევაში განჩინების გამოძტანი სასამართლო ვერ იმსჯელებს კერძო საჩივრის დასაბუთებულობაზე).

ასეთ შემთხვევაში ზემდგომი სასამართლო შეამოწმებს, თუ რამდენად სწორად მიიჩნია ქვემდგომმა სასამართლომ კერძო საჩივარი დაუშვებლად. ზემდგომი სასამართლო თუ დარწმუნდება, რომ ქვემდგომი სასამართლოს მიერ კერძო საჩივარი სწორადაა დაუშვებლად მიჩნეული, მაშინ 419-ე მუხლის საფუძველზე ზემდგომი სასამართლო დაუშვებლობის გამო კერძო საჩივარს განუხილველად დატოვებს. ზემდგომი სასამართლო თუ კი მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დასაშვებად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, გააუქმებს ქვემდგომი სასამართლოს განჩინებას კერძო საჩივრის დაუშვებლად მიჩნევის შესახებ, კერძო საჩივარს მიიჩნევს დასაშვებად (ან დასაშვებობის საკითხის ხელახლა განხილვის მიზნით) და საქმეს კერძო საჩივრის დასაბუთებულობის შესამოწმებლად დაუბრუნებს ქვემდგომ სასამართლოს.

თუ აღმოჩნდება, რომ კერძო საჩივარი დასაშვები არის, მაგრამ დაუსაბუთებელია, ასეთ შემთხვევაში გასაჩივრებული განჩინების გამოძტანი სასამართლო არ დააკმაყოფილებს კერძო საჩივარს და მას გადაწყვეტილების მისაღებად საქმესთან ერთად გადაუგზავნის ზემდგომ სასამართლოს.

ზემდგომი სასამართლო განიხილავს კერძო საჩივარს და თუ კი მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია, გამოიტანს განჩინებას მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ხოლო თუ კი მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დასაბუთებელია, მაშინ იგი გააუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას.

აქედან გამომდინარე, კერძო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით ქვემდგომ სასამართლოს გამოაქვს განჩინება და მისი განუხილველად დატოვების საკითხის გადასაწყვეტად კერძო საჩივარს საქმესთან ერთად გადაუგზავნის ზემდგომ სასამართლოს. დაუსაბუთებლობის შემთხვევაში კი თავისი განჩინებით არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს, ანუ არ აუქმებს საქმეზე მიღებულ გასაჩივრებულ განჩინებას და კერძო საჩივარზე განჩინების მისაღებად საქმეს კერძო საჩივართან ერთად გადაუგზავნის ზემდგომ სასამართლოში.

შეიძლება დაისვას კითხვა, შესაძლებელია თუ არა ქვემდგომ



სასამართლოში კერძო საჩივარი მიჩნეული იქნეს დაუშვებლად და დაუსაბუთებლად ერთდროულად?

მიმანია, რომ ამაზე შეიძლება ცალსახა პასუხის გაცემა – არა. ასეთი შემთხვევა ვერ იარსებებს, ვინაიდან კერძო საჩივრის დასაბუთებულობის საკითხის შემოწმება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როცა კერძო საჩივარი დასაშვებად იქნება მიჩნეული.

დაუშვებელია გასაჩივრებული განჩინების გამომტანმა სასამართლომ დაუშვებლობის გამო კერძო საჩივარი განუხილველად დატოვოს. ამ სახის გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ ზემდგომ სასამართლოს გააჩნია, ისიც მაშინ, როცა ქვემდგომი სასამართლოს მიერ ხარვეზის შეუვსებლობის გამო საჩივარი დასაშვებად არ იქნა მიჩნეული.

ასევე დაუშვებელია ქვემდგომმა სასამართლომ კერძო საჩივრის დაუსაბუთებლობის გამო მიიღოს განჩინება კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების ან კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. თუ ქვემდგომი სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია, იგი არ გააუქმეს საქმეზე მიღებულ გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს კერძო საჩივართან ერთად გადაუგზავნის ზემდგომ სასამართლოს. ზემდგომი სასამართლო თუ კი დარწმუნდება, რომ კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია, უსაფუძვლოა, მიიღებს განჩინებას კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

თუ ქვემდგომმა სასამართლომ დასაშვებობის საკითხი განიხილა, კერძო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია და საქმე კერძო საჩივართან ერთად გადააგზავნა ზემდგომ სასამართლოში, ზემდგომი სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს მხოლოდ ამ საჩივრის დასაშვებობის საკითხი. კერძო საჩივრის დასაბუთებულობის საკითხს ზემდგომი სასამართლო, ჩვენი აზრით მანამ ვერ განიხილავს, სანამ ქვემდგომი სასამართლო დასაბუთებულობასთან დაკავშირებით თავის აზრს არ გამოთქვამს, ანუ ქვემდგომი სასამართლო სანამ დაუსაბუთებლად არ მიიჩნევს კერძო საჩივარს. ეს იმიტომ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის შესაბამისად კერძო საჩივრის დასაბუთებულობის შემთხვევაში კერძო საჩივრის დაკმაყოფილების პრეროგატივა ქვემდგომ სასამართლოს ეკუთვნის. ზემდგომ სასა-

მართლოს კერძო საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმება შეუძლია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქვემდგომი სასამართლო კერძო საჩივარს დაუსაბუთებლად მიიჩნევს. თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის პირველი წინადადების მოთხოვნა აზრს კარგავს და ჩნდება არასწორი შეხედულება კერძო საჩივრის პირდაპირ ზემდგომ ინსტანციაში შეტანის შესახებ, რაც მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე დაუშვებელია.

ზემდგომი სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში, კერძო საჩივრის დასაბუთებულობის შესამოწმებლად, ქვემდგომ სასამართლოში საქმის დაბრუნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმის განხილვის გაჭიანურება. ამის თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილი ხომ არ იქნება კერძო საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმება უშუალოდ ზემდგომმა სასამართლომ მოახდინოს? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი შეიძლება არ არსებობდეს. კერძო საჩივრის დასაბუთებულობის უშუალოდ ზემდგომ სასამართლოს მიერ განხილვამ ზოგ შემთხვევაში შეიძლება კიდევ უფრო გაართულოს და გააჭიანუროს საქმის განხილვა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კერძო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს ახალ ფაქტებს და მტკიცებულებებს, რომელთა გამოკვლევა (მტკიცებულებების შესაბამისად ფაქტობრივი გარემოებების დადგენა) ქვემდგომი სასამართლოს პრეროგატივაა. მითუმეტეს მაშინ, როცა კერძო საჩივარი შეტანილია სააპელაციო ან საოლქო სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაზე. როგორც ცნობილია, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილი არ არის გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და ახალი მტკიცებულებები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტების მიმართ, რომელიც ასახულია საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის გადაწყვეტილებაში ან საქმის მასალებში.

მართალია, კანონით უზრუნველყოფილ სიკეთეთა სასამართლო დაცვა, მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელება პრიორიტეტული პრინციპია და სასამართლო მაქსიმალურად უნდა ზღუდავდეს საკითხის გაჭიანურების განმაპირობებელ ფაქტორებს, ადგილი არ უნდა ჰქონდეს საქმეთა გაუთავებელ გადაცემას ერთი ინსტანციიდან

მეორეში და პირიქით, ვინაიდან წლების მანძილზე სასამართლო პროცესების გაჭიანურება უარყოფითად მოქმედებს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტზე, მაგრამ ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ პრინციპის განუხრელად განხორციელების მიზნით დაადგინა კანონმდებელმა კერძო საჩივრის დასაშვებობის და დასაბუთებულობის შემოწმების შესაძლებლობა იმ სასამართლოს მიერ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოიტანა. ამ პრიორიტეტის წართმევა ქვემდგომი სასამართლოსათვის დაუშვებელია და იგი ვერ იქნება გამართლებული. ასე რომ არ იყოს მაშინ კანონმდებელი განჩინებაზე შეტანილი კერძო საჩივრის განხილვის შესაძლებლობას აუკრძალავდა განჩინების გამომტან სასამართლოს და დაადგენდა, რომ კერძო საჩივრის ზემდგომ სასამართლოში შეტანა მომხდარიყო გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლოს მეშვეობით (როგორც ეს რუსეთის ფედერაციაში და ზოგიერთ სხვა ქვეყნებშია დადგენილი).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზემდგომი სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის ქვემდგომ სასამართლოში გადაზავნის შესაძლებლობა არ არის ახალი. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა იცნობს საჩივრის ქვემდგომ სასამართლოში გაგზავნის შესაძლებლობას. თუ სასამართლო, რომელიც იხილავს საჩივარს, ჩათვლის მას დასაბუთებულად, შეუძლია გადასცეს აუცილებელი განკარგულებანი სასამართლოს ან თავმჯდომარეს, რომლებმაც გამოიტანეს გასაჩივრებული განჩინება.<sup>29</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის შესაბამისად კერძო საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ქვემდგომი სასამართლო ზემდგომ სასამართლოს კერძო საჩივარს საქმის მასალებთან ერთად უგზავნის 5 დღის განმავლობაში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 571-ე პარაგრაფის შესაბამისად ეს ვადა ერთ კვირას შეადგენს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას (გარდა ზოგიერთი

<sup>29</sup> გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 575-ე პარაგრაფი

შემთხვევებისა, მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრება, მუხლი 197-ე), რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული, მაგრამ სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ასეთი საპროცესო მოქმედების შესრულება.

შეჩერების უფლება აქვს როგორც იმ სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა გასაჩივრებული განჩინება, ასევე ზემდგომ სასამართლოსაც.<sup>30</sup>

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად გასაჩივრებული განჩინების აღსრულების როგორც შეჩერება, ისე აღსრულების გადავადებაცაა შესაძლებელი.<sup>31</sup>

მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლში მითითებული არ არის კერძო საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში რა სახის საპროცესო დოკუმენტს ადგენს სასამართლო, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა შემთხვევაში მიღებული უნდა იქნეს განჩინება, ვინაიდან სხვაგვარად ზემდგომი სასამართლოსათვის, ასევე პროცესის მონაწილეთათვის, ძნელი გასარკვევი გახდება, თუ რატომ არ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი ქვემდგომმა სასამართლომ.

ამასთან დაკავშირებით პროფესორ თენგიზ ლილუაშვილის ნაშრომში „სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში“, მითითებულია, რომ „იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო კერძო საჩივარს დაუშვებლად ან დაუსაბუთებლად მიიჩნევს, მაშინ მას გამოაქვს განჩინება კერძო საჩივრის დაუშვებლობის ან მასზე უარის თქმის და საქმესთან ერთად მის ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის შესახებ. ასეთი განჩინების გამოტანა საჭიროა იმისთვის, რომ ზემდგომ სასამართლოს ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია ქვემდგომი სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის განხილვის შესახებ“.<sup>32</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ როგორ მიიღება გადაწყვეტილება კერძო საჩივრის

<sup>30</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 418-ე მუხლი.

<sup>31</sup> გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 572-ე პარაგრაფი

<sup>32</sup> თენგიზ ლილუაშვილი „სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში“ პრაქტიკული სახელმძღვანელო II გამოცემა „ჯისთაი“ თბილისი 2001 წ. გვ. 343

თაობაზე. ამ ნორმის პირველი ნაწილის შესაბამისად კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს. ეს განჩინება შეიძლება იყოს საჩივრის დაკმაყოფილების, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ან მისი ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე. ვინაიდან მითითებული ნორმა ზუსტად არ განსაზღვრავს იმას, თუ როგორი სახის განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს და მხოლოდ ზოგადად მიუთითებს, რომ კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს. ეს იძლევა იმის საფუძველს, რომ ზემდგომმა სასამართლომ, როგორც აღვნიშნეთ, მიიღოს განჩინება კერძო საჩივრის დასაშვებად მიჩნევის შესახებ და დასაბუთებულობის საკითხის გარკვევის მიზნით საქმე გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოში დააბრუნოს (თუ ქვემდგომ სასამართლოს დასაბუთებულობის საკითხი გამოკვლეული არ ჰქონდა და იმსჯელა საჩივრის მხოლოდ დასაშვებობაზე). ამ მოსაზრების საფუძველს ისიც იძლევა, რომ თენგიზ ლილუაშვილი თავის ნაშრომში „სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში“ ხაზგასმით მიუთითებს, რომ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის აზრის მიხედვით კერძო საჩივრის წინასწარი ანუ პირველადი განხილვა იმ სასამართლოს მიერ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინება გამოიტანა, წარმოადგენს ამ კერძო საჩივრის ზემდგომ სასამართლოში განხილვის აუცილებელ პირობას“.<sup>33</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოში შეტანილი კერძო საჩივრის განხილვა საქმის ზეპირი განხილვით ხდება, თუ მის გარეშე. ასეთ ვითარებაში მართლაც გაურკვეველია, თუ რა წესით უნდა მოხდეს გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის დასაბუთებულობის და დასაშვებობის შემოწმება. მიგვაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ეს საკითხები საჩივრის განმხილველმა სასამართლომ თვითონ უნდა გადაწყვიტოს იმ პირობით, რომ თუ კი იგი კერძო საჩივრის განხილვას გადაწყვეტს საქმის ზეპირი

<sup>33</sup> თენგიზ ლილუაშვილი „სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში“ პრაქტიკული სახელმძღვანელო II გამოცემა „ჯისიი“ თბილისი 2001 წ. გვ 343

განხილვის გარეშე, ამის შესახებ წინასწარ საქმის კურსში უნდა ჩააყენოს საქმეში მონაწილე მხარეები. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, ზემდგომ სასამართლოში კერძო საჩივრის განხილვის დროს გამოძახებული მოწინააღმდეგე მხარე ან კერძო საჩივრის შემტანი პირი მოუმზადებელი აღმოჩნდეს (მოწინააღმდეგე მხარისათვის საერთოდ ცნობილი არ იყოს კერძო საჩივრის არსებობაც კი) საქმის ზეპირი განხილვისათვის.

აქედან გამომდინარე სწორად მიგვაჩნია პროფესორი თენგიზ ლილუაშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გასაჩივრებული განჩინება, საჩივარს განიხილავს როგორც მხარეთა მონაწილეობით, ისე მათ გარეშეც.<sup>34</sup>

საკითხისადმი ამგვარი მიდგომის შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის შინაარსიც იძლევა, რომელშიც არაფერია მითითებული იმ პროცედურაზე, თუ რა წესით შეიძლება მოხდეს საჩივრის განხილვა ქვემდგომ სასამართლოში.

შედარებით სხვაგვარადაა დარეგულირებული საჩივრის განხილვის საკითხი ზემდგომ სასამართლოში. კერძოდ, გარკვეულ დაბნეულობას იწვევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება. ამ ნორმის შესაბამისად განჩინება მიიღება მოწინააღმდეგე მხარის მოსმენის შემდეგ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. თავისთავად იბადება კითხვა კერძო საჩივართან დაკავშირებით თუ კი მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებას მოისმენს სასამართლო, მაშინ ამგვარი სახის სასამართლო პროცესი იქნება კი საქმის ზეპირი განხილვის გარეშე ჩატარებული? მითუმეტეს ამ ნორმაში არაფერია მითითებული იმის შესახებ, სასამართლო მოუსმენს თუ არა საჩივრის შემტან პირს. ამის მიუთითებლობა კი წარმოშობს იმის ვარაუდის დაშვებას, რომ მართალია, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე მოწინააღმდეგე მხარის მოსმენის შემდეგ მიიღება განჩინება, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მოსმენილი არ შეიძლება იყოს კერძო საჩივრის ავტორის განმარტება. ანალოგიურ გაუგებრობას იწვევს ამ ნორმის ბოლო წინადადებაც, სადაც მითითებულია, რომ

<sup>34</sup> თენგიზ ლილუაშვილი „სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში“ პრაქტიკული სახელმძღვანელო II გამოცემა „ჯისიი“ თბილისი 2001 წ. გვ. 343

ზემდგომ სასამართლოს შეუძლია, აგრეთვე, განიხილოს კერძო საჩივარი მოწინააღმდეგე მხარის მოსმენის გარეშეც, თუ კი საჩივარი დაუშვებელი ან აშკარად უსაფუძვლოა. ნორმის ამგვარი ფორმულირება იძლევა იმის ვარაუდის საფუძველსაც, რომ მოწინააღმდეგე მხარის მოსმენის გარეშე მაშინ შეიძლება კერძო საჩივრის განხილვა, თუ კერძო საჩივარი დაუშვებელი ან აშკარად უსაფუძვლოა. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება დაისვას კითხვა – მაშინ როდის შეიძლება განხილულ იქნეს კერძო საჩივარი ზეპირი მოსმენის გარეშე, როცა კერძო საჩივარი დასაშვები კი არის მაგრამ დაუსაბუთებელია? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი ნორმაში არ მოიპოვება. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეს ნორმა კორექტირებას საჭიროებს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 573-ე პარაგრაფის (1) პუნქტის შესაბამისად განჩინება კერძო საჩივარზე შეიძლება მიღებულ იქნეს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. ამ ნორმის შესაბამისად დასაშვებია კერძო საჩივარზე განჩინების მიღება, როგორც ზეპირი განხილვის გარეშე, ისე – ზეპირი განხილვითაც.

მიგვაჩნია, რომ ზემდგომ სასამართლოში კერძო საჩივრის განხილვა შესაძლებელია საქმის ზეპირი განხილვის გარეშეც (პრაქტიკაც ამგვარად მიდის). მითუმეტეს ეს შესაძლებელია საკასაციო სასამართლოში, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ საკასაციო სასამართლოს საქმის განხილვა არ მიაჩნია საჭიროდ, მას შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. მითუმეტეს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით ზემდგომ სასამართლოში კერძო საჩივრის განხილვის წესი დადგენილია ამ სასამართლოსათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. (საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვა ზეპირი განხილვის გარეშეც მიმდინარეობს). ამიტომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადების მიუხედავად საკასაციო სასამართლოში კერძო საჩივრის განხილვა დასაშვებია საქმის ზეპირი განხილვის გარეშეც.

მართალია, სერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად საქართველოს სასა-

მართლო სისტემა სამსაფეხურიანია და კერძო საჩივრის განხილვა შესაძლებელია სამივე ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ იმ პრინციპის განუხრელად დაცვით, რომ ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება. ანუ კერძო საჩივარი განიხილება მხოლოდ გასაჩივრებული განჩინების გამოძთან და მის ზემდგომ სასამართლოში. ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.<sup>35</sup>

ამრიგად, რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილ გასაჩივრებულ განჩინებაზე შეტანილ კერძო საჩივართან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ხოლო სააპელაციო ან საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილ გასაჩივრებულ განჩინებებზე (ასევე აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილ გასაჩივრებულ განჩინებებზე) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ საოლქო სასამართლოს პალატის და კოლეგიისათვის, ასევე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსათვის საქართველოს უზენაესი სასამართლო ზემდგომი სასამართლოა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის შესაბამე ნაწილის შესაბამისად ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ საჩივრდება და მეორეც, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება და გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 409-413-ე მუხლების შინაარსის შესაბამისად საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

როგორც აღინიშნა, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებაზე მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში კერძო საჩივრის შეტანისათვის დადგენილ ვადებში. კერძო საჩივრის შეტანის ვადის გასვლის შემდეგ საქმეზე გამოტანილი განჩინება შედის კანონიერ ძალაში და მისი კერძო საჩივრით გასაჩივრება დაუშვებელია. ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მხარეს საბოლოოდ წაერთმევა უფლება მისთვის სადავო

<sup>35</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილი



განჩინების გასაჩივრებისა. მართალია, ასეთი სახის განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრებისათვის საფუძველი არ არსებობს, გაშვებული ვადის აღდგენა ან გაგრძელება გამორიცხულია, მაგრამ ასეთი განჩინება, რომლის გასაჩივრებაც შეიძლებოდა კერძო საჩივრით და ისეთი განჩინებაც, რომლის გასაჩივრებასაც არ ადგენდა კანონი, ან მხოლოდ საჩივრდებოდა გადაწყვეტილებასთან ერთად, შეიძლება საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრდეს, როგორც სააპელაციო სასამართლოში, ისე საკასაციო სასამართლოში.<sup>36</sup>

აღნიშნული გარემოება არ ნიშნავს იმას, რომ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო ქვემდგომი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების დროს ვალდებულია, შეამოწმოს გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინებებიც. ამ სახის განჩინებების შემოწმება ზემდგომი სასამართლოს კომპეტენციაში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ამის შესახებ მითითებულია სააპელაციო და საკასაციო საჩივარში. საბოლოო გადაწყვეტილების წინმსწრებ განჩინებებზე სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია, თუკი სააპელაციო ან საკასაციო საჩივრით არ არის მოთხოვნილი მისი გაუქმება ან შეცვლა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. ანალოგიურად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

---

<sup>36</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს, აგრეთვე, სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს, აგრეთვე, სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას. იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კერძო საჩივრის შეტანის ვადის გაშვების შემდეგ განჩინების გასაჩივრების უფლება ყველას არა აქვს. ამ უფლებით უკვე ვერ ისარგებლებენ მესამე პირები, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, ვინაიდან კერძო საჩივრის შეტანის ვადის გასვლის შემდეგ განჩინების გასაჩივრება ხდება საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად. გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება კი მხოლოდ მხარეს და მასთან გათანაბრებულ მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით გააჩნია. (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე და 391-ე მუხლები)

როგორც ცნობილია, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე შეიძლება შეგებებული სააპელაციო და საკასაციო საჩივრების წარდგენაც. აქედან გამომდინარე, თუკი სააპელაციო საჩივარში საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრებულია მისი წინმსწრები რომელიმე განჩინება, მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანისა, რომლითაც ასევე გასაჩივრებული შეიძლება იყოს ის წინმსწრები განჩინებებიც, რომლებიც შეიძლება გასაჩივრებულიყო კერძო საჩივრით.

ისეთ განჩინებაზე, რომლის გასაჩივრებაც ხდება საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად, საჩივრის შეტანის ვადა განსაზღვრული არ არის. მისი გასაჩივრება ვადით არ არის შეზღუდული, იმიტომ რომ ამ სახის განჩინებაზე საჩივარი შედის სააპელაციო ან საკასაციო საჩივართან ერთად, რომლითაც საჩივრდება საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება. გასაჩივრების ვადები ამ შემთხვევაში გამოითვლება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე და 397-ე მუხლების შესაბამისად. ე.ი. გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადები ავტომატურად ვრცელდება იმ განჩინებების გასაჩივრების ვადებზეც, რომელთა გასაჩივრება შეიძლებოდა კერძო საჩივრით, მაგრამ არ გასაჩივრდა, ასევე იმაზეც, რომლებზეც კერძო საჩივარი დაიშვებოდა მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად ან, რომელთა გასაჩივრება კერძო საჩივრით დაუშვებელი იყო. ანუ, როცა სააპელაციო და საკასაციო საჩივრით ხდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინების გასაჩივრებაც, საჩივარი შეიძლება წარდგენილ

იქნეს კერძო საჩივრისათვის დადგენილი 5 დღიანი და 12 დღიანი ვადის დარღვევითაც. ეს დრო შეიძლება 1 თვეზე მეტიც კი იყოს. ამ წესით განჩინების გასაჩივრებისას გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა გასულად არ ჩაითვლება.

ამ წესის თავისებურება ისიცაა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინების სააპელაციო ან საკასაციო წესით გასაჩივრების დროს ხდება კანონიერ ძალაში შესული განჩინების გასაჩივრებაც.

საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად განჩინების გასაჩივრებისას მნიშვნელობა არა აქვს გასაჩივრებული განჩინება შესულია თუ არა კანონიერ ძალაში. უფრო მეტიც, არც იმას აქვს მნიშვნელობა, ეს განჩინება უკვე აღსრულებულია თუ არა.

შეიძლება წარმოიშვას კითხვა: შესაძლებელია თუ არა იმ განჩინების გასაჩივრება საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად, რომელიც გასაჩივრებული იყო კერძო საჩივრით და მიღებულია მასზე სათანადო განჩინება ზემდგომი სასამართლოს მიერ. ამ შეკითხვაზე შეიძლება ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი პასუხის გაცემა, იმიტომ, რომ ამ განჩინებაზე ზემდგომ სასამართლოს უკვე მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება. თუკი ქვემდგომი სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაზე შეტანილი კერძო საჩივარი თვით ქვემდგომმა სასამართლომ დააკმაყოფილა, ვფიქრობთ, რომ ამ სახის განჩინების გასაჩივრება დასაშვებია საქმეზე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად, ვინაიდან ქვემდგომი სასამართლოს განჩინებაზე ზემდგომ სასამართლოს თავისი შეხედულება არ გამოუთქვამს. ასეთი სახის განჩინების გასაჩივრება მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია საერთო წესით, როგორც კერძო საჩივრის შეტანით, ისე საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად.

აქვე შეგვიძლია მოვიყვანოთ კერძო საჩივართან დაკავშირებული ზოგიერთი თავისებურებანიც.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარე სასამართლოს ან მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი ფორმით განუცხადებს უარს სააპელაციო გასაჩივრებაზე, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება.

შეიძლება დაისვას კითხვა: ამ პრინციპის გავრცელება შეიძლება

თუ არა კერძო საჩივარზე? ვფიქრობთ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის (კანონის და სამართლის ანალოგია) საფუძველზე ეს დასაშვებია. თუ კი განჩინების გამოტანის დროს პროცესში მონაწილე მხარეები და პირები წერილობით უარს განაცხადებენ მიღებული განჩინების გასაჩივრებაზე, ამ პირთა კერძო საჩივარი აღარ დაიშვება არც დამოუკიდებლად და არც სააპელაციო ან საკასაციო საჩივართან ერთად.

იმ შემთხვევაში, როცა უკვე შეტანილია კერძო საჩივარი სააპელაციო ან საკასაციო საჩივართან ერთად და მხარე უარს ამბობს სააპელაციო ან საკასაციო საჩივარზე, რა ბედი შეიძლება ეწიოს კერძო საჩივარს?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 378-ე და 399-ე მუხლები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. საქმის ზეპირი განხილვისას სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია მოწინააღმდეგე მხარის თანხმობით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება სასამართლო ხარჯების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის შესაბამისად საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს ამ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

ამ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სააპელაციო და საკასაციო საჩივართან ერთად გასაჩივრებული განჩინება (რომელზეც შეიძლება დამოუკიდებელი კერძო საჩივრის შეტანა, რომელიც ცალკე არ გასაჩივრებოდა ან რომლის გასაჩივრებაც შეიძლებოდა მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად), სააპელაციო და საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შემდეგ არ განი-

ხილვა.

სააპელაციო და საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შემდეგ ამ საჩივრებში მითითებული განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობა რომ დაეუშვათ თავდაყირა დავაყენებით პრინციპს სააპელაციო და საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ და რევიზიას გაეუწევდით კანონის იმპერატიულ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ სააპელაციო და საკასაციო საჩივარზე უარის თქმა მხარეს ართმევს აპელაციის და კასაციის უფლებას. როცა განჩინება გასაჩივრებულია სააპელაციო და საკასაციო საჩივრით საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად თავისთავად ცხადია, თუ აპელანტი ან კასატორი უარს იტყვის სააპელაციო და საკასაციო საჩივარზე სააპელაციო და საკასაციო წარმოება შეწყდება. აქედან გამომდინარე განხილვის გარეშე დარჩება ის განჩინება, რომლის გაუქმება ან შეცვლა იყო მოთხოვნილი სააპელაციო ან საკასაციო საჩივრით, ვინაიდან სააპელაციო და საკასაციო საჩივარზე უარის თქმაში ისიც ივარაუდება, რომ უარის თქმის შემდეგ აღარ არსებობს ეს საპროცესო დოკუმენტი, მისი დანიშნულება ანულირებულია.

აღნიშნული პუბლიკაციით შევეცადეთ გადმოგვეცა ჩვენი შეხედულებანი კერძო საჩივრის და მისი გამოყენების ზოგადი პრინციპების თაობაზე.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული შეხედულებები შეუძლებელია უკრიტიკოდ იქნეს გაზიარებული. ამგვარი სახის პოლემიკა მეტად მნიშვნელოვანი ინსტიტუტის გარშემო, როგორცაა სამოქალაქო საქმეზე კერძო საჩივრის შეტანა, უფრო დახვეწს და სრულყოფილს გახდის ამ მიმართებით პრაქტიკოს იურისტთა მუშაობას. პოლემიკა ამ საკითხების ირგვლივ საჭიროა იმიტომაც, რომ კერძო საჩივრის გადაწყვეტასთან დაკავშირებით პრაქტიკოს იურისტთა შორის სხვადასხვაგვარი მიდგომა არსებობს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია – იურიდიული და საგამომცემლო კომპანია, შპს „ნორმა“, 1995 წ.
2. თენგიზ ლილუაშვილი „სამოქალაქო საქმეთა წარმოება

- სასამართლოში“ – პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა
3. ოთარ მელქაძე, ბექა დვალი „სასამართლო ხელისუფლება საზვარგარეთის ქვეყნებში“ - სამართლებრივი ლიტერატურის სერია – წიგნი XI, თბილისი, „მერანი-3“, 2000 წ.
  4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.
  5. ავთანდილ კობახიძე „სამოქალაქო საპროცესო სამართალი I“, ზოგადი საკითხები – გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2001 წ.
  6. Коллектив авторов «Гражданский процесс», 3-е издание, Москва, 2000, стр. 423.
  7. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
  8. А. Г. Давтян. Гражданское процессуальное право Германии, Москва, 2000г.
  9. Авторский коллектив под редакцией М. К. Треушникова «Комментарий к Гражданскому процессуальному Кодексу».
  10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

## მესამე პირები სამოქალაქო სამართლის პროცესში

სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვაში მრავალი პირი მონაწილეობს, თითოეულ მათგანს განსხვავებული უფლებები და მოვალეობები აქვს. პროცესში მონაწილე პირების უფლებებისა და მოვალეობების სწორად განსაზღვრას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. როგორც წესი, სამოქალაქო დავის განხილვაში სულ ცოტა ორი მხარე მონაწილეობს – მოსარჩელე და მოპასუხე. თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დასაშვებად მიიჩნევს ისეთ სიტუაციას, როცა საქმეში რამდენიმე მოსარჩელე ან რამდენიმე მოპასუხეა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 8-ე მუხლის თანახმად სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში ადგილი გვაქვს საპროცესო თანამონაწილეობასთან. თანამონაწილეები პროცესში სარგებლობენ ყველა იმ საპროცესო უფლებით რაც ამ კოდექსის თანახმად მინიჭებული აქვთ მხარეებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით გარდა მხარეებისა სასამართლოში სამოქალაქო დავის გადაწყვეტაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ მესამე პირებმა. მესამე პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ერთეულადაა დაწესებული სასამართლო პროცესში და იურიდიული ინტერესი აქვს განსახილველი დავის მიმართ. იმის მიხედვით თუ როგორია მესამე პირის იურიდიული ინტერესი განსახილველი დავის მიმართ მესამე პირები იყოფა ორ ჯგუფად: მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე. თავდაპირველად შევეხოთ მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

## I. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად ყოველ დაინტერესებულ პირს, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე შეუძლია აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე (მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით). მესამე პირის სარჩელის მიღება და განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით. მესამე პირისა და თავდაპირველი მოსარჩელის სარჩელის გადაწყვეტა ხდება ერთდროულად.

კანონმდებელი გამოყოფს რამოდენიმე პირობას, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს მესამე პირის, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, საქმეში ჩაბმის დროს.

1. პირი უნდა აცხადებდეს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე;

2. მესამე პირის სარჩელის მიღება და განხილვა უნდა მოხდეს საერთო წესების დაცვით;

3. მოთხოვნა წამოყენებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე:

განვიხილოთ თითოეული საკითხი ცალ-ცალკე:

1. ამოსავალ წერტილს იმისათვის, რომ პირი ჩაბმული იქნას პროცესში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით წარმოადგენს ის, რომ იგი უნდა აცხადებდეს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე. მაგალითად, მგოგუაძემ სარჩელი შეიტანა სასამართლოში, მოპასუხედ მიუთითა ყოფილი მეუღლე ზ.პეტრიაშვილი და მოითხოვა ქორწინების განმავლობაში ერთად შეძენილი ქონების, მათ შორის საცხოვრებელი სახლის, გაყოფა. სასამართლოს ასევე განცხადებით მიმართა ლ.ნებიერიძემ, რომელმაც მოპასუხედ მიუთითა როგორც მოსარჩელე გოგუაძე, ასევე მოპასუხედ პეტრიაშვილი და მოითხოვა სადავო სახლის ორი ოთახის მესაკუთრედ ცნობა იმ საფუძველით, რომ აღნიშნული ოთახები შინაურული ხელწერილით შეიძინა გოგუაძისა და პეტრიაშვილისაგან. მოცემული შემთხვევა წარმოადგენს ტიპიურ მაგალითს, როდესაც დაინტერესებული პირი აცხადებს დამოუკიდებელ სასარჩელო პრე-



ტენზიას როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის წინააღმდეგ დავის საგანზე, მოცემულ შემთხვევაში, სახლის ნაწილზე – ორ ოთახზე. თუ პირი არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, რადგან მხოლოდ ის გარემოება, რომ პირს რაღაც პრეტენზიები აქვს საქმეში მოსარჩელედ და მოპასუხედ მონაწილე მხარეების მიმართ, არ შეიძლება გახდეს მისი დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირად ჩაბმის საფუძველი. თუმცა, სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ჩართულია პირი, რომლის მოთხოვნაც დაკავშირებული არ არის უშუალოდ დავის საგანთან ან მის ნაწილთან. მაგალითად, გიორგაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ლოლაძის გამოსახლება ქთბილისში, წერეთლის გამზირზე მდებარე სამოთახიანი ბინიდან იმ საფუძველით, რომ აღნიშნული ბინა მან შეიძინა აუქციონზე. დღეისათვის ბინის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია თვითონ. მოპასუხე, რომელიც არის სადავო ბინის ძველი მესაკუთრე, არ ათავისუფლებს ბინას და ასევე უარს ამბობს ქირის გადახდაზე. სასამართლოს განცხადებით მიმართა ლოლაძის მეუღლემ თ.ლოლაძემ, რომელმაც მოითხოვა საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ჩაბმა. მისი სასარჩელო მოთხოვნა მიმართული იყო მოპასუხე დოლიძის და ბანკ „ქართუს“ წინააღმდეგ. სასარჩელო განცხადებით თ.ლოლაძე ითხოვდა ლოლაძესა და ბანკ „ქართუს“ შორის გაფორმებულ იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმებას იმ საფუძველით, რომ სადავო ბინა წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას. ლოლაძემ მისი ნებართვის გარეშე გააფორმა ბანკთან იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის სანაცვლოდაც მიიღო ბანკიდან სესხი. ვინაიდან ლოლაძემ ვერ მოახერხა ბანკის სესხის დროულად გადახდა, სასამართლოს გადაწყვეტილებით ლოლაძეს დაეკისრა ბანკის სასარგებლოდ თანხის გადახდა და, რადგან იპოთეკით იყო დატვირთული სადავო ბინა, დაინიშნა აუქციონი და მოხდა სადავო ბინის რეალიზაცია. სასამართლომ დააკმაყოფილა ლოლაძის მოთხოვნა, წარმოებაში მიიღო მისი სასარჩელო განცხადება და ჩართო იგი საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

მიმართა, რომ სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში არ გაითვალისწინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა, მიმართული უნდა იყოს დავის საგნის ან მისი ნაწილის მიმართ. მოცემულ შემთხვევაში ძირითად სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს ბინიდან გამოსახლება, ხოლო მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, სასარჩელო მოთხოვნაა – იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმება. აქედან გამომდინარე, მესამე პირის მოთხოვნა წამოყენებული არ არის ძირითად სარჩელში დავის საგნის ან მისი ნაწილის მიმართ. სასამართლოს თ.ლოლოაძე საქმეში არ უნდა ჩაერთო როგორც მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. თ.ლოლოაძეს შეეძლო აღნიშნული სარჩელი შეეტანა ცალკე და მოეთხოვა მისი გაერთიანება გიორგაძის სარჩელთან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის შესაბამისად.

ხშირად სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც როცა საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ჩართულია პირი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი, თუ რა დამოუკიდებელი მოთხოვნა აქვს მას დავის საგნის მიმართ. ან აქვს თუ არა საერთოდ მოთხოვნა. მაგალითად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ქონების მართვის სამინისტროს ქუთაისის საამმართველომ და მოითხოვა ერთ-ერთ სააქციო საზოგადოებაში აქციათა რეესტრის ჩანაწერების გაუქმება და სააქციო საზოგადოების შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრთათვის აქციათა საკუთრებაში დადასტურება. სასამართლოს განცხადებით მიმართეს ასევე მოპასუხე სააქციო საზოგადოების აქციონერებმა და მოთხოვეს საქმეში ჩაბმა მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. სასამართლოს განჩინებით სააქციო საზოგადოების თოთხმეტი აქციონერი ჩამული იქნა საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არ დევს მათი სასარჩელო განცხადება და არ არის გამოკვეთილი, თუ რა დამოუკიდებელი მოთხოვნა აქვთ მათ. როგორც წარმოდგენილი განცხადებიდან ირკვევა მათი მოთხოვნები სავსებით იდენტურია მოსარჩელის მოთხოვნისა. ასეთ ვითარებაში მიგვაჩნია, სასამართლომ არასწორად ჩართო საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, რადგან ასე-

თი მოთხოვნა მათ ფაქტობრივად არ გააჩნდათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ პირი ჩაბმული იქნეს საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით წარმოადგენს ის, რომ ეს პირი აცხადებდეს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე.

2. მესამე პირმა დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნა უნდა წარადგინოს ყველა იმ წესის დაცვით, რაც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია სარჩელის წარმოებაში მიღებისათვის. კერძოდ, სარჩელი შედგენილი უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მას უნდა ახლდეს სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები იმ რაოდენობით, რამდენი მოპასუხეც არის მითითებული სარჩელში, გადახდილი უნდა იყოს სახელმწიფო ბაჟი. სასამართლო, შეამოწმებს მესამე პირის სასარჩელო განცხადებას და, თუ მიიჩნევს, რომ სარჩელი შეტანილია კანონის მოთხოვნათა დაცვით, გამოიტანს განჩინებას მესამე პირის სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ, ხოლო თუ შემოწმების შედეგად სასამართლო მიიჩნევს, რომ მესამე პირის სარჩელი ხარვეზიანია, გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შესავსებად ვადის მიცემის შესახებ და იმის მიხედვით გამოასწორებს თუ არა დანიშნულ ვადაში დაინტერესებული პირი ხარვეზს, გადაწყვეტს საკითხს მისი სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ. სასამართლო პრაქტიკაში ხშირად, სამწუხაროდ, უგულებელყოფილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მესამე პირის სარჩელის მიღება განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით. სასამართლოები არ იღებენ განჩინებას მესამე პირის სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ, რის გამოც ხშირად გაურკვეველი ხდება საკითხი იყო თუ არა წარმოდგენილი მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა. [მაგალითად, ვ.ბ-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს ქ.ი-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მისი გამოსახლება ყიფშიძის ქუჩაზე მდებარე ბინიდან იმ საფუძვლით, რომ მან შეიძინა სადავო ბინა ქ.ი-საგან კანონით დადგენილი წესით და დღეისათვის წარმოადგენს ბინის მესაკუთრეს. მოპასუხე არ ათავისუფლებს ბინას და არ აძლევს საშუალებას ისარგებლოს მის მიერ შეძენილი ბინით. თ.გ-

მ მიმართა სასამართლოს განცხადებით და მოითხოვა სადავო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება და ბინის აუქციონზე გაყიდვა, რადგან ქ.ი-მ მისგან ისესხა თანხა და სადავო ბინა დატვირთა იპოთეკით, ვალი კი არ გადაუხდია. განმცხადებელი თ.გ. მოითხოვდა საქმეში ჩაბმას მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. სასამართლომ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და იგი საქმეში ჩართო მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, თუმცა, საქმეში წარმოდგენილია თ.გ-ს სასარჩელო მოთხოვნა. სასამართლომ განიხილა დავა, გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა თ.გ-მ. სააპელაციო სასამართლომ არ მიიღო მისი სააპელაციო საჩივარი, დატოვა იგი განუხილველი, რადგან მიიჩნია, რომ იგი საქმეში მონაწილეობდა როგორც მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე და მას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად უფლება არ ჰქონდა შეეტანა სააპელაციო საჩივარი. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე, კერძო საჩივარი შეიტანა თ.გ-მ და მოითხოვა განჩინების გაუქმება იმ საფუძველზე, რომ იგი საქმეში უნდა ყოფილიყო მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, რადგან ითხოვდა სადავო სახლის აუქციონზე გაყიდვას. მოცემულ შემთხვევაში მხარემ ვერ გაიგო თუ რატომ იყო ჩაბმული საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე. მიგვაჩნია, რომ სასამართლომ ამ შემთხვევაში არასწორად ჩართო თ.გ. საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, რადგან წარმოდგენილი იყო თ.გ-ს სასარჩელო მოთხოვნა, სასამართლოს უნდა ემსჯელა სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ და თუ ცნობდა, რომ იგი აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რაც წაყენება მესამე პირის სარჩელს, იგი უნდა ჩაერთო საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. აღნიშნული საკითხის სწორად გადაწყვეტას, იმის სწორად გარკვევას, დაინტერესებული პირი ჩაბმულია საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, თუ ასეთი მოთხოვნის გარეშე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ ორი კატეგორიის მესამე პირებს განსხვავებული საპროცესო უფლებები გააჩნიათ და თუ სწორად არ იქნება საკითხი

გადაწყვეტილი, შეიძლება გამოიწვიოს დაინტერესებული პირის უფლების შელახვა. უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირები, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, შეიძლება ჩაბმული იქნენ საქმეში მხოლოდ მათ მიერ წარმოდგენილი სასარჩელო განცხადების საფუძველზე. არ შეიძლება ამ კატეგორიის მესამე პირების საქმეში ჩართვა სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე. მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით არის იგივე მოსარჩელე და მას აქვს ყველა ის უფლება, და ეკისრება ყველა ის მოვალეობა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით აქვს მოსარჩელეს. იგი მხოლოდ იმის გამო იწოდება მესამე პირად დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნით და არა მოსარჩელედ, რომ იგი შეუერთდა უკვე დაწყებულ პროცესს, სადაც უკვე არსებობდა მოსარჩელე და მოპასუხე ძირითად სარჩელში. ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, დისპოზიტიურობის პრინციპიდან გამომდინარე, თვითონ მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით, თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს და იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ, წარმოდგენილია მესამე პირების დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით საქმეში ჩაბმა სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ მესამე პირების დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა სასამართლოში წარდგენილი უნდა იქნეს ყველა იმ წესის დაცვით რაც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია ზოგადად სარჩელის სასამართლოში წარდგენისათვის.

3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის კიდევ ერთ პირობას, დაინტერესებული პირის საქმეში მესამე პირად, დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნით, ჩაბმისათვის, წარმოადგენს ის, რომ დაინტერესებულმა პირმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სასამართლოს უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ დაინტერესებული პირი როცა გაიგებს რომ იხილება სასამართლოში დავა, რომელზედაც მას დამოუკიდებელი მოთხოვნა გააჩნია, შეუძლია მიმართოს სასამართლოს ამ მოთხოვნით, როგორც საქმის მოსამზადებელ სტადიაზე, ისე მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას. აღნიშნულ საკითხზე ყველა-

ფერი გასაგებია, როცა საქმე შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვას, მაგრამ პრაქტიკაში ხშირად ისმის საკითხი შეიძლება თუ არა დაინტერესებულმა პირმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს. აღნიშნული საკითხი სასამართლო პრაქტიკაში არაერთგვაროვნად არის გაგებულნი. ერთნი მიიჩნევენ რომ მესამე პირის სასარჩელო მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს, ხოლო სხვათა აზრით დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის წამოყენება დაინტერესებულ პირს შეუძლია საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროსაც. მაგალითი: 1993 წელს მ.გ-მ სარჩელით მიმართა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხეების ზ.გ-ს, ა.ჭ-ს და ა.მ-ს გამოსახლება თბილისში, ბათუმის ქუჩაზე მდებარე ბინიდან იმ საფუძვლით, რომ არის ბინის მესაკუთრე, მოპასუხეები არიან ბინის დამქირავებლები და წლების განმავლობაში არ იხდიან ქირას. მოპასუხეებმა შეგებებული სარჩელით მოითხოვეს პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმება. შეგებებულ სარჩელში მოპასუხედ დასახელებულ იქნა ზ.გ, ხოლო მესამე პირად თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს მესამე პირმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, რათა მისთვის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის დაყენების საშუალება მიეცა, რაზეც სასამართლომ ადგილზე თათბირით უარი უთხრა. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით არც სარჩელი დაკმაყოფილდა და არც შეგებებული სარჩელი. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატაში საქმის განხილვის დროს მესამე პირმა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ კვლავ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სადავო სახლის 1/5 ნაწილის თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის სახელზე რეგისტრაცია. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით მესამე პირის სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული იმ საფუძვლით, რომ სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად მესამე პირებს დამოუკიდებელი სარჩელის აღძვრა შეუძლიათ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. მოცემულ საქმეზე კი რაიონული სასამართლოს მიერ უკვე მიღებულია გადაწყვეტილება. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლი, რადგან საქმეზე გადაწყვეტილება შეიძლება გამოიტანოს არა მარტო რაიონულმა სასამართლომ, არამედ სააპელაციო და საკასაციო სასამართლომაც. აღნიშნულ მუხლში არაფერია ნათქვამი, რომ მესამე პირი დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნით, საქმეში შეიძლება ჩაებას მხოლოდ რაიონულ სასამართლოში და მას ასეთი უფლება არა აქვს სააპელაციო სასამართლოში. თუ კი სააპელაციო სასამართლოში დასაშვებია მოპასუხის შეგებებული სარჩელი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლი) დასაშვები უნდა იყოს მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნაც.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლით. ხსენებული მუხლის I ნაწილში ნათქვამია: „სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით“.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს ის საკითხები და გარემოებები რაზეც მიუთითებს სააპელაციო საჩივარი და რაც რაიონულ სასამართლოშიც განიხილებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო იმსჯელებს იმ სასარჩელო მოთხოვნაზე, რომელიც რაიონულ სასამართლოში არ ყოფილა მიღებული და განხილული, აქედან გამომდინარე კი არც სააპელაციო საჩივარში ყოფილა ასახული, მაშინ ყოველგვარ მნიშვნელობას დაკარგავდა 377-ე მუხლის დანაწესი, რომლითაც განსაზღვრულია სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ დამოუკიდებელი სასამართლო მოთხოვნა დაინ-

ტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

მესამე პირები, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სარგებლობენ მოსარჩელის ყველა უფლებით და მათ ეკისრებათ მისი ყველა მოვალეობა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი არიან ჩვეულებრივი მოსარჩელები, ამიტომ თუკი საქმეში მონაწილეობს მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და ძირითადი მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე სასამართლოს არ შეუძლია შეწყვიტოს საქმის წარმოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ პუნქტით, კერძოდ იმ საფუძველით, რომ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. ასეთ ვითარებაში შეწყდება მხოლოდ საქმის წარმოება ძირითადი მოსარჩელის სარჩელით საქმის წარმოების ნაწილში და გაგრძელდება დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სარჩელით მოთხოვნის განხილვა. ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ ერთ-ერთ მაგალითში, როცა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ არასწორად ჩააბა სააქციო საზოგადოების აქციონერები მესამე პირებად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მაშინ როცა მესამე პირებს ფაქტობრივად არ ჰქონიათ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა, შემდეგში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით საქმის წარმოება შეწყდა, იმ საფუძველით, რომ ძირითადად მოსარჩელემ ქონების მართვის სამინისტროს ქუთაისის სამმართველომ - უარი თქვა სარჩელზე. ამ შემთხვევაში სასამართლომ დაარღვია კანონი რადგან საქმეში ჩაბმული იყვნენ მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით - აქციონერები, ამიტომ სასამართლოს საქმის წარმოება უნდა შეეწყვიტა ქონების მართვის სამინისტროს ანუ ძირითადი მოსარჩელის სარჩელით საქმის წარმოების ნაწილში და განეხილა დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირების სარჩელი. სასამართლოს ეს შეცდომა გამომდინარეობს მისი პირველი შეცდომიდან. საქმის წარმოება მთლიანად შეწყდა იმის გამო, რომ მესამე პირების დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა საქმეში ფაქტობრივად არ არსებობდა.

აქვე უნდა შევხვით იმ საკითხსაც, როცა დაინტერესებულმა პირმა ვერ შეიტყო იმის შესახებ, რომ სასამართლოში მიმდინარეობს დავა იმ საგანზე რაზეც ის აცხადებს პრეტენზიას, ან შეიტყო



მაგრამ არ სურს ამ ეტაპზე სარჩელის შეტანა. აღწერილ სიტუაციაში დაინტერესებულ პირს არ ერთმევა უფლება ცალკე შეიტანოს სარჩელი სასამართლოში თუნდაც მას შემდეგ, რაც წინა სასამართლოს პროცესი დამთავრდება. ის რომ მოცემულ დავის საგანზე უკვე გამოტანილია გადაწყვეტილება არ ართმევს დაინტერესებულ პირის უფლებას სარჩელით მიმართოს სასამართლოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად მხარეები თავისუფლდება მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ“. აღნიშნული მუხლის თანახმად ერთი გადაწყვეტილებით დადასტურებული გარემოებები მტკიცებას არ საჭიროებს თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვაში იგივე მხარეებია. ამ მუხლის ეს მოთხოვნა ხელს ვერ შეუშლის დაინტერესებულ პირს მიმართოს სასამართლოს სარჩელით იმ საგანზე, რომლის შესახებ დავა სხვა პირებს შორის უკვე გადაწყვეტილია, რადგან ამ გადაწყვეტილების პრეიუდიციული ძალა მოქმედებს მხოლოდ იგივე მხარეებზე. ამავე კოდექსის 266-ე მუხლი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს და მათი უფლებამონაცვლეებს არ აძლევს საშუალებას ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნა. ამ შემთხვევაშიც კანონი მხოლოდ წინა სასამართლო პროცესში მონაწილეებზე საუბრობს და არა მესამე პირებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ:

1. დაინტერესებული პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა წამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ დავის საგნის ან მისი ნაწილის მიმართ.

2. მესამე პირის სარჩელი წარმოებაში მიღებული უნდა იქნეს ყველა იმ წესის დაცვით რაც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია საერთოდ სარჩელის წარდგენის და წარმოებაში მიღებისათვის.

3. მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

4. მხარეებს შორის დავის დროს მესამე პირის მიერ დავის საგანზე ან მის ნაწილზე სარჩელის წარუდგენლობა არ ართმევს მას უფლებას, დამოუკიდებელი სარჩელით მიმართოს სასამართლოს იმ საგანზე, რომლის შესახებ დავა იკვე გადაწყვეტილია სხვა მხარეებს შორის.

### მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე

გარდა მესამე პირებისა, რომლებიც აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, საქმის განხილვაში შეიძლება მონაწილეობდნენ მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. ასეთი მესამე პირები საქმის განხილვაში ებმებიან მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად ყოველი დაინტერესებულ პირს, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა დაუშვას იგი მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. მესამე პირად დაშვების საკითხს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით წყვეტს სასამართლო“.

იმ საკითხის გადაწყვეტის დროს ჩააბას თუ არა დაინტერესებული პირი სასამართლომ მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მნიშვნელოვანია ორი გარემოების გამორკვევა:

1. ვისი ინიციატივით შეიძლება ჩაებას საქმეში დაინტერესებული პირი მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე და

2. რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს დაინტერესებულ პირს სასამართლო დავის მიმართ.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

1. დაინტერესებული პირი მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე საქმეში შეიძლება ჩაებას როგორც მისი განცხადების, ისე მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე. სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად „ყოველი დაინტერესებულ პირს. რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა დაუშვას იგი საქმეში მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე. ამავე კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად კი „მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე შეიძლება ჩაბმული იქნეს საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რისთვისაც მიმართავს იგი სასამართლოს მოტივირებული განცხადებით. ამრიგად, დასახელებული მუხლებიდან ჩანს რომ დაინტერესებული პირი დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, იმ დაინტერესებულ პირისაგან განსხვავებით, რომელიც ასეთ მოთხოვნას აცხადებს, საქმეში შეიძლება ჩაებას როგორც თავისი განცხადებით, ისე მხარეთა ინიციატივით. სასამართლო აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის დროს ისმენს მხარეთა მოსაზრებებს და მათი გათვალისწინებით წყვეტს საკითხს.

2. უფრო რთულია იმ საკითხის გარკვევა, თუ რა იურიდიული ინტერესის არსებობის შემთხვევაში უნდა ჩაებას დაინტერესებული პირი საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. თავისთავად ცხადია, რომ დაინტერესებულ პირს რაიმე დამოუკიდებელი მოთხოვნა დავის საგნის ან მისი ნაწილის მიმართ არ გააჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იქნებოდა მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. მაშინ რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მოცემული საკითხის გადაწყვეტის დროს? იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ დაინტერესებული პირი ჩაერთვება საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე თუ მას აქვს იურიდიული ინტერესი განსახილველი დავის მიმართ.<sup>1</sup> მიმაჩნია, რომ საკითხის ამგვარად დასმა არ იქნება მართებული და თუ სასამართლო ყველა იმ პირს ჩააბამს სამეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, რომელსაც ზოგადად გააჩნია იურიდიული ინტერესი განსახილველი დავის მიმართ არ იქნება სწორი, გამოიწვევს ქაოსს სასამართლო პრაქტიკაში, რადგან

---

Гражданский Процесс, третье изд. под редакцией В. В. Ярков Москва 2002 г. ст. 73

გაჭირდება იმის დადგენა, თუ რა იგულისხმება ზოგადად იურიდიულ ინტერესში. ამიტომ მიმაჩნია, რომ იურიდიული ინტერესის დაკონკრეტება უნდა მოვახდინოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლიდან გამომდინარე, კერძოდ, აღნიშნულ მუხლში ნათქვამია: „ყოველ დაინტერესებულ პირს, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა დაუშვას იგი მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ“. (ხაზგასმა ჩვენი-აქ-გ.) ამდენად, დაინტერესებული პირი ჩაებმება მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე საქმეში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საქმეზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი: შპს „განთიადმა“ ნარდობის ხელშეკრულება გაუფორმა მოქალაქე გ.ი-ის, რომლის საფუძველზეც უნდა აეშენებინა საცხოვრებელი სახლი. თავის მხრივ, შპს „განთიადმა“ დალო რამოდენიმე ფირმასთან ისევ ნარდობის ხელშეკრულება. ამ ფირმებს უნდა შეესრულებინათ ცალკეული სამუშაოები (ელექტრო გაყვანილობა, კარფანჯრის დამზადება და ა.შ.) მშენებლობის დამთავრების შემდეგ შპს „განთიადმა“ მოსთხოვა შესრულებული სამუშაოს გასამრჯელო, მაგრამ ამ უკანასკნელმა ანუ დამკვეთმა უარი განაცხადა გასამრჯელოს გადახდაზე იმ მოტივით, რომ სახლს გარკვეული ხარვეზები ჰქონდა. შპს „განთიადმა“ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შესრულებული სამუშაოს ღირებულების გადახდა დამკვეთი გ.ი-საგან. მისივე შუამდგომლობით საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მოსარჩელის მხარეზე ჩაებნენ ის ფირმები, რომლებთანაც შპს „განთიადმა“ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ სწორად ჩააბა მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, რადგან მათ ინტერესბშიც შედის, რომ მოსარჩელემ საქმე მოიგოს. წინააღმდეგ შემთხვევაში თუკი სასამართლო დაადგენს, რომ სახლი ხარვეზიანია, მოსარჩელეს, თავის მხრივ, გაუჩნდება უფლება იმ ფირ-

მებისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომლებთანაც მას ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება. შეიძლება სხვა მაგალითის მოყვანაც, კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 706-ე მუხლის თანახმად გადამზიდველმა, რომლის მიმართაც 704-ე და 705-ე მუხლების თანახმად განხორციელდა უკუმოთხოვნა, არ შეიძლება საცილო გახადოს, რომ უკუმოთხოვნის განმხორციელებელმა გადამზიდველმა უსაფუძვლოდ გადაიხადა თანხა, თუკი გადაწყვეტილება გადახდის შესახებ მიღებულია სასამართლოს მიერ და თუ ეს გადამზიდველი ამ სასამართლო პროცესის შესახებ სათანადოდ იქნა გაფრთხილებული და შეეძლო კიდევ მიეღო მონაწილეობა ამ პროცესში. აღნიშნული მუხლის თანახმად, თუკი გადამზიდველს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება სხვა პირის სასარგებლოდ გადამზიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურება სხვა გადამზიდველებს. სხვა გადამზიდველებმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახადონ საცილო რეგრესული მოთხოვნა, თუკი ისინი არ იყვნენ ჩაბმული საქმეში და არ იყვნენ გაფრთხილებულნი სათანადოდ პროცესის შესახებ. ამდენად, მოცემული მუხლიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ რეგრესული სარჩელი საცილო არ გახადოს სხვა გადამზიდველმა, სავალდებულოა მისი საქმეში ჩაბმა მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

ხშირად სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც საქმეში მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაბმულნი არიან ისეთი პირები, რომლებსაც მოცემულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით არ შეიძლება წარმოეშვათ რაიმე უფლებები და მოვალეობები საქმეში მონაწილე მხარეების მიმართ. მაგალითად, სარჩელებზე ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაბმულია ნოტარიუსი ან ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიურო. მიმაჩნია, რომ ამ ორგანოების ჩაბმა საქმეში მესამე პირებად არასწორია, რადგან მათ მხარეების მიმართ სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში არანაირი უფლებები და მოვალეობები არ წარმოეშობათ. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი: ნ.მ-მ სარჩელი შეიტანა სასამართლოში და მოითხოვა მოპასუხე თსთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება იმ საფუძ-

ვლით, რომ შეთანხმების შესაბამისად დაუტოვებდა სახლს მოპასუხის გარდაცვალების შემდეგ, თუკი იგი იზრუნებდა მასზე. ნოტარიუსთან გააფორმეს ხელშეკრულება. მას ეგონა, რომ გაფორმდა გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულება, სინამდვილეში კი გაფორმებულია ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მან ვითომ ბინა მიყიდა მოპასუხეს. სასამართლო სხდომაზე მოპასუხემ აღიარა, რომ ფაქტობრივად მასა და მოსარჩელეს შორის იყო მოლაპარაკება გარდაცვალებამდე რჩენის შესახებ, მაგრამ გააფორმეს ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, რათა თავიდან აეცილებინათ მოსარჩელის შვილის პრეტენზიები ბინაზე. მოსარჩელის შუამდომლობის საფუძველზე სასამართლომ საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩააბა ნოტარიუსი, რომელმაც დაამოწმა ნასყიდობის ხელშეკრულება, თუმცა გაუგებარია რა ნიშნით იქნა ჩაქმული მესამე პირად საქმეში ნოტარიუსი და რა უფლებები და მოვალეობები წარმოეშობოდა მას გამოტანილი გადაწყვეტილებით რომელიმე მხარის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამოსავალ წერტილს საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაბმის საკითხის გადაწყვეტის დროს, წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, წამოეშობა თუ არა დაინტერესებულ პირს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით გარკვეული უფლებები და მოვალეობები რომელიმე მხარის მიმართ.

სასამართლოს განჩინებაში პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ, ხშირად არ არის მოტივირებული თუ რა საფუძველით ჩაება ეს პირი მესამე პირად საქმეში. ხშირად განჩინებაში მხოლოდ მითითებულია: დაკმაყოფილდეს მხარის შუადგომლობა და საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაბმული იქნეს ესა თუ ის პირი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩაბმის დროს სასამართლოებმა განუხრელად უნდა დაიცვან სსკ 89-ე მუხლის მოთხოვნები და თავიანთ განჩინებაში მიუთითონ თუ რა გავლენა შეუძლია მოახდინოს ამ საქმეზე გამოტანილმა გადაწყვეტილებამ

მესამე პირის უფლებებზე და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე პირების საქმეში არასწორად ჩაბმას არ შეიძლება არ მოჰყვეს მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა.

## საქმის განხილვის გადადების და წარმოებით შეჩერების სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია სამოქალაქო საქმეთა დროული განხილვის უზრუნველყოფა, სამოქალაქო სამართალწარმოების გაჭიანურების თავიდან აცილება. ამიტომ სამოქალაქო სამართალწარმოება საქართველოში, ისევე როგორც საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში, ეფუძნება ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორცაა სამოქალაქო საქმეთა დროული განხილვის, სამოქალაქო პროცესის ეკონომიის, რაციონალიზაციის პრინციპი. ამ პრინციპების საფუძველზე მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლე ცდილობს მხოლოდ აუცილებელი საპროცესო მოქმედებები შეასრულოს შესაბამისად ეკონომიურად იყენებს საპროცესო საშუალებებსაც.<sup>1</sup> სამოქალაქო საქმეთა განხილვისას რაციონალიზაციის პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლემ აუცილებელი საპროცესო მოქმედებები რაციონალურად უნდა წარმართოს.<sup>2</sup> სამოქალაქო საქმეთა დროული განხილვის პრინციპის საფუძველზე მოსამართლე ვალდებულია განიხილოს დაუა კანონით დადგენილ ვადებში. ეს პრინციპი განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლით, რომლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. იმავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი თუ საპროცესო ვადა კანონით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს სასამართლო. საპროცესო ვადის ხანგრძლივობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა, რისთვისაც ეს ვადა დაინიშნა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია ასევე

<sup>1</sup> А.Б. Давтян, Гражданское процессуальное право Германии, М., 2000, стр. 49;

<sup>2</sup> Mettenheim. Der Grungesatz der Prozeßökonomie im Zivilprozeß. Berlin, 1970, s. 16-17.



საქმის განხილვის თანმიმდევრობა; საპროცესო ნორმებით განმტკიცებულია ის საპროცესო მოქმედებები, რომლებიც კონკრეტულ ვადებში უნდა შესრულდეს გარკვეული თანმიმდევრობის დაცვით.

სამოქალაქო საქმეთა დროული განხილვის უზრუნველსაყოფად შემოღებული იქნა მოსამზადებელი სტადია, რომლის მიზანია დაჩქარდეს საქმის განხილვა და შესაძლებელი გახდეს ერთ სასამართლო სხდომაზე განხილვის დამთავრება და საქმის სწორად გადაწყვეტა (200-ე მუხლი). თუმცა მოსამართლე ყოველთვის ვერ ახერხებს საქმის ერთ სხდომაზე დამთავრებას; მხარეებიც შეიძლება დაინტერესებული იყვნენ საქმის სწრაფი განხილვით, მაგრამ პროცესზე შეიძლება ისეთი გარემოება წარმოიშვას, რომელიც ხელს შეუშლის საქმის დროულ განხილვასა და გადაწყვეტას. ასეთი გარემოება შეიძლება იყოს ერთ-ერთი მხარის ავადმყოფობა, მისი გარდაცვალება ან ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნა; ან კიდევ მხარის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვა. ზოგჯერ ერთი საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. ამიტომ კანონმდებელმა ასეთი შემთხვევების მოსაწესრიგებლად გაითვალისწინა ისეთი სპეციალური სამართლებრივი საშუალება, როგორცაა საქმის წარმოებით შეჩერება და საქმის განხილვის გადადება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-280-ე მუხლებით ამომწურავადაა განსაზღვრული საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები. 279-ე მუხლში მითითებული გარემოებები საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო საფუძვლებადაა მიჩნეული, რომელსაც კანონით გათვალისწინებულ საფუძვლებს უწოდებენ, ხოლო 280-ე მუხლით კი გათვალისწინებულია საქმის შეჩერების ფაკულტატური (დისპოზიციური) საფუძვლები.<sup>3</sup>

საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო საფუძვლების გამოყენება არ არის დამოკიდებული არც მოსამართლის და არც მხარეთა ნებაზე, 279-ე მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ

<sup>3</sup> თ. ლილუაშვილი. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში. პრაქტიკული სახელმძღვანელო III გამოცემა. 2001 წ. გამომცემლობა „ჯისიანი“ გვ. 169;

სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს;

ბ) მხარის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვისას;

გ) საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილში მოპასუხის ყოფნისას ან ასეთივე ნაწილებში მყოფი მოსარჩელის თხოვნით;

დ) თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით;

ე) მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მე-6 მუხლის მეორე ნაწილით კი გათვალისწინებულია, რომ თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, კანონი, რომელიც ამ საქმისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სასამართლო შეაჩერებს საქმის განხილვას ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, რის შემდეგაც საქმის განხილვა განახლდება.

საქმის წარმოების შეჩერების ფაკულტატიური (დისპოზიციური) საფუძვლები კი შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ისე სასამართლოს ინიციატივით; ასეთი საფუძვლები გათვალისწინებულია 280-ე მუხლში, რომლის თანახმად სასამართლოს, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ:

ა) მხარე იმყოფება ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში ან გაწვეულია რაიმე სახელმწიფო მოვალეობის შესასრულებლად.

ბ) მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში;

გ) მხარე იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში ან ავად არის, რის გამოც საშუალება არა აქვს გამოცხადდეს სასამართლოში, და ეს დასტურდება სამედიცინო დაწესებულების ცნობით;

დ) გამოცხადებულია მოპასუხის ძებნა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ე) სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა.

280-ე მუხლის შინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ ამ ნორმით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სასამართლო არ არის ვალდებული ყოველთვის შეაჩეროს საქმის წარმოება; თუ სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის ან მოპასუხის ძებნის გამოცხადების შემთხვევაში არ მიიჩნევს აუცილებლად საქმის წარმოების შეჩერებას, მას შეუძლია კონკრეტული დროის მითითებით გადადოს სასამართლოს სხდომა. მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა 280-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველის არსებობისას სასამართლოები ყველა შემთხვევაში აჩერებენ საქმის წარმოებას; ამ დროს მოსამართლე განჩინებაში საერთოდ არ ასაბუთებს, თუ რატომ ჩათვალა ვთქვათ მხარის ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნა საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლად, როცა მისთვის ცნობილი იყო, რომ ერთი თვის შემდეგ მხარე დაბრუნდებოდა მივლინებიდან და შესაძლებლობა ექნებოდა მონაწილეობა მიეღო პროცესში.

მოსამართლეს საქმის წარმოების შეჩერება შეუძლია როგორც მოსამზადებელ სხდომაზე, თუ 203-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დაინიშნა ექსპერტიზა, ისე სასამართლოს მთავარ სხდომაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია საქმის წარმოების შეჩერების ვადები. 281-ე მუხლის „ა“ პუნქტში მითითებულია, რომ საქმის წარმოება შეჩერდება 279-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქმიდან გასული პირის უფლებამონაცვლის დადგენამდე ან ქმედუუნარო პირისათვის წარმომადგენლის დანიშვნამდე; „ბ“ პუნქტის თანახმად კი საქმის წარმოება უნდა შეჩერდეს 279-ე მუხლის „გ“ პუნქტით და 280-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში – შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მხარის ყოფნამდე, მის მიერ სახელმწიფო მოვალეობის შესრულებამდე, სამსახურებრივი მივლინებიდან დაბრუნებამდე, სამკურნალო დაწესებულებიდან გამოწერამდე ან გამოჯანმრთელებამდე, მოპასუხის მოძებნამდე ან ექსპერტიზის დამთავრებამდე.

ზოგჯერ სასამართლოს მიერ საქმის წარმოება შეჩერებულია რამდენიმე წლის განმავლობაში. ამ პერიოდში შეიძლება არ არსებობდეს საქმის წარმოების განახლების საფუძველი, მაგრამ გასათვა-

ლისწინებელია ისიც, რომ საქმის წარმოების შეჩერებით არ უნდა მოხდეს კონკრეტული საქმის განხილვის გაჭიანურება და დაუსრულებლად არ შეიძლება მატერიალურ-სამართლებრივი დავის გადაწყვეტლად დატოვება, რადგან დაინტერესებულმა მხარემ ამ პერიოდში შეიძლება დავის გადაწყვეტის მიმართ ინტერესიც დაკარგოს. პრაქტიკაში უფრო მეტად ასეთი შემთხვევები გვხვდება, როცა საქმის წარმოება შეჩერებულია 279-ე „დ“ პუნქტის საფუძველზე, ე.ი. როცა საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით; ამ საფუძველით საქმის წარმოება შეჩერდება სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან ადმინისტრაციული წესით განხილულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე (281-ე მუხლის „გ“ პუნქტი). მაგრამ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის გამოტანა შეიძლება ვერ მოხერხდეს იმის გამო, რომ სამოქალაქო სამართლებრივი დავის ერთ-ერთი მხარე, რომლის გამოც შეჩერებულია სამოქალაქო საქმის წარმოება, იძებნება და ვერ ხერხდება მისი ადგილსამყოფელის დადგენა; ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეზე მოპასუხის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამო სასამართლომ შეაჩერა საქმის წარმოება 279-ე მუხლის „დ“ პუნქტის საფუძველზე; მაგრამ ვერ მოხერხდა ორი წლის განმავლობაში ამ საქმის წარმოების განახლება იმ მიზეზით, რომ ამ მოპასუხის მიმართ სისხლის სამართალწარმოება შეჩერებული იყო მისი ადგილსამყოფელის დადგენამდე. მართალია სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამ კონკრეტული შემთხვევის მომწესრიგებელ ნორმას არ ითვალისწინებს, მაგრამ სასამართლომ დაუსრულებელი სამართალწარმოების თავიდან ასაცილებლად უნდა განახლოს საქმის წარმოება და კონკრეტულ სამოქალაქო საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. თუ შემდგომში მოხერხდება მოპასუხის მიმართ ისეთი განაჩენის გამოტანა, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა სამოქალაქო-სამართლებრივი დავის გადაწყვეტაზე, ეს შეიძლება გახდეს ახლად აღმოჩენილი გარემოება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის საფუძველზე განახლდება საქმის წარმოება.

თუ სასამართლომ საქმის წარმოება შეაჩერა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქმის წარმოება განახლდება (281-ე მუხლის „დ“ პუნქტი).

საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (282-ე მუხლი). ამიტომ სასამართლო თუ შეაჩერებს საქმის წარმოებას, ერთის მხრივ იგი მოვალეა აღნიშნულის თაობაზე გამოიტანოს დასაბუთებული განჩინება და მეორეს მხრივ მხარეებს განუმარტოს ასეთი განჩინების გასაჩივრების წესი და ვადა.

მაგრამ პრაქტიკაში ზოგიერთი მოსამართლე არღვევს 282-ე მუხლის მოთხოვნას. ერთ-ერთი სამოქალაქო საქმის განხილვისას მოპასუხემ მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება სამკვიდრო ქონების მიღებამდე, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა და გააგრძელა საქმის განხილვა, ისე რომ არ გამოიტანა განჩინება ასეთი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; ამგვარად, სასამართლოები ხშირად განჩინებით არ ასაბუთებენ, თუ რატომ არ აკმაყოფილებენ შუამდგომლობებს საქმის წარმოების შეჩერების შესახებ.

თუ სასამართლოს განცხადებით მიმართავს მხარე და მიუთითებს, რომ ავადმყოფობის გამო არ აქვს საშუალება გამოცხადდეს სასამართლოში დანიშნულ დროს და ამას დაადასტურებს სამედიცინო დაწესებულების ცნობით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს საქმის წარმოება 280-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე; სასამართლომ სწორედ ეს უფლება გამოიყენა ერთ-ერთი სამოქალაქო საქმის განხილვისას და მოპასუხის ავადმყოფობის გამო შეაჩერა საქმის განხილვა, რის თაობაზეც ზეპირად განუცხადა სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებულ მოსარჩელეს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ არ გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, ასევე არ მიუთითა, როდის განახლდებოდა საქმის განხილვა, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მოთხოვნა. ამ ნორმის თანახმად საქმის წარმოება შეჩერდება მხარის სამკურნალო დაწესებულებიდან გამოწერამდე, გამოჯანმრთელებამდე. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაარღვია ასევე

282-ე მუხლიც და მოსარჩელეს არ განუმარტა ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებული კერძო საჩივრის შეტანის უფლების თაობაზე, რადგან საერთოდ განჩინების გამოტანის გარეშე შეჩერდა საქმის წარმოება.

ზოგიერთი მოსამართლე საქმის წარმოების შეჩერების ნაცვლად მიმართავს საქმის განხილვის გადადებას, რითაც ერთმანეთთან შეცდომით აიგივებს ამ ორ განსხვავებულ საპროცესო საშუალებას. ერთ-ერთი სამოქალაქო საქმის განხილვისას გარდაიცვალა მოპასუხე, რის გამოც სასამართლომ 40 დღით გადადო მთავარი სხდომა, ამ დროს სასამართლომ დაარღვია 279-ე მუხლის „ა“ პუნქტის იმპერატიული მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს საქმის წარმოება უნდა შეეჩერებინა გარდაცვლილი მოპასუხის უფლებამონაცვლის დადგენამდე (281-ე მუხლის „ა“ პუნქტი).

პრაქტიკაში გვხვდება საქმის წარმოების შეჩერების არასწორად გამოყენების სხვა შემთხვევებიც; კერძოდ, როცა მხარეთა გამოუცხადებლობის გამო მოსამართლე აჩერებს საქმის წარმოებას. თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადებიან მხარეები, რომლებიც მოწვეულები არიან 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ 231-ე მუხლის და 275-ე მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად. სარჩელის განუხილველად დატოვება კი სრულიად განსხვავებული საპროცესო ინსტიტუტია, რომელიც სულ სხვა შედეგებს ითვალისწინებს, ვიდრე საქმის წარმოებით შეჩერება.

ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსით ამომწურავადაა განსაზღვრული თუ რა შემთხვევაშია ვალდებული სასამართლო შეაჩეროს საქმის წარმოება და რა შემთხვევაში აქვს უფლება შეაჩეროს საქმის წარმოება, სხვა დანარჩენ კანონით გაუთვალისწინებელ შემთხვევაში საქმის წარმოების შეჩერება არასწორია. ხშირად ზაფხულის პერიოდში მხარეები მიმართავენ სასამართლოებს განცხადებით საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ ზაფხულში

დასასვენებლად მიდიან, ქალაქიდან აპირებენ გასვლას და ამიტომ შემოდგომამდე ითხოვენ საქმის წარმოების შეჩერებას. ასეთ განცხადებებს ზოგიერთი მოსამართლე აკმაყოფილებს და შემოდგომამდე აჩერებს საქმის წარმოებას; სასამართლოს განჩინებაში კი საერთოდ არ არის მითითებული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რომელი მუხლის საფუძველზე შეჩერდა საქმის წარმოება. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოები არასწორად იყენებენ აღნიშნულ საპროცესო საშუალებას, რადგან ზემოხსენებული საფუძველით საქმის წარმოების შეჩერებას არც 279-ე და არც 280-ე მუხლები არ ითვალისწინებენ; ასეთი მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გადადოს საქმის განხილვა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი გადადებით არ მოხდეს საქმის განხილვის გაჭიანურება.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ერთი მოსამართლე მიიღებს სარჩელს წარმოებაში, რამდენიმე თვე არ განიხილავს საქმეს და შემდეგ რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართავს თხოვნით, რომ ვინაიდან ბევრი საქმე აქვს წარმოებაში, კონკრეტული საქმე გადაეწეროს სხვა მოსამართლეს და სასამართლოს თავმჯდომარეც აკმაყოფილებს ასეთ მოთხოვნას. ასე მაგალითად, ერთ-ერთი რაიონული სასამართლოს მოსამართლემ სასარჩელო განცხადება წარმოებაში მიიღო 2002 წლის 3 აპრილს; შემდეგ საქმეშია ამ მოსამართლის მიერ 2002 წლის 8 აგვისტოს შედგენილი განცხადება რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე, რომ გადატვირთულია და ითხოვს აღნიშნული საქმის გადაწერას სხვა მოსამართლისათვის. რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ დააკმაყოფილა მოსამართლის თხოვნა და 2002 წლის 8 აგვისტოს საქმე გადააწერა სხვა მოსამართლეს, რომელმაც ხელახლა დაიწყო საქმის განხილვა მაგრამ საქმეში არ არის მითითებული, თუ რა საფუძველით მოხდა თავდაპირველი მოსამართლის შეცვლა და არც განჩინებაა გამოტანილი ამის თაობაზე. საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქმეში არ არის განჩინება იმის შესახებ, თუ რატომ შეაჩერა მოსამართლემ 2002 წლის 3 აპრილიდან იმავე წლის 8 აგვისტომდე საქმის განხილვა ან რა მიზეზით არ განიხილა მოცემული საქმე.

თუ საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი აღარ არსებობს, ვთქვათ, ქმედუნარო პირს დაენიშნა წარმომადგენელი, მოსამართლემ

უნდა განახლოს საქმის წარმოება. 283-ე მუხლის თანახმად საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება. წარმოების განახლების შემდეგ საქმის განხილვა ხდება საერთო წესით. მართალია, ამ ნორმაში პირდაპირ არ არის მითითებული, რომ სასამართლომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განჩინება უნდა გამოიტანოს, მაგრამ შეჩერებული საქმის წარმოების განახლება ყველა შემთხვევაში უნდა მოხდეს განჩინების საფუძველზე. საქმის წარმოების განახლების შემთხვევაში საქმის განხილვა თავიდან უნდა დაიწყოს. მაგრამ საქმის წარმოების შეჩერებამდე შესრულებული ყველა მოქმედება სასამართლოსათვის სავალდებულოა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას. ამის თაობაზე პირდაპირაა აღნიშნული 92-ე მუხლის მეორე ნაწილში, რომ უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა. საქმის წარმოების განახლების შემდეგ სასამართლოს შეუძლია კვლავ დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, თუ ჩათვლის, რომ ეს აუცილებელია საქმის უფრო სრულყოფილად მომზადებისათვის, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სასამართლომ მოსამზადებელი სხდომების ჩატარებით არ უნდა გააჭიანუროს საქმის განხილვა; იურიდიულ ლიტერატურაში სრულიად მართებულადაა მითითებული, რომ კანონი არ ითვალისწინებს მოსამზადებელი სხდომის გადადებას და მრავალჯერ ჩატარების შესაძლებლობას. თუ მოსამზადებელ სხდომაზე მხარეებს განესაზღვრათ რაიმე საპროცესო მოქმედების შესრულება, ეს მოქმედება უნდა შესრულდეს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. უკიდურეს შემთხვევაში მოსამზადებელი სხდომა შეიძლება მეორედ დანიშნოს თუ მიზანშეწონილი და აუცილებელია,<sup>4</sup> მაგრამ თუ სასამართლომ მოსამზადებელ სხდომაზე დანიშნა ექსპერტიზა და ამ საფუძველით შეაჩერა საქმის წარმოება, საქმის წარმოების განახლების შემთხვევაში მას აღარ უნდა დასჭირდეს კვლავ მოსამზადებელი სხდომის ჩატა-

<sup>4</sup> თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწილი I, თბილისი 2002 წელი, გვ. 78



რება, რადგან საქმის წარმოების შეჩერებამდე, მოსამზადებელ სხდომაზე უნდა შეესრულებინა 203-ე მუხლით გათვალისწინებული მოქმედებები.

საქმის წარმოების შეჩერებით ყველა დაუმთავრებელი საპროცესო ვადა უნდა შეჩერდეს. ვადების შეჩერება დაიწყება იმ გარემოებათა წარმოშობის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოების შეჩერებას. წარმოების განახლების დღიდან საპროცესო ვადის დენა განახლდება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლი).

## საქმის განხილვის გადადება

საქმის განხილვის გადადების არსი იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის თავიდან აცილებული იქნეს ისეთი გარემოება, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას. საქმის წარმოების შეჩერებისაგან განსხვავებით, საქმის განხილვის გადადება მოსამზადებელ სხდომაზე არ დაიშვება. პროფ. თ. ლილუაშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ საქმის განხილვის გადადების შესახებ მსჯელობა დასაშვებია მხოლოდ საქმის განხილვის დანიშვნის შემდეგ ან მთავარ სხდომაზე. საქმის განხილვის გადადება, როდესაც ამ საქმის განხილვა ჯერ კიდევ არაა დანიშნული ანუ საქმის მომზადების სტადიაზე – ალოგიკურობა იქნებოდა.<sup>3</sup>

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საქმის ხელახლა განხილვა მისი გადადების შემდეგ თავიდან იწყება. საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები თუ ამომწურავადაა ჩამოთვლილი 279-280-ე მუხლებში, საქმის გადადების საფუძვლების თაობაზე მითითებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სხვადასხვა მუხლებში, რომლებსაც შეძლებისდაგვარად განვიხილავ ამ ნაშრომში.

216-ე მუხლის მეორე ნაწილში იმპერატიულად არის აღნიშნული, რომ სასამართლო საქმის განხილვის გადადებისას დანიშნავს დღეს ახალი სასამართლო სხდომისათვის და ამას აცნობებს გამოცხადებულ

<sup>3</sup> თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწილი I, თბილისი, 2002 წ. გვ. 81

პირებს, რასაც ისინი ადასტურებენ ხელის მოწერით. გამოუცხადებელ და საქმეში ხელახლა ჩაბმულ პირებს ახალი სასამართლო სხდომის დღეს აცნობებენ 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამ ნორმის შინაარსი იმაზე მიუთითებს, რომ საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში სასამართლომ აუცილებლად უნდა განსაზღვროს ახალი სასამართლო სხდომის დრო; მაგრამ ზოგჯერ საქმეთა განხილვის გადადება ხდება ისე, რომ სასამართლო სხდომის ოქმში საერთოდ არ არის მითითებული, თუ რის საფუძველზე გადაიდო საქმე ან როდისთვის მოხდა საქმის გადადება, რითაც უხეშად ირღვევა 62-ე მუხლის მოთხოვნები.

საქმის განხილვის გადადებამ პროცესის გაჭიანურება რომ არ გამოიწვიოს, 216-ე მუხლის მესამე ნაწილით განსაზღვრულია ის საპროცესო მოქმედებები, რომლებიც შეუძლია განახორციელოს სასამართლომ საქმის განხილვის გადადებამდე. კერძოდ, საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში სასამართლო დაკითხავს გამოცხადებულ მოწმეებს. ახალ სასამართლო სხდომაზე ამ მოწმეთა ხელმეორედ დაბარება შეიძლება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. სასამართლო დაავალებს აგრეთვე მხარეებს დანიშნულ ვადაში წარმოადგინონ წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები, რათა მოწინააღმდეგე მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა ახალი სხდომის დაწყებამდე გაეცნოს ამ მასალებს, ამასთან, მიუთითოს სახელი, გვარი, მისამართი მოწმისა, რომლის დაკითხვაც მას სურს. იმავე მუხლის მეოთხე ნაწილში კი აღნიშნულია, რომ თუ მხარე თავს არიდებს ამ მოვალეობის შესრულებას საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით და სასამართლოს წარუდგენს წერილობით თუ ნივთიერ მტკიცებულებებს, აგრეთვე, დაასახელებს მოწმის ვინაობასა და მისამართს მხოლოდ საქმის ხელმეორედ განხილვის პროცესში, მხარეთა ზეპირი შეჯიბრების დროს, სასამართლოს შეუძლია მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით არ მიიღოს ეს მტკიცებულებები და არ გამოუძახოს მოწმეს.

სასამართლომ საქმის გადადების საფუძველი ნათლად და გარკვევით უნდა მიუთითოს; დაუსაბუთებლად უნდა ჩაითვალოს საქმის გადადება ერთ-ერთი მხარის ისეთი განცხადებით, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ითხოვს საქმის გადადებას. ასეთი განცხადება

ბუნდოვანია, რადგან კონკრეტულად უნდა მიუთითოს მხარემ, რატომ უშლის ხელს სამსახურებრივი მდგომარეობა გამოცხადდეს სასამართლოში დანიშნულ მთავარ სხდომაზე. საქმის განხილვის გადადების საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სხვადასხვა მუხლებში. ერთ-ერთი ასეთი საფუძველი გათვალისწინებულია 83-ე მუხლის შესამე ნაწილით, რომლის თანახმად საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგ სარჩელის საფუძველის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს სასამართლო სხდომის გადადება სხვა დროისათვის.

საქმის განხილვის გადადების უფლება სასამართლოს აქვს შეგებებული სარჩელის აღძვრის გამოც. 190-ე მუხლით მოწესრიგებულია ის შემთხვევა, როცა შეგებებული სარჩელი აღძრული და მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, ამ დროს შეიძლება საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება მოსარჩელის თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით (პირველი ნაწილი); საქმის განხილვის გადადებით გამოწვეული ხარჯები დაეკისრება მოპასუხეს, რომელმაც დაგვიანებით აღძრა შეგებებული სარჩელი (190-ე მუხლის მეორე ნაწილი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებულია საქმის განხილვის გადადების ისეთი შემთხვევა, როცა დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ერთ-ერთი გარემოების არსებობის გამო. ამ დროს მოსამართლემ საქმის განხილვა უნდა გადადოს სხვა დროისათვის, რის შესახებაც ატყობინებს გამოუცხადებელ მხარეს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს. მაგრამ პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა სასამართლოსათვის ცნობილია, რომ გამოუცხადებელი მხარე არ იყო მოწვეული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსამართლემ გამოცხადებული მხარის შუამდგომლობით გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამ დროს მოსამართლემ დაარღვია როგორც 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა,

ისე იმავე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების მოთხოვნა საქმის განხილვის სხვა დროისათვის დანიშნის შესახებ.

ერთ-ერთმა მოსამართლემ კი მოსარჩელის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო არ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 233-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად საქმის განხილვა გადადო, მაგრამ არ შეასრულა იმავე ნორმის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ არ გამოიტანა განჩინება, რომელშიც კონკრეტულად იქნებოდა მითითებული საქმის განხილვის დრო. სასამართლომ ამ შემთხვევაში დაარღვია ასევე 216-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საქმის განხილვის გადადებისას სასამართლომ უნდა დანიშნოს დღე ახალი სასამართლო სხდომისათვის და ეს აცნობოს მხარეებს კანონით დადგენილი წესით. ზემოხსენებული ნორმა ირღვევა იმ შემთხვევაშიც, როცა სასამართლო დანიშნულ სხდომას გადადებს და ოქმში მიუთითებს, რომ საქმის განხილვა გადაიდო სხვა დროისათვის.

სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ნაცვლად საქმის განხილვა უნდა გადადოს იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მაგრამ მოპასუხე არ მოითხოვს არც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას და არც სარჩელის განუხილველად დატოვებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადების თანახმად სასამართლომ უნდა გადადოს საქმის განხილვა, თუ მოპასუხე სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდეგია.

თუ სასამართლოსათვის არ არის ცნობილი პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის მიზეზი, მას უფლება აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლების საფუძველზე გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მაგრამ ზოგიერთი მოსამართლე არ იყენებს ამ საშუალებას და რომელიმე მხარის პროცესზე რამდენჯერმე გამოუცხადებლობის გამო რამდენჯერმე ისე გადადებს საქმის განხილვას, რომ მას არ გააჩნია ცნობები ასეთი მხარის პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე.

რაიონული სასამართლოების პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთ-

ხვევაც, როცა მოსამართლე განსახილველ საქმეთა სიმრავლის გამო ზოგჯერ სასამართლოს მთავარ სხდომას დანიშნულ დროს ვერ ატარებს და ყოველგვარი პროცესუალური დოკუმენტის მიღების გარეშე გადადებს საქმის განხილვას სხვა დროისათვის; საქმეში მხოლოდ მოსამართლის მიერ შედგენილი ცნობაა, რომ მოუცლელობის გამო ან საქმეთა სიმრავლის გამო ვერ შეძლო ვთქვით 2003 წლის 16 იანვარს დანიშნული საქმის განხილვა და საქმის განხილვა გადადო 2003 წლის 1 თებერვლისათვის; ზოგიერთი მოსამართლე ვერც მითითებულ დროს ახერხებს საქმის განხილვას კვლავ მოუცლელობის გამო და საქმეში გვხვდება გადადების თაობაზე მოსამართლის მიერ შედგენილი რამდენიმე ცნობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამგვარი საფუძვლით საქმის გადადებას არ ითვალისწინებს; ამასთან მოსამართლის მიერ შედგენილი ცნობა არ წარმოადგენს იმ საპროცესო დოკუმენტს, რომლითაც შეიძლება მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით საქმის განხილვის გადადება.

მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით არ არის განსაზღვრული, თუ რამდენჯერ შეიძლება გადაიდოს ერთიდაიგივე საქმის განხილვა, მაგრამ ყოველი გადადებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს როგორც 216-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მოთხოვნა, ასევე 219-ე მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ საქმის განხილვის დაწყებისას მხარეთა მიერ ახალ გარემოებებზე მითითება სასამართლომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაითვალისწინოს და ამ საფუძვლით გადადოს საქმე, თუ ცნობს, რომ მათ შესახებ თავის დროზე არ იყო განცხადებული საპატიო მიზეზით და რომ ეს არ მომხდარა საქმის გაჭიანურების მიზნით. ზემოაღნიშნული პირობების გარდა სასამართლომ საქმის განხილვის გადადებისას უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ ამ დროს არ დაარღვიოს კონკრეტული საქმის განხილვისათვის განსაზღვრული ვადა.

საქმის განხილვის გადადების არაპირდაპირი საფუძვლები გათვალისწინებულია 103-ე მუხლის პირველი ნაწილით, როცა სასამართლო შესთავაზებს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები; ასევე 120-ე მუხლით, რომლის თანახმად სასამართლოს, მხარეთა მოთხოვნით ან თავისი ინიციატივით შეუძლია დაადგინოს იმ ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება და

გამოკვლევა, რომელთა წარდგენაც სასამართლოში ამა თუ იმ მიზეზის გამო შეუძლებელია.

ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ყოველ დაინტერესებულ პირს, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, ამიტომ სასამართლომ მესამე პირის სარჩელის მიღებისას უნდა გადადოს საქმის განხილვა;

საქმის განხილვის გადადების თაობაზე არაპირდაპირაა მითითებული ასევე 145-ე მუხლის პირველი ნაწილის მესამე წინადადებაში, როცა სასამართლომ შეიძლება დაადგინოს მოწმის იძულებით მოყვანა.

მართალია, ზემოაღნიშნულ მუხლებში პირდაპირ არ არის მითითებული საქმის განხილვის გადადების შესახებ, მაგრამ მათი შინაარსიდან გამომდინარე იგულისხმება, რომ სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში საქმის განხილვა უნდა გადადოს. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსამართლე უნდა მოერიდოს საქმის განხილვის დაუსრულებელ გადადებას; სასამართლომ ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს 206-ე მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მხარეები მოვალენი არიან შეასრულონ საქმის მომზადების მიზნით მოსამართლის მითითებები. წერილობითი მასალების წარუდგენლობა თუ სხვა მოქმედების შეუსრულებლობა ისეთი მიზეზით, რომელსაც სასამართლო არასაკატიოდ ცნობს, ართმევს მხარეს უფლებას შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს.

*გია ლილუაშვილი  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
სასულმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის  
უფროსი მეცნიერ—თანამშრომელი,  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,  
საერთო სამართლისა და დემოკრატიის  
საერთაშორისო ცენტრის დირექტორი*

## სარჩელის აღკვრა და მოსამზადებელი სტადია აშშ-ის სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით

ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მიეკუთვნება საერთო სამართლის სისტემას და არა რომის სამართლის, ანუ სამოქალაქო სამართლის სისტემას. მაგრამ ამერიკის სამართლის მიმართ ევროპაში, სამოქალაქო სამართლის სისტემის ქვეყნებში, ინტერესი შედარებით უფრო მაღალია ვიდრე საერთო სამართლის სხვა ქვეყნების, მაგალითად, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის ან თუნდაც ინგლისის მიმართ.

აღნიშნული ინტერესი ძირითადად ვლინდება ევროპელი იურისტების შრომებში, ეროვნული კანონების შემუშავებისას და სხვა შემთხვევებში.

რამ გამოიწვია ასეთი ინტერესი საერთო სამართლის ერთ-ერთი ქვეყნის მიმართ?

*თუ გადავხედავთ ამერიკის სამართლის ისტორიას მე-17 საუკუნიდან დღემდე, დავინახავთ, რომ ამერიკის სამართალი დამოუკიდებლად ვითარდებოდა და ვითარდება და მიუხედავად იმისა, რომ იგი მიეკუთვნება ინგლისური სამართლის სისტემას, მაინც ბევრი თვისებითა და თავისებურებებით განსხვავდება მისგან. შეიძლება ამის ერთ-ერთი მიზეზი იყოს ის, რომ ამერიკაში, ინგლისელებთან ერთად, ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული პირები ცხოვრობენ, რომლებმაც სამართლის სფეროში თავიანთი ცოდნა და გამოცდილება შეიტანეს.*

ასეა თუ არა, ფაქტია, რომ ინგლისური სამართლის ცოდნა არ ნიშნავს ამერიკული სამართლის ცოდნას და პირიქით, რასაც ვერ ვიზყოფით ავსტრალიის ან ახალი ზელანდიის სამართალზე, რომელზეც ინგლისის სამართლის გავლენა შედარებით მაღალი იყო მე-20 საუკუნის 80-იან წლებამდე.

ზემოთ აღნიშნულს დაემატა ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი წამყვანი ინდუსტრიული და დემოკრატიული ქვეყანაა. ამიტომაც ამერიკის სამართალი მოექცა ევროპელი იურისტების ყურადღების ქვეშ.

ეს სტატია ეძღვნება ამერიკის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის — სამოქალაქო პროცესის საწყის ანუ პირველ სტადიას — საქმის მომზადებას, რომელიც, ვფიქრობ, გარკვეულ ინტერესს გამოიწვევს ქართველ იურისტებში.

\* \* \*

1. სარჩელის აღძვრის წესი. ამერიკის, როგორც ფედერალური სახელმწიფოს ბუნებიდან გამომდინარე, სამოქალაქო პროცესი — სამოქალაქო საქმის წარმოება სასამართლოში — ძირითადად რეგულირდება ფედერალური და შტატის კანონმდებლობით. ფედერალურში ძირითადად მოიაზრება ამერიკის 1787 წლის კონსტიტუცია, კერძოდ მე-3 მუხლი, რომელიც ეხება სასამართლო ხელისუფლებას, სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესები, შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს ფედერალური წესები, მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ფედერალური წესების პარალელურად თითოეულ შტატს შეუძლია გამოიყენოს მის მიერ შემუშავებული წესებიც, თუმცა ძირითადად მაინც ეყრდნობიან ფედერალურ წესებს.

*როგორია სარჩელის აღძვრის წესი და მოსამზადებელი სტადია აშშ-ში?*

იმისათვის, რომ პირმა — ფიზიკურმა პირმა, კორპორაციამ, პარტნიორშიპმა (ანუ “პარტნიორობამ” — როგორც ორგანიზაციულმა ფორმამ) და ა.შ. — დაიცვას თავისი სამოქალაქო უფლება, მან სარჩელი (complaint) უნდა აღძრას სასამართლოში. სარჩელის რეგისტრაციით სასამართლოში იწყება სამოქალაქო დავა. სამოქა-



ლაქო პროცესის ფედერალური წესების<sup>1</sup> (შემდგომში - ფედერალური წესები) მე-5 მუხლის "ე" ქვეპუნქტით, სარჩელის რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლოს კლერკი (clerk of the court)<sup>2</sup>. თუ სარჩელი შეტანილია ფედერალურ სასამართლოში, მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს იმ სასამართლოს იურისდიქციის საფუძველი, რომელშიც სარჩელი, შეიტანა. მაგალითად, დაასაბუთოს, რომ სადავო საქმე ემყარება ფედერალურ წესებს ან კიდევ, რომ მხარეები არიან სხვადასხვა შტატის მაცხოვრებლები.

ფედერალური წესები, კერძოდ, მე-8 მუხლი ავალდებულებს მოსარჩელეს, რომ მან სარჩელში მოკლედ და ზუსტად ასახოს თავისი მოთხოვნა. მაგალითად, ამავე წესების მე-8 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად სარჩელში უნდა აღინიშნოს:

პირველი — სასამართლოს იურისდიქციის საფუძველი, ე.ი. დაასაბუთოს, თუ რატომ შეაქვს სარჩელი სწორედ იმ სასამართლოში და არა სხვა სასამართლოში.

მეორე - მოკლედ და ნათლად მიუთითოს და დაასაბუთოს, რომ მას, ე.ი. განმცხადებელს, აქვს სასამართლო დაცვის უფლება;

აღნიშნული წესი ბევრ შტატს პირდაპირ არ გადაუღია, მაგალითად, კალიფორნიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425.10-ე მუხლი ოდნავ განსხვავებულად მიუთითებს, რომ სარჩელი, გარდა მოთხოვნაზე მითითებისა, უნდა შეიცავდეს იმ ფაქტებზე მითითებას, რომლებიც ქმნიან სარჩელის საფუძველს; სამხრეთ კაროლინას შტატის კანონთა კრებულის 632.10-ე მუხლი კი მიუთითებს, რომ სარჩელის საფუძველი არის ფაქტების ერთობლიობა.

სიტყვა "ფაქტებში" მოიაზრება უპირველეს ყოვლისა იურიდიული ფაქტები.

მესამე - მოთხოვნა, რომ სასამართლო დაცვიდან გამომდინარე მიღებულ იქნეს გადაწვეტილება.

<sup>1</sup> Federal rules of Civil Procedure. (as amended to May 1, 1994). West publishing company. St. Paul. Minn. 1994.

<sup>2</sup> ფედერალური სამოქალაქო საპროცესო წესების 77-ე და 79-ე მუხლებით, კლერკის, როგორც სასამართლო თანამშრომლის (Officer of court) ძირითად ფუნქციებს შეადგენს წერილობითი შეჯიბრების დროს მოპოვებული დოკუმენტების, შუამდგომლობების, სასამართლო ბრძანებების, გადაწყვეტილებების და სხვა პროცესუალური საკითხების რეგისტრაცია და მოთავსება ე.წ. civil docket-ში ანუ სპეციალურ რეგისტრის წიგნში.

მაგალითისთვის მოვიყვან ფედერალური წესების დანართებიდან სარჩელის ერთ-ერთ ნიმუშს. ეს ნიმუში ეხება საგზაო შემთხვევას: მითითება სასამართლოს განსჯადობის შესახებ.

კერძოდ, აქ მოსარჩელემ უნდა მიუთითოს, სარჩელის განხილვა ფედერალური სასამართლოს კომპეტენციაში შედის თუ შტატის სასამართლოს კომპეტენციაში?

მითითება სასამართლო დაცვის უფლებაზე.

1936 წლის 2 ივნისს საზოგადოებრივ გზაზე (public highway), რომელსაც ჰქვია ბუილსტონი, ბოსტონში, მასაჩუსეტსში, მოპასუხემ უყურადღებობის შედეგად მოსარჩელეს დააჯახა მანქანა, როდესაც იგი გადადიოდა ქუჩაზე.

დაჯახების შედეგად მოსარჩელე დაეცა და მოიტეხა ფეხი, ამასთან ერთად მიიღო სხვა სახის დაზიანებაც. ამის გამო მოსარჩელე კვლარ აგრძელებდა თავის საქმიანობას, გარდა ამისა, განიცდიდა ტკივილს და სტრესს, ამასთან ერთად ათასი დოლარის ფარგლებში გასწია სამედიცინო მომსახურებისა და ჰოსპიტალიზაციის ხარჯები.

მოთხოვნა, რომ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე მოსარჩელე მოითხოვს მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება მოპასუხის წინააღმდეგ 10 000 დოლარისა და ხარჯების გადახდევინების თაობაზე.

სარჩელების მოცულობა და სიდიდე დამოკიდებულია საქმის სირთულეზე. მარტივ საქმეზე შეიძლება სარჩელი მოკლედ დაიწეროს, რთულ საქმეზე, სადაც რამდენიმე მხარეა ან რამდენიმე ხელშეკრულება არის გამოყენებული, სარჩელი შეიძლება ათეულობით გვერდზეც გაგრძელდეს.

სასამართლო არ ერევა მხარეთა დავაში. მოსამართლეები სწავლობენ მოსამზადებელ სტადიაზე მხარეთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს არა იმისათვის, რომ დაეხმარონ მხარეს და ურჩიონ მას შეცვალოს ან დაამატოს რაიმე, არამედ იმისათვის, რომ თავად იყოს მომზადებული საქმის მოსმენის დროს.

ამიტომაც რასაც ლეზულობს ერთი მხარისგან, იმის ასლს უგზავნის მეორე მხარეს. მიღებული მასალა კი შემდგომში ხდება მხარეებს შორის თავდაცვისა და შეტევის საფუძველი.

სარჩელის შედგენა დიდ იურიდიულ ცოდნას და გამოცდილებას

მოითხოვს, მით უმეტეს, თუ საქმე საკმაოდ რთულია. ამიტომ როდესაც ადვოკატი ისმენს კლიენტის მონათხრობს და აფიქსირებს მას თავის ფურცლებზე, ამას აკეთებს არა მხოლოდ საქმის არსის გასაგებად, არამედ აგრეთვე ამ მონათხრობიდან იგი ირჩევს მისთვის საჭირო ფაქტებს და ასახავს მათ სარჩელში არც ისე მოკლედ, მაგრამ არც ძალიან დაწვრილებით<sup>3</sup>.

თუ სარჩელში მითითებულია რაიმე დოკუმენტზე ან ხელშეკრულებაზე, მაშინ ისინი უნდა ერთვოდეს ამ სარჩელს, როგორც მტკიცებულება. თუ სარჩელი ეყრდნობა კანონს, უნდა იყოს მითითებული შესაბამისი კანონიც.

სარჩელის შეტანასთან ერთად საინტერესოა სასარჩელო ხანდაზმულობის შეწყვეტის საკითხიც. ფედერალური წესების მე-3 მუხლით: *“სამოქალაქო პროცესი იწყება სასამართლოში სარჩელის შეტანით”*. სარჩელის შეტანისთანავე სასამართლოს *კლერკი ახდენს მის რეგისტრაციას, გამოწერს უწყებას და უგზავნის მოპასუხეს*. აღნიშნული ფედერალური წესის პროექტის ავტორები იმედოვნებდნენ, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის შეწყვეტის საკითხსაც გადაწყვეტდნენ, მაგრამ სხვადასხვა შტატის საპროცესო წესებში აღნიშნული საკითხი ზოგჯერ არაერთგვაროვნადაა გადაწყვეტილი. მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის სამოქალაქო საპროცესო წესების 203-ე და 304-ე პარაგრაფები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს სარჩელის რეგისტრაციის ფაქტს და უთითებენ, რომ სამოქალაქო დავა აღიძვრება და ხანდაზმულობის მიმდინარეობა შეწყდება, როდესაც მოპასუხეს გადაეცემა სასამართლო უწყება (the summons is served upon defendant-rule 203), ან როდესაც პუბლიკაციის მეშვეობით იქნება გამოძახებული მოპასუხე (service by publication – rule 316) და ა.შ.

2. *უწყებისა და სარჩელის გადაგზავნა მოპასუხისათვის*. როგორც ზევით დავინახეთ, სარჩელის შეტანის შემდეგ ხდება მოპასუხის სახელზე უწყების (summons) გაგზავნა. ეს მოქმედება არ წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკურ მოქმედებას, მას დიდი იურიდიული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მასზეა დამოკიდებული უფლების (ინტერესის) დაცვის შემდგომი მსვლელობა.

<sup>3</sup> Field R: Kaplan B. Materials for a basic Course of Civil procedure. New York, 1973 p: 375

თუ როგორი უნდა იყოს სასამართლო უწყების ფორმა და შინაარსი, ფედერალური წესების მე-4 მუხლის "ა" პუნქტში, კერძოდ აღნიშნულია:

"სასამართლო უწყებას ხელს აწერს სასამართლოს კლერკი, მას ადასტურებს სასამართლოს ბეჭდით, უთითებს სასამართლოს და მხარეებს, მოსარჩელის ადვოკატის სახელს და მისამართს, თუ მოსარჩელეს არ ყავს ადვოკატი, მაშინ – მოსარჩელის სახელს და მისამართს.

უწყებაში უნდა აღინიშნოს ვადა, რომლის განმავლობაშიც მოპასუხემ სარჩელს უნდა უპასუხოს, აგრეთვე, შეიცავდეს გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ თუ პასუხს არ გასცემს სარჩელს, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას (*judgment by default*) მოპასუხის წინააღმდეგ. . ."

ფედერალური საპროცესო სამართლის წესების 84-ე მუხლს აქვს დანართი, რომელიც წარმოადგენს უწყების ნიმუშს, კერძოდ ეს ნიმუში შემდეგი შინაარსისაა:

## უ წ ყ ე ბ ა

შეერთებული შტატების რაიონული (District) სასამართლო  
ნიუ-იორკის სამხრეთ რაიონისათვის (for the southern district)<sup>1</sup>.

სამოქალაქო დავა, რეგისტრაციის ნომერი \_\_\_\_\_

ა.ბ. მოსარჩელე

წინააღმდეგ

უწყება

გ.დ. მოპასუხე

ზემოთ დასახელებულ მოპასუხეს:

<sup>1</sup> შეერთებული შტატების რაიონულ სასამართლოში იგულისხმება ფედერალური რაიონული სასამართლო. ასეთი სახის სასამართლო წარმოადგენს ფედერალურ დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს. ფედერალური რაიონული სასამართლოები ყველა შტატში არის იმის და მიხედვით, თუ რა მოცულობის არის ესა თუ ის შტატი. მაგალითად, კალიფორნიის შტატში არის ოთხი ფედერალური რაიონული სასამართლო, კერძოდ, კალიფორნიის ჩრდილოეთ რაიონში, სამხრეთ რაიონში და ა.შ. დაწერილებით აღნიშნულ საკითხზე იხილეთ ჩემი სტატია "აშშ-ის სასამართლო სისტემის ზოგიერთი საკითხი." აურნალი "სამართლის აქტუალური საკითხები" - 1999 წ. №1. იუსტიციის სასწავლო ცენტრი.

თქვენ ბრძანდებით გამოძახებული სასამართლოში და მოგეთხოვებათ გაუგზავნოთ 20 დღის ვადაში მოსარჩელის ადვოკატს მისამართზე \_\_\_\_\_ განმარტება სასარჩელო განცხადებაზე, რომელიც თქვენ გბარდებათ ამ უწყებასთან ერთად<sup>1</sup>. თუ თქვენ არ შეასრულებთ ამ მოთხოვნას დანიშნულ ვადაში, თქვენს წინააღმდეგ გამოტანილი იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება<sup>2</sup> იმ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომელიც მოცემულია სარჩელში.”

მსგავს წესს ითვალისწინებს თითქმის ყველა შტატი, თუმცა ზოგიერთ შტატში, მაგალითად, ნიუ-ორკის შტატის წესების 305-ე მუხლის თანახმად, უწყებაში უნდა დასაბუთდეს აგრეთვე საქმის განხილვის თაობაზე სასამართლოს უფლებამოსილებაც. საერთოდ უწყება სარჩელთან და მასზე დართულ დოკუმენტებთან ერთად ეგზავნება მოპასუხეს, მაგრამ თუ უწყებასთან ერთად არ ეგზავნება სარჩელი, მაშინ უწყებაში უნდა მიეთითოს აგრეთვე სარჩელის საგანი, მოთხოვნა და სარჩელის სხვა ძირითადი ელემენტები.

გარდა ამისა, განსხვავებულია პასუხის გაცემის ვადებიც, მაგალითად, კალიფორნიაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.20 მუხლით გათვალისწინებულია პასუხის გაცემის 30 დღიანი ვადა.

ფედერალური წესების მე-4 მუხლის “b” პუნქტით: “სარჩელის რეგისტრაციის შემდეგ, მოსარჩელემ შეიძლება გადასცეს უწყება სასამართლო კლერკს ხელის მოსაწერად და ბეჭდით დადასტურებისათვის. თუ უწყება სწორად არის შედგენილი, სასამართლოს კლერკი ხელს აწერს მას, ადასტურებს ბეჭდით და უბრუნებს მოსარჩელეს, რათა მან გადასცეს მოპასუხეს. თუ უწყება გათვალისწინებულია რამდენიმე მოპასუხისათვის, მაშინ ყოველ მათგანს უნდა გადაეცეს იგი.”

როგორც ვხედავთ უწყებას ადგენს მოსარჩელე და იგი გადასცემს მოპასუხესაც.

დასახელებული მუხლის “c”<sup>1</sup>. ქვეპუნქტით: “უწყება უნდა გაიგ-

<sup>1</sup> თუ მოპასუხე არის შერთებული შტატები, სახელმწიფო თანამდებობის პირი (officer) ან სააგენტო. მაშინ ვადა არის 60 დღე უწყების ჩაბარებიდან.

<sup>2</sup> ფედერალური საპროცესო წესების 55 “d” მუხლით შერთებული შტატების, სახელმწიფო თანამდებობის პირის, სააგენტოს წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში იქნება გამოტანილი, თუ სასამართლო წარმოდგენილ მტკიცებულებებს ჩათვლის საკმარისად.

ზაენოს სარჩელის ასლთან ერთად. მოსარჩელე პასუხისმგებელია უწყებისა და სარჩელის გადაცემისათვის ამ მუხლის "მ" პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში."

რას ითვალისწინებს აღნიშნული "მ" პუნქტი? ამ პუნქტის მიხედვით: "თუ უწყებისა და სარჩელის მოპასუხისათვის ჩაბარება არ მოხდება სარჩელის რეგისტრაციიდან 120 დღეში, სასამართლო, შუამდგომლობის საფუძველზე ან თავისი ინიციატივით – მოსარჩელისათვის შეტყობინების შემდეგ, შეწყვეტს სამოქალაქო დავის განხილვას. თუ მოსარჩელეს ჰქონდა ვადის გადაცილების საპატიო საფუძველი, მაშინ სასამართლო უმატებს შესაბამის ვადას."

მე-4 მუხლის "ე" 2. ქვეპუნქტით: "უწყების ჩაბარება შეიძლება მოახდინოს ნებისმიერმა პირმა, რომელიც არ არის მხარე და არის მინიმუმ 18 წლის. მოსარჩელის მოთხოვნით უწყების ჩაბარება შეიძლება განახორციელოს შეერთებული შტატების სასამართლო აღმასრულებელმა (United States marshal), ან აღმასრულებლის მოადგილემ (Deputy United States marshal) ანდა სხვა ნებისმიერმა პირმა ან მოსამსახურემ, რომელსაც დანიშნავს მოსამართლე." უწყების ჩაბარების პრობლემა დგება მაშინ, თუ მოპასუხე იმყოფება საზღვარგარეთ. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება დიპლომატიური არხები, დაზღვეული წერილი, სასამართლო დავალება და ა.შ.

საინტერესოა უწყების ჩაბარების ფორმებიც, რომლებიც სხვადასხვა სახით არსებობს. ძირითადად მაინც გავრცელებულია მოსარჩელის მიერ უწყების პირადად ჩაბარება (personal service). მაგრამ ვის ბარდება უწყება თუ მოპასუხე არის ქმედუუნარო პირი, ნაციონალური თუ უცხოური კორპორაცია, პარტნიორობა ან სხვა გაერთიანება, აშშ, ან შტატი, სახელმწიფო დაწესებულება და ა.შ.? ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე კორპორაციაა, კალიფორნიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416.10 მუხლის "ა" და "ბ" პუნქტების თანახმად უწყება უნდა ჩაბარდეს კორპორაციის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს, მდივანს და ა.შ. ძირითადად ასეთივე წესი მოქმედებს როდესაც მოპასუხე არაკორპორაციული ასოციაციაა (მათ შორის, პარტნიორობაც) (416. 40).

თუ პირი არასრულწლოვანია, მაშინ უწყება ბარდება მის მშობელს, მეურვეს, თუ ასეთი არ არის, მაშინ იმ პირს, ვინც ზრუნავს

არასრულწლოვანზე ან ვისთანაც მუშაობს არასრულწლოვანი, თუ იგი არის მინიმუმ 12 წლის (416.60). ასეთივე წესი გამოიყენება ქმეუუნარო პირის მიმართაც.

ზოგჯერ მოპასუხე არ იმყოფება ადგილზე ან განზრახ იმალება, რომ არ მიიღოს უწყება. ასეთ შემთხვევაში ფედერალური წესების მე-4 მუხლის თანახმად, უწყება შეიძლება დატოვებულ იქნას მოპასუხის საცხოვრებელ ადგილზე, ან ჩაბარდეს მასთან მცხოვრებ პირს, ნათესავს, რომელიც შემდეგ მოპასუხეს გადასცემს (კალიფ.ს.ს.პ. 415.20).

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიყენება უწყების ჩაბარების სხვა ფორმაც, კერძოდ, კალიფორნიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 415.30 მუხლით, უწყება შეიძლება გაეგზავნოს ფოსტითაც, კერძოდ, პირველი კლასის ფოსტით (first-class mail) ან სასწრაფო წერილის სახით (airmail), შეკვეთილი წერილით და ა.შ. მათ უნდა ახლდეს უწყების ასლი და კონვერტი, დამოწმებული უწყების უკან გამოსაგზავნად. უწყების ჩაბარების აღნიშნული წესი დღეს საკმაოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს.

ვფიქრობ, ქართველი იურისტებისათვის საინტერესო იქნება ფოსტით გასაგზავნი უწყების ჩაბარების ფორმა და შინაარსი. ამასთან დაკავშირებით მოვიყვან ნიუ-იორკის შტატის სამოქალაქო პროცესის კანონებისა და წესების 312.ა მუხლს, რომელიც ითვალისწინებს თუ რას უნდა შეიცავდეს დოკუმენტების ჩაბარების შესახებ განცხადება. ამ მუხლის თანახმად მასში აღნიშნული უნდა იყოს:

“უწყების დასათაურება ანუ — იმ პირის ან ორგანიზაციის სახელი და მისამართი, ვისაც უნდა ჩაბარდეს უწყება;

უწყების შინაარსი — უწყება და სარჩელი, ან უწყება და შეტყობინება, ანდა პეტიცია ჩაგზავრდებათ მოქმედი წესების შესაბამისად (იგულისხმება ნიუ – იორკის სამოქალაქო პროცესის წესები და კანონები).

თქვენ ხელი უნდა მოაწეროთ, დაუსვათ თარიღი, დაადასტუროთ ამ ფორმის ნაწილი და ფოსტით გამოუგზავნოთ დასახელებული ფორმა გამოგზავნის 30 დღის ვადაში იმ დღიდან, როცა იგი მიიღეთ. თქვენ უნდა შეინახოთ ასლი თქვენი ჩანაწერებისათვის ან თქვენი ადვოკატისათვის. თუ თქვენ გნებავთ მიიღოთ კონსულტაცია

ადვოკატისგან, მაშინ თქვენ ეს უნდა გააკეთოთ იმდენად სწრაფად, რომ მოასწროთ გამოგზავნა 30 დღეში.

თუ თქვენ არ შეასრულებთ მითითებულ წესს და 30 დღეში არ გამოგზავნით უკან დოკუმენტებს, მაშინ თქვენ მოგიწევთ უწყების ჩაბარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზრაურება. ასეთი მომსახურების ხარჯები დაგეკისრებათ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

თუ თქვენ მიიღეთ სარჩელი ამ განცხადებასთან ერთად, მაშინ ამ განცხადების დადასტურება და გამოგზავნა უკან არ განთავისუფლებთ იმ აუცილებლობისგან, რომ უპასუხოთ სარჩელს ან პეტიციას. პასუხის გაცემის ვადა გავა 20 დღის შემდეგ იმ მომენტიდან, როდესაც თქვენ გამოგზავნეთ ფოსტით ეს ფორმა.

თუ თქვენ გსურთ მიიღოთ კონსულტაცია ადვოკატისგან, თქვენ ეს უნდა გააკეთოთ იმდენად სწრაფად, რომ არ გაუშვათ 20 დღიანი ვადა.

თუ თქვენ გამოდიხართ კორპორაციის, არაკორპორაციული ასოციაციის ანდა პარტნიორობის<sup>7</sup> სახელით, მაშინ თქვენი ხელმოწერით უნდა უჩვენოთ თქვენი 'უფლებამოსილება ორგანიზაციასთან მიმართებაში. თუ გამოდიხართ სხვა პირის სახელით და ხართ უფლებამოსილი მიიღოთ სასამართლოს მოწვევა (process), მაშინ თქვენი ხელმოწერით უნდა აჩვენოთ თქვენი უფლებამოსილება.

დანამაული იქნება, თუ თქვენ გააყალბებთ ხელმოწერას ან თუ მოიტყუებთ ამ განცხადებაში ან დადასტურებაში."

ნიუ-იორკის შტატის სამოქალაქო პროცესის კანონებისა და წესების მოცემულ მუხლში ასახულია აგრეთვე, უწყების და სარჩელის მიღების დადასტურების ფორმის ნიმუში, რაც ასე გამოიყურება:

"მე მივიღე უწყება და სარჩელი, ან უწყება და შეტყობინება ან

---

<sup>7</sup> Partnership — ჩვენი კანონმდებლობით ამხანაგობა ძირითადად გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსით და არა მეწარმეთა შესახებ კანონით. ამიტომ ვფიქრობ, რომ "partnership"-ის თარგმანა, როგორც "პარტნიორობა" უფრო იმის მაჩვენებელია, რომ საქმე გვაქვს სამეწარმეო ორგანიზაციასთან. რადგანაც ტერმინი "პარტნიორი" უკავშირდება სამეწარმეო საქმიანობას. ამერიკის სამართლით, არსებობს, აგრეთვე ისეთი ფორმა, როგორც არის "limited partnership", რომელიც კომანდიტური საზოგადოების მსგავსია ანდა "Partnership", რომელიც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მსგავსია.



პეტიცია — მისამართზე (მიუთითეთ მისამართი).

გთხოვთ აღნიშნოთ ერთ-ერთი შემდეგიდან:

1. / / მე არ ვარ სამხედრო სამსახურში;

2. / / მე ვარ სამხედრო სამსახურში და ჩემი წოდება,

ნომერი და სამხედრო ნაწილია შემდეგი

წოდება \_\_\_\_\_

ნომერი \_\_\_\_\_

სამხედრო ნაწილი \_\_\_\_\_

(დადასტურდეს მიუხედავად სამხედრო სტატუსისა)

თარიღი \_\_\_\_\_

(მიეთითოს დადასტურების თარიღი)

ცრუ ჩვენებისათვის დასჯის გათვალისწინებით, მე ვადასტურებ, რომ ზემოთ ნაჩვენები ინფორმაცია არის სწორი.

ხელმოწერა

სახელი

მოპასუხის სახელი

\_\_\_\_\_იმ პირის თანამდებობა, ვინც მოპასუხის სახელით მოქმედებს (ოფიცერი, ადვოკატი და ა.შ.

გთხოვთ შეავსოთ ყველა მითითება თარიღის ჩათვლით”

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ნიუ-იორკის კანონით ფოსტით ჩაბარების წესი საკმაოდ დეტალურად არის მოწესრიგებული, რაც შესაძლებლობას აძლევს მხარეს ზუსტად იცოდეს თავისი მოქმედების მიზანი და შედეგი.

გარდა აღნიშნულისა, სასამართლოში დაბარება შეიძლება ეცნობოს მოპასუხეს პრესის მეშვეობითაც. ეს წესი განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიყენება, კერძოდ, როდესაც შეუძლებელია უწყების პირდაპირ ჩაბარება ან საერთოდ სუბსტიტუტური ჩაბარება, როდესაც დავა ეხება ქონებას – საკუთრების უფლებას, გირავნობას და ა.შ. დასახელებული წესი მოწესრიგებულია სხვადასხვა შტატის

საპროცესო სამართლით, მაგალითად, კალიფორნიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, ნიუ-იორკის შტატის კანონით და ა.შ.

წესები ითვალისწინებს აგრეთვე გამოქვეყნების ოდენობასაც, მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის ზემოთ დასახელებული კანონის 316-ე მუხლით შეტყობინება გამოქვეყნდება პრესაში კვირაში ერთხელ ოთხი კვირის განმავლობაში, თანმიმდევრულად.

აღნიშნულ წესებს ემატება მოსამართლეთა უფლებაც თავად გადაწყვიტოს შემთხვევები, როდესაც უწყება შეიძლება ჩაბარებულად ჩაითვალოს.

მაგალითად, თუ პირი ვერ მონახა, უწყება შეიძლება ჩაბარებულად ჩაითვალოს, თუ იგი გადაეცემა შტატის თანამდებობის პირს. მოსამართლეთა შეხედულება უწყების ჩაბარება – არჩაბარების თაობაზე ემყარება გონივრულ აზრს.<sup>8</sup>

ამერიკის სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები როდესაც მოპასუხეს განუცხადებია, რომ უწყება, რომელიც მის საფოსტო ყუთში ჩაუგდია მიმტანს, მას არ უნახავს და ამიტომ უწყება ჩაბარებულად არ ეთვლება.

სასამართლოს ასეთი განცხადება არ მიუღია და ჩათვალა უწყება ჩაბარებულად. მაგრამ თუ უწყება ჩაბარებია კორპორაციის ისეთ თანამშრომელს, რომელსაც ამის უფლებამოსილება არ ქონდა, სასამართლოს პირიქით ჩაუთვლია, რომ ასეთი ჩაბარება არ ითვლება ჩაბარებად<sup>9</sup>.

3. *მხარეთა წერილობითი შეჯიბრი*. როდესაც მხარე უწყებას ჩაიბარებს, იწყება შემდეგი, არანაკლებ საინტერესო სტადია ე. წ. პასუხების წერილობითი ფორმით გაცვლა ანუ “შეჯიბრი წერილობითი ფორმით”. მთელი ეს პროცესი ინგლისურად ერთი სიტყვით გამოიხატება – pleadings.

რატომ წერილობითი ფორმით? როგორც ზევით აღვნიშნეთ, მოპასუხემ უნდა გასცეს წერილობითი პასუხი სარჩელს და გადაუგზავნოს მოსარჩელის ადვოკატს ან თავად მოსარჩელეს. ეს კი შესაძლებელია, რა თქმა უნდა, მხოლოდ წერილობითი ფორმით.

<sup>8</sup> Smit H. — constitutional guarantees in civil litigation in the United States of America — In: Fundamental guarantees of the parties in civil litigation. Milano — N.Y. 1973. P. 449

<sup>9</sup> McDonald v. Ames Supply Co. 22. N.Y. 2d. 111. 1968

რას ნიშნავს პასუხების წერილობით გაცვლა?

ფედერალური წესების მე-7 წესის თანახმად: წერილობითი შეჯიბრი (Pleading) მოიცავს: ა) სარჩელს (complaint) და მასზე პასუხს (answer); პასუხს შეგებებულ სარჩელზე (counterclaim); პასუხს ჯვარედინა სარჩელზე (cross-claim); მესამე პირის სარჩელს; მესამე პირის სარჩელზე პასუხს.

სხვა რამეს წერილობითი შეჯიბრი აღარ მოიცავს, თუ სასამართლო არ დართავს ნებას მხარეებს, გააგრძელონ პასუხების გაცვლა.

4. *ჯვარედინი სარჩელი. (cross-claim)*. ეს ტერმინი და ინსტიტუტი საერთო სამართლისათვის არის დამახასიათებელი. ამერიკის ფედერალური საპროცესო წესების მე-13 მუხლის "გ" პუნქტის თანახმად ჯვარედინა სარჩელი გამოიყენება მისივე სტატუსით მყოფი პირის წინააღმდეგ. ასეთი სახის სარჩელი გამოიყენება მაშინ, როდესაც დავა გამოძინარეობს გარიგებიდან ან საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობიდან. მეტი თვალსაჩინოებისთვის მოვიყვან მაგალითს: A-მ შეიტანა სარჩელი B-ს და C-ს წინააღმდეგ, იმ მოტივით, რომ B და C შეჯახებით იგი დაზიანდა. ამრიგად, B და C არიან მოპასუხეები, რომლებმაც პასუხი უნდა გასცენ სარჩელს. მაგრამ ამ შეჯახებაში დაზიანდა B-ც, ამიტომ მან ე.წ. ჯვარედინა სარჩელი წაუყენა C-ს იმ მოტივით, რომ C-ს ბრალით მოხდა B-თან შეჯახება და აქედან გამომდინარე A-ს დაზიანება. ამიტომ ჯვარედინა სარჩელით მოითხოვს იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელსაც მისგან ითხოვს A-ძირითადი მოსარჩელე.

სასამართლოები თავად აფასებენ და წყვეტენ საკითხს, მიეკუთვნება თუ არა ერთ-ერთი მოპასუხის მიერ მეორე მოპასუხის მიმართ წარდგენილი სარჩელი ჯვარედინ სარჩელს. თუ ჩათვლიან რომ არ მიეკუთვნება და ჯვარედინ სარჩელში დაყენებული მოთხოვნა სცილდება ძირითადი სარჩელის ფარგლებს და მოთხოვნას, მაშინ ჯვარედინ სარჩელს ანიჭებენ დამოუკიდებელი სარჩელის სახეს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირმა სადავო საქმისგან დამოუკიდებლად უნდა აღძრას სარჩელი.

პრინციპში უნდა ითქვას ისიც, რომ სასამართლოები თანდათან ამცირებენ ჯვარედინა სარჩელის გამოყენებას და მოსარჩელეს უწევს

დამოუკიდებელი წესით სარჩელის აღძვრა.

ჯვარედინა სარჩელის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ მოპასუხემ ძირითად სარჩელზე პასუხის გაცემისას იქვე უნდა მიუთითოს ჯვარედინი სარჩელის შინაარსზეც.

ზემოთ მოხსენიებული ფედერალური წესის 42-ე წესის "ბ" პუნქტის თანახმად, სასამართლოს შეუძლია დავის გადაწყვეტის დაჩქარებისა და ეკონომიური თვალსაზრისით გამოყოს შეგებებული სარჩელი ან ჯვარედინი სარჩელი დამოუკიდებელ წარმოებად ან თანახმად ამავე წესების 54-ე წესის "ბ" პუნქტისა, გამოიტანოს ცალკე გადაწყვეტილება ძირითად სარჩელზე, შეგებებულ სარჩელზე ანდა ჯვარედინა სარჩელზე.

5. *სარჩელის საფუძვლისა და შესაგებლის დაზუსტება - დაკონკრეტება.* ფედერალური საპროცესო სამართალი ითვალისწინებს ე.წ. შესწორებებს (დაზუსტებას) პასუხებში ან სარჩელში. ამ შესწორებების საფუძველზე მოსარჩელეს უფლება ეძლევა შეიტანოს სარჩელში ისეთი ფაქტები, რომლებიც არსებობენ, მაგრამ არ ყოფილა შეტანილი დროულად. ასეთივე უფლება აქვს მოპასუხესაც, მასაც შეუძლია გარკვეული შესწორებები შეიტანოს თავის პასუხებში (შესაგებელში). ეს უფლებები მხარეებს აქვთ მხოლოდ განსაზღვრული დროის განმავლობაში, კერძოდ, ფედერალური წესების მე-15 წესის "ა" პუნქტის თანახმად: ყოველი მხარე უფლებამოსილია ერთხელ შეცვალოს თავისი პოზიცია ნებისმიერ დროს, სანამ მეორე მხარისგან არ მიუღია პასუხი, ანდა თუ პასუხი არის და საქმე ჯერ კიდევ არ არის დანიშნული ძირითადი მოსმენისათვის (has not been placed upon the trial calendar), მაშინ 20 დღის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც მოწინააღმდეგე მხარეს ჩაბარდა შესაბამისი პასუხი. შემდგომი შესწორებები შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ანდა სასამართლოს ნებართვით.

*შესწორებები სხვადასხვა მიზეზით შეიძლება მოხდეს, მაგალითად, მხარის შეცვლით, გარკვეულ საკითხებზე მორიგებით და ა.შ.*

გარდა შესწორებებისა, ფედერალური წესების აღნიშნული მუხლის "d" პუნქტი ითვალისწინებს აგრეთვე მხარის შუამდგომლობით ე.წ. დამატებით საბუთების წარდგენის შესაძლებლობას (Supplemental

pleadings). დამატებით საბუთში უნდა იყოს ასახული გარიგება, მოვლენა, რომელიც მოხდა წერილობითი შეჯიბრების დაწყების შემდეგ.

6. *შუამდგომლობების აღძვრა*. მოსამზადებელ სტადიაზე ხშირად მხარეები აყენებენ სხვადასხვა სახის შუამდგომლობებს, რომლებიც დაკავშირებულია საქმესთან. შუამდგომლობების მეშვეობით მხარე მოითხოვს, რომ სასამართლომ შეასრულოს განსაზღვრული მოქმედებები.

შუამდგომლობები (motions) სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს კეთდება ზეპირად და ფიქსირდება სხდომის ოქმში, ხოლო მოსამზადებელ სტადიაზე კი შუამდგომლობები კეთდება წერილობითი ფორმით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს მხარის მიერ. შუამდგომლობებს შეიძლება ახლდეს შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც ასაბუთებენ წამოყენებულ შუამდგომლობებს.

ყველაზე მეტად გავრცელებულია შუამდგომლობები სასამართლო კომპეტენციის შეცვლის შესახებ, სწორი ტერიტორიული ქვემდებარეობის შესახებ, საქმის არსთან დაკავშირებით და ა.შ.<sup>10</sup>. სასამართლო კომპეტენციასთან დაკავშირებით შეიძლება ასეთი შუამდგომლობა დადგეს:

მოპასუხემ შეიძლება ფედერალურ სასამართლოს განუცხადოს, რომ ის და მოსარჩელე არიან არა სხვადასხვა, არამედ იმავე შტატის მაცხოვრებლები და ამიტომაც დავის განხილვა არ არის ფედერალური სასამართლოს კომპეტენცია.

რაც შეეხება ტერიტორიულ ქვემდებარეობას ანუ სარჩელის განხილვის ადგილს (venue), აქ მოიაზრება სასამართლოს გეოგრაფიული მდებარეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ სასამართლომ უნდა განიხილოს დავა, სადაც დაიდო გარიგება ან ცხოვრობს (ან ოფისი აქვს) მოპასუხე. ზოგ შემთხვევაში სასამართლოს ტერიტორიული ქვემდებარეობა რაიმე სპეციფიკურ წესზეა დამოკიდებული, მაგალითად, დავა იმ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება უძრავი ნივთი.

შუამდგომლობები ეხება სასამართლო პროცესის ფარგლებს, მაგა-

<sup>10</sup> Geoffrey C. Hazard. Michele Taruffo – American civil procedure: an introduction. 1993. New York. P.110

ლითად, მესამე პირის ჩართვა, ახალი მოპასუხის ჩართვა და ა.შ., მხარის გამორიცხვა, რადგან გაირკვა, რომ აღარ აქვს ინტერესი სადავო საგნის მიმართ, ანდა შუამდგომლობა ახალი დოკუმენტის წარმოდგენის შესახებ ან ასეთი მოთხოვნის უკვე დაგვიანების შესახებ.

შუამდგომლობები შეიძლება შეეხებოდეს მოსამართლის ქცევასაც, რომ იგი იჩენს ინტერესს ერთ-ერთი მხარის მიმართ და რომ მან მისცეს აცილება საკუთარ თავს.

*შუამდგომლობა შეიძლება ეხებოდეს, აგრეთვე, საქმის შეწყვეტასაც იმ მოტივით, რომ მართალია სარჩელში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ კანონის დარღვევას.*

7. *მტკიცებულებათა გამოვლენა.* მოსამზადებელი სტადიის მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს მტკიცებულებების გამოვლენა (discovery), რომელიც სარჩელის აღძვრის მომენტიდან იწყება.<sup>11</sup> დოკუმენტების წარდგენა ხდება სასამართლოს მოთხოვნის გარეშე. თუ მოსარჩელეს უნდა, რომ მოპასუხემ მისცეს წერილობითი ჩვენება ფიცის ქვეშ, მაშინ იგი მოპასუხის ადვოკატს გადასცემს წერილობით შეტყობინებას, უთითებს დროს და ადგილს რათა მიიღოს წერილობითი ჩვენება. ამ პროცესს შეიძლება დაესწროს მხოლოდ სასამართლოს რეპორტიორი (court reporter)<sup>12</sup> და არა მოსამართლე ან სასამართლოს პერსონალი.

დოკუმენტების გამოვლენის პროცესი ხორციელდება ადვოკატების ინიციატივით. რომელიმე ადვოკატი, რომელსაც უნდა რომ მეორე მხარემ წარმოადგინოს მის მფლობელობაში არსებული დოკუმენტი, უგზავნის წერილობით მოთხოვნას მეორე მხარეს, რათა მან წარმოადგინოს ეს დოკუმენტი.

დავა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნეს გამოვლენი დოკუმენტები, წყდება მოლაპარაკების მეშვეობით ან შეიძლება საკითხი გადაწყდეს მოსამართლის ან მისი თანამემწის მეშვეობით. გამოსავლენი

<sup>11</sup> Geoffrey C. Hazard, Michele Taruffo – American civil procedure: an introduction. 1993. New York. P. 114

<sup>12</sup> სასამართლოს რეპორტიორი (Court reporter) – პირი, რომელიც ახორციელებს სტენოგრაფიული ჩანაწერების გამოწერას ანდა ახორციელებს სასამართლო პროცესზე მიცემული ფიცის ელექტრონულ ჩაწერას. (Black's Law dictionary; St. Paul, Minn. West Publishing Co. 1991).

დოკუმენტები მოიცავს იმ ფაქტებს და მტკიცებულებებს, რომლებსაც კავშირი აქვთ დავის საგანთან და გამომდინარეობენ კანონებიდან ან პრეცედენტებიდან.

ფედერალური წესების 26-ე წესის თანახმად, შესაძლებელია, რომ მხარეებმა ერთმანეთს მიაწოდონ ნებისმიერი ინფორმაცია სადავო საგნის შესახებ. მაგრამ ინფორმაციის მიწოდება უფლებაა და არა მოვალეობა. მისაწოდებელ ინფორმაციაში მოიაზრება, მაგალითად, პირის სახელი, მისამართი, ტელეფონი, დოკუმენტების ასლები, მოწმეთა წერილობითი და ზეპირი ჩვენება, მხარის პროცესთან დაკავშირებული სხვა პირის ფიზიკური და ფსიქიკური უნარიანობა და ა.შ.

მტკიცებულებათა წინასწარ გამოვლენისა (initial disclosures) და გაცნობის ინსტიტუტი დიდ ღალატებს უწევს მხარეებს მათ შემდგომ მუშაობაში, კერძოდ, ამის მეშვეობით ადვოკატები ქმნიან შემდგომი მუშაობის სტრატეგიას და ტაქტიკას, ადვილად ხელავენ საკუთარ და მოწინააღმდეგე მხარის დადებით და სუსტ მხარეებს, მუშაობენ თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად და ა.შ. ამასთან ერთად, მტკიცებულებების წინასწარ გამოვლენის ინსტიტუტი ხელს უწყობს იმასაც, რომ ადვოკატებმა მიაღწიონ ურთიერთშეთანხმებას ანდა გადაწყვეტილება გამოტანილი იქნეს გამარტივებული წესით. ყოველი დოკუმენტი, თუკი ეს შესაძლებელია, უნდა იქნეს დადასტურებული ერთი მხარის ადვოკატის მიერ მანაც.

თუ მტკიცებულებათა გამოვლენა უნდა განხორციელდეს აშშ-ის გარეთ, მაშინ სპეციალურად დანიშნული პირი – კომისიონერი (commissioner), აშშ-ის დიპლომატი ან საკონსულოს წარმომადგენელი ახორციელებს ამ ქმედებას ანდა იგი ხორციელდება სასამართლოს დავალებით (letters rogatory).

*შეიძლება აგრეთვე მიმართონ შესაბამისი ქვეყნის სასამართლოს, რათა მან დაავალდებულოს პირი, რომ იგი გამოცხადდეს და ამერიკის კონსულს, საელჩოს მისცეს ჩვენება ან გადასცეს დოკუმენტი.*

აქვე მინდა მოკლედ შევეხო მოწმის დაკითხვასაც. მოწმის ჩვენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა ამერიკის საპროცესო სამართალში. მტკიცებულებათა შესახებ ფედერალური წესების 603-ე წესის თანახმად: ჩვენების მიცემამდე ყოველი მოწმე ვალდებულია განაცხადოს, რომ იგი ფიცის (oath) ქვეშ მისცემს სწორ ჩვენებას;

მოწმე აგრეთვე იძლევა საყოველთაო დაპირებასაც, რომ არ იტყვის ტყუილს (Affirmation). ფიცის და საყოველთაო დაპირების მიზანია, რომ მოწმემ კეთილსინდისიერად, ამერიკელი ხალხის წინაშე მოიხადოს ვალი და განაცხადოს ის, რაც უშუალოდ მისთვის არის ცნობილი.

ფიცის ტექსტი ძირითადად ასე უღერს: მე საზეიმოდ ვფიცავ, რომ საქმესთან დაკავშირებით ვილაპარაკო სიმართლე და მხოლოდ სიმართლე და არაფერი სხვა სიმართლის გარდა, ღმერთი იყოს ჩემი შემწე.

სხვა რელიგიის მიმდევრები ფიცს დებენ თავიანთი მრწამსის შესაბამისად. მოწმეები ფიცს დებენ, როცა ეს საჭიროა ჩვენების მისაცემად, ეს შეიძლება მოხდეს როგორც მოსამზადებელ, ასევე მთავარ სხდომაზეც.

თუ მოწმე არ შეასრულებს თავის მოვალეობას და არ გამოცხადდება სასამართლოში არასაპატიოდ, ეს ითვლება სასამართლოსადმი უპატივცემულობად. იგი პოლიციის შერიფის მეშვეობით იძულებით იქნება მოყვანილი და თანაც დაჯარიმდება. სხვადასხვა შტატში ჯარიმის ოდენობა განსხვავებულია. უფრო მეტიც, თუ მისი გამოცხადებლობა ზარალს მიაყენებს მხარეს, მაშინ დაზარალებულს შეუძლია მოწმეს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურებაც.

ფიცის მიცემა შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი ადვოკატის ოფისშიც. ამ დროს ფიცის მიცემას შეიძლება ესწრებოდეს სასამართლოს რეპორტიორი ან ნოტარიუსი, რომელიც დაადასტურებს ფიცის მიცემას და სრულად ჩაიწერს მოწმის ჩვენებას.<sup>13</sup>

ყველა კითხვა-პასუხი იწერება. კითხვები ძირითადად დეტალურია და ზოგჯერ აგრესიულიც. დაკითხვა შეიძლება გაგრძელდეს საათობით, ზოგჯერ კი, თუ ამის საჭიროებაა, შეიძლება გაგრძელდეს დღეებიც კი.

განსაკუთრებულ შემთხვევაში მხარე შეწყვეტავს დაკითხვას, რათა იგი გააგრძელოს სასამართლო პროცესზე.

მოწმეს შეუძლია მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც მან გასწია პროცესზე მონაწილეობასთან დაკავშირებით.

---

<sup>13</sup> Bernab U. A introduction American Law system: West Publishing Co. Sant Paull. Minn. 1995.



ექსპერტის გამოყენებაც ჩვეულებრივი მოვლენაა მოსამზადებელ სტადიაზე.

მაგალითად, *ჯანმრთელობის დაზიანებისას მეორე მხარემ შეიძლება ექსპერტის დანიშვნა მოითხოვოს რათა შეაფასონ მისი დაზიანების ხარისხი და მოცულობა, ანდა თავად წარმოადგინოს ექსპერტის დასკვნა.*

*საავტომობილო ინციდენტში ექსპერტმა შეიძლება განმარტოს- შეაფასოს მდგომარეობა, მაგალითად, დარტყმის კონფიგურაცია და ა.შ.*

ექსპერტის დანიშვნისას ყურადღებას აქცევენ მის გამოცდილებას, ცოდნას, კეთილსინდისიერებას, აზრის სწორად ჩამოყალიბებისა და გადმოცემის უნარს.

8. *მოსამზადებელი შეხვედრები (Pretrial conference).* მოსამზადებელ სტადიაზე, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია ე.წ. Pretrial conference – მოსამართლეთა შეხვედრა ადვოკატებთან. ასეთი შეხვედრები ძირითადად ეწყობა მტკიცებულებების გამოვლენის შემდეგ.<sup>14</sup> მოსამზადებელ შეხვედრებს ძირითადად არეგულირებს ფედერალური წესების მე-16 წესი. ამ წესის "ა" პუნქტის თანახმად: მოსამზადებელ სტადიაზე ასეთი შეხვედრის მიზანია დაჩქარდეს საქმის გადაწყვეტა, ხელი შეეწყოს მხარეთა მოლაპარაკებას, მორიგებას, ზუსტად დადგინდეს საკითხები, რომლებიც ნაჩვენები იქნა მტკიცებულებათა გამოვლენის შემდეგ.

მოსამართლისა და ადვოკატის შეხვედრის ბოლოს დგება მთავარ სხდომაზე მუშაობის გეგმა, დგინდება, თუ ვინ უნდა გამოცხადდეს და რა მტკიცებულებებია წარმოდგენილი, ანუ ზუსტდება მოწმეები და მტკიცებულებები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს მთავარ სხდომაზე.

ამავე წესის "ე" პუნქტის თანახმად, შეხვედრის შემდეგ სასამართლო დებულობს დადგენილებას (პრეტორიალ ორდერს). დადგენილებაში მითითებულია მოწმეები, რომლებიც უნდა გამოცხადდნენ სასამართლოში, მთავარ სხდომაზე, აგრეთვე, მითითებულია ის მტკი-

---

<sup>14</sup> Mary Kay Kane – Civil procedure – in a nutshell: West Publishing Co. St. Paul Minn. 1991. P.150.

ცებულებები, რომლებიც უნდა იქნეს წარმოდგენილი.

ის, რაც დადგენილებაშია ნაჩვენები და მითითებული, ფაქტიურად აღარ იცვლება მთავარ სხდომაზე. მაგალითად, თუ დადგენილებაში მითითებულია ორი მოწმე, მთავრ სხდომაზე ახალი, მესამე მოწმის გამოძახება აღარ ხდება.

ანდა, ის რა მტკიცებულებაც იქნა აღნიშნული მოსამზადებელი შეხვედრის დადგენილებაში, მხარეებს ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა აღარ შეუძლიათ. მხარეების ასეთი შეზღუდვა ძირითადად ხდება ფედერალურ სასამართლოებში და შტატების დიდ ნაწილში. ამიტომაც არის რომ ადვოკატი დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო პროცესში.

მოსამართლისა და ადვოკატის შეხვედრები შეიძლება შედგეს როგორც მოსამართლის ოთახში, ასევე საჯაროდ დარბაზშიც. მოსამართლეთა ასეთი აქტიურობა, რა თქმა უნდა, აჩქარებს სამოქალაქო დავის გადაწყვეტას.

მოსამართლეთა და ადვოკატთა შეხვედრების ბოლოს მოსამართლე ღებულობს დადგენილებას (pretrial order), რომელშიც აისახება მხარეთა დათქმები, მოწმეთა და მტკიცებულებათა სია და სხვა საკითხები, რომლებიც შეხვედრებზე გადაწყდა.<sup>15</sup>

9. *მხარეთა მორიგება (contract of settlement)*. ამერიკის სამოქალაქო საპროცესო სამართალში მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს მხარეთა მორიგება. მხარეებს უფლება აქვთ დავა გადაწყვიტონ მორიგებით.<sup>16</sup>

*მორიგება შეიძლება შეეხოს ნაკლები თანხის გადახდას, გადასახადის გადაუხდელობას ანდა სრულ გადახდას.*

მხარე თანხმდება ზოგჯერ ნაკლები თანხის გადახდას იმ შემთხვევაში, როცა არ უღირს დროის დაკარგვა და შემდგომი ხარჯების გაღება.

სრული გადახდა ხდება მაშინ, როდესაც მხარე ხედავს, რომ არსებობს ისეთი მტკიცებულებები, რომ თავს ვეღარ დაიცავს. ანდა არ აქვს მტკიცებულებები, რათა საკუთარი მოთხოვნა დაასაბუთოს.

<sup>15</sup> Mary Kay Kane – დასახელებული ნაშრომი, გვ. 154.

<sup>16</sup> Geoffrey C. Hazard. Michele Taruffi – დასახელებული ნაშრომი, გვ. 122

მორიგება შესაძლებლობას აძლევს მხარეს თავიდან აიცილოს შემდგომი ხარჯები. მორიგება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს, როგორც მოსამზადებელ სტადიაზე, ასევე სააპელაციო სასამართლოშიც, მაგრამ სანამ აპელაცია დამთავრდებოდა.

მორიგება საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც მოითხოვს დიდ გამოცდილებას, ტაქტს და სადავო საგნის ზუსტად შეფასებას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს თუ როგორი ადვოკატი მონაწილეობს მორიგების პროცესში.

მორიგებას შეიძლება თავმჯდომარეობდეს მოსამართლეც, მაგრამ შემდგომ პროცესში შეიძლება იგი აღარ თავმჯდომარეობდეს სასამართლო სხდომებს.

შეიძლება მოეწყოს დავის ე.წ. ალტერნატიული გადაწყვეტაც ან მინი სასამართლო პროცესიც. ასეთ შემთხვევაში მოიწვევენ მოწმეებს, განიხილავენ მორიგების შესაძლებლობებს, შეიძლება მოიწვიონ არაოფიციალური მსაჯულებიც, რომლებიც მიიღებენ გადაწყვეტილებას. ასეთი პროცესების მიზანია ის, რომ მხარეებმა და მათმა ადვოკატებმა რეალურად შეაფასონ მდგომარეობა და მიაღწიონ კომპრომისს.

საინტერესოა ის მომენტიც, რომ მორიგებაზე მოსარჩელის ადვოკატი ზრუნვას იწყებს სარჩელის აღძვრამდეც. იგი წინასწარ ხვდება მომავალ შესაძლო მოპასუხეს და ცდილობს მიაღწიოს მასთან მორიგებას. თუმცა ასეთი შეხვედრების მიზანი უფრო არის ის, რომ მოსარჩელის ადვოკატმა წინასწარ გაიგოს მოპასუხის არგუმენტები.

მას შემდეგ, როდესაც მოსამართლე ჩათვლის, რომ საქმე მზადაა მთავარ სხდომაზე განსახილველად, ნიშნავს მთავარ სხდომას. ამ დროიდან საქმის წინასწარი მომზადება დამთავრებულად ითვლება და იწყება მხარეთა ზეპირი შეჯიბრება.

## საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა

ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში კანონმდებელი შეზღუდულია ქვეყნის კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და კონკრეტული ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებით. მსგავსი შეზღუდვის უპირველესი დანიშნულებაა მაქსიმალურად დაიცვას ადამიანი სახელმწიფოს არამართლზომიერი ჩარევისაგან.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პრინციპები უგულვებელყოფილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით და ამავე კოდექსის მთელი რიგი მუხლებით დარღვეულია კონსტიტუციის მე-18 და 42-ე მუხლით გათვალისწინებული მრავალი ფუნდამენტური დებულება.

### არის თუ არა ძარბოებული ჩვენი შენიშვნები?

მივყვეთ დასმული საკითხის არსს. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი აღნიშნავს: ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია; თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არ უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას

დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღმატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა – 9 თვეს.

კონსტიტუციის 42-ე მუხლითაც დადგენილია, რომ: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. დაცვის უფლება გარანტირებულია. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს და ა.შ.

ჩვენი აზრით, საქართველოს კონსტიტუციის ზემოთ აღნიშნული მუხლების შინაარსს არ შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი მუხლები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არ არის განმარტებული თუ, რა მომენტიდან ითვლება პირი თავისუფლებაშეზღუდულად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთად პირი ითვლება დაკავების მომენტიდან, ე.ი. იმ მომენტიდან, როდესაც მას რეალურად შეეზღუდა კონსტიტუციით მინიჭებული თავისუფალი გადაადგილების უფლება.

აქვე ჩნდება ასეთი კითხვა: ვის შეიძლება შეეზღუდოს თავისუფლება? თუ მიყვებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლს, ასეთად შეიძლება მოგვევლინოს ეჭვმიტანილი პირი, ე.ი. პირი, რომლის გარშემოც არსებობს ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. ამის საფუძველს კი გვაძლევს შემდეგი გარემოება, რომ: ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე; ბ) თვითმხილველები, მათ შორის, დაზარალებულებიც, პირდაპირ მიუთითებენ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე; გ) პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულის ამკარა კვალი; დ) პირი მიიძალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდგომ იგი ამოიციწო დაზარალებულმა; ე) პირის მიმართ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) ძებნის წარმოების შესახებ.

ზემოთ აღნიშნული საფუძველებიდან ერთ-ერთის არსებობა საკმარისია იმისათვის, რომ პირი დაკავებულ იქნეს (ე.ი. შეეზღუდოს თავისუფლება) ეჭვმიტანილის სახით და დაკავების მომენტიდან

ისარგებლოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით: „მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს“. ამით იმის თქმა გვინდა, რომ თავიდანვე პირი უკვე დაკავებულია როგორც ეჭვმიტანილი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დაწესებული 12 საათიანი დრო, ამ ხნის განმავლობაში ეჭვმიტანილის სახით დაკავებული პიროვნება დადგენილებით განმეორებით ცნობილ იქნას ეჭვმიტანილად, ალოგიკურად გვეჩვენება ( ვფიქრობთ, ეჭვმიტანილის ინსტიტუტი შედარებით უკეთესად იყო დამუშავებული 1961 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით).

ე.ი. ჩვენ, მართებულად მიგვაჩნია გაუქმდეს ისეთი პროცესუალური დოკუმენტის შედგენა, როგორცაა დადგენილება „პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ“, რამდენადაც პირის დაკავება თავიდანვე ხდება სწორედ ეჭვმიტანილის სახით. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სინათლეს შეიტანს „დაკავებულის“ ინსტიტუტში. მოგვცემს შესაძლებლობას ვიცოდეთ, რომ ეჭვის საფუძველზე დაკავებული პირი ეჭვმიტანილია, რომ ცალკე დამოუკიდებელი ინსტიტუტის სახით „დაკავებული პირის“ ინსტიტუტი უცხოა სისხლის სამართლის პროცესისათვის. რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლში ნათქვამი „დაკავებული“ ზოგადი ცნებაა, მის ქვეშ შეიძლება მოიაზრებოდეს, როგორც ეჭვმიტანილი, ისე ბრალდებული, ასევე მსჯავრდებულიც. ეს იმაზეა დამოკიდებული თუ რა უდევს საფუძველად პირის დაკავებას.

სამწუხაროდ, კანონმდებელმა კონსტიტუციაში გამოყენებული ტერმინი „დაკავებული“ საპროცესო კოდექსში გადმოიტანა, როგორც დამოუკიდებელი (მაგ. 146-ე მუხლი, 150-ე მუხლი) დროებითი, გარდამავალი ფიგურა. დროებით იმდენად, რამდენადაც მისი შემოწმება უნდა დამთავრდეს პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში დაკავებულის მიყვანიდან არა უგვიანეს 12 საათისა და ამ 12 საათში უნდა მიიღოს უკვე საპროცესო ნორმებით აღიარებული ეჭვმიტანილის გარდამავალი სტატუსი. ე.ი. გამოდის სისხლის სამართლის პროცესში დღეისათვის გვაქვს ორი გარდამავალი პროცესუალური ფიგურა ერთი ეჭვმიტანილისკენ („დაკავებული“), მეორე ბრალდებულისკენ („ეჭვმიტანილი“), რაც ალოგიკურად უნდა ჩაითვალოს.

ახლა შევეხოთ მეორე, უფრო მნიშვნელოვან პრობლემას, კერძოდ სსსკ-ის 72-ე, 73-ე მუხლების შინაარსი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნას. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტში ნათქვამია: დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი, მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. ე.ი. კონსტიტუცია აღიარებს დამცველის ყოლის უფლებას დაკავებისთანავე – დაუყოვნებლივ და არა დაკავებიდან გარკვეული დროის შემდეგ. სსსკ-ის 72-ე -73-ე მუხლები კი დამცველის ყოლის უფლებას აღიარებენ არა დაკავებისთანავე – დაუყოვნებლივ, არამედ პირის ეჭვმიტანილად ცნობის შემდეგ, რაც ხდება დაკავებიდან 12 საათის ფარგლებში, ე.ი. გარკვეული დროის გასვლიდან. 12 საათის განმავლობაში კი დაკავებული პირის მიმართ (მხედველობაში გვყავს დაკავებული ეჭვმიტანილი) დამცველის გარეშე ჩატარებული ღონისძიებები: განმარტებათა მიღება, საჭირო დოკუმენტების, იმ საგნების გამოთხოვა და დათვალიერება, რომელიც შეიძლება იქცეს ნივთიერ მტკიცებულებებად სსსკ-ის 146-ე მუხ. მე-2 ნაწ.), ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-18 მუხლის შინაარსს და ასევე იძლევა ამ დროის განმავლობაში თვითნებობისა და სხვადასხვა უკანონობის შესაძლებლობას.

ამდენად, სსსკ-ის 72-ე, 73-ე მუხლები საჭიროებენ ცვლილების შეტანას იმ მხრივ, რომ დაკავებულს დამცველის მოწვევის უფლება მიეცეს დაკავებისთანავე, როგორც ეს აღნიშნულია კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტში და არა პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში დაკავებულის მიყვანიდან 12 საათის შემდეგ.

აქ სხვა პრობლემაც არსებობს: არაა გამორიცხული ეჭვმიტანილის სახით დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში მიყვანის გაჭიანურება შეგნებულად, რათა მასზე იქნეს სხვადასხვა უკანონო ზეგავლენა მოხდენილი. ამიტომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა უნდა შემოიღოს ცალკე ნორმა, რომელიც მოაწესრიგებს დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში წარდგენის წესს.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული დაკავების საფუძველს: „არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“, ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მოთხოვნებს ( მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მართლაც არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი); ეს საფუძველს უქმნის თვითნებობას და ბღალავს ადამიანთა ღისრებას.

პიროვნების დადგენის მიზნით პირის დაკავებას საფუძვლად უდევს ეჭვი და, რა თქმა უნდა, ამ დროს მიწვეულ უნდა იქნეს დამცველი, თვითნებობას რომ არ მიეცეს გასაქანი.

ამდენად, რომ მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის შინაარსთან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე, 73-ე, 142-ე, 146-ე მუხლები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მათში აღინიშნოს დამცველის დაშვების აუცილებლობა დაკავების მომენტიდან.

დაკავების მომენტიდან პირი უნდა იქნეს მიჩნეული ეჭვიმითანილად და დაიკითხოს და შედგეს ეჭვიმითანილის დაკავებისა და დაკითხვის ოქმი. ამით ბუნდოვანება მოიხსნება დაკავებულისა და ეჭვიმითანილის ინსტიტუტებს შორის, აღარ იქნება საჭირო 12 საათიანი დროის მონაკვეთი ეჭვიმითანილი პირის სახით დაკავებულის შესამოწმებლად. აქედან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს სისხლის სამართლის პროცესში პროცესუალური დოკუმენტი „დადგენილება პირის ეჭვიმითანილად ცნობის შესახებ“.



## უდავო წარმოების განსხვავება სასარჩელო წარმოებისაგან

*სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა სახე ემსახურება მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვას.*

ცნობილია, რომ სასარჩელო წარმოების წესით ხდება კონკრეტული უფლებებისა და ინტერესების დაცვა, მაშინ, როცა ეს უფლებები და ინტერესები ირღვევა სხვა პირების მიერ. ამ შემთხვევაში აღნიშნულ პირებს შორის წარმოიშობა დავა უფლების თაობაზე, რომლის გადასაწყვეტადაც გამოიყენება დაცვის სასარჩელო ფორმა.

მასადამე, სასარჩელო წარმოება – ესაა პირველყოვლისა სადავო სამართალწარმოება, რომელშიც მონაწილეობს სულ ცოტა ორი მხარე, რომელთა შორისაც წყდება დავა სასამართლოს მიერ.

უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვის საჭიროება წარმოიშობა არა მხოლოდ მაშინ, როცა ეს უფლებები ირღვევა ან სადავო ხდება, არამედ იმ შემთხვევებშიც, როცა წამოიჭრება ისეთ გარემოებათა დადგენის აუცილებლობა, რომლებიც წარმოადგენენ უფლებათა განხორციელების საფუძველს. პირს, რომელსაც ეკუთვნის ესა თუ ის უფლება, ზოგჯერ არ შეუძლია განახორციელოს იგი იმასთან დაკავშირებით, რომ ის ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ ამ უფლების არსებობას, არ არიან თვალნათელი და საჭიროებენ დადასტურებას შესაბამისი მტკიცებულებების შემოწმების მეშვეობით. ამიტომაც, სამოქალაქო პროცესში არსებობს სამართალწარმოების ისეთი სახე, რომელიც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირს, რომ მან სასამართლოს გზით დაადგინოს ის იურიდიული ფაქტები, რომლებიც დაამტკიცებენ დაინტერესებული პირისათვის ამ უფლების არსებობის ფაქტს. ასე მაგალითად, გარდაცვლილის კმაცოფაზე ყოფნის ფაქტი უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენს პენსიის ან სარჩოს მიღების საფუძველს. ამასთან, თუკი ამ პირს არ გააჩნია

უდავო მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ კმაყოფაზე ყოფნის ფაქტს, მაშინ ასეთი ფაქტი შეიძლება დადგენილ ან დადასტურებულ იქნეს სასამართლოს წესით.

ამასთან, უდავო წარმოების საკითხების თაობაზე ლიტერატურაში არ არის ერთიანი შეხედულება. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ უდავო წარმოების წესით დგინდება მხოლოდ ისეთი ფაქტები, რომლებსაც აქვთ იურიდიული მნიშვნელობა და სასამართლო ამ წარმოებაში არ წყვეტს უშუალოდ უფლების თაობაზე საკითხს. ასე მაგალითად, პროფესორი მელნიკოვი თვლის, რომ უდავო წარმოების წესით განიხილება მოქალაქეთა ისეთი მოთხოვნები, რომლებიც შეეხება იმ ფაქტების დადგენას, რომლებზეც დამოკიდებულია მოქალაქეთა ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა და რომ ამის გამო უდავო წარმოება – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოების ისეთი სახე, რომლის დროსაც ხდება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებული უდავო სამოქალაქო საქმეთა განხილვა იმ მიზნით, რათა დაინტერესებულ პირებს მიეცეთ მათი ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა და რომ ამ სამართალწარმოების წესით სასამართლო არ იხილავს საკითხს უშუალოდ უფლების შესახებ.<sup>1</sup>

პროფესორი ელისეიკინი ასევე თვლის, რომ უდავო წარმოების არსი მდგომარეობს იურიდიული ინტერესების დაცვაში იურიდიული ფაქტების ან მტკიცებულებითი ფაქტების დადგენის გზით. არანაირი საკითხი ამ საქმეებზე უფლების დაცვის შესახებ არ წყდება.<sup>2</sup>

ანალოგიური პოზიცია უკავია პროფესორ ჩეროტსაც, რომელიც თვლის, რომ “უდავო წარმოების საქმეებში განმცხადებლის „კანონით დაცული ინტერესი” მდგომარეობს მხოლოდ განსაზღვრული იურიდიული ფაქტის დადგენაში (შემთხვევა, მოქმედება ან მდგომარეობა). უდავო წარმოების საქმეზე განმცხადებელი არ მიმართავს მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნით მოქალაქეს (სასარჩელო წარმოება)

<sup>1</sup> Мельников А.А. – Особое производство в советском гражданском процессе. М., 1974. с. 32.

<sup>2</sup> Елисейкин П.Ф. – Судебное установление фактов, имеющих юридическое значение. “Юрид. лит.”, 1973, с. 19.

ან სხვა ვალდებულ პირს (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ საქმეთა წარმოება)”.<sup>3</sup>

პროფესორი აბოვა პირდაპირ ამტკიცებს, რომ უდავო წარმოების წესით უფლებათა დადგენა შეუძლებელია და რომ “უდავო წარმოება არსებობს არა უფლებათა დასაცავად, არამედ მხოლოდ კანონიერი ინტერესების დასაცავად”.<sup>4</sup> ავტორის აზრით “წარმოების ამ სახის საჭიროება წარმოიშვება მხოლოდ მაშინ, როცა ამა თუ იმ ფაქტის ან შემთხვევის დადგენა არანაირი სხვა გზით, გარდა სასამართლოს საშუალებით შეუძლებელია ანუ, მაშინ, როცა კანონით დაცული ესა თუ ის ინტერესი არ შეიძლება განხორციელებულ იქნეს სასამართლოს მიერ აღნიშნული ფაქტების ან გარემოებების დადასტურების გარეშე.”<sup>5</sup>

ამრიგად, უდავო წარმოების წესით სასამართლოში განიხილება მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განცხადებები განსაზღვრული იურიდიული ფაქტებისა და გარემოებების დადგენის თაობაზე, რომლებზეც დამოკიდებულია მოქალაქეთა პირადი ანდა ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა, ან შეწყვეტა, ასევე უდავო უფლების დადასტურების შესახებ. აქ ჩვენ ვეთანხმებით პროფესორ ჟერულისს იმაში, რომ უდავო წარმოება წარმოადგენს უფლების დადასტურების უდავო საპროცესო ფორმას.<sup>6</sup>

უდავო წარმოება აღიძვრება არა სარჩელით, რომელიც მიმართულია კონკრეტული პირის მიმართ, არამედ განცხადებით, რომელიც შეიცავს თხოვნას, რომ დადასტურებულ იქნეს ესა თუ ის გარემოება, რომელსაც აქვს იურიდიული მნიშვნელობა ანდა დადასტურებულ იქნეს უდავო უფლება.

ძირითად ნიშანს, რომლითაც უდავო წარმოება განსხვავდება სასარჩელოსაგან, წამოადგენს პირველყოვლისა უფლების თაობაზე დავის არარსებობა და მეორე რიგში ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე მოდავე მხარეების არარსებობა. ამიტომაც, უფლების თაობაზე დავა, რომლის განხილვაც მიკუთვნებულია სასამართლო ორგანოების

<sup>3</sup> Чечет Л.М. – Ненские производства. М., 1973. с. 16.

<sup>4</sup> Абова Т.О. – Теоретические проблемы хозяйственного права. М., 1975. с. 218.

<sup>5</sup> Абова Т.О. – Теоретические проблемы хозяйственного права. М., 1975. с. 221.

<sup>6</sup> Жерулин И.А. – Сущность советского гражданского процесса. Вильнюс, 1969, с. 190.

განსჯადობისათვის, გამოორიცხავს უდავო წარმოების წესით საქმის განხილვის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში სასამართლომ დაინტერესებული პირის განცხადება უნდა დატოვოს განუხილველად და განუმარტოს განმცხადებელსა და იმ პირებს, რომლებმაც აღძრეს უფლებაზე დავა, რომ მათ შეუძლიათ გადაწყვიტონ წარმოშობილი დავა სასარჩელო წარმოების წესით სასამართლოში ზოგადი საფუძვლებით სარჩელის წარდგენის გზით.

თავად სახელწოდება “უდავო წარმოება” არაფერს ამბობს მისთვის დამახასიათებელ იმ პროცესუალურ თავისებურებებზე, რომელიც განასხვავებს მას სასარჩელო წარმოებისაგან. შესაბამისად, პასუხი კითხვაზე, თუ რა ნიშნით უნდა განვასხვავოთ უდავო წარმოება სასარჩელო წარმოებისაგან, შეიძლება მიღებულ იქნეს თავად უდავო წარმოების გამოკვლევის შედეგად.

უდავო წარმოების დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რომლებიც განასხვავებს მას სასარჩელო წარმოებისაგან, ყოველთვის იპყრობდა პროცესუალისტიების ყურადღებას. ეს იმით აიხსნება, რომ უდავო წარმოების საკითხები იწვევენ არა მხოლოდ თეორიულ ინტერესს, არამედ გააჩნიათ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც.

უდავო, ანუ ე.წ. ნებაყოფლობითი სამართალწარმოების პრობლემა აქტუალური იყო რომის სამართალშიც, სადაც სასარჩელო წარმოებისაგან (*jurisdictio contentiose*) განსხვავებით არსებობდა ასევე ე.წ. უდავო, ნებაყოფლობითი სამართალწარმოება (*ჯურისდიქტიო ვოლუნტარია*), რომელშიც მოპასუხე არ დაობდა მოთხოვნის შესახებ.

თანამედროვე პერიოდში ევროპის განვითარებული ქვეყნების საპროცესო სამართალში სასარჩელო წარმოებასთან ერთად არსებობს ასევე უდავო, ანუ ე.წ. ნებაყოფლობითი წარმოება (*freiwillige Gerichtstrakteit, jurisdiction volontair, guirizdicione volontaria*).

უდავო წარმოებას, ისევე როგორც მთელი სამოქალაქო პროცესის ბუნებას, იურისპრუდენცია დიდი ხნის მანძილზე არ აქცევდა ყურადღებას. მხოლოდ XIX ს-ში გაჩნდა კონცეფციები, რომელშიც იყო მცდელობა იმისა, რომ აეხსნათ უდავო სამართალწარმოება და გაემიჯნათ იგი სასარჩელო წარმოებისაგან. ასე მაგალითად, ანტონ მენგერი თვლიდა, რომ “უდავო წარმოების მიზანია სამართალდარღვევის თავიდან აცილება, ხოლო სასარჩელო წარმოების –

სამართალდარღვევის აღმოფხვრა”.<sup>8</sup>

აღოლფ ვახი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ “უდავო წარმოების მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლების დადგენა, ხოლო სასარჩელოსას – დარღვეული უფლების აღდგენა”.<sup>9</sup> ამ შეხედულებას ეთანხმებოდა ე.ა. ნეფედიევი.<sup>10</sup>

თუმცა ამ კონცეფციებმა ვერ შეძლეს უდავო წარმოების განსხვავება სასარჩელოსაგან. აღმოჩნდა, რომ მიზანი არ წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების გამიჯვნის უდავო კრიტერიუმს. მაგალითად, მიკუთვნებითი სარჩელების თაობაზე სამართალწარმოება თავისი მიზნით არაფრით არ განსხვავდება უდავო წარმოებისაგან. სასამართლო პრაქტიკამაც დაგვანახა, რომ სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთ სამართალწარმოებაში დავის არსებობა, ხოლო მეორეში კი დავის არარსებობა – ესეც არ არის უდავო ცნებები.

ამიტომ, XX ს-ის დასაწყისში იურისპრუდენციაში გავრცელდა აზრი, რომლის თანახმადაც სამოქალაქო სამართალწარმოების სხვადასხვა სახეებად გამიჯვნის ობიექტური კრიტერიუმები საერთოდ არ არსებობენ, ხოლო სამოქალაქო საქმეების მიკუთვნება სასარჩელო ან უდავო წარმოებისათვის კანონმდებლის შეხედულებით და მიზანშეწონილობით არის განპირობებული.<sup>11</sup>

უდავო წარმოების სასარჩელო წარმოებისაგან გამიჯვნის კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას წარმოშობილმა სირთულეებმა არ მოადუნეს სამართალმცოდნეების ყურადღება ამ პრობლემისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო, როგორც, მაგალითად, იტალია, წავიდა უდავო წარმოების შევიწროებაზე, მიაკუთვნა რა უმრავლესობა ამგვარი საქმეებისა ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენციას, უდავო წარმოების პრობლემა კვლავ რჩება აქტუალურად თანამედროვე სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში.

ჩვენი აზრით, ერთადერთი კრიტერიუმში, რითაც უდავო წარმოება განსხვავდება სასარჩელო წარმოებისაგან, არის სასამართლო განხილვის საგნის უდავობა. თუკი სასარჩელო წარმოებაში განიხილება

<sup>8</sup> A. Menger – System des osterreichischen Zivilprozessrechts. I Bd. Vein. 1876. s.21-23.

<sup>9</sup> A. Wach – Handbuch des deutschen Zivilprozessrechts. I Bd. I 1885, s. 47-53.

<sup>10</sup> Нефедьев Е.А. Курс гражданского судопроизводства. Вып. I. М., 1903. с. 60.

<sup>11</sup> Васильковский Е.В. – Учебник гражданского процесса. Изд. 2 1917, с. 400.

და წყდება სადავო სამართალურთიერთობანი, მაშინ უდავო წარმოებაში კანონმდებლის ჩანაფიქრით უნდა განიხილებოდეს უდავო სამართალურთიერთობანი, რისი დასტურიც არის სსკ 311-ე მუხლის მეორე ნაწილი, სადაც მითითებულია, რომ თუკი უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრის დავა ისეთი უფლებების შესახებ, რომლებიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე.

ეს ნორმა გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ უფლების შესახებ დავა გადაწყდეს და განხილულ იქნას უდავო წარმოების წესით და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ წარმოების უდავობას.

ზოგჯერ უდავო წარმოების სასარჩელო წარმოებისაგან განმასხვავებელ ნიშნად მიჩნეულია თავად უდავო წარმოების მიზანი. მაგალითად, ა.ა. მელნიკოვი უდავო წარმოების მისებურ განმარტებაში მის მიზანზე მიუთითებს, როგორც ამ წარმოებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშანზე. განმარტებაში ნათქვამია, რომ სამოქალაქო საქმეები განიხილება უდავო წარმოებით “დაინტერესებული პირების მიერ, მათი პირადი ან ქონებრივი უფლებების განხორციელების წინაპირობების შექმნის შემთხვევაში.”<sup>12</sup>

ჩვენი აზრით, სამოქალაქო სამართალწარმოების მიზანი არ შეიძლება იყოს მისი სამოქალაქო სამართალწარმოების სხვა სახეებისაგან განმასხვავებელი ნიშანი. სასარჩელო და უდავო წარმოების მიზანი ერთნაირია – უფლების დაცვა, მაგრამ ამ დაცვის ფორმა კი სხვადასხვაა.

ერთადერთ კრიტერიუმად, რომლითაც შეიძლება უდავო წარმოების გამოიჯვნა სასარჩელოსაგან შეიძლება ჩავთვალოთ უდავო უფლების განხორციელების ობიექტური შესაძლებლობა, ანუ დასაცავი უფლების უდავობა, რომლის დაცვაც ხორციელდება უდავო წარმოებით.

საქმე იმაშია, რომ უდავო უფლების განხორციელების შესაძლებლობა დგება ობიექტურად, ანუ ამგვარი უფლების მქონე პირისაგან დამოუკიდებლად (მაგ. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის

<sup>12</sup> Мельников А.А. – Особое производство в советском гражданском процессе. М., 1964, с. 3.

დაკარგვა). მაგალითად, ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის აუცილებლობა და ამასთან ერთად იმ უფლებების დამტკიცება, რომლებიც წარმოიშობა საქორწინო სამართალურთიერთობებიდან. სანამ მეუღლეები ცოცხალნი არიან, ისინი თავად არ ხდიან სადავოდ არც ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს და არც იმ უფლებებს, რომლებიც წარმოიშობა საქორწინო სამართალურთიერთობებიდან. დაბოლოს, ზოგიერთი ამგვარი უფლების განხორციელება დაკავშირებული ზუსტად ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების ფაქტთან. ამიტომ, ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის აუცილებლობა წარმოიშობა მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში, მაშინ, თუკი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსაგან შეუძლებელია ქორწინების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღება. ქორწინებაში ყოფნის ფაქტს და ამ ფაქტიდან წარმოშობილ უფლებებს, ასეთ შემთხვევაში არავინ ხდის სადავოდ. მაგრამ შესაბამისი დოკუმენტის უქონლობა არ იძლევა უფლებით (მაგ. მემკვიდრეობის უფლება) სარგებლობის შესაძლებლობას. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება და ქორწინების რეგისტრაციის ჩანაწერის არარსებობა – ესაა გარემოებანი, რომლებიც არ არის დამოკიდებული ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ნებაზე. ამ შემთხვევაში სასარჩელო წარმოების აღძვრა შეუძლებელია იმიტომ, რომ ცოცხალი არ არის საქორწინო ურთიერთობის სხვა მონაწილე, ხოლო მეორე პირი კი არ დაეობს უფლებაზე. მაგრამ ამ უფლებით სარგებლობა ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს არ შეუძლია იმიტომ, რომ სანოტარო ორგანო უარს აცხადებს სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე. ამგვარად, ობიექტურად წარმოიშობა ისეთი მდგომარეობა, როდესაც აუცილებელია განხორციელდეს, ანუ დაცულ იქნას უდავო უფლება კომპეტენტური ორგანოს მიერ ამ უფლების დადგენის გზით.

ჩვენი აზრით, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები განუყოფელია უფლებისაგან და ეს არის მთავარი იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომელიც ეხება ფაქტის შესახებ დავის დამოუკიდებლად გადაწყვეტის განსხვავებას უფლების შესახებ დავის გადაწყვეტისაგან. ამა თუ იმ იურიდიული ფაქტის სასამართლო წესით დადგენა ხდება არა თავად ამ ფაქტის გამო, არამედ იმ უფლებების გამო, რომლებიც განუყოფლად არიან დაკავშირებულნი ფაქტთან.

მაგალითად, პირთა ნათესაური კავშირის ფაქტის დადგენისას პირი შუამდგომლობს არა თავად ფაქტის გამო, არამედ იმისათვის, რომ ნათესაური კავშირის ფაქტით დაამტკიცოს თავისი სამემკვიდრეო ან სხვა უფლებები. ძაშასადამე, აქ საუბარია ისეთი ფაქტების დადგენაზე, რომლებიც იწვევენ იურიდიულ შედეგებს (სამოქალაქო უფლებების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას) და რომ უფლება სხვა არაფერია, თუ არა მხოლოდ ფაქტის ოფიციალური აღიარება. ამიტომაც, თუკი უდავო წარმოებაში იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას წარმოიშობა დავა ასეთი ფაქტის შესახებ კონკრეტულ პირთან, მაშინ ეს ნიშნავს უფლებაზე დავასაც. სსკ 311-ე მუხლის მეორე ნაწილით ასეთი დავა არ შეიძლება გადაწყდეს უდავო წარმოების წესით.

სწორად აღნიშნავს ელისეიკინი, რომ “იურიდიული ფაქტი და ამით განპირობებული უფლება წარმოადგენენ ერთიან მთლიანს და მათი განცალკევება დაუშვებელია.”<sup>13</sup>

ჩვენი აზრით, სასარჩელო წესით შესაძლებელია ისეთი საქმეების განხილვა, როგორცაა პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება. პირიქით, ამგვარი საქმეების განხილვისას ყოველთვის არის პოტენციური მოპასუხე, ანუ ის პირი, რომლის შეზღუდულ ქმედუნარიანად ცნობას ესწრაფვის განმცხადებელი. თუკი ასეთ მოქალაქეს შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში, მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში უდავო წარმოების წესით და აღძრას დავა მის შეზღუდულ ქმედუნარიანად ცნობის შესახებ, მაშინ არავითარი საფუძველი არ არის, რომ ასეთი მოქალაქე ვერ შეძლებს დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები იმ საქმეზე, რომელიც განიხილება სასარჩელო წესით.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების საქმეებზე ზუსტად წარმოადგენს იმის მტკიცებულებას, რომ უდავო წარმოების წესით ამგვარი საქმეების განხილვა ხშირად ფორმალურად ხდება, იმ მოქალაქის მონაწილეობის გარეშე, რომლის ცნობაც ხდება შეზღუდულ ქმედუნარიანად. თუმცა მას სრული შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს პროცესში და

---

<sup>13</sup> Елисеекин П.Ф. - К вопросу сущности особого производства по установлению юридических фактов. - Известия АИ Уд. ССР. с. 160.



ამგვარად ირღვევა მოქალაქეთა მატერიალური და პროცესუალური უფლებები. ეს საკითხი გვაიძულებს დავფიქრდეთ, შეუძლია კი საერთოდ უდავო წარმოების ფორმას დაიცვას იმ მოქალაქეთა მატერიალური უფლებები, რომელთა ცნობაც ხდება შეზღუდულ ქმედუნარიანად.

ამგვარად, უდავო წარმოება ესაა სასამართლო საქმიანობის ობიექტურად აუცილებელი საპროცესო ფორმა, რომელსაც გააჩნია მისი სასარჩელო წარმოებისაგან განმასხვავებელი პროცესუალური თავისებურებები, რომლებიც მის არსს გამოხატავენ.

თუ უდავო წარმოების საგანს წარმოადგენს უდავო უფლება, მაშინ იგულისხმება, რომ ამგვარ წარმოებაში გამორიცხულია უფლებაზე დავა, რომელიც სასარჩელო წარმოებაში მოცემულია სარჩელში, რომელიც შეიცავს მეორე მხარისადმი მიმართულ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას. შესაბამისად, უდავო წარმოების მთავარ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის გარემოება, რომ განსაზღვრული იურიდიული ფაქტის დადგენა და ამასთან ერთად უფლების დადასტურება, რომელიც გამომდინარეობს უდავო სამართლებრივი ურთიერთობებიდან ხდება არა დავის გადაწყვეტის გზით, არამედ უდავო პროცესუალური ფორმით, რომელშიც არ წარმოებს მხარეებს შორის უფლებაზე დავა, რომელშიც სასამართლო ადასტურებს იმ უფლებას, რომელიც არაეისტვის სადავო არ არის, ხოლო თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას წარმოიშობა უფლებაზე დავა, რომელიც სასამართლო ორგანოების ქვემდებარეა, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და მხარეებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარადგინონ სარჩელი საერთო საფუძვლებით.

ამგვარად, უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისათვის არ არის საჭირო ისეთი პროცესუალური ფორმა, როგორცაა სარჩელი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნით, რომელიც მიმართულია სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მეორე მხარისადმი. უდავო წარმოება აღიძვრება განცხადებით, რომელიც შეიცავს მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართულ მოთხოვნას უდავო უფლების დასადასტურებლად. შესაბამისად, უდავო წარმოება – ესაა არასასარჩელო, ცალმხრივი წარმოება. მასში არ განიხილება მატერიალურ-

სამართლებრივი მოთხოვნები, რომელიც მიმართულია მეორე მხარისადმი, ვინაიდან უდავო წარმოებაში არც მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნებია და არც ამგვარი მოთხოვნების ადრესატი.

სრულიად ბუნებრივია, რომ უდავო წარმოების არასასარჩელო ხასიათი ასევე გამოიხატავს ამ წარმოებაში სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას. თუ არ არის უფლების დარღვევა, არ არის უფლებაზე დავა და არ არის სარჩელი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნით, მაშინ არ შეიძლება იყოს არც ხანდაზმულობის ვადა.

უდავო წარმოების წესით უფლების თაობაზე დავის გადაწყვეტის შეუძლებლობით და ამ წარმოებაში სარჩელის არარსებობითაა განპირობებული მასში ისეთი ცნებების გამოყენების შეუძლებლობა, რომლებიც დამახასიათებელია სასარჩელო წარმოებისათვის: სარჩელის აღიარება, სარჩელზე უარის თქმა, მხარეთა მორიგება, სარჩელის შეფასება, სარჩელის უზრუნველყოფა და ა.შ.

ამით აიხსნება უდავო წარმოების საქმეთა განხილვის ის სხვა პროცესუალური თავისებურებანიც, რომლებიც აღნიშნულია კანონში.

— ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთმა ავტორმა სცადა გაეფართოვებინა უდავო წარმოების საქმეთა წრე, მასში ზოგიერთი ისეთი საქმის ჩართვით, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით განიხილება სასარჩელო წარმოების გზით. მაგალითად, პროფესორმა ვიკუტმა წამოაყენა წინადადება, რომ ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ საქმეები, ასევე მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ საქმეები მივაკუთვნოთ უდავო წარმოების საქმეებს, რამეთუ ამ ავტორის აზრით, აღნიშნულ საქმეებში არა გვაქვს “უფლების შესახებ დავა”.<sup>14</sup> პროფესორი ვიკუტი თვლის, რომ “ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ საქმეები თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენენ სხვა არაფერს, თუ არა ქორწინების ბათილად ცნობის ფაქტის დადგენის საქმეებს, ანუ საქმეებს იმ ფაქტის დადგენის თაობაზე, რომელზედაც არის დამოკიდებული უფლებათა მოსპობა (მეუღლეთა პირადი და ქონებრივი

<sup>14</sup> Вукот М.А. “Проблема правового регулирования процессуального положения и деятельности в сов. гражданском судопроизводстве”. 1971 г.

უფლებები).<sup>15</sup>

ლაპარაკობს რა ქორწინების ბათილად ცნობის საქმეების შესახებ, პროფესორი ვიკუტი მიუთითებს, რომ საქმეებში ორივე მეუღლეს კანონზომიერად უკავია მოპასუხის ადგილი, ხოლო საქმეზე მეორე მხარე – მოსარჩელე არ არის (მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოები, რომლებმაც აღძრეს სარჩელი, პროფესორ ვიკუტის აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს საქმეზე მოსარჩელეებად). ამის საფუძველზე პროფესორი ვიკუტი აკეთებს დასკვნას, რომ “რადგან არ არის მოსარჩელე, მაშინ არ შეიძლება იყოს დავაც უფლების თაობაზე.”<sup>16</sup>

მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ საქმეებზე, პროფესორ ვიკუტის აზრით, “პირი, რომელიც აღძრავს პროცესს, არ სთხოვს სასამართლოს, რომ მან განიხილოს მისი დავა მშობელთან უფლების თაობაზე, რომელმაც დაარღვია თავისი მშობლიური მოვალეობანი. მშობლის უფლების ჩამორთმევა წარმოადგენს მოცემული ბავშვის მიმართ მშობლის უფლების დაკარგვას და არაა განპირობებული უფლების თაობაზე დავით.”<sup>17</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1205-ე მუხლის თანახმად, მშობლებს (ან ერთ-ერთ მათგანს) შეიძლება ჩამოერთვათ მშობლის უფლება, თუ გამოირკვა, რომ ისინი (ან ერთ-ერთი მათგანი) სისტემატურად არიდებენ თავს შვილების აღზრდის მოვალეობის შესრულებას ან ბოროტად იყენებენ მშობლის უფლებას – სასტიკად ეპყრობიან შვილებს, მათე გავლენას ახდენენ მათზე თავიანთი არანორმალური ყოფაქცევით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მშობლები ქრონიკული ალკოჰოლიკები ან ნარკომანები არიან.

პროფესორ ვიკუტის აზრით, ჭეშმარიტებას შეესაბამება მხოლოდ ის, რომ ზემოთ აღნიშნულ ზოგიერთ შემთხვევაში ყოველთვის ნათლად არ ჩანს მოსარჩელე მატერიალურ-სამართლებრივი გაგებით. მართლაც, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ ქორწინების ბათილად

<sup>15</sup> Вукот М.А. “Проблема правового регулирования процессуального положения и деятельности в сов. гражданском судопроизводстве”. 1971 г., с.32.

<sup>16</sup> Вукот М.А. “Процессуальная природа судебных решений по гражданским делам, вытекающих из законодательства о браке и семье”. 1969 г.

<sup>17</sup> Червакв К.К. “Установление и приращение родительских прав и обязанностей”. МГУ. 1975 г.

ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენისას, როცა ორივე მეუღლე მოპასუხის როლში გამოდის, საქმეში არა გვეყავს მოსარჩელე, გარდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსი. ამასთან, რადგანაც ოჯახი იმყოფება სახელმწიფოს დაცვის ქვეშ, ამიტომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ სარჩელი არსებითად წარმოადგენს სარჩელს სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და იგი უნდა ჩაითვალოს მოსარჩელედ მატერიალურ-სამართლებრივი გაგებით.<sup>18</sup>

ჩვენი აზრით, არსებითად დაუსაბუთებელია პროფესორ ვიკუტის დასკვნა იმის შესახებ, რომ მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ საქმეებზე, პირი, რომელიც აღძრავს საქმეს, არ თხოვს სასამართლოს, რომ მან განიხილოს მისი დავა უფლების თაობაზე იმ მშობელთან, რომელმაც დაარღვია თავისი მშობლიური მოვალეობანი და რომ მშობლის უფლების ჩამორთმევა თითქოსდა არაა განპირობებული უფლების თაობაზე დავით.

აქ, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სასარჩელო წარმოების საქმეში, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს და დაასაბუთოს თავისი სარჩელი, უარყოს მოპასუხის შესაგებელი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება იმედოვნებდეს იგი თავის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას. იმისათვის, რომ მოცემული ბავშვის მიმართ მშობელს ჩამოერთვას მშობლის უფლებანი, საჭიროა მტკიცედ იქნეს დადასტურებული მშობლების მიმართ ასეთი განსაკუთრებული ღონისძიების გამოყენების საჭიროება. აქ სასამართლო მოვალეა საფუძვლიანად შეამოწმოს, თუ რამდენად პასუხობს ბავშვის ინტერესებს მშობლის უფლების ჩამორთმევა, ყველაფერი ეს მტკიცედ და გულდასმით უნდა იყოს შემოწმებული სწორედ სასარჩელო შეჯიბრებითობის პროცესში და არა უდავო წარმოების წესით საქმეზე ამა თუ იმ გარემოების კონსტატაციით, როგორც ამას გვირჩევს პროფესორი ვიკუტი.

— როგორც ცნობილია, უდავო წარმოების საქმეებში დგინდება ფაქტები და არა ამ ფაქტების სამართლებრივი შედეგები. მაგრამ მშობლის უფლების ჩამორთმევის, მშობლის უფლების აღდგენის საქმეებში სასამართლო არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ

<sup>18</sup> Лутченко Ю.И. "Процессуальное положение прокурора предъявившего иск в гражданском процессе". 1974 г. с. 130.

ფაქტების დადგენით. ამ საქმეებზე სასამართლოს მიერ ფაქტები დგინდება სწორედ სამართლებრივი შედეგების დადგენის მიზნით. რაადგან ამ საქმეებზე გადაწყვეტილების არსი მდგომარეობს უფლების თაობაზე იმ დასკვნაში, რომელსაც აკეთებს სასამართლო (ჩამოართვას მშობლის უფლებები, აღადგინოს მშობლის უფლებები). მაშასადამე, სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს უფლებაზე შემდგომი დასკვნის საფუძველს, რაც დამახასიათებელია უდავო წარმოების საქმეებისათვის, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებაში კი უშუალოდ წყდება უფლების თაობაზე საკითხი, რაც დამახასიათებელია სასარჩელო წარმოების საქმეებისათვის.

ცხადია, რომ თუკი ამ საქმეებში არ იქნებოდა უფლების შესახებ დავა, არ იქნებოდა ასევე არც ამ საკითხების სასამართლო წესით გადაწყვეტის საჭიროებაც.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სწორედ იმიტომ წარადგენს სარჩელს მშობლისათვის (ან ორივე მათგანისათვის) მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ, რომ სურს ამით დაამტკიცოს, რომ მშობელს არა აქვს ბავშვის აღზრდის უფლება ანდა პირიქით, თუკი შემდგომში დადგინდება, რომ მშობლის ყოფაქცევა და მისი ცხოვრების პირობები შეიცვალა და მას შეუძლია აღზარდოს შვილი, მაშინ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მიმართავს სასამართლოს განცხადებით მშობლის უფლებაჩამორთმეული მშობლისათვის მშობლის უფლების აღდგენის შესახებ.

*სანდრო ჯორბენაძე*  
*ობილისის სასელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი;*  
*„საქართველოს უზენაესი სასამართლოს*  
*გადაწყვეტილებების“ რედაქტორი*

## შედგენილი და გადაეშავებული ნაწარმოების ავტორის უფლებები

საავტორო უფლებათა ერთ-ერთ სუბიექტს წარმოადგენენ შედგენილი და გადაეშავებული ნაწარმოების ავტორები.

1999 წლის 22 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” განსაზღვრავს შედგენილ და გადაეშავებული ნაწარმოების სახეებს.

შედგენილი ნაწარმოებებია: კრებული (ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა) და სხვა ნაწარმოები, რომელიც მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს. ეს ჩამონათვალი ნიმუშადაა მოყვანილი და რა თქმა უნდა არასრულია. სრული ჩამონათვლის მოტანა შეუძლებელიც კი იქნებოდა. ამ ნორმის ხარვეზად მიმაჩნია “სხვა ნაწარმოების” მითითება. უმჯობესი იქნებოდა “მსგავსი”, “მისთანანი” ყოფილიყო გამოყენებული.

მოვიყვან ზოგიერთი მათგანის დეფინიციას.

კრებული იმგვარი შედგენილი ნაწარმოებია, რომელიც შეიცავს ისეთ მასალებს, ნაწარმოებებს, რომლებიც დაცულია საავტორო სამართლით. კრებულებს განეკუთვნება: ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა.

ენციკლოპედია არის ისეთი კრებული, სადაც თავმოყრილია არსებითი ხასიათის ცნობები, ცოდნის ყველა ან რომელიმე ცალკეული დარგიდან. ენციკლოპედიას, რომელშიც თავმოყრილია ცნობები ცოდნის ყველა დარგიდან უნივერსალურ ენციკლოპედიასაც უწოდებენ. ენციკლოპედიებში მასალა შეიძლება იყოს თავმოყრილი თემატურად ან ანბანურად.

ანთოლოგია არის არაპერიოდული კრებული, რომელშიც მოთავსებულია სხვადასხვა ავტორის ისეთი რჩეული ლიტერატურული

ნაწარმოებები ან მათი ნაწყვეტები, რომლებსაც აქვთ საერთო ჟანრი ან თემა.

შედგენილ ნაწარმოებად, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ჩაითვლება აგრეთვე პერიოდული გამოცემებიც.

“საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ” კანონის მიხედვით, შემდგენელის უფლებები შემდეგი სახითაა დადგენილი:

მუსლი 12. შედგენილი ნაწარმოების ავტორის (შემდგენლის) უფლებები

1. შედგენილი ნაწარმოების ავტორს (შემდგენელს) ეკუთვნის საავტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე, რაც მისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს.

2. შემდგენელმა უნდა დაიცვას შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორების საავტორო უფლება.

3. შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორებს უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი ნაწარმოებები შედგენილი ნაწარმოებისაგან დამოუკიდებლად, თუ საავტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. შემდგენლის საავტორო უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს, განახორციელონ იმავე მასალის შერჩევა და განლაგება თავიანთ შედგენილ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

კანონის ამ ნორმის თანახმად, შემდგენელი არ წარმოადგენს ორიგინალური ნაწარმოების ავტორს, მას ეკუთვნის საავტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე, თუ იგი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგს წარმოადგენს. სწორედ ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომაა იმის წინა პირობა, რომ პირი მივიჩნიოთ ავტორად. ტელეფონების ცნობარი, რომელიც შედგენილია ანბანის მიხედვით ან საკანონმდებლო აქტების კრებული ამგვარი შრომის შედეგს არ განეკუთვნება.

შემდგენელი არის შედგენილი ნაწარმოების ავტორი.

ნებისმიერი შედგენილი ნაწარმოები შეიძლება შეიცავდეს საავტორო სამართლით დაცულ ნაწარმოებებს, აგრეთვე, ნაწარმოებებს, რომლებზეც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია. შესაძლებელია, აგრეთვე, ისეთი ნაწარმოებების გამოყენება, რომლებიც არ

წარმოადგენენ საავტორო სამართლის ობიექტებს (მაგალითად, ანტიკური ხანის ავტორების, ხალხური პოეზიის ან თუნდაც, საკანონმდებლო აქტების კრებულები).

აღსანიშნავია, რომ 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის 1034-ე მუხლით მკაცრად იყო განსაზღვრული შემდგენელის საავტორო უფლებით სარგებლობის პირობა, კერძოდ: “შემდგენელი საავტორო უფლებით სარგებლობს იმ პირობით, თუ დაცულია ყველა იმ ნაწარმოების ავტორთა უფლებები, რომლებიც შესულია შედგენილ ნაწარმოებში”. ცხადია, ამ ნორმაში ნათლად ჩანს, თუ როგორაა მოწესრიგებული ყველა იმ ავტორთა საავტორო უფლების დაცვა, რომელთა ნაწარმოებებიც შესულია შედგენილ ნაწარმოებში.

მე-12 მუხლის მეორე პუნქტი კი მიუთითებს, რომ “შემდგენელმა უნდა დაიცვას შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორების საავტორო უფლება”, რაც შედარებით ნაკლებად მკაცრი მოთხოვნაა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იგივეს გულისხმობს. ეს პუნქტი არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს შემდგენელს ენიჭება ადვოკატის ან სპეციალური აგენტის ფუნქციები. იგი გაიგება, როგორც: “შემდგენელმა არ უნდა დაარღვიოს”.

ბერნის კონვენციის<sup>1</sup> მე-2 მუხლის თანახმადაც: “ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოების კრებული, მაგალითად, ენციკლოპედია და ანთოლოგია, რომლებიც მასალის შერჩევითა და განლაგებით ინტელექტუალური შემოქმედების ნაყოფია, დაცული უნდა იქნეს, როგორც ასეთი, ამ კრებულის შემადგენელი ნაწილის – ყოველი ნაწარმოების ავტორის უფლებების შეუღალავად”. უმჯობესი იქნებოდა კანონში გათვალისწინებული ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსისა და ბერნის კონვენციის ამგვარი ფორმა.

ამ პუნქტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შემდგენელმა მის ნაწარმოებში შესულ ავტორებთან უნდა დადოს შესაბამისი საავტორო ხელშეკრულება, რომელიც უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებში ნაწარმოების გამოყენების საავტორო ხელშეკრულება კი შეიძლება დაიდოს ზეპირადაც.

მე-12 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები შეიცავს საავტორო

<sup>1</sup> ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია (1886 წ.)



უფლების ორ სახეს: ერთი, საავტორო უფლება უშუალოდ შედგენილ ნაწარმოებზე, ხოლო მეორე – სხვადასხვა ნაწარმოებზე, რომლებიც შესულია ამ შედგენილ ნაწარმოებში.

პირველის წარმოშობა ხორციელდება შედგენილ ნაწარმოებში შესული ნაწარმოებების შერჩევასა და განლაგებაზე, ხოლო მეორის – საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი საფუძვლებით.

შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორებს უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი ნაწარმოები დამოუკიდებლადაც. ეს ნორმა დისპოზიციურია. იგი მოქმედებს მაშინ, როდესაც ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მაგალითი:

გამომცემლობა “გულმა” გამოსცა კრებული “სიყვარული XXI საუკუნის საქართველოში”, რომელშიც შევიდა თანამედროვე (ცოცხალი) მწერლების მხოლოდ ის ნაწარმოებები, რომლებიც ეძღვნებოდა სიყვარულის თემას და დაიწერა 2001 წლის 1 იანვრის შემდეგ. გამომცემლობას ყოველი ავტორისაგან მიღებული ჰქონდა თანხმობა გამოქვეყნების შესახებ. ერთ-ერთმა ავტორმა, გამომცემლის ნებართვის გარეშე საკუთარი ნაწარმოები გამოაქვეყნა სხვა კრებულშიც. გამომცემლობა “გულმა”, რომელსაც ეკუთვნოდა საავტორო უფლება ამ შედგენილ ნაწარმოებზე, ავტორისაგან მოითხოვა მისი დარღვეული საავტორო უფლებების აღდგენა და შესაბამისი კომპენსაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოებზე საავტორო უფლება “გულს” ეკუთვნის, მას მაინც არა აქვს უფლება ერთ-ერთი ავტორისაგან მოითხოვოს საავტორო უფლებათა დარღვევისათვის კომპენსაცია, რადგან მას ჰქონდა მხოლოდ თანხმობა და არა განსაკუთრებული უფლება ნაწარმოების გამოყენებაზე. თუ საავტორო ხელშეკრულებაში ამგვარი შეზღუდვა გათვალისწინებული არ არის, მაშინ ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს გამოიყენოს თავისი ნაწარმოები კრებულისაგან დამოუკიდებლად საკუთარი შეხედულებისამებრ.

შემდგენელს აქვს საავტორო უფლება შედგენილ ნაწარმოებზე მთლიანად და არა იმ ცალკეულ მასალაზე ან ნაწარმოებზე, რომელიც შესულია შედგენილ ნაწარმოებში.

შემდგენლის საავტორო უფლებათა განსაკუთრებულობა სწორედ

იმამშია, რომ იგი ვერ აუკრძალავს სხვა პირებს იგივე მასალით ან ნაწარმოებით გამოაქვეყნონ კრებულები, ან სხვა შედგენილი ნაწარმოებები. ამასთან, დასაშვებია ესა თუ ის მსგავსება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე, მაგრამ დაუშვებელია სხვა პირის მიერ იდენტური შედგენილი ნაწარმოების შექმნა. თუ პირმა ზუსტად ისეთივე შედგენილი ნაწარმოები გამოაქვეყნა, რომელიც სხვა პირს ადრე ჰქონდა შექმნილი, მისი შრომა არ ჩაითვლება არც ინტელექტუალურად და არც შემოქმედებითად, ე. ი. ორიგინალობა ნაწარმოებისა არაფრით არ არის გამოხატული. ამ შემთხვევაში, იგი არღვევს პირველშემდგენლის საავტორო უფლებებს.

“საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ” კანონის მე-13 მუხლის ძალით:

1. გადაამუშავებული ნაწარმოების ავტორის ეკუთვნის საავტორო უფლება მის მიერ განსორციელებულ გადაამუშავებაზე.

2. გადაამუშავებული ნაწარმოების ავტორმა უნდა დაიცვას ამ ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება.

3. გადაამუშავებული ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება სეკს არ უმლის სხვა პირებს, გადაამუშაონ იგივე ნაწარმოები.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-6 მუხლისა და ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, გადაამუშავებულ ნაწარმოებად მიჩნეულია: თარგმანი, მხატვრული ნაწარმოების პწკარედი, ადაპტაცია, ეკრანიზაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, კომპილაცია, მუსიკალური არანჟირება და ასევე, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა სხვაგვარი გადაამუშავება.

გადაამუშავება არის ადრე არსებული, უკვე შექმნილი ნაწარმოების შეცვლა ერთი ჟანრიდან მეორეში გადატანის მიზნით, იმავე ჟანრის ფარგლებში.

კონსტანტინე გამსახურდიას “დიდოსტატის მარჯვენის” ეკრანიზაცია ჩაითვლება ერთი ჟანრიდან მეორეში გადატანად, ხოლო სცენარი ამ ფილმისათვის იქნება ნაწარმოების გადაამუშავება იმავე ჟანრში.

თარგმანი არის ნაწარმოების ტექსტის გადატანა ერთი (ორიგინალის) ენიდან მეორეზე. თარგმანი არ უნდა ამახინჯებდეს ნაწარმოების

ავტორის სტილსა და შინაარსს.

თარგმნის უფლება განმტკიცებულია ბერნის კონვენციით, რომლის მე-8 მუხლის ძალით: “ამ კონვენციით დაცული ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორებს ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში თავიანთი ნაწარმოებების თარგმნისა და თარგმანზე ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლება აქვთ”.

ცხადია, რომ მუსიკალური, მხატვრობის ან არქიტექტურული ნაწარმოებები არ წარმოადგენს სათარგმნ ობიექტებს. ასეთი ობიექტები შეიძლება იყოს ოპერის ლიბრეტო, სიმღერის ტექსტი, განმარტებითი წარწერები და სხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების თარგმნისას კი დიალოგები, მთხრობელის (დიქტორის) ტექსტი და ა. შ.

მთარგმნელის საავტორო უფლებები დაცულია საავტორო სამართლით, თუ მას გაწეული აქვს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა.

მაგალითი:

წიგნაძემ თარგმნა სქელტანიანი მონოგრაფია. ფაილოძემ შეიყვანა ტექსტი კომპიუტერში, დააკაბადონა, შეიტანა რამდენიმე მნიშვნელოვანი შენიშვნა და სხვა, რის სანაცვლოდაც მოითხოვა მისი სახელის მითითება მთარგმნელად წიგნაძესთან ერთად.

მიუხედავად გაწეული დახმარებისა, ფაილოძე მაინც არ ჩაითვლება მთარგმნელად, თუ წიგნაძე ამის წინააღმდეგია. ფაილოძე იქნება მხოლოდ დამხმარე, ხელის შემწყობი და წიგნაძის სურვილის გათვალისწინებით, მისი სახელი შეიძლება მიეთითოს დამკაბადონებლად, კორექტორად და ა. შ.

თარგმანი გადამუშავებული ნაწარმოების ერთ-ერთი ძირითადი სახეა, რომლითაც ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობა ეცნობა სხვა ქვეყნებში შექმნილ ნაწარმოებებს, კულტურას, ცივილიზაციას, მაგრამ ამავე დროს, თარგმანი ერთ-ერთი ურთულესი საქმიანობაა. თარგმნისათვის მარტო ენის ცოდნა არ არის საკმარისი. მთარგმნელის შემოქმედებითი შრომის მოცულობა დამოკიდებულია გადასათარგმნი ნაწარმოების შემადგენელ თვისებებზე. პოეზიის სათარგმნელად აუცილებელია არა მარტო ენების ცოდნა და ლექსად გადათარგმნის უნარი, არამედ ნაწარმოების ჩანაფიქრის განზრახვის შეცნობა, რითმის

მიხედვრა, პოეტის განწყობასთან მიახლოება.

მთარგმნელის მიერ შესრულებული თარგმანი არ უნდა დაშორდეს ორიგინალურს. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ბელინსკის სიტყვები: “პუშკინს რომ გოეთე გადაეთარგმნა, მისგანაც გოეთეს ჩვენება უნდა მოგვეთხოვა და არა პუშკინისა”.

თარგმანი ორიგინალისაგან უნდა განსხვავდებოდეს მხოლოდ ენობრივად, ე. ი. გარეგნული ფორმით, ხოლო ყველა სხვა ელემენტი ნასესხები (თითქმის იგივე) უნდა იყოს ორიგინალისაგან.

თარგმნის ხელოვნებაზე მრავალი მონოგრაფიაა შექმნილი, მრავალი კიდევ დაიწერება. ეს ცალკე მსჯელობის საგანია. აქ მხოლოდ აკაკი წერეთლის შეფასებით შემოვიფარგლებით: “თუ მთარგმნელი თავისი პოეტური ნიჭით საგრძნობლად ჩამორჩება დედნის ავტორს, მაშინ იგი ვერ გადმოსცემს დედანს მთელი თავისი სისწორ-სიმრუდით. ამას გარდა მთარგმნელი ნიჭითაც თანაბარი უნდა იყოს, დედნის დამწერს რომ გაუსწორდეს”.<sup>2</sup>

თარგმნის სამართლებრივი დაცვის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია თარგმნა ხელოვნური ინტელექტის – კომპიუტერის საშუალებით.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1954 წელს აშშ-ში ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა ლეონ დოსტერსის ხელმძღვანელობით განახორციელა კომპიუტერული (მაშინდელი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანური) თარგმანი 60 რუსული მარტივი წინადადებისა ინგლისურად.

1955-56 წლებში რუსმა მეცნიერებმა მოახერხეს მათემატიკური ტექსტების თარგმნა რუსულად ინგლისურიდან და ფრანგულიდან.<sup>3</sup>

თანამედროვე კომპიუტერის საშუალებით ადვილია თარგმნა ინგლისურ, ფრანგულ და სხვა ენაზე არსებული ტექსტებისა. ამგვარი თარგმანი უამრავ კითხვას ბადებს. მაგალითად, ჩაითვლება თუ არა ასეთი თარგმანი საავტორო სამართლის ობიექტად? როგორ მოხდება მისი სამართლებრივი დაცვა? ვინ ჩაითვლება მთარგმნელად?

კომპიუტერული თარგმანი, ერთი მხრივ, წარმოადგენს საავტორო

<sup>2</sup> აკაკის თვითი კრებული. 1899 წ., № 2.

<sup>3</sup> Кудряшова Г. А. Авторское право на машинный перевод. ж. Советское государство и право, 1969, № 6.

უფლების ობიექტს, რადგან კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ნაწარმოებად აღიარებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მის დანიშნულებას, ავტორიანობას, ჟანრს, მოცულობას, გამოხატვის ფორმასა და საშუალებას, მეორე მხრივ, იგი უნდა იყოს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი. როგორ აკმაყოფილებს ამ პირობებს კომპიუტერული თარგმანი? როგორ უნდა შეფასდეს კომპიუტერის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა?

კომპიუტერი შემოქმედი ვერ იქნება, მაგრამ ამგვარი შრომა ჩადებული აქვს პირს, ვინც შექმნა თარგმნის პროგრამა. სწორედ ამ პროგრამაში გამოიხატა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა. ამდენად, ამ პირისათვის კომპიუტერი მხოლოდ დროის დაზოგვაა. ე. ი. კომპიუტერული თარგმნის დროს ადამიანის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა გამოიხატა სპეციალური პროგრამის შექმნაში, რომლის ავტორიც თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ მთარგმნელად.

იმ შემთხვევაში, თუ იგი გაავრცელებს (გაყიდვა, გაქირავება და ა. შ.) თავის პროგრამას, მას ექნება საავტორო უფლებები თავის მიერ შექმნილ ლიტერატურულ (კომპიუტერული პროგრამა) ნაწარმოებზე კანონის მე-ნ მუხლის ძალით – როგორც საავტორო სამართლის ერთ-ერთ ობიექტზე, მაგრამ ამ შემთხვევაში მთარგმნელად აღარ ჩაითვლება, რადგან ანალოგიური ქმედება (კომპიუტერული თარგმანი) შეეძლება ნებისმიერ პირს. ე. ი. სულ სხვა საკითხია, როდესაც პირმა იყიდა თარგმნის კომპიუტერული პროგრამა და განახორციელა თარგმნა ერთი ენიდან მეორეზე.

### მაგალითი:

ღარიბაშვილმა იყიდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა და კომპიუტერს ფრანგულიდან ათარგმნინა ნაწარმოები, რომელიც გამოსცა, როგორც საკუთარი თარგმანი. მიხელაშვილმა, იცოდა რა, რომ ღარიბაშვილს ფრანგული ენა არ ესმოდა, სარჩელი შეიტანა სასამართლოში თარგმანის მითვისებაზე და საავტორო უფლებების ბათილად ცნობაზე. ღარიბაშვილმა აღიარა, რომ თარგმანი განახორციელა კომპიუტერის საშუალებით.

ამ შემთხვევაში, საკითხავია, თუ ვინ შეიძლება იყოს საავტორო უფლების სუბიექტი თარგმანზე? კომპიუტერის საავტორო უფლების დარღვევაზე ლაპარაკი ზედმეტია, ამავე დროს ღარიბაშვილს არავითარი

ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა არ გაუწევია. მართალია, მას უფლება ჰქონდა ალებული თარგმანზე, ორიგინალის ავტორისაგან, მაგრამ თარგმნა განახორციელა მხოლოდ ღილაკებზე ხელის დაჭერით.

ფიქრობთ, რომ ყველაზე კომპრომისული გადაწყვეტილება იქნება, თუ ნაწარმოებზე მიეთითება კომპიუტერული თარგმნის შესახებ, რომლის შეფასება უკვე მკითხველზე იქნება დამოკიდებული.

ამრიგად, კომპიუტერული თარგმანი შეიძლება მივიჩნიოთ საავტორო სამართლის ობიექტად, რომელზეც არ წარმოიშობა მთარგმნელის პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები, რადგან კომპიუტერი არ წარმოადგენს არც ფიზიკურ და არც იურიდიულ პირს, ე. ი. საავტორო უფლების მფლობელი ამ შემთხვევაში არ არსებობს. იმ შემთხვევაში კი, თუ კომპიუტერული თარგმანი შემდგომში გადამუშავდა, შესწორდა, შედარდა დედანთან და ისე გამოიცა, პირი, ვინც ეს განახორციელა ჩაითვლება მთარგმნელად და მას წარმოეშობა საავტორო უფლებები ჩვეულებრივი წესით.

გადამუშავებული ნაწარმოების სახეები:

ანოტაცია – გადამუშავების ისეთი სახე; როდესაც გადმოცემულა წიგნის, სტატიის ან მისთ. მოკლე შინაარსი ზოგადად, იქნება ეს შეფასების დართვით თუ მის გარეშე. ანოტაციის ავტორის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შეზღუდული მოცულობის ფარგლებში გადმოსცეს ნაწარმოების ძირითადი არსი.

რეფერატი – ნაწარმოების შინაარსის გადმოცემას მოკლე წერილობითი ან ზეპირი ფორმით.

რეზიუმე – მოკლე შინაარსი ან დასკვნაა, მაგრამ აქ მთავარი აქცენტი კეთდება ძირითად მოსაზრებებზე, სიახლეზე.

გადამუშავებულ ნაწარმოებებს წარმოადგენს აგრეთვე: ვარიაცია, რაფსოდია, სიუიტა, პოპური, არანჟირება და სხვა.

საავტორო სამართლით დაიცევა, აგრეთვე, იმ პირთა უფლებები, რომლებმაც გადაამუშავეს ხალხური ზღაპრები, ძველი ლეგენდები და ა. შ.

ყველა ამ გადამუშავებული ნაწარმოებების ავტორების უფლებები დაცულია ორიგინალური ნაწარმოებების ავტორთა უფლებების თანაბრად.

მე-13 მუხლის მეორე პუნქტით განმტკიცებულია ბერნის კონვენციის

მე-2 მუხლის ნორმა, რომლითაც გადამუშავებული ნაწარმოების ავტორმა უნდა დაიცვას იმ ნაწარმოების ავტორის უფლებები, რომლის ნაწარმოებიც გადამუშავდა. თარგმანის ან სხვაგვარი გადამუშავებისათვის უნდა დაიდოს საავტორო ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთი მხარე ავტორია, მეორე კი – გადამმუშავებელი.

საავტორო ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს ის ენები, რომელზეც მთარგმნელს უფლება ეძლევა თარგმნოს ნაწარმოები. კანონით პირდაპირ არ წესრიგდება უკუ თარგმნა, მაგრამ იგი მაინც საავტორო უფლების დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

### მაგალითი:

ინგლისელმა მწერალმა რაითმა განსაკუთრებული უფლება მისცა ბექიაშვილს თარგმნოს და გამოსცეს ნაწარმოები ნებისმიერ ენაზე. ბექიაშვილმა მრავალ ენაზე თარგმნის შემდეგ გადაწყვიტა ამ ნაწარმოების, ორიგინალის (ინგლისურ) ენაზე თარგმნა და გამოცემა. ერთ-ერთი ენიდან თარგმნა ნაწარმოები ინგლისურ ენაზე და გამოსცა იგი, მთარგმნელად მიუთითა თავისი სახელი.

ბექიაშვილის ქმედება წარმოადგენს საავტორო უფლების დარღვევას, რადგან თვით თარგმანის ცნება, როგორც ზემოთ აღინიშნა წარმოადგენს ნაწარმოების ორიგინალის ენიდან თარგმნას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თარგმანის-თარგმანი იქნებოდა. გარდა ამისა, ისევ ინგლისურად, ე. ი. უკუ თარგმანი შეიძლება დაემთხვეს ორიგინალს ან არა. თუ იგი ზუსტად იმეორებს – იდენტურია მისი, დარღვეული იქნება ავტორის ქონებრივი უფლებები – გავრცელების, რეპროდუცირების და სხვა. თუ უკუ თარგმანის ტექსტი არ ემთხვევა ორიგინალს, მაშინ დარღვეული იქნება ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი – ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით ნებისმიერ ენაზე თარგმნა გათვალისწინებული იყო, იგი არ გულისხმობს უკუ თარგმანს.

საკუთარი ნაწარმოების გამოცემაზე ან თარგმანზე თანხმობის მიცემას ავტორიზება ეწოდება. მხარეებს შეუძლიათ, თუ ენდობიან ერთმანეთს, დადონ ზეპირი შეთანხმება, მაგრამ მომავალში შესაძლო დავის წარმოშობის შემთხვევაში, ორივე მხარეს შეიძლება შეექმნას გარკვეული პრობლემები, შესაბამისი არგუმენტების არარსებობის

გამო.

მაგალითი:

პოპურია შეუთანხმდა (ზეპირად) კომპოზიტორ ღორემიას, რომ მის მიერ შექმნილ ნაწარმოებებს გადააკეთებდა თანამედროვე სტილში და აუნაზღაურებდა მოგების 30 %. ცოტა ხნის შემდეგ ღორემიამ გაიგო, რომ პოპურია მას უხდიდა მხოლოდ 5 %. ამის გამო, სასამართლოში შეიტანა სარჩელი მისი უფლებების დარღვევისათვის და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით. ღორემიამ უარყო ზეპირი ხელშეკრულების არსებობა.

ვინაიდან, კანონით გათვალისწინებულია საავტორო ხელშეკრულების დადების წერილობითი ფორმა პოპურია ჩაითვლება ღორემიას საავტორო უფლების დამრღვევად. თავის მხრივ, ღორემიას გაუჭირდება მოგების 30 % მიღება, რადგან თუ არსებობს 5 % მიღების რაიმე დოკუმენტი, პოპურიამ შეიძლება ეს მიიჩნიოს მათ შორის დადებული გარიგების ერთ-ერთ პირობად, ხოლო თუ ასეთი დოკუმენტი არ არსებობს, მით უფრო ძნელი იქნება 30 %-იანი ანაზღაურების დასაბუთება.

თუ გადაამუშავებული ნაწარმოების ავტორმა გადაამუშავა ნაწარმოები, რომლის საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია, მაშინ ავტორის ან მისი მემკვიდრისაგან ნებართვის აღების ან საავტორო ჰონორარის გადახდის აუცილებლობა აღარ არსებობს. არავითარ დარღვევას ამ შემთხვევაში აღგილი არ ექნება. მაგალითი:

კაკოიშვილმა 1999 წელს თარგმნა ფრანგი მწერლის (რომელიც გარდაიცვალა 1930 წელს) ნაწარმოები, მაგრამ მისი გამოქვეყნება ვერ მოახერხა, რადგან მემკვიდრეებმა მოითხოვეს საკმაოდ დიდი ანაზღაურება, რომელიც კაკოიშვილს არ გააჩნდა. 2001 წელს კი მან ყოველგვარი ნებართვის და ანაზღაურების გარეშე გამოაქვეყნა ეს ნაწარმოები.

მემკვიდრეების მიერ სასამართლოში დავას ამ შემთხვევაში აზრი ეკარგება. თუ 1999 წელს ნაწარმოების გამოქვეყნება მემკვიდრეების ნებართვის გარეშე საავტორო უფლების დარღვევა იქნებოდა, 2001 წელს ეს სავსებით შესაძლებელი იყო, რადგან საავტორო უფლების მოქმედების ვადა უკვე გავიდა.



ორიგინალური ნაწარმოების<sup>1</sup> ავტორი და მთარგმნელი თანაავტორად არ ჩაითვლებიან. თითოეულ მათგანს აქვს საავტორო უფლება სხვადასხვა ობიექტზე. მთარგმნელის საავტორო უფლებები დამოკიდებულია ორიგინალური ნაწარმოების ავტორის თანხმობაზე. მთარგმელს საავტორო უფლება აქვს მხოლოდ თარგმანზე და არა ორიგინალზე. აქ გამოსაყოფია კიდევ ერთი სუბიექტი – გამომცემელი, ე. ი. პირი, რომელსაც სურს ნაწარმოების გამოყენება. გამომცემელს უნდა ჰქონდეს ნაწარმოების გამოყენებაზე თანხმობა, როგორც ორიგინალური ნაწარმოების ავტორისაგან, ასევე მთარგმნელისაგან. თუ ამ უკანასკნელს ავტორისაგან მინიჭებული აქვს ასეთი უფლება, მაშინ საკმარისია მხოლოდ მთარგმნელის თანხმობა, რომელშიც ავტორის თანხმობაც იგულისხმება.

ავტორმა შეიძლება შექმნას და გადაამუშაოს ნაწარმოები რამდენიმე ენაზე, იქნება ეს ერთდროულად, თუ თანდათანობით. ამ შემთხვევაში ავტორი არის, აგრეთვე, მთარგმნელი (ე. ი. ახორციელებს ავტორისეულ თარგმანს) და მოქმედებს ნაწარმოების ორიგინალობის პრეზუმფციას. მას შეუძლია მიუთითოს საკუთარი სახელი მთარგმნელადაც, რითაც აღიარებული იქნება არა მარტო ავტორად, არამედ, ამავე დროს, გადაამუშაველადაც. რაც შეეხება ასეთ ნაწარმოებზე ქონებრივ უფლებებს, ისინი მაინც ხელშეკრულების საგანია.

### მაგალითი:

პოლიგლოტაძემ გამოაქვეყნა საკუთარი ნაწარმოები ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე ერთდროულად და შემდგომი გამოცემისა და სხვა ენებზე თარგმნისათვის მოითხოვა ორმაგი ანაზღაურება განკუთვნილი – როგორც ავტორისა და მთარგმნელისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მართლაც ასეა, ანაზღაურების საკითხი ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის, მაინც საავტორო ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს. პოლიგლოტაძის ნებაზეა დამოკიდებული, თუ რამდენს მოითხოვს ანაზღაურებისათვის და ვინ როგორ შეძლებს ამას.

---

<sup>1</sup> ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმოს) გლოსარიუმის № 172 თანახმად. ნაწარმოები ჩაითვლება ორიგინალურად, თუ იგი ავტორისეულია. თავდაპირველია და არა გადაამუშავებული. თარგმნილი ან არაჩაიწიერებული.

გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს გადაამუშაონ იგივე ნაწარმოები.

მე-13 მუხლის ეს პუნქტი ითვალისწინებს გადაამუშავებული ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლების საზღვრებს. გადაამუშავებელს არავითარი უფლება არა აქვს აუკრძალოს სხვას იგივე ნაწარმოების გადაამუშავება, თუნდაც იმავე სფეროში. სხვა გადაამუშავებლის მიერ გადაამუშავებული ნაწარმოები კი უნდა განსხვავდებოდეს უკვე არსებული გადაამუშავებისაგან.

#### მაგალითი:

თარგამაძემ თარგმნა აიზეკ აზიმოვის ნაწარმოები. ათი წლის შემდეგ იგივე ნაწარმოები თარგმნა ტრანსლაძემ, რომლის თარგმანი სიტყვა-სიტყვით იმეორებდა თარგამაძის თარგმანს.

ამ შემთხვევაში, თარგამაძეს უფლება არა აქვს აუკრძალოს ტრანსლაძეს ამგვარი გადაამუშავება. ამავე დროს, ტრანსლაძეს უფლება არა აქვს მე-13 მუხლის პირველი პუნქტის გამო, დაარღვიოს თარგამაძის საავტორო უფლება და მკითხველს შესთავაზოს იდენტური თარგმანი, მოუხედავდ იმისა, თარგამაძის მიერ შესრულებულ თარგმანს იცნობდა თუ არა.

ცნობილია, რომ შექსპირის სონეტებს თარგმნიდა ი. ჭავჭავაძე, ი. მაჩაბელი, გ. გაჩეჩილაძე, ვ. ჭელიძე და სხვები. ამ სონეტების თარგმნის უფლება აქვთ ახალი თაობის მთარგმნელებსაც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ადრე იყო თარგმნილი.

რაც შეეხება ორიგინალური ნაწარმოების ავტორს, მას უფლება აქვს უარი უთხრას ყველას, საკუთარი ნაწარმოების გადაამუშავებაზე, გარდა ერთი პირისა. ე. ი. მხოლოდ ერთ კონკრეტულ პირს მიანიჭოს გადაამუშავების უფლება, საავტორო უფლების მოქმედების ვადაში ან გადაამუშავებლის სიცოცხლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში უნდა დაიდოს ხელშეკრულება მასსა და გადაამუშავებელს შორის.

## მტკიცებულებათა თეორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში

*მტკიცებულებების გაგება და სახეობები.* ყოველგვარი სამართალწარმოება, მათ რიცხვში სამოქალაქო პროცესიც, პირველ რიგში ყალიბდება საქმის ირგვლივ არსებული ფაქტიური გარემოებების მართებულობის ან უმართებულობის შესახებ დავის მიხედვით მანამ, სანამ ეს დავა არ გადაწყდება, სასამართლოს და მხარეების მოქმედება საქმისათვის აუცილებელი ფაქტების მოსაპოვებლად გრძელდება. მხარეებისა და სასამართლოს მიერ აღნიშნული ქმედება მტკიცებულებათა წარდგენის, შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების შესახებ, მტკიცებულებების გერმანულ თეორიაში ეწოდება დამტკიცება (die Beweisführung)<sup>1</sup>.

დამტკიცო - ნიშნავს დაარწმუნო სასამართლო წარმოდგენილი ფაქტის სიმართლეში. მტკიცებულებების მეშვეობით მოსამართლე დარწმუნდება მოცემულ საქმეში ფაქტობრივი გარემოებების სიმართლეში<sup>2</sup>. გერმანულ სამართალწარმოებაში სასამართლო დარწმუნებაში იგულისხმება საბოლოო დარწმუნება. მხოლოდ ვარაუდის გადაღახვა არ არის საკმარისი. ასევე აღსანიშნავია, რომ სასამართლო დარწმუნების ფორმების დროს პრაქტიკაში არ არის აუცილებელი აბსოლუტური სიზუსტე. აღნიშნული საქმის მონაცემებში, მთავარია ვარაუდის მხოლოდ ისეთი ხარისხი, რომელიც სასამართლოს ეჭვებს გაუფანტავს განსახილველ საქმეში. ამ მოსაზრებას ასევე გააჩნია თეორიული საფუძველი. პროცესუალისტი შნაიდერი თვლის, რომ იურიდიული მტკიცებულება არ არის არსებითი მტკიცებულება, არამედ სავარაუდო ანალიზია მისი არსებობის შესახებ<sup>3</sup>. აქედან გამომდინარე გერმანელი მეცნიერები თვლიან, რომ ადამიანის შესაძლო

<sup>1</sup> Jauernig „Zivilprozeßrecht“, München. 1993, S. 178 u. s. w.

<sup>2</sup> Bauer/Grunsky „Zivilprozeßrecht“, 8. Auflage, 1994, S. 154

<sup>3</sup> Schneider „Beweis und Beweiswürdigung“, München, 1978 S. 134

ცნობიერება უსაზღვროა. ამიტომაც, რომ აბსოლიტური ჭეშმარიტების მიღწევა-სასამართლო ცნობიერების პროცესზე, როგორც ადამიანური ცნობიერების სახე ყოველთვის არ არის შესაძლებელი. მტკიცებულების დასაბუთებისათვის არ არის აუცილებელი დარწმუნება აბსოლიტური სიზუსტით, მხოლოდ საჭიროა აღბათობის (ვარაუდის) ისეთი ხარისხი, რომელიც ფანტავს ეჭვებს. ეჭვი, რომელსაც საფუძვლად არა აქვს კონკრეტული ფაქტები, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სასამართლო გადაწყვეტილების მისაღებად. თუ წარმოდგენილია მტკიცებულება, მაშინ საქმისათვის გამომწვევით მნიშვნელობის მქონე ფაქტიურ გარემოებას უდებს საფუძვლად მოსამართლე გადაწყვეტილებას, თუ იგი დარწმუნებულია მტკიცებულების სიმართლეში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლე ფაქტიურ გარემოებათა მხოლოდ საკუთარი და ინდივიდუალური შეფასებით მიიღებს გადაწყვეტილებას. ყოველივე ეჭვმდებარე რაციონალურ კონტროლს. მოსამართლის ამოცანა ბევრად აღემატება წარმოდგენილი ფაქტის სუბიექტურ შეფასებას.

ობიექტური საფუძვლები ხელმძღვანელობას უწევს მოსამართლის რწმენას. თანახმად §288(1) სპკ გფრ, სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს ყველა სხდომის შინაარსი და მტკიცებულებების მოძიების შედეგები. შემდეგ საკუთარი შინაგანი რწმენით განსაზღვროს, ჩაითვალოს თუ არა ფაქტიური გარემოებანი ჭეშმარიტებად ან სიცრუედ. სასამართლო გადაწყვეტილებაში უნდა იქნას მითითებული საფუძველი, რომლითაც ხელმძღვანელობდა სასამართლო დასარწმუნებლად.

*სასამართლო მტკიცების სტრუქტურა:* მტკიცება შედგება ორი ეტაპისაგან, სტადიისაგან:

1. მტკიცებულებების წარმოდგენა განსაზღვრული მტკიცების საშუალებების დახმარებით; (die Beweisantritt)
2. მტკიცებულებების შეროვება, მოძიება და შეფასება. (die Beweisaufnahme)

სასამართლოში მტკიცებულებების წარმოდგენა საქმესთან დაკავშირებით წარმოადგენს მხარეთა ტვირთს, რადგან ყოველი მხარე ვალდებულია დაამტკიცოს ის გარემოება, რომელსაც ეყრდნობა. გერმანული კანონმდებლობა აგრეთვე ითვალისწინებს შეჯიბრებითობის

პრინციპის გამორიცხვასაც, როდესაც სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით წარმართოს მხარეთა ახსნა-განმარტების მიღება, ექსპერტიზის წარმოება, მხარეების მიერ არსებული დოკუმენტაციის წარდგენა. (§142, 144 სპკ) ასევე, §448 სპკ, ითვალისწინებს, რომ სასამართლოს შეუძლია მხარეების შუამდგომლობის გარეშე და მტკიცების ტვირთის გათვალისწინების გარეშე დანიშნოს ერთ-ერთი მხარისაგან ახსნა-განმარტების მიღება შესაბამის ფაქტთან დაკავშირებით. თუკი მტკიცებულებების მოპოვება, მოძიება და შეფასება, საქმის ზეპირი განხილვა, არ არის საკმარისი დაარწმუნოს სასამართლო იმ ფაქტის ჭეშმარიტებაში, რომელიც ექვემდებარება დამტკიცებას.

სასამართლო მტკიცება იწყება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რადგან მხოლოდ სასამართლო განსაზღვრავს ფაქტების წრეს, რომელიც საჭიროა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. სასამართლოს შეუძლია მიიღოს დადგენილება მტკიცებულებების დასაშვებობის შემოწმებაზე, რაც გათვალისწინებულია §359 სპკ-ში.

მტკიცების პროცესი იწყება სასამართლოს მიერ მტკიცებულებების დაშვებისა და შემოწმების განსაზღვრით.

სასამართლოს დასკვნა მტკიცებულებების დაშვებაზე და შემოწმებაზე უნდა შეიცავდეს:

1. სადავო ფაქტების დასახელებას, რომლებიც ექვემდებარებიან მტკიცებას;

2 მტკიცების საშუალებების დასახელებებს მოწმეებისა და ექსპერტების მითითებით, რომლებიც ექვემდებარებიან დაკითხვას;

3. მხარეების დასახელება, რომლებიც ეყრდნობიან მტკიცების საშუალებას.

სასამართლო მტკიცების სტრუქტურის მეორე ელემენტი მოიცავს მტკიცებულების შეგროვებას, გამოძიებასა და შეფასებას, რომელიც აღინიშნება გერმანულ მტკიცებულებების პროცესუალურ თეორიაში ერთი ტერმინით (die Beweisaufnahme) და ადგილი აქვს მამინ, როცა ერთმა მხარემ მაინც წარმოადგინა სასამართლოში მტკიცებულებები.

უშუალობის პრინციპიდან გამომდინარე სასამართლოში მტკიცება ხდება მართლმსაჯულების განხორციელებით კონკრეტულ საქმეში.

მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომელიც გათვალისწინებულია კანონით, მტკიცებულებების შეგროვება და მოძიება შეუძლია სასამართლოს სხვა წევრს, რომელიც ასრულებს სასამართლო დავალებას ან თუ მტკიცებულებების შეგროვება ხდება საზღვარგარეთ. (§362, 363 სპკ).

თუ მტკიცებულებების შეგროვება ხდება სხვა სასამართლოს მიერ, მაშინ თავმჯდომარე უნდა გაუგზავნოს მას სასამართლო დავალება.

§434 სპკ ადგენს, რომ თუ ესა თუ ის დოკუმენტი განსაკუთრებული მიზეზების გამო ვერ იქნება წარმოდგენილი საქმის განხილვისას ან საბუთს ვერ წარმოადგენენ მისი მნიშვნელობის დაკარგვის და დაზიანების შემთხვევაში, მაშინ სასამართლოს შეუძლია განკარგულება გასცეს დოკუმენტი წარუდგინონ სასამართლოს ერთ-ერთ წევრს ან სხვა სასამართლოს.

მტკიცებულებების შეკრების თაობაზე დავალება სასამართლოს ერთ-ერთი წევრის ან სხვა სასამართლოს მიმართ გამოიტანება განჩინება, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება (§355 სპკ).

ოქმებსა და მასალებს, რომელიც ეხება მტკიცებულებების შეკრებას, სასამართლოს წევრი, რომელიც ასრულებს სასამართლო განკარგულებას, აგზავნის დედნების სახით სასამართლოს კანცელარიაში, სადაც იხილება საქმე.

თუ აუცილებელია მტკიცებულებების შეკრება საზღვარგარეთ, მაშინ სასამართლოს თავმჯდომარე მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებებით. თუ ფედერალურ კონსულს შეუძლია მტკიცებულებების შეკრება, დავალება ეგზავნება მას.

*მტკიცებულებების რაობა და კლასიფიკაცია.* შევიბრები ბითობის პრინციპის მოქმედება სამოქალაქო პროცესში მხარეებს ავალდებულებს ფაქტიური გარემოებების მოპოვებას, რაც საფუძვლად ედება სასამართლო გადაწყვეტილებას. ეს ნიშნავს რომ მხარეებმა სასამართლოში უნდა წარმოადგინონ მტკიცებულებები, რომელიც საჭიროა საქმის სწორი გადაწყვეტისათვის.

გერმანიის მტკიცებითი სამართლის თეორიაში მიღებულია მტკიცებულებების შემდეგი კლასიფიკაცია:

1. მტკიცების მიზნობრიობის მიხედვით განასხვავებენ სრულ მტკი-

ცებულებებს (der vollbeweis) და მტკიცებულებებს რომელიც ემსახურება განსაზღვრული ფაქტის ალბათობის დამტკიცებას (die Glaubhaftmachung), ძირითად მტკიცებულებებს (der Hauptbeweis) და ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებას ან კონტრარგუმენტს (der gegenbeweis);

2. მტკიცებულებების წარმოდგენის საშუალების მიხედვით განასხვავებენ პირდაპირ (unmittelbare) და ირიბ (mittelbare) მტკიცებულებებს;

3. პროცესუალური ფორმით, ასევე მტკიცების სახის მიხედვით განასხვავებენ მკაცრ მტკიცებულებებს (der Strengbeweis) და თავისუფალ მტკიცებულებებს (der Freibeweis).

სრულად იწოდება მტკიცებულებები, რომელთა ჭეშმარიტებაში სასამართლო აბსოლუტურად დარწმუნებულია. ფაქტიურ მტკიცებად იწოდებიან მტკიცებულებები, რომელთაც გააჩნიათ არა არსებითი ალბათობის ხარისხი, სრული მტკიცებულებებისაგან განსხვავებით, მაგრამ მათ “კარგი საშუალება“ ეძლევათ საფუძვლად დაუდონ სხვა ფაქტების სიმართლეს ან სიცრუეს. ასეთი მტკიცებულებები დაიშვება მხოლოდ კანონით მკაცრად გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგალითად მოსამართლის აცილების შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძველი, რომელიც ამართლებს უნდობლობას მოსამართლის მიუკერძოებლობაში. მტკიცებულების მიზნით დასაშვებია აცილებული მოსამართლის ჩვენებაზე დაყრდნობა. (§442) მტკიცებულებების შეგროვების, გამოძიების და შეფასების პროცესი მიმდინარეობს კანონმდებლობით მკაცრად გათვალისწინებული პროცესუალური ფორმით (§355). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროცესუალური ფორმისა და მტკიცების სახეობის მიხედვით განასხვავებენ მკაცრ და თავისუფალ მტკიცებულებებს. მკაცრს უწოდებენ მტკიცებულებას, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობით. მათ მოიპოვებენ მტკიცების ისეთი საშუალებით, როგორიცაა მხარეთა დაკითხვა, მოწმეთა ჩვენება, ექსპერტის დასკვნა, დოკუმენტური მტკიცებულებები, ადგილზე დათვალიერება. თავისუფალი მტკიცებულებები ეწოდება ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც მკაცრისაგან განსხვავებით, არ არის დამოკიდებული კანონით გათვალისწინებული მტკიცების საშუალებებზე და შესაბამის პროცესუალურ ფორმაზე.

ეს მტკიცებულებები შესაძლებელია აღებული იქნეს ცნობიერების ოფიციალური წყაროებიდან. (მაგ. ცნობები და სხვა ინფორმაცია), ასევე უცხოური სამართლის კომენტარი. თუ მოსარჩელე წარმოადგენს სარჩელს თანხის გადახდაზე, ხოლო მოპასუხე ასაჩივრებს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას, მაშინ მოსარჩელე ატარებს მტკიცების ტვირთს.

ძირითად მტკიცებულებებზე იწოდება მტკიცებულებები, რომლებსაც წარმოადგენს მტკიცების ტვირთის მატარებელი მხარეები, იმ ფაქტების სიმართლის დასადასტურებლად, რომელსაც იგი ეყრდნობა. ძირითად მტკიცებულებებთანაა დაკავშირებული აგრეთვე კონტრარაგუმენტები ან საწინააღმდეგო მტკიცებულებები, რომელსაც წარმოადგენს მოწინააღმდეგე მხარე არსებული მტკიცებულებების უარსაყოფად სასამართლოში.

პირდაპირი მტკიცებულებები ეწოდება მტკიცებულებებს, რომლებიც ემსახურებიან სამართლებრივი ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობის არსებობის უშუალოდ დადასტურებას.

შესაბამისად ირიბი ანუ არაპირდაპირი ეწოდება ისეთ მტკიცებულებებს, რომელთა საგანია ფაქტიმტკიცებები, რომელთაგანაც შეუძლებელია უშუალოდ მიღებული იქნეს დასამტკიცებელი ფაქტის დადასტურება. (der Gegenstand der Beweises)

*მტკიცების საგანი.* მტკიცების საგანი შეიძლება იყოს:

1. ფაქტები;
2. ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე დებულებანი; (der Erfahrungsgrundsätze)
3. უცხოური სამართლის სამართლებრივი ნორმები. (die Rechtssätze des ausländischen Rechts)

მტკიცებას ექვემდებარებიან ფაქტები, რომელთაც გააჩნიათ გადამწყვეტი მნიშვნელობა საქმისთვის. ე.ი. ფაქტები, რომელზეც დამოკიდებულია სასამართლო გადაწყვეტილება.

არ ექვემდებარება მტკიცებას:

1. აღიარებული ფაქტები. ე.ი. ფაქტები, რომელსაც ამტკიცებს ერთ-ერთი მხარე და არ საჭიროებენ მტკიცებას იმდენად, რამდენადაც დავის პროცესში აღიარებული იქნა მოწინააღმდეგე მხრის მიერ



ზეპირი განხილვისას, ანდა შეტანილი იქნა ოქმში

2. უდაო ფაქტები, რომელიც გათანაბრებულია აღიარების ფაქტებთან. ფაქტები – უდაო პირდაპირი გაგებით, ითვლება აღიარებად, რამდენადაც დანარჩენი ახსნა-განმარტებებიდან გამომდინარე, მხარე არ ცდილობს სადაო გახადოს ის (§138(3));

3. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები – ფაქტები, რომლებიც საყოველთაოდაა ცნობილი სასამართლოსათვის არ საჭიროებს მტკიცებას (§291(1))

4. პრეზუმფციები;

5. საყოველთაოდ ცნობილი ცოდნა, რომელსაც საფუძველად აქვს ზუსტი მეცნიერებისა და ფსიქოლოგიის დარგები და სხვა.

*პასუხისმგებლობის განაწილება მტკიცებისას. მტკიცების ტვირთი.*

სამოქალაქო პროცესში ან სამართალწარმოებაში, სადაც გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, სამართლებრივი ნორმის ფაქტობრივი წინამძღვრების მტკიცების ვალდებულება, მტკიცების ტვირთი აწევს მხარეს. ის ვალდებულია ამტკიცოს ყოველივე, რომელსაც ეყრდნობა. ეს არის მთავარი წესი მტკიცებულების განაწილებისა გერმანულ სამართალში.

ობიექტური მტკიცების ტვირთი შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, რომელ მხარეს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომელი მხარე სწევს რისკს თუკი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტი, გარემოება დარჩება დაუმტკიცებელი. ეს კითხვა წამოიჭრება ნებისმიერ პროცესზე, იმისაგან დამოუკიდებლად მოცემულ პროცესზე მოქმედებს შეჯიბრებითობის თუ სამძებრო პრინციპი.

სუბიექტური მტკიცების ტვირთი განსაზღვრავს თუ რომელი მხარე იღებს საკუთარ თავზე მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებას. ამ შემთხვევაში საქმე ეხება მხოლოდ შეჯიბრებითობის პრინციპს, რადგან ფაქტიური გარემოებანი რომლებიც უნდა აისახოს სასამართლო გადაწყვეტილებაში შესაძლებელია წარმოადგინონ ანდა ხელი მიუწვდებოდეთ მხოლოდ მხარეებს. სუბიექტური მტკიცების ტვირთი არავითარ როლს არ თამაშობს მტკიცებულებათა შეგროვებისას, რადგან მტკიცებულებებს წარმოადგენს ორივე მხარე. სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს მხედველობაში სუბიექტური

მტკიცების ტვირთი და თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდოს ყველა ის მტკიცებულება, რომლებსაც გააჩნიათ პრინციპული მნიშვნელობა დავის სწორი გადაწყვეტისათვის.

შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად მტკიცებულებათა შეკრება და სასამართლოში წარდგენა შეუძლიათ როგორც მხარეებს, ასევე სასამართლოს მხარეთა შუამდგომლობით. გარდა ამისა გერმანული საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს ასევე მტკიცების ტვირთის შეზღუდვას. სასამართლოს უფლება აქვს, აუცილებელი გარემოებებიდან გამომდინარე, მოითხოვოს აუცილებელი მტკიცებები საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში მიიღოს დადგენილება ადგილზე დათვალიერების ჩატარების ან ექსპერტიზის ჩატარების შესახებ. (§ 144 სკკ). სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით მოითხოვოს მხარეთაგან სასამართლოში დოკუმენტური მტკიცებულებების წარმოდგენა. (§162 პ2 სკკ), რომელიც აქვთ მხარეებს ან რომელთაც ეყრდნობიან ახსნა-განმარტებისას. მაგ. გეგმები, ნახაზები, ნახატები და სხვა. სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს მხარეებისაგან აგრეთვე საქმიანი ქაღალდების წარდგენა, რომლებიც გააჩნიათ მათ, თუ ეს საქმიანი ქაღალდები ეხება სასამართლო დავის განხილვას და გადაწყვეტას.

*მტკიცებულებების თავისუფალი შეფასების პრინციპი.* მტკიცებით სამართალში ბატონობს სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპი (der Grundsatz der freien richterlichen Beweiswürdigung), რომელიც განმტკიცებულია სსკ §286. თუ საქმეზე მტკიცებულებები შეკრებილია, მოწმემ მისცა ჩვენება, არსებობს დოკუმენტური მტკიცებულება, ექსპერტმა მისცა დასკვნა შესაბამისი ფაქტის დასადგენად, მაშინ სასამართლო ვალდებულია შეაფასოს ისინი.

სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით მთელი საქმის სამართალწარმოების შინაარსიდან გამომდინარე მტკიცებულობების შეგროვებასა და გამოძიების შესახებ სასამართლო სხდომების შედეგების გათვალისწინებით.

მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპის მოქმედება გერმანულ სამოქალაქო პროცესში გამოიხატება იმაში რომ, მართალია

მტკიცების ტვირთი, ასევე მტკიცების საგანი დავაში ეკისრებათ მხარეებს, მაგრამ ამის მიუხედავად, ბოლო სიტყვა ეთქმის სასამართლოს.

ფაქტიური გარემოებანი, რომლებსაც გააჩნიათ გადაწყვეტი მნიშვნელობა საქმისათვის შეიძლება დაედოს სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად, თუ მოსამართლე დარწმუნებულია გარემოებების სამართლიანობაში. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო ან მოსამართლე საკითხს წყვეტს მხოლოდ საკუთარი შეფასებით, რომელიც არ ექვემდებარება რაციონალურ კონტროლს სხვების მხრიდან. გერმანელი მეცნიერების აზრით, მოსამართლის ან სასამართლოს ამოცანა, სასამართლოზე წარდგენილი ფაქტების ჭეშმარიტობის საკითხის დადგენისას, სუბიექტური შეფასების ფარგლებს სცილდება, უფრო მეტიც, სასამართლო რწმენას უნდა ჰქონდეს ობიექტური საფუძველი, რომლითაც ხელმძღვანელობს მოსამართლე ან სასამართლო განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღებისას.